 კვირის პალიტრა

ალმა

№38 (432) 18-24 IX-2
09 თებერვალი

სენსაცია ხარაგაულის ტყე-პარკში

გიგანტური ადამიანის ძვლები აღმოაჩინეს

მედიცინის პროფესორი მსახიობის სიყვარულში გამოტყდა...

როდის შეუყვარდა ოთარ ტატიშვილს ნანკა კალატოზიშვილი

„ჯარისკაცის მამა" — „დივერსიული აქტი" რუსეთის წინააღმდეგ

პოპულარული ძმის სიყვარულში დაჩაგრული უფროსი ძმა

სნაიპერის ტყვია დედისერთა ბიჭისთვის...

ISSN 1987 - 5029

იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433

დეკორატიული საღებავები
და გათქაშები იტალიიდან

Decor DIVISION OIKOS

Paint DIVISION OIKOS

Façade DIVISION OIKOS

OIKOS

№38 (432)
18 - 24 სექტემბერი, 2008 წ.
ფასი 80 თეთრი

დაჩაგრული უფროსი ძმა



„ზოგის აზრით, ერთმანეთს ხმით და მიმიკითაც ვგავართ, ზოგი ამბობს ერთმანეთს საერთოდ არ ჰგავხართო. ჩვენს მსგავსებაგანსხვავებაზე ორი ურთიერთგამომრიცხავი აზრი არსებობს“.

19

„ხომ არ შევრცხვი?“

„ისიც გააზრებული მქონდა, რომ ჩემს ქვეყანას ბარბაროსები დაესხნენ თავს და ჩემი შვილი ვალდებული იყო, მათ წინააღმდეგ ებრძოლა. თუ ქვეყანას დასჭირდება, ჩემი შვილიშვილებიც იბრძოლებენ“.

24

მეგობრის ღალატი

თუ ვინდა, რომ ჭეშმარიტ გაღმერთებდეს,
ვიდრე მოშორდება,
5 წუთით ადრე აკოცეთ.

სიტუაცია
35

№38 (432)
18 - 24 სექტემბერი, 2008 წ.
ფასი 80 თეთრი

■ მინიატიურები
ბერმუნდის სამკუთხედი „საქართველო-ნატო-რუსეთი“ ანუ ჭირვეული მეზობელი 5
■ ფაქტი და კომენტარი
„ამ ომის შემდეგ დავრწმუნდი, რომ სწორი პოზიცია არ მქონდა...“ 6
■ პროექტი
„ჯარისკაცის მამა“ — „დივერსიული აქტი“ რუსეთის წინააღმდეგ 7
■ მასმედია
✓„მიხარია, რომ „პალიტრას“ უკვე ამდენი მსმენელი ჰყავს“ 8
✓„კორკოტას დილა“, „კუკუშას ბუფეტი“, აკა მორჩილაძის სამი წუთი ანუ თბილისური ნოსტალგია 10
■ ჟურნალისტის როლში
ოთარ ტატიშვილი მშვენიერ ნანკას სიყვარულში გამოუტყდა 12
■ პრობლემა
„წავალ და მეც იმ დევნილების გვერდით, საბავშვო ბაღში ვითხოვ თავშესაფარს“... 15
■ პოლიტიკა
„...უფრო მორჩილი, ვიდრე ბელორუსია და უფრო ახლობელი — ვიდრე ერევანი...“ 17
■ „უფროსი ძმა“
რუსი სერჟანტის „აღსარება“ 18
■ დედამიწვილები
პოპულარული ძმის სიყვარულით დაჩაგრული უფროსი ძმა 19
■ შოუბიზნესი
XX საუკუნის სხარტი ისტორია და დამპყრობლების გალერეა ერთ კლიპში 21
■ „შენ სისხლო ჩემო...“
სნაიპერის ტყვიით განგმირული დედისერთა ბიჭი... 22



დიდგორის ცაზე ფრენდა ის ხვარი

— ვინ ხარ და რა უფლებით გვიჭრი გზას?

— თავად ვინ ხართ? — ცივად მიუგო მუროჩიმ.

— ჩვენ მართლმორწმუნე მუსლიმანები ვართ და ჩვენი ბაგონის ბრძანებით, ჯაფარ მამართან მივემგზავრებით. თუ მისი მსახური ხარ, შეგიძლია წინ გაგვიძღვე და მის სიმაგრემდე მიგვაცილო, — თქვა მხედარმა და ამასთან ერთად ორიოდ ვერცხლი გადაუგდო.

78

■ ერუდიტი
„ხომ არ შევრცხვი?“ — იკითხა გენერალმა „დაკითხვის“ დამთავრებისთანავე... 24
■ თინეიჯერული პონტები
✓ დასერიოზულებული მოზარდები და მოლიმარი სახეების დეფიციტი 26
✓ შუა ქეიფისას რუსულმა თვითმფრინავებმა გადაგვიფრინეს...“ 28
■ ანტიდეპრესანტი 30
■ კოლეგა
„არგონავტები“ და მწყემსების აღმოჩენილი გიგანტური ქართველების ნაკვალევი... 30
■ ჯანმრთელობა
თავის ტკივილი 33
■ ქურნალი ქურნალში
✓ ცხოვრება 35
✓ გზავნილები 51
■ სცენა
სარკედ ქცეული ცის თაღი... 67
■ არდადეგები
არდადეგები რაჭაშიც, ზღვაზეც და უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაშიც მაქვს გატარებული 68
■ რომანი
სვეტა კვარაცხელია.
მორიელის ნიშანი (გაგრძელება) 70
■ ტაიმ-აუტი 74
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ როგორ მამაკაცს უნდა ვერიდოთ 76
✓ რომელი ფერის თეთრეული მოგწონთ 77
■ ისტორიული რომანი
გოჩა მანველიძე. დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი (გაგრძელება) 78
■ საპატარძლო
„მიუხედავად იმისა, რომ ოცია, შენს გასაცნობად ჩამოვალ“ 83
■ ტაძარი
ქვაზე დაწერილი ზეციური საგალობელი... 84
■ ვარსკვლავები 86
■ დაიჯესტი 89
■ თვალსაზრისი
„ანალიზზე უარს მაშინ ამბობ, როცა შენი მარცხის გაცნობიერება არ გინდა“... 90
■ კრიმინალი
✓ „ახალდაქორწინებულ კაცს ყაჩაღობაში ადანაშაულებენ 91
✓ მკვლელობა, რომელიც მკვლელობის „გამოძიებას“ მოკყვა... 92
■ ავტო 95
■ სკანვორდი 96
■ ტესტი 97
■ პროგნოზი 98

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

როგორ მამაკაცს უნდა ვერიდოთ

გეუბნებათ, რომ მის პირველ სიყვარულს აგონებთ.

მას ან სძულს, ან ჯერ კიდევ ახსოვს ის: ორივე შემთხვევაში, წაგებული ხართ.

76

არდადეგები რაჭაშიც, ზღვაზეც და უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაშიც მაქვს გატარებული

„4 წლის განმავლობაში საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვიყავი და იმ პერიოდში სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობა ხშირად მიწევდა“.

68

სნაიპერის ტყვიით განგმირული დედისერთა ბიჭი...

„ჯერ კიდევ შოკში ვართ. არ ვიცით, რა გავაკეთოთ... ხვალ სასაფლაოზე მივდივართ... ჩვენ კახას ცხედარი მაინც ვიპოვეთ. იმ უბედურმა მშობლებმა რა ქნან, რომლებიც დღემდე ეძებენ თავიანთ მკვდარ შვილებს? როგორ ვანუგეშოთ ისინი?“.

22

მორიელის ნიშანი

— მამამ თქვენ შესახებ არაფერი იცის?

— მ...მ...მ... რაღაცრაღაცები იცის, მაგრამ არ იცის მთავარი.

— ალბათ ფეხმძიმობის ამბავს გულისხმობთ, არა?

— დიახ.

— გასაგებია. ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია, — პირობას გაძლევთ, ძალისხმევას არ დავიშურებ.

70

ბერმუდის სამკუთხელი „საქართველო-ნატო-რუსეთი" ანუ ჭირვეული მეზობლები



ქართველები ოდითგანვე სტუმართმოყვარე ხალხი ვიყავით და შესაბამისად, არც სტუმარი გვაკლდა, მაგრამ ყოველთვის გვაკლდა იღბალი ანუ — ვისი სტუმრობაც გვიხაროდა, წელიწადში ერთხელაც არ შემოიხედავდა და ვინც არ გვინდოდა, ის კარს გვილეწავდა დაუპატიჟებლად. მას შემდეგ დროც შეიცვალა, სტუმარიც და მასპინძელიც, მაგრამ იღბალი იგივე დაგვრჩა — სასურველი სტუმრის თვითმფრინავის მოლოდინში თვალები ცას გვაქვს მიპყრობილი და მათ ნაცვლად, სხვისი თვითმფრინავები მოფრინავს.

ისე, ერთი უცნაურობა კი გვჭირს: კაი სტუმარი რომ მოგვივა, ოღონდ ვასიამოვნოთ და ტყავს ვიძრობთ; ცუდი სტუმარი კიდევ, თვითონ გვაძრობს ტყავს და დიდი ვერაფერი შეღავათია, მაგრამ სად საკუთარი სურვილით გამძვრალი ტყავი და სად — იძულებით?! დღეს ორივე ერთდროულად ხდება და საბოლოოდ ვის დარჩება ჩვენი ტყავი, არავინ იცის! ჰოდა, ვდგავართ რუსეთსა და ნატოსთან ერთად, „ბერმუდის სამკუთხედში" და დავრჩებით თუ გავქრებით, არც ეს ვიცით ნამეტანი კარგად.



ა, ბატონო, გვესტუმრნენ სასურველი სტუმრები ნატოს წევრი ოცდაექვსივე ქვეყნიდან, თვით ბატონი სხეფერის თამადობით და კრემლის გულის გასახეთქად, ისეთი რაღაცა თქვეს, პუტინს მინიმუმ ორი „სასწრაფო" მაინც დასჭირდებოდა იმ ღამეს და მედვედევს — ბროწეულის ამდენივე ოყნა. რა თქმა უნდა, ჩინებული სუფრა გავუწყვეთ, არ აკლდა ჩიტის რძე და „ბიძია, გვიშველე"; მშვიდობაც ვადღეგრძელეთ, 26-ის დედმამიშვილობაც, სამი ჩ-ც, დაშლა-არმოშლაც და იმ პირობით, რომ მალე „მაპსაც" მოგვცემენ და ფულითა და სამხედრო ტექნიკითაც დაგვეხმარებიან, დაგვიმშვიდობნენ, — მერე ავტობუსი აღარ იქნება და ბრიუსელში ინერვიულებენო... ა, ასეთი ხალხისთვის ტყავი დაგენანება?!.

აბა, მეორე სტუმრების საქციელია მოსაწონი?! დადის ამხელა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ოთხი სოფლისა და ერთი დაბის „პრეზიდენტებთან", სარკოზისთვის მოპარული, გადაკეთებული საბუთით და დამოუკიდებლობას ულოცავს. სახელმწიფოში თვითმფრინავით რომ ვერ ჩახვალ, ის სახელმწიფოა თუ ცხინვალის რაიონი?.. თვითმფრინავი კი არა, ქორი ვერ აკეთებს „პასადკას", წიწილა რომ წაიყვანოს და ვაშლის ჭამაზეა გადასული.

გახარებული კოკოითიც არანაკლებ მომზადებული დახვდა ესოდენ საპატიო სტუმარს: ის ვეგეტარიანელი ქორიც დაუკლა, „პოლიტრაც" მიუმატა ჯიხურში ნისიებს და გორის სამხედრო ბაზიდან ჩატანილი უნიტაზის წითელი ღენტიც ლავროვს გააჭრევინა. ჩოჩიევის ულვაშებით გახეხილი უნიტაზი მართლაც, მიმზიდველად გამოიყურებოდა!..

„ჰამასის" მიერ აღიარებული დამოუკიდებლობის არც პუტინს სჯერა და არც ლავროვს ფხიზელ გონებაზე, მაგრამ იმ ორ პრეზიდენტს ხომ ასულელებენ და მეტი რა უნდათ, მაგათი პოლიტიკაც ხომ ესაა! ისინიც გახარებული არიან თავიანთი დამოუკიდებლობით და სოხუმიდან ცხინვალში და ცხინვალიდან სოხუმში ვიზიტებით ხარობენ (ალბათ მაგათ მსოფლიო რუკაზე სულ სამი სახელმწიფოა და მაგათ გლობუსსაც გაჭყლეტილი კონსერვის ქილის ფორმა აქვს). ამიტომ ფეხქვეშ ეგებიან მფარველ პუტინს და მედვედევს და ოღონდ როგორმე ასიამოვნონ, მთელ ბიუჯეტს ვაზელინში ხარჯავენ.

დიდი შანსია, ეგ ვაზელინიც ოხრად დარჩეთ, რადგან ნატოს წევრი ყველა ქვეყნიდან მყარი გარანტიები მივიღეთ, ინტეგრაციის დაჩქარებაზე და იმ ჩვენი ცოდვით სავსე სარკოზისა და მერკელსაც სინდისი არ მისცემთ იმის უფლებას, რომ „მაპი" არ მოგვცენ. ამასობაში რუსეთის ეკონომიკას ისე ერხევა, რომ ზარალი ზარალზეა და რუბლიც ისე დაეცა, რომ მედვედევისხელაა უკვე. არა მგონია, ამ „ბერმუდის სამკუთხედში" რუსეთის კუნთების დემონსტრირებამ გაიმარჯვოს და ის ოსები მალე საკუთარი ხელით ამოქოლავენ როკის გვირაბს.

მოკლედ, ასე მგონია, მთელი მსოფლიოს ლიდერების უმთავრესი საზრუნავი ახლა, მე და თქვენ ვართ და ის მილიონები და მილიარდები ამ პატარა ქვეყანას რომ მოხმარდება, აღარ დაგვჭირდება ტყავის გაძრობა! რა ვიცი, იმედია, ამიტომ მოიყარეს აქ თავი. აბა, როგორ დავივჯერო, გვატყუებენ, ფრენა უხარიათ და როკკონცერტის საყურებლად იყო 26 ქვეყანა ჩამოსული?!. იქით კიდევ, ამერიკულმა გემებმა გაავსეს შავი ზღვა და თითო გემმა 100-100 ლიტრი წყალი ჩამოგვიტანა. ეს უმადური რუსები კი მაინც უკმაყოფილონი არიან, — ქართველებს რატომ ეხმარებიანო?! თქვე კაი ხალხო, რა გაქვთ სასაყვედურო? იმ სამხედრო გემებზე მხოლოდ წყალია ჩვენი, თორემ დანარჩენი „ტვირთი" სულ თქვენთვისაა განკუთვნილი, ალალად მოიხმარეთ!..

ახლა, პროვოკატორი კი ვარ და ათას ტყუილს ვამბობ, მაგრამ ხანდახან სიმართლეც უნდა გამოვურიო: ამ ეტაპზე ჩვენი საქმე გარედან უფრო კარგადაა, ვიდრე შიგნით. ერთი სიტყვით, გარედან მტერს ვუბრმავებთ თვალებს და შიგნიდან — მოყვარეს ანუ ჩვენ. ა, ბატონო, გამოჩნდა სარბიელზე, პოლიტიკიდან წასული, ქართველი „რკინის ლედი" და უცებ შემოიკრიბა ოპოზიცია. იმათაც, მეტი რა უნდოდათ, გამოთქვეს პრეზიდენტის შეცვლის სურვილი. გამაგიჟებთ მე თქვენ! შეცვლა თუ გინდოდათ, გუშინწინ არ იყო არჩევნები და ისევ თქვენ არ იყრიდით კენჭს?! მოგეგოთ და შეცვლილი არ იქნებოდა?! მისი ნამეტანი ერთგულებით არ დავიკვეხნი და პროვოკატორს არც მომეთხოვება ერთგულება, მაგრამ იმ საშინელი დღეების ავტორთა მიზანიც ეს იყო და ჟირინოვსკიც ამას „ჭყვიტინებს", შევცვალოთო და ყველას ერთი გეგმა გაქვთ თუ რაიმე თქვენი „ხოდები" იცით?.. რაც გინდათ, ის გააკეთეთ, ოღონდ იმ დახმარებების ჩამოსვლას და ნატოში შესვლას არ შეეშალოს ხელი, თორემ „ჟირინოვსკობა" მერე ნახეთ თქვენ!!!

P.S. პრეზიდენტი ეუბნება შს მინისტრს:

— ვანო, რა ხდება ქვეყანაში? მგონი, რაღაცას მიპირებენ...

— გამყრელიძე შეხვდა ბერძენიშვილს და უთხრა, — დროა, ვიმოქმედოთო.

— საიდან იცი?

— „ჟუჩოკებით" მოვუსმინე. მერე ბურჯანაძემ დაურეკა გამყრელიძეს, — ერთად დავდგეთო.

— ეგ საიდან იცი?

— ტელეფონი ისმინება. მერე გამყრელიძემ გულში გაიფიქრა, — მიშა შევცვალოთო.

— ეგ საიდანღა იცი, გულში რა გაიფიქრა?

— ექიმი მივუგზავნე: ფონენდოსკოპით ისმინება.

პროვოკატორი

„ამ ომის შემდეგ დავრწმუნდი, რომ სწორი პოზიცია არ მქონდა...“

როგორც ცნობილია, გასულ კვირას თბილისში ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა გაიმართა. საზოგადოების ნაწილს მიაჩნია, რომ ალიანსის გენერალური მდივნისა და წევრი ქვეყნების წარმომადგენელთა ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლა საქართველოსთვის დადებითი აღმოჩნდება და ბევრი პრობლემის გადაწყვეტას შეუწყობს ხელს. არიან ისეთი ადამიანებიც, ვინც მიიჩნევს, რომ ამ ფაქტს უარყოფითი მხარეებიც აქვს...

ნათია ქივიძე

ლაშა აბზიანიძე, *პროგრამისტი, 34 წლის:*

— გასული კვირის მნიშვნელოვან მოვლენად, ნატოს გენერალური მდივნის, იაპ დე ჰოოპ სხეფერის ვიზიტი მიმაჩნია. თბილისში მისი ჩამოსვლა იმედს გვაძლევს, რომ სულ მალე საქართველოს, ნატოს წევრ ქვეყნად ვიხილავთ და მაშინ მაინც მოეღება ბოლო ჩვენში რუსების პარპაშს. თუმცა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ რუსები ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან და თუ ეს მოხდება, შესაძლოა, ამ ფაქტმა მესამე მსოფლიო ომიც კი გამოიწვიოს. რასაკვირველია, ეს ძალზე ცუდი ფაქტი იქნება, მაგრამ რადგან პუტინსა და მედვედევს დიპლომატიური მოლაპარაკებები არაფრად მიაჩნიათ, არც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების პირველი პირების შეგონებებს იზიარებენ, აჯობებს, მათ ძალითა და იარაღით შევაგნებინოთ რაიმე და ერთხელ და სამუდამოდ, თავიანთი ადგილი მივუჩინოთ. მოკლედ, რადგან ნატოს გენერალურმა მდივანმა დრო გამონახა და ორი დღის განმავლობაში საქართველოში იმყოფებოდა, დარწმუნებული ვარ, სულ მალე ჩვენი ქვეყანა „მაპს“ მიიღებს...

ნანა ჩიქვინიძე, *დიასახლისი, 53 წლის:*

— მნიშვნელოვანი იყო, ნატომ ჩვენთვის რომ მოიცალა და მისი გენერალური მდივანი და სხვა წარმომადგენლები თბილისს ეწვივნენ. მახარებს ის ფაქტიც, რომ ევროკავშირი აფხაზეთსა და ცხინვალში დამკვირვებლებს გაგზავნის და მომხდარის შესახებ გამოძიებას ჩაატარებს. თუმცა ძალიან მეშინია, ამ გამოძიების შედეგად, ომის დაწყებაში საქართველო არ აღმოჩნდეს დამნაშავე. მართალია, ადამიანი რასაც საკუთარი თვალით არ ნახავს, იმაზე ხმამაღლა არ უნდა ილაპარაკოს, მაგრამ უამრავი ჭორ-მართალი მოვისმინე იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყო ომი მიხეილ სააკაშვილმა. იმედი მაქვს, ეს ყველაფერი სიმართლეს არ შეესაბამება და ქართული მხარე ამ ამბავში ცამდე მართალია. ყოველ შემთხვევაში, საკმაოდ სასიამოვნო ფაქტია, მთელი მსოფლიო საქართველოს რომ უჭერს მხარს და არა — რუსეთს. ამ ქვეყანას არავინ ენდობა. აბა, როგორ უნდა ენდონ?! მედვედევმა 6-პუნქტიან შეთანხმებას ხელი მოაწერა და ჯერ არც ერთი პუნქტი არ შეუსრულებია ბოლომდე. თან ირწმუნება, თარგმანში შეცდომები გაიპარაო. ხომ გამოასწორეს ის თარგმანი, რატომლა რჩება რუსების ჯარი ქართულ სოფლებში?! იმედი მაქვს, ნატოც და ევროკავშირიც ამ პრობლემის მოგვარებაში დაგვეხმარებიან.

ინეზა თევაური, *პედაგოგი, 57 წლის:*

— მნიშვნელოვან მოვლენად, ნინო ბურჯანაძის ოპოზიციაში გამორჩენა მიმაჩნია. მან რომ პარლამენტის თავმჯდომარეობაზე უარი თქვა და პოლიტიკიდან თავი შორს დაიჭირა, მაშინვე საეჭვოდ მეჩვენა ეს ფაქტი. დარწმუნებული ვიყავი, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე ისევ გამოჩნდებოდა. ახლა იმასაც ამბობენ, მთელი ამ დროის განმავლობაში ქალბატონი ნინო ამერიკაში იმყოფებოდა და მას ამერიკა საქართველოს პრეზიდენტობისთვის ამზადებსო. სიმართლე რომ ვთქვა, ეს ჭორი სიმართლეს მოკლებული სულაც არ არის. ქალბატონი ნინო საკმაოდ განათლებული და ჭკვიანი ქალია. რაც მთავარია, სააკაშვილისგან განსხვავებით, ის საკმაოდ გაწონასწორებულია, რაც მიმაჩნია, რომ ქვეყნის პრეზიდენტის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება უნდა იყოს. იმასაც ამბობენ, საქართველოს პრეზიდენტად, ირაკლი ალასანიაც მოიაზრებაო. ამ ფაქტსაც მივესალმები. ორივე კანდიდატი მისაღებია. სააკაშვილს თანამდებობიდან გადადგომის დრო რომ მოუვიდა, ამას ალბათ თვითონაც კარგად ხვდება. რუსეთმა მისი გადადგომა რომ მოითხოვა, აღვშფოთდით, — პუტინმა რატომ უნდა გადაწყვიტოს, ვინ იქნება ჩვენი პრეზიდენტი-მეთქი?! ამერიკა რომ წყვეტს ამ საქმეს, იმაზე არაფერს ვამბობთ. როგორც ჩანს, საქართველო დამოუკიდებელი ვერასოდეს გახდება, ან ამერიკის მონები უნდა ვიყოთ, ან — რუსეთის. არჩევანზე თუ გვაქვს საქმე, პირადად მე ამერიკას ვარჩევ — ცივილიზებული ქვეყანაა...

დავით საყვარელიძე, *ინჟინერი, 63 წლის:*

— ახლა საქართველოში მიმდინარე ყველა მოვლენა მნიშვნელოვანია. ალბათ პირველი შემთხვევაა, როცა ჩვენი ქვეყნით მთელი მსოფლიოა დაინტერესებული და მსოფლიოს ყველა საინფორმაციო გამოშვება საქართველოში არსებული მოვლენების გაშუქებით იწყება. რამდენიმე დღის წინ, საშუალება მქონდა, ერთ-ერთ საეკლესიო პირთან მესაუბრა, რომელმაც აღნიშნა, რომ ქართველებმა მხარი არც ხელისუფლებას უნდა დავუჭიროთ და არც — ოპოზიციას. აქამდე სააკაშვილის მომხრე ვიყავი და თუ ისეთ საზოგადოებაში აღმოვჩნდებოდი, სადაც მასზე აუგს იტყოდნენ, კბილებით ვიცავდი. ამ ომის შემდეგ დავრწმუნდი, რომ სწორი პოზიცია არ მქონდა. მაგრამ რა ეშველება საქართველოს? ეს საკითხი ჯერ კიდევ კითხის ნიშნის ქვეშ დგას...

გივი ჯანიაშვილი, *ინჟინერი, 51 წლის:*

— გასული კვირის გამორჩეული მოვლენა იყო ნატოს წარმომადგენლების ვიზიტი საქართველოში. ქართველებს იმედი გაგვიჩნდა, რომ ოკუპანტები ჩვენს ქვეყანაში „ჯირითსა“ და მაროდიორობას შეწყვეტენ. გარდა ამისა, ნაკლები შანსია, რომ რუსებმა საქართველოს სხვა ტერიტორიებზეც განაგრძონ თავდასხმა. თუმცა ნატოს წარმომადგენლების ვიზიტს მეორე მხარეც აქვს: რუსეთი სასტიკი წინააღმდეგია ნატოში ჩვენი ქვეყნის გაწევრებისა, რადგან მათ ნატო თავიანთი ქვეყნის პირველ მტრად მიაჩნიათ. სხეფერის ჩამოსვლა იმედს იძლევა, რომ სულ მალე ნატოში მიგვიღებენ. ამ ფაქტმა კი შესაძლოა, რუსეთის აგრესია კვლავ გამოიწვიოს და კიდევ ერთი ომის მომსწრენი გავხდეთ. რუსები, როგორც ჩანს, არც კი აპირებენ ე.წ. ბუფერული ზონებიდან გასვლას. სამწუხაროა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ლიახვის, ფრონესა და კოდორის ხეობები საქართველოს შემადგენლობაში აღარ შედის. ამის დამადასტურებელია ისიც, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ე.წ. პრეზიდენტებმა ამ რეგიონებში ევროკავშირის 200-კაციანი დამკვირვებლის შეშვებაზე სასტიკი უარი განაცხადეს...

ინული გოგავა, *სანიტარი, 42 წლის:*

— ახლა საქართველოში ისეთი მდგომარეობაა, ყველა მოვლენა მნიშვნელოვანია. პოლიტიკაზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ. გეტყვით მხოლოდ იმ ფაქტს, რომელმაც ამ კვირაში ყველაზე მეტად აღმაშფოთა: როგორც გაირკვა, „ყაზტრანსგაზი“ რომელიღაც ქართულმა კომპანიამ შეისყიდა. ჯერ ოფიციალურად არ განუცხადებიათ, მაგრამ არსებობს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ახალი წლიდან ერთი კუბმეტრი გაზის ფასი 75 თეთრამდე გაიზრდება, მოგვიანებით კი ერთ ლარსა და 50 თეთრამდე მოიმატებს. თუ ბუნებრივი აირის ფასი ასე აიწევს, მას ალბათ არც ელექტროენერგია ჩამორჩება. ხელფასები კი კვლავ უცვლელი გვაქვს. როგორ უნდა ვიცხოვროთ?.. ამით გვაიძულებენ, რომ ვინც მდიდარი არ არის, სახსრები საზღვარგარეთ ეძიოს და უცხოელების მოსამსახურეებად უნდა გადავიქცეთ... ■

„ჯარისკაცის მამა“

ქართველების „დივერსიული აქტი“ რუსეთის წინააღმდეგ

რუსეთის მოსახლეობას, რომელსაც რუსული ტელეარხების საინფორმაციო გამოშვებების „წყალობით“, საქართველოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შესახებ მცდარი ინფორმაცია აქვს, მალე იმის საშუალება ექნება, რომ მხატვრული ფორმით შეიტყოს, თუ რა მოხდა სინამდვილეში. ქართველმა კინემატოგრაფისტებმა გადაწყვიტეს, გააპროტესტონ რუსეთის აგრესია და ოკუპანტ ქვეყანას ერთგვარი „დივერსიული აქტი“ მოუწყონ...

„ჯარისკაცის მამა“ — ასე ჰქვია კინოპროექტს, რომელზე მუშაობაც უკვე დაწყებულია. მისი მიზანია, ცნობილი ქართული ფილმის — „ჯარისკაცის მამის“ მოტივებზე, ამავე სახელწოდების ახალი სურათი გადაიღონ. პროექტს მხატვრულ ხელმძღვანელობას ბატონი რეზო ჩხეიძე უწევს, პროდიუსერი კი არჩილ მენაღარიშვილი გახლავთ.

ეთო ყორღანაშვილი

რეზო ჩხეიძე:

— ამქვეყნად ომი ყველაზე დიდი საშინელებაა: მოაქვს ათასგვარი არეულობა, უამრავი მსხვერპლი და ამავე დროს, წარმოშობს ისეთ მოვლენებს, რომლებიც მკითხველისა თუ მაყურებლის ინტერესს იწვევს. ომის დროს ადამიანის დიდი სულიერი თვისებები

ვლინდება... ამას წინათ, „რუსთავი 2“-ის ეთერში ნაჩვენები იყო პატარა სიუჟეტი. იგი მოგვითხრობდა რეალურ ამბავს იმის შესახებ, თუ როგორ ეძებდა მამა საომრად წასულ ვაჟიშვილს. მამაშვილის შეხვედრა შედგა, მაგრამ მათი გზები მალევე გაიყო — გზა სხვადასხვა მიმართულებით განაგრძეს, რუსული აგრესიის წინააღმდეგ ცალ-ცალკე იბრძოდნენ. რაც მთავარია, მიზანი ერთი ჰქონდათ — სამშობლოს დაცვა! ამ სიუჟეტში საკმაოდ კარგად იყო გამოყენებული რამდენიმე ფრაგმენტი ფილმიდან „ჯარისკაცის მამა“ — მთავარი გმირის ტანკისტებთან შეხვედრა და სხვა ეპიზოდები... ამ სიუჟეტის ნახვის შემდეგ, არჩილ მენაღარიშვილს გაუჩნდა იდეა, რომ გადაგვეღო 10 პატარა კინონოველა, რომელშიც ასახული იქნება ფრონტსა თუ ზურგში განვითარებული მოვლენები. შემდეგ, ნოველები ერთ ფილმად შეიკვრება. გადაღების პროცესი დიდხანს არ გასტანს, რადგან თითოეულ ნოველას თავისი რეჟისორი ეყოლება. შესაძლოა, რეჟისორებმა მუშაობა ერთდროულადაც დაიწყონ. ასე რომ, ამ პროექტის განხორციელებას იმდენი დრო არ დასჭირდება, რამდენიც სრულმეტრაჟიანი ფილმის გადაღებას.

—

თქვენც თუ აპირებთ რომელიმე ნოველის გადაღებას?

— ჯერ-ჯერობით არ გადამიწყვეტია. სიმართლე გითხრათ, ამისკენ არც მივისწრაფვი. თუ ვნახე ისეთი სცენარი, რომელიც დამაინტერესებს და მივიჩნევ, რომ ის ღირებულია, შეიძლება, ერთი ნოველა მეც გადავიღო.

— როგორც ვიცი, „ჯარისკაცის მამის“ ახალი ვერსიის ერთ-ერთ ნოველაში იმ ეპიზოდის ჩართვას აპირებთ, რომლის გადაღებაც ყველასათვის ცნობილ ფილმში „ჯარისკაცის მამა“ გსურდათ...

— შესაძლებელია, რომ ასეთი რამ მართლაც, მოხდეს... იცით, მაშინ „ჯარისკაცის მამაში“ ყველაფერი ვერ ჩავტიე — კინოფილმს თავისი ქრონომეტრაჟი აქვს... მოკლედ, ვნახოთ, წინასწარ ვერაფერს ვიტყვი... დღეს ჩვენს ქვეყანაში ძალზე მძიმე მდგომარეობაა. იმედია, ჩვენი ფილმი,

პროფესიული განათლების პროფკავშირი და საერთაშორისო ორგანიზაცია “JOINT”-ი 18-35 წლის ასაკის მსურველთათვის ა.წ. 15 ოქტომბრიდან ატარებს უფასო კურსებს სპეციალობებში: სარეკლამო აგენტი, სადაზღვევო აგენტი, ტანსაცმლის მოდელირება-კონსტრუირება-კერვა, მზარეული, სასტუმროს ადმინისტრატორი, მოლარე-გამყიდველი. სწავლება იწარმოებს 15-18 საათზე. მისამართზე უზნაძის ქ.№68. კურსდამთავრებულები დასაქმდებიან, მათზე გაიცემა სერტიფიკატი.

საკონტაქტო ტელეფონი:
32-35-64; 899899 57- 20-55, 877 72-27-09.
E-MAIL: Dan.prof@yahoo.com; siyb_kab_geo@mail.ru

თავისი პატრიოტული თემატიკით, ხალხს გაამხნევებს. ქართველებს სულიერი სიმტკიცე და სამშობლოს მიმართ ძლიერი სიყვარული გამოგვარჩევს...

არჩილ მენაღარიშვილი:

— რუსეთის ოკუპაციის გამო, პროტესტის გრძნობა ბევრს გაუჩნდა. ყველა იმისკენ ისწრაფოდა, რომ სამშობლოსთვის რაღაც გაეკეთებინა. კინემატოგრაფისტებმა დოკუმენტური ფილმის გადაღებაზე ფიქრი დავიწყეთ. პროექტის — „ჯარისკაცის მამა“ — განხორციელების იდეა სატელევიზიო სიუჟეტის ნახვის შემდეგ გამიჩნდა. ჩემი ჩანაფიქრი ბატონ რეზოს გავუზიარე. შეიქმნა პატარა შემოქმედებითი ჯგუფი, რომლის წევრებმაც პროექტზე სერიოზული ფიქრი დავიწყეთ.

— და რა მოიფიქრეთ?

— თავდაპირველად, გვინდოდა, რომ „ჯარისკაცის მამის“ მოტივებზე ერთიანი ფილმი გადაგვეღო, მაგრამ შემდეგ — სცენარისტებთან შეხვედრისას, მსჯელობისას — გადავწყვიტეთ, რომ ფილმი 10 სერიად დაგვეყო. გვსურს, ათი 10-წუთიანი მხატვრული კინონოველა შევქმნათ, რომელსაც იმ რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით გადავიღებთ, რაც რუსეთის ოკუპაციის დროს მოხდა. ხალხი გაიგებს, თუ რა ხდებოდა სამხრეთ ოსეთში და ასევე — აფხაზეთში. ჩვენს ნამუშევარს რუსეთში გავიტანთ. იქ საზოგადოება მცდარი ინფორმაციის ტყვეობაში იმყოფება, ადამიანებმა არ იციან, რეალურად რა მოხდა საქართველოში. რუსებს რუსული აგრესიის შესახებ, მხატვრული ფილმის მეშვეობით ვაუწყებთ... სხვათა შორის, ეს ინფორმაციის მიწოდების უფრო „გრძელვადიანი“ ფორმაა, ვიდრე საინფორმაციო გადაცემები... ოკუპაციის დროს, ქართველ მეომრებთან ერთად, დიდი თავდადება გამოიჩინეს ჟურნალისტებმა, რომლებმაც ფაქტობრივად, ინფორმაციული ომი მოიგეს. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ რუს მოსახლეობასთან დაკავშირებით ბევრი სამუშაო გვაქვს... სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ „ჯარისკაცის მამის“ გადაღება. ეს, ცოტა არ იყოს, მარკეტინგული სვლაა, იმისთვის, რომ რუსმა მაყურებელმა ფილმი ნახოს: ვფიქრობთ, რომ სახელი და ბატონი რეზო ჩხეიძის ავტორიტეტი რუსებს ინტერესს გაუღვიძებს და ამ ფილმს აყურებინებს. მათ საშუალება ექნებათ, ინტერნეტსაიტებით იხილონ „ჯარისკაცის მამის“ ახალი ვერსია და გაიგონ, თუ რა მოხდა სინამდვილეში საქართველოში.

— პროექტში მონაწილეობას ვინ მიიღებს?

— ჩვენთან კინემატოგრაფისტთა ის თაობა ითანამშრომლებს, რომელშიც უზარმაზარი შემოქმედებითი მუხტია დაგროვებული. ამ თაობის წარმომადგენლებს დოკუმენტური, მხატვრული ფილმები აქვთ გადაღებული, მაგრამ ისინი იმ ოცწლიან პერიოდში მოჰყვნენ, როცა სახელმწიფო ქართული ფილმების გადაღებას არ აფინანსებდა.

— დაფინანსებაზე რა შეგიძლიათ გვითხრათ?

— რამდენიმე კერძო კინოსტუდიასთან წინასწარი მოლაპარაკება გვქონდა. ვფიქრობთ, რომ ტექნიკური ბაზები გავაერთიანოთ და „ჯარისკაცის მამა“ ერთობლივი ძალებით გადავიღოთ. სტუდიების წარმომადგენლებს ჩვენი პროექტი ძალიან მოეწონათ. ჯერჯერობით ხელშეკრულება არ გაგვიფორმებია, მაგრამ სიტყვიერი მხარდაჭერა გამოხატეს.

— შემოქმედებითი ჯგუფის წევრებს რამდენად საინტერესო იდეები აქვთ?

— თემა, რომელზეც ვმუშაობთ, ძალზე რთულია. სცენარისტებთან შეხვედრისას ბევრ საინტერესო იდეაზე ვისაუბრეთ. მიხეილ მრევლიშვილის იდეა იყო, რომ „ჯარისკაცის მამის“ თითო სერია ქრისტეს 10 მცნებიდან ერთ-ერთს პასუხობდეს და ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ: ვისაც რომელი შეხვდება, სინოფსისს იმის მიხედვით დაწერს.

— სავარაუდოდ, ფილმი მზად როდის იქნება?

— ეს იმაზეა დამოკიდებული, ფინანსების მოძიებას რამდენად სწრაფად შევძლებთ. თუ ჩვენს იდეას ინვესტორებმა, ბიზნესმენებმა მხარი დაუჭირეს და კარგად ვიმუშავეთ, გადაღებები წელსვე დასრულდება. დღეს მსოფლიოში კარგი ფილმების კრიზისია. მგონი, საუკეთესო დროა, რომ გავაქტიურდეთ და ქართული კინოს სახელი განვამტკიცოთ... ■

ზუსტად ერთი თვის წინ „კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლის კედლებიდან რადიო „პალიტრამ“ დაიწყო მაუწყებლობა. ცოტა ხანში, მის ეთერში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოქშოუ — „ახალი დროით“ — გაჩნდა. გადაცემის ავტორი და წამყვანი ირინა თევდორაშვილი ფიქრობს, რომ ახლა სწორედ ასეთი სახისა და თემატიკის გადაცემა პასუხობს საზოგადოებაში არსებულ მოთხოვნებს. ამას გადაცემის მსვლელობისას, მსმენელთა მრავალრიცხოვანი სატელეფონო ზარებიც ადასტურებს.

ემა ტუხიაშვილი

— ირინა, როგორც ვიცი, ჟურნალისტიკა თქვენი საწყისი პროფესია არ არის...

— დიახ, მსოფლიო ისტორიის სპეციალისტი გახლავართ. უფრო ზუსტად, ჩემი სპეციალობა — მსოფლიოს ახალი და უახლესი ისტორიაა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, იქვე გავაგრძელე მუშაობა. დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია. სამეცნიერო საქმიანობის პარალელურად, გამიჩნდა სურვილი, რომ ტელევიზიის ეთერში, საერთაშორისო ახალი ამბების ანალიტიკური მიმოხილვები მომემზადებინა. მაშინ, 90-იანი წლების დასაწყისში, „პირველი არხი“ საქართველოში ერთადერთი სატელევიზიო მაუწყებელი იყო. დავიწყე მუშაობა ჯერ სახელმწიფო რადიოში, გადაცემაში „პიკის საათი“, შემდეგ კი ტელევიზიის საინფორმაციო რედაქციებში, გადაცემებში — „მოამბე“ და „ალიონი“. თან ვკითხულობდი ლექციებს უნივერსიტეტში, ვაქვეყნებდი სამეცნიერო სტატიებს და ვმუშაობდი უნივერსიტეტის დიპლომატიის კვლევით ცენტრში. 2001 წელს მივიღე შემოთავაზება რადიო „აუდიენციიდან“. რადიოში მუშაობა ძალიან მხიბლავდა, ამიტომ, ეს შემოთავაზება მივიღე.

— საინტერესოა, ასეთი რა ხიბლი აქვს რადიოს?

— აქ თითოეულ შენს სიტყვას, ფრაზას, ამბავს, რომელსაც მსმენელს უყვები, გაცილებით დიდი დატვირთვა და მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თუნდაც ტელევიზიის ეთერში ნანახს. რადიოში ბევრად დიდ პასუხისმგებლობას გრძნობ, რადგან სიტყვაზე მეტი დატვირთვა მოდის. სიმართლე გითხრათ, გარკვეულ ეტაპზე მივხვდი, რომ ტელევიზიამ დამღალა და მინდოდა, რადიოს ეთერში ჩემთვის საინტერესო საქმე მეკეთებინა. მოგვიანებით, სიხშირე, რომელზეც „აუდიენცია“ მაუწყებლობდა, „იმედის“ ჰოლდინგმა შეიძინა. ბუნებრივია, რადიოსაც შეუცვალეს სახელი. წინამორბედთან შედარებით, რადიო „იმედის“ ეთერით მეტწილად, საინფორმაციო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური გადაცემები გადიოდა. რადიოში იმდენად დატვირთული ვიყავი, რომ სამეცნიერო საქმიანობისთვის ველარ ვიცლიდი. არჩევანის გაკეთება მომიხდა — მედიასა და ჩემს პროფესიულ

„მიხარია, რომ „პალიტრას“ უკვე ამდენი მსმენელი ჰყავს“

საქმიანობას შორის. არჩევანი მედიის სასარგებლოდ გავაკეთე და ვფიქრობ, რომ სწორად მოვიქეცი... 7 წელი ვიმუშავე რადიო „იმედში“ სხვადასხვა პროექტზე, მათ შორის — საავტორო პროექტებზეც, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ტოქშოუებსა და გადაცემებზეც, რომლის განხილვის საგანიც, საქართველოში არსებული კონფლიქტები გახლდათ. ის პროექტი ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია, მით უმეტეს — დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე... გასულ ზაფხულს მივიღე შემოთავაზება, რადიო „პალიტრაში“ მემუშავა. ის მივიღე, პირველ რიგში, იმიტომ, რომ მრავალი წლის განმავლობაში „კვირის პალიტრის“ ერთგული მკითხველი ვარ: მიყვარს ეს გაზეთი, ვაფასებ მის აკადემიურ სტილს, მისი ჟურნალისტების პროფესიონალიზმს. აქედან გამომდინარე, ეჭვი არ მეპარებოდა, რომ რადიო „პალიტრაც“ ყველა ამ ღირებულების დამცველი იქნებოდა. აგვისტოში განცდილი ტრაგიკული მოვლენების შემდეგ ყველა — ჟურნალისტებიც და მთელი საზოგადოებაც ახალი დროის განზომილებაში აღმოვჩნდით. მაგალითად, ჩემთვის ცხოვრება ორ ნაწილად გაიყო: ერთი ისაა, რაც იყო ომამდე, მეორე — რაც ომის შემდეგ. როგორც ჟურნალისტმა, საზოგადოების წინაშე უდიდესი პასუხისმგებლობა ვიგრძენი... ვფიქრობ, ახლა განსაკუთრებული ინტერესით სარგებლობს ისეთი გადაცემები, როგორიცაა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოქშოუ „ახალი დროით“: რადიომსმენელს აინტერესებს არა მხოლოდ მიმდინარე მოვლენები, არამედ ამ ინფორმაციის შეფასება და ანალიზი.

— ბრძანეთ, რომ ყველაფერი ახალი დროით დაიწყო. უშუალოდ გადაცემის მომზადებისას — რესპონდენტთან, მსმენელთან საუბრისას — რა შეიცვალა?

— ცხადია, როდესაც ქვეყანაში საომარი მდგომარეობა იყო, კარგად მესმოდა, რომ მოქმედებდა ცენზურა, საინფორმაციო გამოშვებებში გარკვეული ტიპის ცნობებზე. მაგრამ როდესაც პოლიტიკურ ტოქშოუს აკეთებ, მართალია, არ ლაპარაკობ სახელმწიფო საიდუმლოებებზე, მაგრამ ვფიქრობ, კითხვები უნდა დაისვას, ხოლო რესპონდენტი თავად გადაწყვეტს — მოცემულ მომენტში, არის თუ არა იმის დრო, რომ სრულად გამოთქვას საკუთარი მოსაზრება. ჯერჯერობით მხოლოდ ორი კვირაა, რაც ეს გადაცემა გადის ეთერში და ყოფილა შემთხვევა, როდესაც რესპონდენტებს პირდაპირ ეთერში უთქვამთ, — ჯერ ამაზე საუბარი არ ღირსო, — ან, — მოვა ამის დრო და ამა თუ იმ თემაზე უფრო ვრცლად, უფრო გულახდილად ვისაუბრებთო. სხვა თვალსაზრისით, პრობლემა არ გვაქვს. რადიომსმენელი ძალიან აქტიურობს და ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩემს მოსაზრებას — რომ დღეს მსმენელს უფრო მეტად აინტერესებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობა, ვიდრე ეს ომამდე აინტერესებდა. ძალიან მიხარია, რომ „პალიტრას“ უკვე ამდენი მსმენელი ჰყავს და მიხარებს მსმენელთა „ჩართულობა“, გადაცემაში მონაწილეობა. ამ ორი კვირის განმავლობაში ისეთი გადაცემაც მქონდა, როდესაც მსმენელების „სატელეფონო შემოტევის“ გამო, თავად ვერ მოვახერხე სტუმრისთვის კითხვის დასმა. ჩემს გადაცემაში პრიორიტეტი რადიომსმენელს ენიჭება — მას უნდა ჰქონდეს მაქსიმალური შესაძლებლობა, მისთვის საინტერესო თემაზე კითხვა დაუსვას მოწვეულ სტუმარს ან უბრალოდ, საკუთარი მოსაზრება გამოთქვას... მახსოვს, ეთერში გასვლიდან პირველ დღეებში მსმენელები რეკავდნენ და მადლობას მიხდიდნენ იმისთვის, რომ ასეთი გადაცემა არსებობს...

— ბოლო პერიოდში ბევრს ლაპარაკობდნენ მასმედიის თავისუფლებაზე, პოლიტიკოსების მხრიდან განხორციელებულ ზეწოლაზე. თქვენ ამბობთ, რომ მსმენელი მოწყურებული იყო ასეთი ტიპის გადაცემას. საინტერესოა — პოლიტიკოსთა წრე რამდენად აღმოჩნდა მზად ასეთ ტოქშოუში მონაწილეობისთვის?

— პოლიტიკოსებთან, სახელმწიფო მოხელეებთან ურთიერთობის პრობლემა ჯერჯერობით არ მქონია — ვისაც კი დავუკავშირდი, გადაცემაში მონაწილეობაზე უარი არავის უთქვამს. ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელი უკვე მყავდა ეთერში, ზოგი ტელეფონით ჩაგვერთო, ზოგიც სტუდიაში მობრძანდა. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ ეთერში მყავდა შოთა მალაშხია — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე. მას თავი არ აურიდებია მწვავე კითხვებისთვის, რომლებიც მსმენელებმა დაუსვეს. ვფიქრობ, ხელისუფლების წარმომადგენელთა ინტერესებშიც უნდა შედიოდეს ის, რომ უპასუხონ ხალხს.

— საინტერესოა, მსმენელის ამპლუაში თუ გვევლინებიან ხოლმე პოლიტიკოსები, სხვა სფეროების წარმომადგენელი ცნობილი ადამიანები?

— გადაცემაში, რომელიც რადიო „პალიტრის“ ეთერში გადის, ჯერჯერობით არ დაურეკავთ. საერთოდაც, საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები რადიოეთერში იშვიათად რეკავენ.

— როგორც რადიომსმენელს, ყოველთვის მაინტერესებს — სარეკლამო ჭრის დროს თუ გრძელდება ჟურნალისტსა და რესპონდენტს შორის პოლემიკა?

— ამას „ეთერს მიღმა საუბრებს“ ვეძახ-

ით. ეს რადიოსტუდიაში ხშირად ხდება. შესაძლოა, ეს საუბარი ისეთ ინფორმაციასაც შეიცავდეს, რომელსაც რესპონდენტი ეთერში არც ამბობს. რა თქმა უნდა, ასეთი სარეკლამო „გასვლა“ საინტერესოა, თუნდაც იმიტომ, რომ იცი — იქ ნათქვამი სტუდიის კედლებს მიღმა არ უნდა გავიდეს...

— ბრძანეთ, რომ რადიო „იმედში“ ამზადებდით გადაცემას, რომელიც ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების საკითხებს ეთმობოდა. საგანგებოდ ამ პრობლემატიკის რადიოგადაცემა ახლა როგორ გესახებათ?

— იმ პროექტს ერთი განსაკუთრებული ხიბლი ჰქონდა: რადიო „იმედი“ აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილზე მაუწყებლობს, მათ შორის — გალსა და სოხუმში. როდესაც ამ გადაცემას ვაკეთებდი, რამდენიმე გამოხმაურება აფხაზეთიდანაც მომდიოდა და ვიცოდი, რომ ჩემს გადაცემას იქაც უსმენდნენ. ცხადია, ქართულ ენაზე ვმაუწყებლობდით, მაგრამ გადაცემის დასასრულს, ერთი ძალზე კარგი ქალბატონი — ეროვნებით აფხაზი — ირმა ოსია, აფხაზურ ენაზე მოკლე რეზიუმეს აკეთებდა. ვფიქრობ, რომ ამ გადაცემით, ჩემი მოკრძალებული ნაბიჯები გადავდგი ქართველებისა და აფხაზების შესარიგებლად. მას შემდეგ, რაც მოხდა, ძალიან რთული იქნება ერთმანეთისადმი ნდობის აღდგენა. ვფიქრობ, ახლა ძალიან ადრეა, აფხაზებისა და ოსების შემორიგებაზე ვისაუბროთ. ალბათ, გარკვეული დრო უნდა გავიდეს. ცხადია, ისინი დიდი დოზით ისმენენ რუსულ პროპაგანდას და შესაძლოა, აღარც სჯერათ ჩვენი სიმართლის. დარწმუნებული ვარ, რადიო „პალიტრა“ მალე განავრცობს საკუთარ მაუწყებლობას მთელ საქართველოზე და დადგება დრო, როდესაც ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღდგენაში ერთ წონად აგურს ისიც დადებს... ■

„კორკოტას დილა“, „კუკუშას ბუფეტი“, აკა მორჩილაძის სამი წუთი ანუ თბილისური ნოსტალგია

მაისის ბოლოს, შემთხვევით, ახალ სიხშირეზე ახალი რადიო — „ნაცნობი“ აღმოვაჩინე. იქ მხოლოდ ქართული, თბილისური სიმღერები ჟღერდა, ისეთი ჰანგები, რომლებიც წლების წინ ჩვენს ქალაქში განუწყვეტლივ ისმოდა... ამ რადიომ იმითაც მიიქცია ყურადღება, რომ იქ ეგრეთ წოდებული დიჯეი, მუსიკალური წამყვანი არ მუშაობდა. ამ რეჟიმში „ნაცნობმა“ ზაფხულის განმავლობაში საკმაოდ აქტიურად იმუშავა, ხოლო 15 სექტემბერს სრულად განაახლა ეთერი და საკუთარი არსებობის შესახებ საზოგადოებას ოფიციალურად აუწყა. ამის შესახებ გვესაუბრებიან რადიო „უცნობისა“ და „ნაცნობის“ მუსიკალური წამყვანი ნინო მიქაძე და პიარმენეჯერი — ნატა ასათიანი.

ლალი ფაცია

— როგორ გაჩნდა ახალი რადიოს — „ნაცნობის“ შექმნის იდეა?

ნატა:

— ალბათ არ არსებობს ქართველი, რომელსაც არ უყვარს თბილისური, ქალაქური, ქართული სიმღერა. სწორედ ამ სიმღერებისა თუ ჰანგების სიყვარულმაც შექმნა ეს რადიო ანუ დამფუძნებლებს გადააწყვეტინა, გაეკეთებინათ ქართული სიმღერებით დაკომპლექტებული ქალაქური რადიო.

— ვინ არიან დამფუძნებლები?

— ერთ-ერთი — გია გაჩეჩილაძეა, იგივე უცნობი, რომელიც არის ასევე რადიო „უცნობის“ დამფუძნებელიც და ახლა უკვე რადიო „ნაცნობისაც“.

— შეიძლება ითქვას, რომ „ნაცნობი“ რადიო საეთერო სივრცეში ნელ-ნელა შემოიპარა...

ნინო:

— მართლაც, ის მაისიდან ისე გავიდა ეთერში, რომ მასზე არსად არანაირი რეკლამა არ გაკეთებულა. მაგრამ მიუხედავად ამისა, უამრავმა ადამიანმა უკვე იცის მისი არსებობის შესახებ. ზოგი შემთხვევით გადააწყდა მის სიხშირეს, ზოგს მეგობარმა უთხრა, რომ არსებობს ასეთი რადიო. ამ მცირე დროში ბევრს „ნაცნობი“ უკვე ძალიან შეუყვარდა და უსმენს. ალბათ მან სწორედ ის ნიშა უნდა დაიკავოს, რომელიც ნამდვილი ქართული სიმღერის მოყვარულთათვისაა განკუთვნილი. „ნაცნობი“ ალბათ იმ თვალსაზრისითაც არის საინტერესო, რომ სიმღერები, რომლებიც აქ ჟღერს, მხოლოდ რადიო „ნაცნობის“ ბაზაზეა ჩაწერილი — სხვაგან ამ ნამუშევრების მოსმენა შეუძლებელია.

ნატა:

— დიახ, რადიომ მოახერხა და შექმნა ბაზა იმ სიმღერებისა, რომლებზეც ჩვენ, ჩვენი მშობლები გავიზარდეთ და დღეს ისინი მივიწყებულია. გავიდოდა 10 წელი და შეიძლება, ზოგი მათგანი ისე გამქრალიყო, რადგანაც ჩანაწერის სახით აღარ არსებობდა, რომ მომდევნო თაობებს ვეღარც გაეგოთ.

— გეთანხმებით, ამ რადიოს ეთერში ბევრი ისეთი სიმღერა მოვისმინე, რომელიც საერთოდ არ მოგმისმენია, თუმცა ბევრი მართლაც, ნაცნობია და ჩემს ბავშვობას მაგონებს. სად მიაგენით მათ?

— თბილისი, ხომ იცით, რა პატარაა?! რომ იტყვიან, ერთი გაკითხვაა საჭირო იმისთვის, რომ გაიგო, ვინ მღერის ან, პირიქით, ვინ — ვერა... მერე მეგობრები, მეგობრების მეგობრები მოვიდნენ აქ და ჩაწერეს სიმღერები (არც ერთი მათგანი ცნობილი მომღერალი არ არის). „ნაცნობს“ ჰყავს სამხატვრო საბჭო, რომელიც უსმენს ამ ჩანაწერებს და მერე წყვეტს, გავიდეს თუ არა ესა თუ ის ნამუშევარი ეთერში.

— ეს არის უმთავრესად, XX საუკუნის 50-იანი, 60-იანი, 70-იანი, 80-იანი წლების ქართული სიმღერები, რომლებსაც მღეროდნენ ესტრადაზე, ოჯახებში (ამა თუ იმ წვეულებაზე)...

— სწორედ ეს განწყობილება უნდა რადიო „ნაცნობს“, რომ გააცოცხლოს, რომელიც წლების წინ ჩვენს ქალაქში, სახლებში, წვეულებებზე, შეკრებებზე არსებობდა...

— ვინ არიან ადამიანები, რომლებიც ამ სიმღერებს დღეს თქვენს ეთერში ასრულებენ?

ნინო:

— ექიმები, არქიტექტორები, მხატვრები — ადამიანები, რომლებიც უბრალოდ, კარგად მღერიან. მათთვის სიმღერა ჰობია ან საყვარელი საქმე, პირველად პროფესიასთან შეთავსებით. მაისიდან, როდესაც რადიო ეთერში გავიდა, მათ შესახებ არაფერი იცოდა მსმენელმა, მაგრამ მას მერე, რაც 15 სექტემბრიდან „ნაცნობის“ საეთერო ბადე სრულად დაიტვირთა, ამ მომღერლების ვინაობაც თანდათან ცნობილი ხდება.

— როგორ არის დაკომპლექტებული რადიოს საეთერო ბადე?

— დილის გადაცემას ჰქვია „კორკოტას დილა“, რომელიც 10-დან 12 საათამდეა ეთერში.

— კორკოტა ვინ არის?

— სალომე კორკოტაშვილის მამა გახლავთ — გია კორკოტაშვილი. შესანიშნავი იუმორის მქონე, განათლებული, მუსიკალური ადამიანია. დილის გადაცემის ფუნქციაც ის არის, რომ ადამიანი, რომელიც დილას უსმენს რადიოს, წამყვანმა კარგ განწყობილებაზე დააყენოს. ამის გაკეთება კორკოტას არაჩვეულებრივად შეუძლია... აკა მორჩილაძეს ექნება ყოველ საათში სამწუთიანი რუბრიკა; ყველამ იცის, რომ ის გამოირჩევა თხრობის შესანიშნავი უნარით. ის დაიწყებს დილას რაღაც ამბავს, რომელიც მთელი დღის განმავლობაში, ყოველ საათში სამ-სამი წუთით გაგრძელდება. ეს იქნება ამბები სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში მოღვაწე ამა თუ იმ პიროვნებაზე. ჩვენს ეთერში მოისმენთ ქართულ ლექსებს, მათ კითხულობენ ცნობილი ადამიანები. ასევე ბადეშია ჩასმული გადაცემა — „კუკუშას ბუფეტი“. ეს გახლავთ ალეკო თეთრაშვილის შოუ. ალეკო გაუძღვება კულინარიულ გადაცემას. ის დიდი გურმანი გახლავთ.

ნინო მიქაძე

ნაგა ასათიანი

— საუბარი კერძებზე იქნება?

— საუბარი ძირითადად, კერძებზე იქნება, მაგრამ იმაზე კი არა, როგორ მოვამზა-

დოთ ისინი, არამედ ამა თუ იმ კერძთან, სუფრასთან, ქეიფთან, პურმარილთან დაკავშირებით, ვის რა მოგონება აქვს ან რა ამბავი გადახდენია თავს. სტუმარიც ამის მიხედვით იქნება შერჩეული.

ნატა:

— ჩვენი რადიო არის ზოგადად, კეთილგანწყობილი, თბილი, ნოსტალგიური, იუმორით სავსე. როდესაც რადიოსთვის სლოგანებს ვეძებდით, დაგვებადა იდეა, რომ რომელიმე ცნობილი, თანამედროვე მწერლის ნაწარმოებები გადაგვეშალა და იქ ამოგვეკითხა ფრაზები, რომლებიც ახლოს იქნებოდა „ნაცნობის“ ხასიათთან და თემატიკასთან. პირველი წიგნი, რომელიც გადავშალე, იყო გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა — „მუსიკოსი“, რომელიც მას 19 წლის ასაკში დაუწერია. ის ასე იწყება: „ამ ქუჩებს კარგად ვიცნობ, დავდივარ და ფანჯრებიდან ისმის ნაცნობი სიმღერები, რომელსაც მივეჩვიე და რომლებიც მიყვარს...“ — ვკითხულობდი ამ ფრაზებს და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ბატონ გურამს ის „ნაცნობზე“ ჰქონდა დაწერილი... ამის შემდეგ დავუკავშირდით ბატონ გურამს, ის ყოველგვარი ჰონორარის გარეშე დაგვთანმხდა, მისი ფრაზები სლოგანებად გამოგვეყენებინა ჩვენს ეთერში. ასე რომ, გვინდა, ყველა თბილისელს გავუღვიძოთ ის ნოსტალგია, რომელიც წარსულზე აქვს, თითოეულის სათქმელი ვთქვათ...

— რა როლი მიუძღვის რადიოს ამუშავების საქმეში პირადად გია გაჩეჩილაძეს?

ნინო:

— გია არის დამფუძნებელი, დირექტორი — გიორგი ასანიშვილი გახლავთ, გენერალური პროდიუსერი — ნინო თოფურია. სწორედ ამ ქალბატონის დაუღალავი შრომით შეიქმნა ბაზა იმ სიმღერებისა, რომლებზედაც ახლა ვსაუბრობდით და კვლავაც ვაგრძელებთ მუშაობას.

— როგორი ხელმძღვანელია გია? ის ბოლო დროს საოცრად აქტიური იყო პოლიტიკურ სიტუაციებში. რამდენად იცლიდა მაშინ რადიოსთვის?

ნატა:

— რადიო „უცნობი“ უკვე საკმაოდ აწყობილი რადიოა, ოთხი წელია, რაც არსებობს.

ნინო:

— გიას ყოველდღიური საქმიანობა და ჩარევა აქ აღარ არის საჭირო. თითოეულმა თანამშრომელმა იცის, თუ რა უნდა გააკეთოს. როდესაც ის პოლიტიკაში აქტიურად იყო ჩაბმული, არ გეგონოთ, რომ მაშინ აქაურობას ყურადღებას აკლებდა. ყოველი დაძაბული დღის შემდეგ მოდიოდა და ცდილობდა, ის პოლიტიკური აურზაური ჩვენ არ დაგვტყობოდა და მგონი, არც დაგვეტყო.

— ეი. მისი სამიტინგო განწყობილება სამუშაო რეჟიმს ხელს არ უშლიდა?

— ნამდვილად — არა. ჩვენ პოლიტიკურ მოვლენებში არანაირი მონაწილეობა არ მიგვიღია. გია მიტინგიდან აქ ჩვეულებრივად ლაღი ბრუნდებოდა. მას იმის იმედიც ჰქონდა, რომ მისი აქ არყოფნის შემთხვევაში, ყველაფერი მოგვარდებოდა. ამიტომაც იყო მშვიდად. სტუმარიც რადიოში ყოველთვის ისეთი გვყავდა, როგორიც საჭირო იყო. მგონი, ამ დროის განმავლობაში „უცნობმა“ ეს ოქროს შუალედი დაიცვა. ბეწვის ხიდი წარმატებით გავიარეთ.

ნატა:

— მიუხედავად ყველაფრისა, რადიო მაინც ობიექტური, მიუკერძოებელი იყო. ნამდვილად იყო დაცული ბალანსი „პოზიცია“-ოპოზიციის წარმომადგენელთა გამოსვლებს შორის. ის წამყვანები, ჟურნალისტები, ვინც აქ მუშაობდნენ, აბსოლუტურად თავისუფლები იყვნენ პრობლემებისა თუ სტუმრების შერჩევაში.

— ახლა თქვენს სამომავლო გეგმებზეც მოგვიყევით.

— ამჟამად ყველანი გადართულები ვართ „ნაცნობის“ „დაქოქვაზე“. ყველას ახალი საზრუნავი ეს არის, რადგანაც ესაა ჩვენი რადიოს მეორე შვილი. ოთხი წელის „უცნობს“ შეეძინა უმცროსი ძმა — რადიო „ნაცნობი“... პოლიტიკა აქ არ იქნება, რადგანაც პოლიტიკით ყველანი დავიღალეთ. ამიტომაც გვინდა განტვირთვა. ვისაც პოლიტიკა დაინტერესებს, სხვა სიხშირე ჩართოს. ■

სოფო ჭონიშვილი

ჟურნალისტი – ნანკა კალატოზიშვილი
რესპონდენტი – ოთარ ტატიშვილი

ოთარ ტატიშვილი მუშვენიერ

ექიმი, პროფესორი, დიჯეი — ოთარ ტატიშვილი საყოველთაოდ ცნობილი, სერიალიდან — „შუა ქალაქში“ — გახდა, სადაც მთავარ როლს ასრულებს. ოთარი მრავალმხრივ განათლებული და განვითარებული ადამიანია. ცხოვრებაში თუკი რაიმე საქმე წამოუწყია, ყველაფერი წარმატებით გამოსვლია. ამაზე მისი პროფესია და ყველა ის სამსახური მეტყველებს, რომელშიც დღესდღეობით უწევს საქმიანობა. ამჯერად ის ჩვენს რუბრიკაში მშვენიერ ნანკა კალატოზიშვილთან ერთად მოვიწვიეთ. როგორც ინტერვიუდან შეეტყვეთ, ოთარი ნანკას გაცნობაზე დიდი ხანია, ოცნებობდა და შეიძლება ითქვას, ამ შეხვედრით მისი ოცნებაც ახდა. ოთარი ნანკას სიყვარულშიც გამოუტყდა. მისდამი სიმპათია არც ნანკას დაუფარავს. ასე რომ, ინტერვიუმ საკმაოდ მხიარულ ვითარებაში ჩაიარა.

ნანკას სიყვარულში გამოუტყდა...

— ოთარ, პირველ რიგში, გეტყვი იმას, რომ მთელი ჩემი ოჯახი შენი ფანია. მაინტერესებს, ეს ექიმი კაცი, სერიალში როგორ მოხვდი? ვაღიარებ, რომ არაჩვეულებრივად თამაშობ.

— დიდი მადლობა. ბევრჯერ მითქვამს, მაგრამ რაკი მეკითხები, კიდევ ერთხელ მოვყვები: მე, გოგიჩა (დავით გოგიჩაიშვილი) და მისი „სასტავი“ ერთმანეთს დიდი ხანია, ვიცნობთ. „კავეენს“ ერთად ვთამაშობდით. როცა გოგიჩამ ამ სერიალზე მუშაობა დაიწყო, მასში მონაწილეობა მეც შემომთავაზა.

— ყველაფერი გასაგებია (*იცინის*). რამდენი წლის ხარ?

— 36-ის.

— არ არსებობს, ვერ ვიჯერებ...

— 1971 წლის 30 ნოემბერს დავიბადე. რატომ ვერ იჯერებ? უფრო ახალგაზრდულად გამოვიყურები?

— რა თქმა უნდა. რამდენადაც ვიცი, 2 შვილი გყავს, არა?

— ცდები. 3 შვილი მყავს.

— უფროსი რამდენი წლისაა?

— უფროსი — ზუკა 16 წლისაა, შოთი — 12-ის და ნანიკო — 10-ის.

— ვიცი, რომ სამედიცინო უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობ. როცა ლექციაზე შედიხარ, სტუდენტებს როგორი რეაქცია აქვთ?

— ოო... ყველაზე საინტერესოა, როცა პირველკურსელებთან პირველად შევდივარ. ჩემი დანახვისას მოგუდულ სიცილს იწყებენ. ბევრმა მათგანმა წინასწარ იცის, რომ ბატონი ოთარი ის ირაკლია, სერიალში რომ თამაშობს. სხვათა შორის, სტუდენტებთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს.

— რა საგანს უკითხავ?

— ნეიროქირურგიასა და ნეირორადიოლოგიას ვასწავლი. ლექციებზე ბევრი კურიოზული ამბავი ხდება. მახსოვს, ერთ-ერთ ჯგუფს ჩათვლა კვირადღეს დავუნიშნე, იმის გამო, რომ ორშაბათი უქმე იყო. გადავწყვიტეთ, რომ კვირას მოვიდოდნენ. შაბათს მათთან ჩვეულებისამებრ, ლექცია მქონდა და შინ ადრე, პირველ საათზე გავუშვი, — კარგად მოემზადეთ-მეთქი. მე კი იმავე საღამოს, მეგობრის ბავშვის ნათლობაზე წავედი. საშინლად დავთვერი. მეორე დღეს, ნაბახუსევზე ცუდად ვიყავი. არაფრის თავი არ მქონდა, მაგრამ რა მექნა, ჩათვლას ტყუილად ვერ დავუწერდი, თითოეულისთვის რაღაცა მაინც ხომ უნდა მეკითხა?! ამ ჯგუფში ერთი სიმპათიური გოგონა სწავლობდა. ეტყობოდა, რომ ექიმობა მართლა უნდოდა, მაგრამ რატომღაც, დილით ლექციაზე სულ იგვიანებდა, ზოგჯერ კი საერთოდ ვერ მოდიოდა. ვერაფერს ვეუბნებოდი, ვპატიობდი იმას, რომ დილით გაღვიძება უჭირდა... ჩათვლაზე პირველი ის გამოვიძახე და ისეთი კითხვა დავუსვი, რომელთან დაკავშირებითაც, წინადღეს ჯგუფს მთელი 2 საათი ტვინი „ვუბურღე“. ვერ მიპასუხა. გავუბრაზდი და ვუთხარი: არ გრცხვენია? მთელი შაბათი გქონდა, რატომ არ წაიკითხე-მეთქი?!. გამიღიმა და იცი, რა მითხრა? — მასწ., სად მქონდა მაგის დრო? შაბათს, ორის ნახევარზე, რადიოში თქვენს გადაცემას ვუსმენდი, საღამოს 10 საათზე ტელევიზიით თქვენ გიყურებდით, აბა, რა დროს წამეკითხაო?!. რა უნდა მეთქვა? გამეცინა. ყველაფერი ჩემი ბრალი ყოფილა-მეთქი (*იცინის*). ჩათვლა დავუწერე და გავუშვი.

უფრო ახალგაზრდულად გამოვიყურები?

— რადიო ახსენე, რადიოშიც მუშაობ?

— აბა, რა! არ იცოდი? რადიო „სინდიკატში“ გადაცემა — „ჯაზური თერაპია“ მიმყავს.

— როცა თანამშრომლებმა გაიგეს, რომ სერიალში თამაშობდი, რა რეაქცია ჰქონდათ?

— როცა გოგიჩასგან შემოთავაზება მივიღე, ძალიან გამიხარდა, მაგრამ ამავე დროს, სერიოზულადაც დავფიქრდი: ეს ყველაფერი ჩემს პროფესიაზე, პაციენტებთან ურთიერთობაზე ცუდად ხომ არ იმოქმედებს-მეთქი? უფროს კოლეგებთან მივედი და რჩევა ვთხ-

ოვე. მათ მირჩიეს, რომ შემოთავაზებაზე უარი არ მეთქვა, რამაც ძალიან გამახარა. აქვე მოგიყვები ერთ ამბავს: სერიალი პირველად რომ გავიდა ეთერში, დამეთანხმები, რომ მაშინვე მაღალი რეიტინგი ჰქონდა. სწორედ იმ პერიოდში, სამედიცინო უნივერსიტეტში ხელმძღვანელობა შეიცვალა, რეორგანიზაცია მოხდა. იმართებოდა შეკრებები... ერთხელაც, დანიშნეს წარმომადგენლობითი საბჭო, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული კათედრიდან წარმომადგენელი უნდა მისულიყო. მეც წავედი. დარბაზში რომ შევედი, სიცილი ატყდა. მივიხედ-მოვიხედე. აქეთ მინისტრის მოადგილე ზის, იქით — რექტორი, პროფესორები, აკადემიკოსები... სერიოზული სახით დავჯექი. ყველამ ხომ არ იცოდა, იქ რატომ ვიყავი!.. ატყდა ჩურჩული — ამას აქ რა უნდაო?.. ხელი რომ ავწიე და კითხვის დასმა მოვითხოვე, ამაზე ხომ სულ დაიხოცნენ... მერე მოვიდა ჩემთან მეგობარი და მითხრა: ოთარ, ბოლო მომენტამდე მეგონა, სადღაც ფარული კამერა იყო დამონტაჟებულიო. ასეთ კომიკურ სიტუაციაში ხშირად ჩავვარდნილვარ.

— ოთარ, რომელ კლინიკაში მუშაობ?

— ადრე რესპუბლიკურ საავადმყოფოში ვმუშაობდი. მერე, რემონტის გამო, „არამიანცში“ გადავედით.

— კოლეგას, ცნობილ ოთარ ტატიშვილს იცნობ?

— კი, როგორ არა?!

— ნათესავებიც ხომ არ ხართ?

— ნათესავები ვართ, ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა გვაქვს.

— ტატიშვილების ძირი საიდან მოდის?

— ჩვენი წინაპრები სამაჩაბლოდან იყვნენ. ომი ჩემს სამშობლოში იყო. დიდი ბაბუა, ზნაურის რაიონიდან, სოფელ ძვილეთიდან გახლდათ. ამ სოფელში ჩვენი საგვარეულო ეკლესიაც არის და სასაფლაოც.

— სამაჩაბლოში სახლი გაქვთ?

— არაფერი გვაქვს. ბაბუისგან მახსოვს: ტატიშვილი თუ სამაჩაბლოდან არ არის, ნამდვილი ტატიშვილი არ არისო...

— როგორი თამადა ხარ?

— საკუთარ თავს ვერ შევაფასებ, მაგრამ თუ გავითვალისწინებ იმას, რომ ახლობლების წრეში ეს ხშირად მიწევს, გამოდის, რომ ჩემი თამადობა მოსწონთ. მეგობრებს ვეხვეწები, თამადად არ დამნიშნოთ-მეთქი: როცა თამადა ვარ, თითქოს თავისუფლებას ვკარგავ, ჩემს გემოზე ვერ ვქეიფობ. დალევაც მიყვარს, ქეიფიც და დროს ტარებაც.

— ქეიფი და სადღეგრძელოების თქმა ირაკლისაც (შენს პერსონაჟს) უყვარს, არა?

— ირაკლი მხოლოდ გოგის გამოგზავნილ ღვინოს სვამს (*იცინის*)...

— მსახიობის ამპლუის მორგება ექიმ კაცს არ გაგიჭირდა?

— სხვათა შორის, არ გამჭირვებია. თუმცა იყო რაღაცები, რაც შედარებით გამიძნელდა და რეპეტიციების დროს გამოვასწორე. ეს სერიალი ძირითადად, ცხოვრებისეულ სიტუაციებზეა აგებული და ამიტომაც არ მიჭირს (სერიალი „შუა ქალაქში“ „სიტკომია“ ანუ — სიტუაციური კომედიის ჟანრს განეკუთვნება). საბედნიეროდ, იუმორის გრძნობა კარგად მაქვს განვითარებული, რაც თამაშს მიიოლებს.

ბავშვობაში ვეტერინარობაზე ვოცნებობდი

— როგორი მეუღლე ხარ?

— ყურადღებიანი და მზრუნველი (*იცინის*).

— მაპატიე, არასწორი კითხვა დაგისვი. კარგი მეუღლე რომ არ იყო, შენი ცოლი 3 შვილს არ გაგიჩენდა.

— ჩემმა „მოქმედმა“ მეუღლემ 1 შვილი გააჩინა, ორი შვილი პირველ ცოლთან მყავს.

— ამის შესახებ არ ვიცოდი. მეუღლეს რა პროფესია აქვს?

— ექიმი გახლავს, სტომატოლოგი.

— თუ გაქვს ისეთი ცუდი თვისება, რომლის გამოსწორებასაც ცდილობ?

— ცუდი თვისების რა მოგახსენო, მაგრამ ძალიან მინდა, წონაში 10 კგ მაინც დავიკლო, მაგრამ არ გამომდის.

ერთი კვირა „სტრანნი“ დიეტაზე ვიყავი და მხოლოდ 6 კგ დავიკელი.

— **არ უშავს, ვგრძნობ, ცოტა ხანში, საწადელს მაინც აისრულებ** (*იცინიან*).

— გმადლობ.

ჟურნალისტი – ოთარ ტატიშვილი
რესპონდენტი – ნანკა კალატოზიშვილი

— **სანამ კითხვების დასმას დავიწყებ, მინდა მოგიყვე, პირველად როდის გნახე... როცა ტელეკომპანია „იმედი“ გაიხსნა, მაშინ საქართველოში არ ვიმყოფებოდი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მოსკოვში წავედი, ორდინატურა და ასპირანტურა იქ დავამთავრე, დისერტაციაც იქ დავიცავი. საქართველოში 2003 წელს ჩამოვედი. შენც პირველად სწორედ მაშინ გნახე, გადაცემაში — „არტ-ბულვარი“. ძალიან მომეწონე. მერე მითხრეს, ვინც იყავი. იმ დღიდან შემიყვარდი. ამას ხმამაღლა ვამბობ. ქალი ისეთი უნდა იყოს, როგორიც შენ ხარ. პირველ ეფექტს ყოველთვის გარეგნობა ახდენს... მოკლედ, მიხარია, რომ ახლა შენ წინ ვზივარ და გესაუბრები. როგორც ირაკლი იტყოდა — დღეს დიდი დღეა, დიდი! როგორ ახერხებ იმას, რომ გოიმურ, უგემოვნო „პონტებში“ არასოდეს მინახავხარ?**

— ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა ვიღაცის ხათრით, უარი ვერ მითქვამს რაღაც სამუშაოზე და შემდეგ მინანია. მაგრამ რა ვქნა, ჩემს ქველმოქმედებას საზღვარი არ აქვს. უარის თქმა ყოველთვის ძალიან მიძნელდება. ჩემთვის პოპულარობა და ხარისხი სხვადასხვა რამ არის. ეს პატარაობიდანვე მქონდა გაცნობიერებული. არ მინდა, მაყურებელს თავი მოვაბეზრო. მირჩევნია, ერთი რამ გავაკეთო და ხარისხიანად, ვიდრე ყველგან მხედავდნენ და უბრალოდ, ვჩანდე...

— **ძალიან მომწონს შენი გადაცემა — „არტ-ბულვარი“. ახლა „იმედის დილაში“ გადაინაცვლე?**

— ეს გადანაცვლება ჩემთვის ცოტა რთული აღმოჩნდა, რადგანაც დილით გაღვიძება ძალიან მიჭირს. არ ვაჭარბებ, მართლა ვერ ვიღვიძებ. ამჯერად „იმედმა“ დამინდო და ეთერში კვირაში ორჯერ გავდივართ. პირდაპირი ეთერი ცოტა რთულია. წინა გადაცემაში „გავითიშე“, რადგან ორგანიზმს ჯერ კიდევ ეძინა, მაგრამ უეცრად იმპროვიზაცია მოვიშველიე და ამან მიხსნა (*იცინის*). მეუბნებიან, შეეჩვევიო, მაგრამ არ მჯერა. ახლა მასწავლეს, — გაღვიძებისას ნიშადურის სპირტი შეისუნთქე და მაშინვე გამოცოცხლდებიო.

— **არ გირჩევ... დილით თავის ტკივილით ხომ არ გეღვიძება?**

— კი.

— **შოკოლადი და ყველი გიყვარს?**

— ძალიან.

— **ჰოდა, თავიც იმიტომ გტკივა. შოკოლადი და ყველი სისხლძარღვებს ავიწროებს, ამიტომ ეცადე, ისინი ძილის წინ მაინც არ მიიღო. აქ რომ მოვდიოდი, გზაში კითხვებს ვალაგებდი — რა უნდა მეკითხა შენთვის; რა უცნაურია — ყველაფერი დამავიწყდა! მოკლედ, დამაბნე... მსახიობობაზე ბავშვობიდან ოცნებობდი თუ რომ გაიზარდე, მერე მიხვდი, მსახიობობა „კაი პონტიაო“ და მერე გადაწყვიტე?**

— ბავშვობაში ვეტერინარობაზე ვოცნებობდი.

— **მართლა** (*იცინის*)**?**

— აბა, რა!

— **ახლა თუ წარმოგიდგენია შენი თავი ვეტერინარად?**

— არანაირად. ბავშვობიდან ცხოველები ძალიან მიყვარდა და ამიტომ მინდოდა, მათი მკურნალი ვყოფილიყავი.

— **ბავშვობაში ოკეანოლოგობა მინდოდა, მაგრამ მამამ დამიშალა და გადავიფიქრე. მუსიკას ხშირად უსმენ?**

— კი, მაგრამ კლასიკურ ჯაზს ვერ ვუსმენ. როცა პატარა ვიყავი, ვერ ვხვდებოდი, ჯაზი რატომ მოსწონდათ. მერე კი მივხვდი, რომ ჯაზში ძირითადად, იმპროვიზაციაა, რაც ძალიან მომწონს.

— **რადგან იმპროვიზაცია მოგწონს, სპეციალურად შენთვის, შემდეგ ხუთშაბათს ჩემს გადაცემას ჯონ კოლტრეინის ალბომით დავიწყებ. გთხოვ, 15-20 წუთი მაინც მოუსმინე, გარწმუნებ, რომ მეორე დღეს დამირეკავ და მთხოვ, კოლტრეინის ალბომი ჩაგიწერო... მოდი, გამიმხილე, როგორი მამაკაცები მოგწონს?**

— იუმორის გრძნობით დაჯილდოებულები. უუმურ ადამიანებს ვერ ვიტან.

— **ეი. მე მოგწონვარ** (*იცინის*)**!..**

— „ბაზარი“ არ არის!..

— **ნანკა, ფორმის შესანარჩუნებლად რას აკეთებ?**

— ბავშვობიდან, 5 საათის შემდეგ აღარ ვჭამდი. ბოლო დროს კი პირიქით, ჭამას 6-ის მერე ვიწყებ. ცხოვრებაში ერთადერთხელ გავსუქდი — 62 კგ ვიყავი. ეს კატასტროფა იყო!.. საერთოდ, ზამთრის პერიოდში 2-3 კგ-ს ყოველთვის ვიმატებ. ჭამა მიყვარს, მაგრამ ფორმას არასოდეს ვკარგავ. ალბათ იმიტომ, რომ ბევრ ენერგიას ვხარჯავ.

— **რა კერძები გიყვარს? მაგალითად, ჩახოხბილი, საცივი...**

— არა. ძალიან მიყვარს უხორცო ბორშჩი.

— **ბორშჩი მეც მიყვარს. მწვადი, ხინკალი?**

— არა, ხორცს საერთოდ არ ვჭამ.

— **ვა... ქათმის ხორცსაც არა?**

— მხოლოდ თევზს მივირთმევ. პირველ კლასამდე ხორცს დედა ძალით მაჭმევდა. მას მერე აღარ ვეკარები.

— **ცილების ნაკლელობას ალბათ ლობიოთი ივსებ.**

— ერთადერთი, რასაც ვერ ვჭამ, მწვანე ლობიოა.

— **ვაშლს ჭამ?**

— ძალიან მიყვარს.

— **იმიტომაც ხარ ფორმაში.**

— დიდი მადლობა!.. ■

მიხარია, რომ ახლა შენ წინ ვზივარ და გესაუბრები. როგორც ირაკლი იტყოდა — დღეს დიდი დღეა, დიდი!

„წავალ და მეც იმ დევნილების გვერდით, საბავშვო ბაღში ვითხოვ თავშესაფარს“...

ომის შემდეგ, ცხოვრება თითქოს ჩვეულ რიტმს უბრუნდება. საჯარო სკოლების უმეტესობა ბავშვებით აივსო, მაგრამ სასწავლო პროცესის დაწყება ვერ ხერხდება საბავშვო ბაღებში, სადაც კონფლიქტის ზონიდან დევნილი მოსახლეობა ცხოვრობს. ამ ფაქტით უკმაყოფილო მშობლებმა და ბაღების პედაგოგებმა, მერიის შენობის წინ საპროტესტო აქციაც მოაწყვეს და მათი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, უფრო მასშტაბური გამოსვლებითაც დაიმუქრნენ. რა გადაწყვეტილება მიიღო ქალაქის მერიამ და განათლების სამინისტრომ თბილისის ბაგა-ბაღებთან დაკავშირებით, — ამაზე დეტალურად გვესაუბრა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი. მაგრამ მანამდე მინდა, რამდენიმე უკმაყოფილო მშობლისა და პედაგოგის გულისტკივილი გაგაცნოთ.

ემა ტუხიაშვილი

ნანა აფციაური:

— ცოტა ხნის წინ, რის ვაი-ვაგლახით ვიშოვე სამსახური ერთ-ერთ რესტორანში, ჭურჭლის მრეცხავად. მარტოხელა დედა ვარ და დაობლებულ შვილს გაჭირვებით ვზრდი. მეგონა, ბაღში მივიყვანდი და ჩვენს სამყოფ ლუკმაპურს პატიოსანი შრომით ვიშოვიდი. ახლა გვეუბნებიან, ბაღებში აკადემიური წელი გამოცხადდა და თქვენს შვილებს როგორც გინდათ, ისე მოუარეთო. რამდენიმე დღე დამყავდა ბავშვი სამსახურში. გარეთ პაპანაქება სიცხეა და რესტორნის სამრეცხაოში ხომ საერთოდ სუნთქვაც ჭირდა, თან, ჭუჭყიანი, ცხელი წყლის ორთქლით არის გაჟღენთილი იქაურობა. ასეთ პირობებში ბავშვი წუხდა, ტიროდა და მთხოვდა, სახლში წამეყვანა. რა ვქნა, 3 წლის გოგონას სახლში მთელი დღით მარტო ხომ ვერ დავტოვებ! ჩემ გარდა, სხვა პატრონიც არავინ ჰყავს, ამიტომ იძულებული გავხდი, სამსახურზე უარი მეთქვა. არ ვიცი, რა მეშველება, როგორ უნდა ვიცხოვრო, თვის ბოლოს ბინის ქირაც გადასახდელი მაქვს. წავალ და მეც იმ დევნილების გვერდით, საბავშვო ბაღში ვითხოვ თავშესაფარს. იქ პური და წყალი მაინც გვექნება მე და ჩემს შვილს.

ია ციციშვილი:

— სადაა ის დრო, როდესაც ქალი სახლში იჯდა და ოჯახსა და შვილებს უვლიდა. ახლა ქალები არჩენენ ოჯახებს და დილიდან დაღამებამდე სახლიდან არიან გასული, რომ ცოტაოდენი ფული იშოვონ. 15 წელია, ბაზრობაზე ვვაჭრობ, ქალის თეთრეულს ვყიდი. უმაღლესი განათლება მაქვს მიღებული, მაგრამ ახლა ვის უნდა შენი დიპლომი?! მარიფათი უნდა გქონდეს, თავი რომ გაიტანო. ხომ არაფერს ვითხოვ ამ ხელისუფლებისგან, ჩემი შრომით მოპოვებულ მცირედსაც ვიკმარებთ მე და ჩემი შვილები, ოღონდ კი მუშაობის შესაძლებლობას ნუ წამართმევენ. 3 მცირეწლოვანი შვილი მყავს, სად წავიყვანო? ბაზრობაზე ხომ არ დავისვამ ჩემ გვერდით, ღია ცის ქვეშ, სიცხესა და ყინვაში, ქარსა და წვიმაში!..

ნანი *(გვარს რესპონდენტის თხოვნით, არ ვასახელებთ):*

— მეშინია — იმის გამო, რასაც ვიტყვი, სამსახურიდან არ დამითხოვონ. ჩვენ საომარი მოქმედებების დაწყებამდეც გვქონდა ინფორმაცია, რომ თბილისის მთავრობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბაგა-ბაღების გაყიდვას აპირებდა. დევნილები მათთვის მხოლოდ საბაბია. ქალაქში უამრავი ისეთი შენობაა, სადაც მათი დროებით მოთავსება შეეძლოთ, რაღა ბაგა-ბაღებს მიადგნენ?! შეეყვანათ უსახლკაროდ დარჩენილები მერიის ყოფილ შენობაში, კანცელარიაში!.. დრო გავა და დაინახავთ, რომ ბაგა-ბაღებიდანაც გაიყვანენ დევნილებს, მაგრამ ბავშვებს იქ აღარ დააბრუნებენ. ქალაქში მხოლოდ კერძო ბაღები იქნება, სადაც მხოლოდ ფულიანი მშობლების შვილები ივლიან...

გამოიცემა პალიტრა L
დეტექტიური ჟანრის მოყვარულთათვის
ბავშვობა
ოდესმაცოცხლეს
ოდესმაცოცხლეს
ოდესმაცოცხლეს

მაკო ჭოლოშვილი, *მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის, კულტურისა და განათლების განყოფილების უფროსი:*

— მოგეხსენებათ, თუ რა მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა ჩვენი ქვეყანა საომარი მოქმედებების დროს, რის გამოც ჩვეულებრივად ცხოვრების გაგრძელება გაჭირდა. სექტემბერში სასწავლო წლის დასაწყისი ახლოვდებოდა, როგორც საჯარო სკოლებში, ასევე სააღმზრდელო დაწესებულებებში, ამიტომ შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი უნდა მოგვეძებნა. საომარი მოქმედებების დაწყებისას, როდესაც ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რამდენი დევნილი გვეყოლებოდა თბილისში, ვცდილობდით, სააღმზრდელო და სასწავლო დაწესებულებებში მათი ჩასახლება არ მომხდარიყო. ქალაქში არის სხვა დახურული ობიექტები, შენობები,

რომლებიც ამჟამად არ ფუნქციონირებს და გვინდოდა, რომ სწორედ იქ მიგვეცა დევნილებისთვის თავშესაფარი. ასეც მოვიქეცით და პირველი ნაკადი — 200 ადამიანი არასასწავლო დაწესებულებაში დავასახლეთ. მაგრამ ერთ დღეში კონფლიქტის ზონიდან დევნილთა რაოდენობა 20 ათასამდე გაიზარდა და პრეზიდენტმა გააკეთა საგანგებო განცხადება, — რომ მათთვის ყველა დაწესებულების კარი გაიღებოდა. ომის დღეებში დევნილთა რაოდენობა სულ უფრო იზრდებოდა და საერთო ჯამში, 150 ათასს მიაღწია. შესაბამისად, თბილისის თითქმის ყველა სკოლისა და 156 საბავშვო ბაღის შენობები იძულებით გადაადგილებულმა პირებმა დაიკავეს. აქვე გეტყვით, რომ რა თქმა უნდა, იმთავითვე ვერიდებოდით დევნილების განთავსებას ისეთ ადგილებში, სადაც არ ფუნქციონირებს კანალიზაცია, არ არის ელექტროენერგია და სხვა ამგვარი. ამ ადამიანებმა უდიდესი ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღეს, ამიტომ სათანადოდ მოვლა-პატრონობა ესაჭიროებათ. ამ თვალსაზრისით, საბავშვო ბაღებში ყველაზე ხელსაყრელი პირობებია: ჯერ ერთი, გასულ წლებთან შედარებით, შეძლებისდაგვარად, გავარემონტეთ, შევუძინეთ საჭირო ინვენტარი: ყველა ბაღში დგას მაცივარი, რამდენიმე გაზქურა, მოწესრიგებულია საპირფარეშოები. საბედნიეროდ, საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, დევნილების დიდი ნაწილი საკუთარ კერას დაუბრუნდა, მაგრამ დაახლოებით 26-27 ათასი ადამიანი ჯერჯერობით დაბრუნებას ვერ ახერხებს. სასწავლო წლის დასაწყებად, საჭირო გახდა, საჯარო სკოლებიდან დევნილების გამოყვანა და სადმე მათი დასახლება. არჩევანი საბავშვო ბაღების შენობებზე გაკეთდა. ისმოდა საყვედურები: რატომ არ იყენებს ხელისუფლება, მერიისა და ეკონომიკის განვითარების სამინისტროს ბალანსზე არსებულ შენობებსო? გამოთქვამდნენ ვარაუდს, რომ ეს შენობები საპრივატიზაციო ნუსხაშია შეტანილი და ხელისუფლებას ძვირად ღირებული ობიექტები არ ეთმობა. ჯერ ერთი, მინდა, ამ ადამიანების გასაგონად ვთქვა, რომ პრივატიზაციიდან შემოსული თანხები ქვეყნის ბიუჯეტში შედის და ყველა ჩვენგანს ხმარდება. ხოლო ამ ინფორმაციის უარსაყოფად, გამომცემლობა „სამშობლოს“ და ფინანსთა სამინისტროს შენობაში, რომელიც შუაგულ ვაკეში მდებარეობს, დევნილების მონახულებაც კმარა. ქალაქში ასეთი 350-მდე ობიექტი აქვთ დაკავებული კონფლიქტის ზონიდან დევნილებს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ამიტომ იძულებული გავხდით, არჩევანი გაგვეკეთებინა სავალდებულო სწავლასა და სასურველ სწავლას შორის, თუმცა კი სააღმზრდელო დაწესებულებაში ბავშვის სიარული ძალიან სასურველია. ვცდილობთ, რამდენიმე პრობლემიდან, უმთავრესი მოვაგვაროთ. განათლების სამინისტროსთან ერთად, დავიწყეთ ფიქრი, თუ რა ალტერნატივა შეგვეძლო შეგვეთავაზებინა დროებით, სკოლამდელი ასაკის ბავშვების მშობლებისთვის. გადაწყდა — დევნილები კომპაქტურად დაგვესახლებინა საბავშვო ბაღებში, ხოლო სკოლებში მოგვეწყო საბავშვო ბაღისთვის განკუთვნილი, „დღის ცენტრები“. სხვათა შორის, ასეთი ცენტრები ბევრ განვითარებულ ქვეყანაში არსებობს, მათ შორის — საფრანგეთსა და ინგლისში. მოკლედ, დროებით, მანამ, სანამ მოხდება მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დევნილთა დაბრუნება, სკოლები გამოყოფენ ფართს ახლომდებარე ბაღებისთვის. ბაღისა და სკოლის დირექტორებისგან შექმნილია მუშაჯგუფი და ვაფორმებთ ახალ პარტნიორობას სკოლებსა და ბაღებს შორის. უკვე ცნობილია, რომ თბილისის 50 სკოლა ამავე რაოდენობის ბაღს უმასპინძლებს. არის სკოლები, რომლებიც მზად არიან, ბაღის მთელი კონტინგენტი მიიღონ. სკოლებში ბაღებისთვის აუცილებელი ყველა პირობის მოწყობას მერია უზრუნველყოფს. მოეწყობა სასაუზმეები, საპირფარეშოები. იქ, სადაც საამისო პირობები არ იქნება, გარწმუნებთ — ბაღები არ განთავსდება. სახელმწიფო ბაღები სრულიად უფასო იყო და მინდა, ყველას ვუთხრა, რომ ახლაც სრულიად უფასო იქნება... ვიცი, რომ ეს გადაწყვეტილება პრობლემას სრულად ვერ აღმოფხვრის, მაგრამ მოსახლეობის გარკვეული ნაწილის დაკმაყოფილებას შევძლებთ.

— სულ რამდენი აღსაზრდელი ირიცხებოდა ბაღებში?

— შარშანდელი მონაცემებით, 35 ათასი. ცხადია, რომ ყველა ამ ბავშვის განთავსება სკოლების ბაზაზე შექმნილ ბაღებში ვერ მოხერხდება. თქვენ აღნიშნეთ, რომ პრიორიტეტი სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილებს მიენიჭებათ; ამის შემდგომ — იმ ოჯახებს, სადაც ორივე მშობელი მუშაობს და აგრეთვე იმ ოჯახებს, რომელშიც ბაღის ასაკის ერთზე მეტი ბავშვია. გავრცელდა ხმა, თითქოს ბაღები მეორე ცვლაში იმუშავებენ. ბევრ სკოლას აქვს შესაძლებლობა, ოთახების გარკვეული რაოდენობა (სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა) მთლიანად დაუთმონ ბაღებს. ასეთ ბაღებში აღსაზრდელების მიღება ჩვეულებრივად, დილის 9 საათზე მოხდება. ხოლო იქ, სადაც პატარები პირველკლასელების საკლასო ოთახებში განთავსდებიან, მიღება 13 საათიდან დაიწყება.

— ალბათ ვერ მოხერხდება ბაგის აღსაზრდელების ანუ ყველაზე პატარების მიღება, არა?

— რამდენიმე სკოლაში ბაგაც იმუშავებს. მათ ინვენტარს სკოლის შენობაში გადაიტანენ და პატარების იქ მიყვანა შესაძლებელი გახდება. ყველა ეს ინფორმაცია გამოქვეყნდება მერიის და განათლების სამინისტროს პორტალზე და მშობლებს შესაძლებლობა ექნებათ, დაწვრილებით შეიტყონ, თუ რომელი ბაღი რომელ სკოლაში დაიდებს ბინას.

— როგორც ცნობილია, ბაღის ყველა თანამშრომელს უნარჩუნდება ხელფასი, არა?

— მერიის მითითებით, ბაღის აბსოლუტურად ყველა თანამშრომელს დირექორებმა კიდევ ერთი წლით გაუგრძელეს შრომითი ხელშეკრულება და უკლებლივ ყველა მიიღებს კუთვნილ გასამრჯელოს. გარდა ამისა, ვეცდებით, რომ ყველა თანამშრომელი დასაქმდეს. ნაწილი სამუშაოდ, სკოლაში წავა, ნაწილი კი იმ ბაღის შენობაში დარჩება, სადაც დევნილები რჩებიან. დევნილებისთვის დახმარების აღმოჩენა და მათ შვილებზე ზრუნვა ყველა საქმეზე უფრო მნიშვნელოვანია.

■

„...უფრო მორჩილი, ვიდრე ბელორუსია და უფრო ახლობელი — ვიდრე ერევანი...“

ნატოს გენერალური მდივნის, იაპ დე ჰოოპ სხეფერის თბილისში ვიზიტის პარალელურად, რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი, სერგეი ლავროვი ცხინვალსა და აფხაზეთში ჩავიდა. ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობის აღიარების ფაქტი სიტყვიერად დაგმო, პრეზიდენტმა მედვედევმა კი სეპარატისტულ რეგიონებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება დოკუმენტურად გააფორმა. სხეფერმა ნატო-საქართველოს კომისიის შექმნით დაგვაიმედა და გამოგვიცხადა, რომ დეკემბერში, ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე გადაწყდება, ვიმსახურებთ თუ არა ქართველები ნატოში ინტეგრაციის შემდგომ ეტაპზე გადასვლას.

ლავროვი აფხაზეთსა და ცხინვალს, ყოველგვარი პირობის წამოყენებისა და სჯა-ბაასის გარეშე, დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენის გარანტიას აძლევს. ფაქტია, რომ დღეს საქართველო მხოლოდ დაპირებებს იღებს, სეპარატისტული რეგიონები კი — რეალურ დახმარებას. ამ მოვლენების შეფასება პოლიტოლოგ სოსო ცინცაძეს ვთხოვეთ.

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო სოსო, როგორ ფიქრობთ, ნატო-საქართველოს კომისიის შექმნა დააჩქარებს თუ არა ნატოში საქართველოს ინტეგრაციას?

— ამ კომისიის მუშაობის მარგი ქმედების კოეფიციენტზე ლაპარაკი ნაადრევია. მე, ზოგიერთების მსგავსად, სულაც არ ვარ აღფრთოვანებული. ხომ იცით — წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან?! ჩვენი შემოდგომა დეკემბერში დაიწყება...

აფხაზეთსა და ცხინვალში საქმე რეალურად კეთდება, თბილისში ჯერჯერობით იმაზეა ლაპარაკი, თუ რა უნდა გაკეთდეს მომავალში. რუსეთი თავისი განცხადებების მატერიალიზაციას უკვე ახდენს — სეპარატისტებს უკვე გარანტირებული აქვთ ყველაფერი, რასაც მათ კრემლი შეჰპირდა, საქართველო კი მხოლოდ მოლოდინშია. როდესაც ჩვენ ნატო-საქართველოს კომისიის მუშაობის შედეგების გაანალიზებას დავიწყებთ (დეკემბრის ბოლოს, მინისტერიალის შემდეგ), სოხუმსა და ცხინვალში უკვე რუსეთის ელჩი იჯდება...

— რას გულისხმობდა სხეფერი, როდესაც განაცხადა, — ნატოში შესასვლელად, საქართველოს გარკვეული გზის გავლა მოუწევსო? ან რამდენად გრძელი შეიძლება იყოს ეს გზა?

— როდესაც ამბობენ, — გარკვეული გზა, — იგულისხმება დემოკრატიზაცია. ეს მხოლოდ საქართველოს კი არა, ნატოს ნებისმიერ კანდიდატს ეხება. ამ გზის გასავლელად, ხორვატია 9 წელი „მაპში“ „აყურყუტეს“... ამ ფრაზით სხეფერმა გვითხრა: ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული, ნატოს კარი ყველასათვის ღია არისო. წინასწარ ვერაფერს განსაზღვრავ: ზოგი მალე შედის ღია კარში, ზოგი — წლების განმავლობაში „მოსაცდელში დგას“.

— ნატოსა და ევროკავშირის მწვავე კრიტიკის მიუხედავად, რუსეთის ხელისუფლება აქტიურად უჭერს მხარს სეპარატისტულ რეგიონებს. რა შემთხვევაში დათმობს მოსკოვი თავის პოზიციებს? ან საერთოდ, თუ არის ასეთი რამ შესაძლებელი?

— დიპლომატიაში შეუძლებელი არაფერია. რუსეთმა შესაძლოა, კიდეც დათმოს თავისი პოზიციები, მაგრამ ახლო მომავალში ამას გამოვრიცხავ. კრემლი ერთ-ორ წელიწადში არაფრის ფასად არ გააუქმებს იმ სამხედრო ხელშეკრულებებს, რომლებიც უკვე დადო სეპარატისტულ რეგიონებთან. შორეულ მომავალში კრემლი მხოლოდ იმ შემთხვევაში გააუქმებს ამ ხელშეკრულებებს, თუ სანაცვლოდ სხვა რამეს მიიღებს.

— ეს „სხვა რამე“ რა შეიძლება იყოს?

— თუ საქართველო მკვეთრად შეცვლის თავის საგარეო პოლიტიკურ კურსს და რუსეთისათვის უფრო მორჩილი გახდება, ვიდრე დღეს ბელორუსიაა და უფრო ახლობელი — ვიდრე ერევანია...

— გავრცელდა აზრი, რომ რუსეთი ევროპას სთავაზობს, აღიაროს აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობა, სანაცვლოდ კი — კოსოვოს დამოუკიდებლობას ცნობს. რამდენად შესაძლებელია, რომ ევროპამ ეს ინიციატივა მიიღოს?

— გამორიცხულია. დღეს კოსოვოს საერთოდ აღარ აინტერესებს, ცნობს თუ არა მის დამოუკიდებლობას რუსეთი. სოხუმისა და ცხინვალისთვის კი ევროპის აღიარება უმნიშვნელოვანესია. ევროპა ასეთ წამგებიან „გაცვლაზე“ პრინციპული მოსაზრებიდან გამომდინარე არ წავა. გარდა ამისა, აქ სხვა, უფრო ძირეული ფასეულობებიც იქნება გათვალისწინებული.

— ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ირანთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარება დადგება დღის წესრიგში და ვაშინგტონს მოსკოვთან მოლაპარაკებების გამართვა მოუწევს. ხომ არ არის შესაძლებელი, რომ ვაშინგტონმა მოსკოვთან დათმობაზე წასვლა არჩიოს და ამ მიზნით, საქართველოს მხარდაჭერა შეასუსტოს?

— ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი კანდიდატი გახდება პრეზიდენტი: მაკქეინი ასეთი სახის კომპრომისზე ალბათ არ წავა, ობამამ შეიძლება, მართლაც გადადგას ასეთი ნაბიჯი. ბევრი რამ ირანზეც არის დამოკიდებული. სხვათა შორის, თეირანში ჭვიანი ხალხი ზის. ირანელმა მოლებმა დაამტკიცეს, რომ ისინი ფანატიკოსები არ არიან და საკმაოდ პრაგმატულად აზროვნებენ. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ ვაშინგტონის ადმინისტრაციის შეცვლის შემდეგ, თეირანმა უფრო მოქნილი და დიპლომატიური პოლიტიკის წარმოება დაიწყოს. ■

რუსი სერჟანტის „აღსარება“

ლალი პაპასკირი

წალენჯიხის რაიონის სოფელი კანთი ერთადერთი არ არის, სადაც რუს სამხედროებს შეხვდებით. აღსანიშნავია, რომ იქ დაბინავებული რუსები ადგილობრივების მიმართ განსაკუთრებულად ადამიანურ დამოკიდებულებას იჩენენ. მოსახლეობის თქმით, სამხედროები სურსათის მაღაზიებში პროდუქტს ჩვეულებრივად, ლარზე იძენენ. არასასურველი სტუმრები არც იმას მალავენ, რომ იქაურობა ძალიან მოსწონთ და კარგი იქნება, თუ საქართველოში რამდენიმე წლით, თუნდაც სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდამდე დარჩებიან.

რუს სერჟანტს მაშინ გავესაუბრე, როცა სურსათის შესაძენად, რამდენიმე ჯარისკაცთან ერთად, მაღაზიას მიადგა.

— როდის უნდა წახვიდეთ საქართველოდან?

ოლეგ გარსიევი, *სერჟანტი:*

— არავინ იცის. ჯერ მოსკოვიდან ბრძანება არ მიგვიღია, მაგრამ ჩემს უფროსობას სახეზე ეტყობა, რომ ცოტა ხანში აქაურობის დატოვება მოგვიწევს.

— „ცოტაში“ რამდენი ხანი იგულისხმება?

— ალბათ, რამდენიმე კვირა ან სულაც დღე... მაინც არ მესმის, რატომ გინდათ აქედან ჩვენი გაძევება. ქართველები უფრო ჭკვიანი ხალხი მეგონეთ. რატომ გგონიათ, რომ ამერიკა ციდან მანანებს ჩამოგიყრით?.. ქართველი და რუსი ხალხების ბედი ხომ საუკუნეების წინ დაუკავშირდა ერთმანეთს. იმ ზიზღის მიუხედავად, რომელსაც თქვენი ხალხისგან ყოველდღიურად ვგრძნობ, მაინც შემტკივა გული აქაურობაზე. ჩემ თვალწინ ჩეხენ ჩინელები აქაურ ტყეებს და გააქვთ, ზოგი მორებად მიაქვთ, ზოგსაც აქვე ხერხავენ. თქვენი ხალხი მონურ შრომას ეწევა „კაპიკების“ ფასად, მაგრამ მას პირდაპირ უთხრეს, — თუ არ გინდათ, მიბრძანდითო. თავიდან ალბათ ეუბნებოდნენ, — ხალხს სამუშაო ექნებაო, — მაგრამ იქ ასობით ჩინელი და სულ რაღაც 50-მდე ქართველი მუშაობს. ქართველებს დილიდან საღამომდე ერთ ნაჭერ პურსა და ძეხვს აჭმევენ და ყოველდღიურად, 10 ლარს უხდიან, ჩინელები კი თვეში 500 დოლარს იღებენ. ესეც თქვენი მსოფლიო თანამეგობრობა!.. ამერიკას, ჩინეთსაც და დანარჩენ ქვეყნებსაც თქვენი ბუნებრივი რესურსები აინტერესებს, ხალხის ბედი არავის აღელვებს.

— რუსეთს აღელვებს ქართველი ხალხის ბედი?..

— ჩვენ თქვენთან ყოფნა გვინდა და ამას არც ვმალავთ. ხომ ვცხოვრობდით ერთად წლების განმავლობაში, ვინ იყო უკმაყოფილო საბჭოთა კავშირის დროს?.. უბრალოდ, თქვენ ძალიან უცნაური ხალხი ხართ, ამერიკულმა აზროვნებამ შეგცვალათ და ამბიციებს ვერ ერევით. საბედნიეროდ, ეს ყველას არ ეხება. ჯერ კიდევ არის ხალხი, ვინც ნორმალურად აზროვნებს. მათ რუსეთთან ყოფნა ურჩევნიათ. იციან, რომ ნატოსა და ამერიკასთან კარგად ვერ იქნებიან, რადგან ჩვენ არ მივცემთ ამის უფლებას. სამხრეთ კავკასიაზე რუსეთის გავლენის დაკარგვა რუსეთის დაშლის წინა პირობა იქნება და ჩვენ ამას არ დავუშვებთ.

— თუმცა ბოლო დროს, რუსეთში გაერთიანებული ავტონომიები ძალიან გააქტიურდნენ, რაც კარგს არაფერს უნდა ნიშნავდეს...

— არც ისე მარტივად არის საქმე. რუსეთი იმაზე ძლიერია, ვიდრე საქართველოსა და რამდენიმე მის მოკავშირე ქვეყანას ჰგონია. ჩვენ ენერგორესურსები გვაქვს, რომლის მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე სულ უფრო იზრდება. ახლა ნავთობის ფასი ხელოვნურად შეამცირეს და ჰგონიათ, ამით რუსეთს უკან დაახევინებენ, მაგრამ საბედნიეროდ, ცოტა ხანში, ზამთარი მოგვიკაკუნებს და ის ხალხი ჩვენს ხელისუფლებასთან მისასვლელი გზების პოვნას შეეცდება. აი, მაშინ გაირკვევა, ვინ მოიგებს და ვინ დაზარალდება.

— ოლეგ, საქმე ის არის, რომ რუსეთში უბრალო ხალხს არ ეტყობა რუსეთის გამდიდრება, ამაზე არ გიფიქრიათ?

— დიახ, ამას წინათ ერთი თქვენებური კაცი მიმტკიცებდა, — მოსკოვისა და პეტერბურგის მილმა ხალხი ჯერ კიდევ ისლით გადახურულ ქოხებში ცხოვრობსო. ასეც არის, ულიანოვკაში ნათესავები მყავს, მათ ძალიან უჭირთ. გათბობის სისტემაც არ არის და სიცივისგან ხალხი იხოცება. ეს პრობლემა არსებობს რუსეთში. მაგრამ ამის მიზეზი მხოლოდ ხელისუფლების დამოკიდებულება არ არის. რუსეთი სამხედრო სისტემაზე აწყობილი ქვეყანა იყო. იქ დღესაც, ყოველი მეორე კაცი სამხედრო პირია, რომელიც სახლში, ოჯახში ცხოვრებას არ იყო მიჩვეული. მათი უმრავლესობა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში იყვნენ გამწესებული. ცოლშვილიც თან ჰყავდათ და სამხედრო დაწესებულებებში ცხოვრობდნენ. მას შემდეგ, რაც საბჭოთა სისტემა დაიშალა, ამიერკავკასიის რუსულ სარდლობას პოსტსაბჭოთა ტერიტორიების დატოვებამ მოუწია და ათიათასობით კვალიფიციური სამხედრო უმუშევარი დარჩა. უფრო მეტიც — პუტინის ხელისუფლებამ ისინი ვერც კი დააბინავა. ამან კი რუსეთში სოციალური ფონი მკვეთრად გააუარესა. ეს ის თაობა იყო, ვისაც ცხოვრების ახლიდან დაწყება უკვე

გაგრძელება იხ. გვ. 94

„ჩვენ აქ გამარჯვებისთვის მოვედით – ქართველი და რუსი ხალხების გამარჯვებისთვის...“

პოპულარული ძმის სიყვარულით დაჩაგრული უფროსი ძმა

დედმამიშვილების რუბრიკაში ამჯერად მიშა ანდღულაძის ძმა — დათო ჩავწერეთ. როგორც გაირკვა, დათოსგან უფრო მოელოდნენ ახლობლები, რომ კარგი იუმორისტი გამოვიდოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მან სულ სხვა სფეროში არჩია მოღვაწეობა. მომავალში არ გამორიცხავს, რომ მიშას მსგავსად, გასართობ გადაცემაში მიიღოს მონაწილეობა, მით უფრო, რომ ამის გამოცდილება აქვს — „იუმორისტულ ფესტივალში“ წარმატებით მონაწილეობდა. დათო თავისი პირადი ცხოვრებითაც უკმაყოფილოა, როცა ფიქრობს, რომ გოგონასთან ურთიერთობა აწყობილი აქვს, ზუსტად მაშინ ხდება ისეთი რამ, რაც მათ ურთიერთობას შლის. არადა, რას არ აკეთებს, რომ გოგონას გული მოიგოს. ბევრს ლექსებსაც უძღვნის, მაგრამ უშედეგოდ. ამ ყველაფრის მიუხედავად, დათო ფარ-ხმალს არ ჰყრის და მომავლის დიდი იმედი აქვს. მან თავის ცხოვრებაზე ყველაფერი გულახდილად გვიამბო.

მერი კობიაშვილი

— დათო, რას საქმიანობ?

— სახელმწიფო მართვის მოხელე ვარ, მაგრამ ჩემი პროფესიით არასოდეს მიმუშავია, სულ სხვადასხვა საქმეს ვაკეთებდი.

— როგორც მივხვდი, იუმორთან არასოდეს არანაირი შეხება არ გქონია.

— ზვიო ბლიაძის „იუმორისტულ ფესტივალში“ ვმონაწილეობდი. შოუში რამდენჯერმე გამოვედი. მერე დაგვხურეს. როგორც გავიგე, შოუს დახურვა ზვიოს უთავბოლობით იყო გამოწვეული.

— სამწუხაროდ აღარ მახსოვს, შოუში რას აკეთებდი?

— არაფერს განსაკუთრებულს. გამოვდიოდი და მონოლოგებს ვკითხულობდი, როგორც მითხრეს, ეს საქმე ცუდად არ გამომდიოდა. კარგი იყო, შოუ რომ არ დახურულიყო, ალბათ, მომავალში უფრო მეტს მივაღწევდი. იუმორისტობაში ფეხის ადგმა დავიწყე, მაგრამ არ დამცალდა.

— ბევრი იუმორისტული გადაცემაა, არ გიფიქრია, რომელიმეში გეცადა ბედი? თანაც შენი ძმა ამ საქმეში ძალზე პოპულარულია და ალბათ ესეც დაგეხმარებოდა წარმატების მიღწევაში.

— ვცდილობდი, მაგრამ სულ რაღაც პრობლემები მეღობებოდა წინ.

— სამომავლოდ ამ მხრივ არაფერს გეგმავ?

— ცოცხალი ადამიანი ყოველთვის რაღაცას გეგმავს, გამონაკლისი არც მე ვარ. „იუმორისტული ფესტივალის“ მონაწილე ადამიანები რამდენჯერმე შემხვდნენ და ერთობლივად ახალი საქმის დაწყების ვარიანტებიც გვქონდა, მაგრამ ვერაფერს მოვაბით თავი. იმედს არ ვკარგავ. მიშაც სრულიად მოულოდნელად მოხვდა ამ სფეროში. კარატეზე დადიოდა, სადაც თემო გაფრინდაშვილი გაიცნო. თემომ შესთავაზა, „კა-ვე-ენში“ არ გინდაო? მიშამ იფიქრა, ბედს ვცდიო. მივიდა და ყველაფერი კარგად აეწყო. ბევრს უთქვამს, შენგან უფრო მოველოდით, რომ იუმორისტულ გადაცემაში გაიჩითებოდიო. ჩემში უფრო ხედავდნენ იუმორისტს, მაგრამ ამ საქმის კეთებამ მიშას მოუწია.

— ძმებში რომელი ხართ უფროსი?

— მიშაზე ოთხი წლით უფროსი ვარ. სხვა დედმამიშვილი არ გვყავს.

— ბავშვობაში რომელი უფრო მოუსვენარი იყავით?

— მიშა საშინლად ცელქი იყო, სასწაულ რაღაცეებს იგონებდა. ერთხელ სოფელში ვისვენებდით და ჭაში „მასტიკა“ ჩაასხა. მთელი კვირა ჭის წყალს ვერ ვიყენებდით და შორი გზიდან გვიწევდა მოტანა. ერთხელაც ბაბუაჩემმა თეთრად შეღება კედელი, მიშამ კი წითლად გადაღება.

— მიშას ამ საქმიანობაში ეხმარებოდი, თუ როგორც უფროსი, აგიტაციას უტარებდი?

— რაც ჩამოგითვალე, ეგ ყველაფერი პატარაობისას გააკეთა. როცა გაიზარდა, ცოტათი დაჭკვიანდა. მე ბავშვობაში მასავით გიჟი და დაუმორჩილებელი არ ყოფილვარ.

— ოდესმე თუ გიჩხუბიათ?

— რა თქმა უნდა, ამის გარეშე როგორ ვიქნებოდით, მაგრამ ერთმანეთს მტრებად არ გადავკიდებივართ. რაც გავიზარდეთ, ერთხელაც არ გვიჩხუბია.

— ინტერვიუს დასაწყისში მითხარი, საუბარს რომ დავიწყებთ, მიშას დავემგავსებიო. შემიძლია გითხრა, რომ მართლაც ძალიანაც ჰგავხარ.

— ზოგის აზრით, ერთმანეთს ხმით და მიმიკითაც ვგავართ, ზოგი ამბობს ერთმანეთს საერთოდ არ ჰგავხართო. ჩვენს მსგავსება-განსხვავებაზე ორი ურთიერთგამომრიცხავი აზრი არსებობს. ერთხელ მანქანა გაგვიფუჭდა და ხელოსანთან მივიყვანეთ. მეგრელი ბიჭი იყო. მანქანის გაკეთებაში ზედმეტი ფული გადაგვახდევინა. მერე დავმეგობრდით. ახლა ხშირად ვხვდებით. ის ხშირად გვეუბნება, ხასიათით საერთოდ არ ჰგავხართ, მაგრამ ბევრი რამ გაქვთ საერთოო. მოკლედ, იმ ბიჭთან მეგობრობა კურიოზულად დავიწყეთ, მაგრამ რაც მთავარია, კარგად გაგრძელდა.

— მანქანის გაკეთებაში ზედმეტის გადახდას კურიოზს ვერ დავარქმევდი. თანხა უკან თუ დააბრუნებინეთ?

— არა, რას ამბობ. თანხის დაბრუნებას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. თავიდან ის გვადებდა ვალს, მერე ჩვენ დავადეთ. არადა, მიშა თავიდან ბრაზობდა, გამყიდველები, ტელევიზიით რომ გამოვდივარ, მცნობენ და ცდილობენ, ფასი დამიკლონ, ეს პირიქით, ზედმეტს გვახდევინებსო.

— გულახდილად მითხარი, მოგწონს მიშას ხუმრობები?

— თავიდან მიშას ხუმრობებში ყველაფერი არ მომწონდა. მერე და მერე,



მიშაზე ოთხი წლით უფროსი ვარ

უფრო მომეწონა.

— მიშას რომელ ხუმრობაზე იხალისე ყველაზე მეტად?

— ჯარისკაცი რომ არის. მისმა გმირმა რაც უნდა თქვას, ყველაფერზე მეცინება.

— იმ ხუმრობებზე რას იტყვი, მეგობარს რომ შეგიძლია გაეხუმრო. მობილურში თუ გაქვს ის მესიჯები, მიშა იდაყვის მამიდაშვილის გარდაცვალებას რომ გვამცნობს?

— მე ისეთი მობილური არ მაქვს, სადაც ასეთი ხუმრობების ჩაწერა შეიძლება. ეს ხუმრობები ტელევიზიით ვნახე. თავიდან მეცინებოდა, მერე ხშირად რომ დაიწყეს გამეორება, მაინცდამაინც აღარ მომწონს, ის ფრაზები ცოტა არ იყოს, მაღიზიანებს კიდეც. ერთხელ მამაჩემი ოთახში ზუსტად იმ დროს შემოვიდა, როცა ადგილის გაფართოებაზე სვამდა მიშა კითხვას. მამამ არც იცოდა, ვინ ამბობდა იმ ფრაზას და აღნიშნა, რაებს ბოდიალობენ ამ ტელევიზორშიო.

— როცა მამამ გაიგო, იმ ფრაზებს მიშა რომ ამბობდა, რა თქვა?

— არაფერი. მიშამ მგონი, არც იცის მამის აზრი ამ ხუმრობაზე. ის ხომ, რაც ცოლი მოიყვანა, ჩვენთან აღარ ცხოვრობს, სტუმრად მოდის.

— უცნობები როცა იგებენ, რომ მიშას ძმა ხარ, მის უცენზურო ხუმრობებზე რას გეუბნებიან?

— როცა იგებენ, რომ ძმები ვართ, მთხოვენ, მიშა გაგვაცანიო. მასთან დამეგობრება ყველას უნდა. პოპულარობით ჯერ მიშა იყო აკლებული, ახლა როგორც ვატყობ, მიშას რომ ვერაფერი დააკლეს, ჩემზე გადმოვიდნენ.

— პოპულარული რომ ხარ, ამის გამო ბრაზობ ხოლმე?

— ეს მომენტი მსიამოვნებს, რატომ უნდა გავბრაზდე?!

— მეგობარს მიშას ხუმრობებით თუ გახუმრებიხარ?

— მისი ხუმრობებით სერიოზულად არ

დავინტერესებულვარ...

— მიშა თქვენთან სტუმრად რომ მოდის, ბევრს ხუმრობს?

— არა, სხვათა შორის, სახლში ძალზე სერიოზულია.

— როგორც ვიცი, მიშა გიტარაზე კარგად უკრავს, ერთმანეთს ამაში თუ ჰგავხართ?

— მიშამ ჩემგან ისწავლა გიტარის დაკვრა. მერე ბევრი იმეცადინა და ახლა მას გიტარისტიც შეიძლება ვუწოდოთ. ჯგუფიც კი ჰყავს.

— შენს პირად ცხოვრებაზე რას გვეტყოდი?

— სამწუხაროდ, ჩემი პირადი ცხოვრება გაურკვევლობებით არის აღსავსე. ერთი გოგონა, რომელსაც შეყვარებულად ვთვლიდი და შეიძლება ითქვას, არც ის იყო ჩემ მიმართ გულგრილი, ამას წინათ „კომედი შოუს“ ჩაწერაზე წავიყვანე, მაგრამ იმ დღეს ჩაწერა გადაიდო. მას მერე ის გოგონა ჩემთან შეხვედრას გაურბის. რომ მეკითხებიან, შეყვარებული გყავსო? — ვპასუხობ, მყავს, მაგრამ ჩემთან შეხვედრისთვის არ სცალიამეთქი. თუ მოიცლის, ხომ კარგი, თუ არა და, ყველაფერი სხვანაირად იქნება. პირადი ცხოვრება ვერაფრით ავაწყვე. გოგონებს ლექსებსაც ვუძღვნიდი, მაგრამ მათ ის ლექსები უფრო უყვარდებათ, ვიდრე მე.

— შენი სასიყვარულო ამბავი კარგად ვერ გავიგე. შეყვარებული იმიტომ გაგინაწყენდა, რომ „კომედი შოუს“ ჩაწერას ვერ დაესწრო?

— საქმეც ის არის, რომ არც არაფერია სწყენია. უაზრო მიზეზებს იგონებს, რომ არ შემხვდეს. შეიძლება, აზრი შეეცვალოს და ჩემთან შეხვედრა მოინდომოს. ადრე თავს გადახდენილ ამბებს რომ ვუყვებოდი, გაოცებული იყო, მეუბნებოდა — გოგონები ასე როგორ მოგექცნენო?! და ახლა თვითონაც იმავეს აკეთებს. მისი საქციელი ჩემი აზრით, სიყვარულისგან გაქცევას ნიშნავს.

— გოგონებისთვის მიძღვნილ რომელიმე ლექსს ვერ წაგვიკითხავ?

— იყო ერთი გოგო ნაირა, რომელიც მომწონდა და დავუწერე ლექსი.

„ვარდი როდესაც იშლება,
ბუნება სუნთქავს მრავალნაირად,
შენი მზერა კი არ შეიცვლება არანაირად.“

ეს დიდი ლექსია. სხვებმა რომ მოისმინეს, თქვეს, შედევრად უნდა ჩაეთვალაო, მაგრამ იმ გოგოს არაფერი უთქვამს. მოკლედ, რადიკალურად განსხვავდება ჩემი და მიშას პირადი ცხოვრება. მიშა ცამდეა ასული, მე კი მიწას ჩავცდი.

— სულ ტყუილად ფიქრობ ასე. გოგომ ერთხელ თუ გითხრა შეხვედრაზე უარი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაფერი დამთავრდა...

— ასეთ დასკვნამდე არ მივიდოდი, ერთხელ რომ მომხდარიყო მსგავსი რამ. მე არასდროს არავის გადავკიდებივარ. თუ გოგოსგან რეალურად არ ვიგრძნობ სითბოს, პირველ ნაბიჯს არ ვდგამ და, როცა ფრთები უნდა გავშალო, სწორედ იმ დროს ხდება ჩვენი ურთიერთობის რყევა. იმედია, მომავალში ასეთი სინანულით სიყვარულზე აღარ ვისაუბრებ და ჩემს პირად ცხოვრებაში ყველაფერი კარგად აეწყობა. ■

თამუნა პეტრიაშვილი

ბოლო პერიოდში რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ პროტესტის გამოსახატავად, არაერთი სიმღერა ჩაიწერა. მათ შორისაა, „ხელები შორს!“ — სიმღერა, რომელსაც როკერი დავი — იგივე დავით მჭედლიშვილი ასრულებს, ვიდეორგოლის ავტორი კი ახალგაზრდა რეჟისორი ზაზა სვანაძეა.

პატრიოტულ თემაზე მუშაობის ექსკლუზივი არავის აქვს, ამ ნამუშევრით ჩვენი პოზიცია დავაფიქსირეთ და გულისტკივილი გამოვხატეთ; ვფიქრობ, ვიდეორგოლი საკმაოდ ორიგინალური გამოვიდა და ზუსტად ასახავს დღევანდელ სიტუაციას, გამოხატავს ქართველი ერის განწყობილებასო, — თქვა ჩვენთან საუბრისას ახალგაზრდა რეჟისორმა. ინტერვიუს, დავის მეუღლე — მომღერალი ია მანეჟაშვილიც ესწრებოდა და საკუთარი აზრი ზაზასა და დათოს ნამუშევარზე მანაც გამოთქვა.

— როდის გაჩნდა სიმღერის ჩაწერის იდეა?

დავი:

— სიმღერა ომამდე ძალიან დიდი ხნით ადრე დაიწერა, იყო ინგლისურენოვანი და ერქვა „ომი“, რატომღაც მოხდა ისე, რომ მის ჩაწერას თავი ვერ მოვაბი და ბოლო ერთი წელი „თაროზე იყო შემოდებული“.

ია:

— ეს სიმღერა რომ დაწერა, პირველად მე მომასმენინა და, სიმართლე გითხრათ, ომის თემა იმდენად წინ იყო წამოწეული, არ მესიამოვნა. რაღაც, წინასწარმეტყველური გამოუვიდა...

ზაზა:

— ბოლო დროს განვითარებულმა

XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲡᲬᲐᲠᲢᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲔᲠᲬᲧᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲚᲔᲠᲔᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲚᲘᲞᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

„ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚ ᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐᲖᲔ ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲕᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ"...

მოვლენებმა ჩემზე, როგორც ადამიანზე, ძალიან იმოქმედა. მინდოდა, პროტესტი გამომეხატა რუსული აგრესიის წინააღმდეგ. იას მეშვეობით, დათოს დავუკავშირდი და ჩვენი შეხვედრა შედგა. როდესაც დათომ სიმღერა მომასმენინა, კლიპის კადრები წარმომიდგა თვალწინ. მეორე ვარიანტიც ჰქონდა, მაგრამ მოსმენა აღარ მოვისურვე, ვიცოდი — არჩევანის გაკეთება გამიჭირდებოდა. სიმღერის შავი ვერსია შინ წავიღე და ტექსტი ერთ ღამეში დავწერე.

— ამ სიმღერის მიზანი — რუსული აგრესიის დაგმობა იყო. როკს აგრესიულ მუსიკად მიიჩნევენ და აგრესიას აგრესიით ებრძვით?..

ᲓᲐᲕᲘᲗ:

— გააჩნია, ვინ მოიხსენიებს როკს აგრესიულ მუსიკად. მე ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი გემოვნებიანი მუსიკალური მიმდინარეობაა და არანაირი აგრესია მასში არ დევს.

ᲘᲐ:

— ჩვენ ყველას გვინდოდა, რომ ამ სიმღერით ჩვენი ტკივილი გამოგვეხატა.

— იცი, ხელოვნებისა და შოუბიზნესის წარმომადგენლებს ერთგვარ „მანდატად" ექცათ საკუთარი პროფესია. არ გიფიქრიათ, რომ სტუდიაში ყოფნის მაგივრად, სხვაგვარად, უფრო ქმედითი ხერხებით შეგეძლოთ, ამოსდგომოდით მხარში ჩვენს მეომრებს?

ᲓᲐᲕᲘᲗ:

— ამჟამად, არ იყო ბრძოლის ხაზზე ჩემი გასვლის აუცილებლობა. საჭირო რომ ყოფილიყო, დაუფიქრებლად ავიღებდი ხელში იარაღს და წავიდოდი საბრძოლველად.

ᲖᲐᲖᲐ:

— ჩვენი თაობისთვის ეს უკვე მესამე ომია. მძიმეა ამ ყველაფრის ყურება. საჭირო რომ ყოფილიყო, აუცილებლად ავიღებდი ხელში იარაღს და ჩვენი მეომრების გვერდით ვიდგებოდი.

ᲘᲐ:

— ნორმალურ სახელმწიფოში რიგით მოქალაქეებს არა აქვთ უფლება, ომში წავიდნენ. აფხაზეთის ომის დროს საქმე სხვაგვარად იყო — მიდიოდა ყველა, ვისაც კი ამის სურვილი ჰქონდა. ხოლო სურვილთან ერთად, რამდენად გამოცდილები იყვნენ, — ამას არავინ კითხულობდა... დღეს ყველაფერი სხვაგვარად იყო — წინა ხაზზე ჩვენი ჯარი იდგა, რომელიც ძალიან კარგად იყო მომზადებული... მე ვფიქრობ, რომ ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს: მომღერალმა — იმღეროს, ჯარისკაცმა — იბრძოლოს. თუ იქნებოდა იმის აუცილებლობა, რომ ქუდზე კაცი გამოსულიყო, მაშინ, დარწმუნებული ვარ, არც ჩემი ქმარი დაჯდებოდა სახლში არხეინად. ყველაზე მეტად გული იმაზე დამწყდა, რომ ქვეყანაში მიმდინარე პროცესები ძალიან ბევრმა, საკუთარი კეთილდღეობისთვის გამოიყენა. ეს თემა ბევრისათვის პიარის საუკეთესო საშუალებად იქცა...

მგონი, ნამუშევარი მართლაც, საინტერესო გამოვიდა

ᲖᲐᲖᲐ:

— აბსოლუტურად ვეთანხმები იას. პატრიოტულ თემატიკაზე ექსკლუზივი არავის აქვს. უამრავი სიმღერა ჩაიწერა და კლიპი გადაიღეს, რომელიც რუსეთის აგრესიას გმობს, მაგრამ მთავარია, გულით რომელი გაკეთდა და საკუთარი კეთილდღეობისთვის — რომელი. არ ვაპირებ არავის გაკრიტიკებას, ყველამ თავის გულში ჩაიხედოს და საკუთარ თავთან იყოს მართალი.

— სად მიმდინარეობდა გადაღებები და როგორია კლიპის სიუჟეტი?

— კლიპის გადაღებები ნატახტრის აეროდრომზე მიმდინარეობდა. გამოყენებული მაქვს 1921, 1937, 1989 და 1993 წლების კადრები. ძალზე მოკლედ მოთხრობილია XX საუკუნის ისტორია, რომელიც 2008 წლის გორის მოვლენებით სრულდება. ეს იყო ყველაზე რთული პერიოდი ქართველებისათვის. ვლადიმირ პუტინი გამოყვანილი გვყავს ისეთი მსოფლიო დამპყრობლებისა და დიქტატორების გვერდით, როგორებიც იყვნენ: თემურ ლენგი, შაჰ-აბასი და ა.შ.

ᲓᲐᲕᲘᲗ:

— მგონი, ნამუშევარი მართლაც, საინტერესო გამოვიდა. თუმცა საბოლოო შემფასებელი, ასე ვთქვათ, არბიტრი — მაყურებელი იქნება და შეფასების უფლებას მას დავუტოვებ...

ᲖᲐᲖᲐ:

— დავამატებ იმას, რომ ვიდეორგოლის პრეზენტაცია 27 სექტემბერს — სოხუმის დაცემის დღეს გაიმართება. ■

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

ᲝᲤᲘᲪᲠᲘᲡ ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲚᲐᲚᲝᲓ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ

11 სექტემბრის ტერაქტის მეშვიდე წლისთავის აღსანიშნავად, ბრიტანელი პოლიციელი კარნავალზე ოსამა ბინ ლადენის კოსტიუმში გამოწყობილი გამოცხადდა, რის გამოც დიდი უსიამოვნება ელის. კარნავალზე, რომელიც კორნუოლის საგრაფოს სოფელ გრემპაუნდში ჩატარდა, ოფიცერ კოლინ ტერის ფოტოსურათიც გადაუღეს. სამართალდამცველები ამ ინციდენტს სერიოზულ დარღვევად მიიჩნევენ. მას სპეციალური კომისია განიხილავს. კოლინ ტერი აღიარებს, რომ დიდი შეცდომა დაუშვა და აცხადებს, რომ მას, როგორც პოლიციის ოფიცერს, საკარნავალო კოსტიუმის შერჩევის დროს მეტი სიფრთხილე უნდა გამოეჩინა! ტერი ავღანეთიდან ცოტა ხნის წინ დაბრუნდა, სადაც ადგილობრივ პოლიციას ეხმარებოდა. მან ბინ ლადენის კოსტიუმი სპეციალურად შეარჩია, რათა თანასოფლელებს, რომელთაც იგი ისევ ავღანეთში ეგულებოდათ, არ ეცნოთ. ■

სნაიპერის ტყვიით განგმირული ხელისერთა პიჭი...

მეუბნებოდა: — დედა, ჩემი პროფესია უნდა შეიყვაროო

ეთო ყორღანაშვილი

***31 წლის კახა თავგორაშვილი ერთ-ერთი იმ გმირთაგანია, ვინც სამშობლოს დაცვას თავი შესწირა. ერთადერთი ვაჟიშვილის დაღუპვით გამოწვეული მწუხარების მიუხედავად, კახას მშობლები — ნუნუ და გიორგი თავგორაშვილები** იმ უბედურ მშობლებზეც დარდობენ, რომლებსაც შვილების ცხედრებისთვის დღემდე ვერ მიუგნიათ...*

გიორგი:

— კახას დაბადებიდან ერთი წლის შემდეგ, გოგონა შეგვეძინა, მაგრამ თვენახევრის მერე დაგვეღუპა — ნაწლავების გადახლართვა დაემართა. ბავშვის მკურნალობაში პროფესორებიც ჩავრიეთ, მაგრამ გოგონა სიკვდილს მაინც ვერ გამოვგლიჯე ხელიდან... ერთადერთი შვილიღა დაგვრჩა და მას ვზრდიდით.

ნუნუ:

— კახა საოცრად საყვარელი, კეთილი და დინჯი ბავშვი იყო, კარატეზე დადიოდა, საქართველოს ჩემპიონი გახლდათ... ბავშვობიდანვე სამხედრო სამსახური იტაცებდა: ჩვენს სახლთან ახლოს, პოლიგონზე ტანკები დადიოდნენ ხოლმე. ღამის 3-4 საათზე, მათ ხმას რომ გაიგონებდა, ფანჯარაზე ახტებოდა და სულ იმას ნატრობდა, — უჰ, ნეტავ, ახლა იმ ტანკზე ვიჯდეო! წინათ დედისერთა ბიჭები ჯარში არ მიჰყავდათ. კახამ საბუთები ისე გააკეთა, ჩვენ არაფერი ვიცოდით. ჯარში გაწვევის უწყება რომ მიიღო, მერეღა გავიგეთ. ამის შესახებ წინასწარ რომ გვცოდნოდა, არაფრის დიდებით არ გავუშვებდით!.. ჯარიდან რომ დაბრუნდა, 21 წლის იყო. ცოლად რუსი გოგონა შეირთო, მაგრამ ერთმანეთს ვერ გაუგეს და დაშორდნენ. ჩემს ვაჟს პირველი ქორწინებიდან 2 გოგონა დარჩა. კახამ მეორედაც შექმნა ოჯახი. ცოლთან ერთად, თბილისში ცხოვრობდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ მასაც დაშორდა და ბოლო ერთი თვის განმავლობაში ჩვენთან ცხოვრობდა. მეორე ქორწინებიდან 6 წლის ბიჭუნა დარჩა... კახას სამსახური არ მომწონდა. მეუბნებოდა: — დედა, ჩემი პროფესია უნდა შეიყვაროო. — 100 წელი რომ გავიდეს, შენს სამსახურს მაინც ვერ შევიყვარებ-მეთქი, — ვპასუხობდი. სულ დაძაბული ვიყავი და აი, არ ამცდა, რისიც ასე ძალიან მეშინოდა...

გიორგი:

— 14 წელი სამხედრო სამსახურში იყო. ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილი რომ მოვიდა, დაახლოებით, იმ დროს დაწერა სამსახურიდან წამოსვლის თაობაზე განცხადება.

— მიზეზი რა იყო?

— თავს ცუდად ვგრძნობდი, ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები მქონდა. კახას უნდოდა, რომ ჩემთვის ყურადღება მოექცია და ეს ნაბიჯი იმიტომ გადადგა. 2 თვეში ისევ სამხედრო სამსახურს დაუბრუნდა — გულუას სპეცრაზმში შევიდა. უმარავი ჯილდო და ორდენი ჰქონდა მიღებული. კოდორში განხორციელებული სპეცოპერაციის დროს ჩემი შვილი წინა ხაზზე იბრძოდა. ირაკლი ოქრუაშვილმა მამაცობისთვის დააჯილდოვა კიდეც... ისეთი სამსახური ჰქონდა, როგორც კი გამოიძახებდნენ, აუცილებლად მაშინვე უნდა წასულიყო. 6 აგვისტოს რომ გამოიძახეს, 7-ში უკვე ცხინვალში იბრძოდა. ტელეფონით დავუკავშირდი. ზედმეტი არაფერი მიკითხავს. უბრალოდ, ვურჩიე — ფრთხილად იყავი-მეთქი. — მალე მოვალო, — დამამშვიდა;

არ ამცდა, რისიც ასე ძალიან მეშინოდა...

8 აგვისტოს კახასთან დაკავშირება ვეღარ მოვახერხე. სამხედრო ბაზაშიც დავრეკე, მაგრამ მითხრეს: ბიჭები წასულები არიანო. მეორე დღეს სამუშაოზე წავედი — მერიის დაფინანსებით, ქალაქის შენობების სახურავებს ვაკეთებ. საღამოს შინ რომ დავბრუნდი, ჩემი შვილის ამხანაგმა ზურა აზარაშვილმა მომაკითხა. ბრძოლაში დაჭრილა და კოჭლობდა. მკითხა: — კახას შესახებ ხომ არაფერი გაგიგიათო? — არა, გუშინ დილით 9 საათზე ველაპარაკე და მას შემდეგ, ვეღარ ვუკავშირდებიმეთქი. ზურა საშინლად გაფითრებული გახლდათ. შევატყვე, რომ რაღაც ცუდი უნდა ეთქვა... როგორც იქნა, გამიმხილა: — კახა დაიღუპა — ეს რომ არ მეთქვა, არ შეიძლებოდაო... შვილის ცხედრის მოსაძებნად ჯერ თბილისში, რესპუბლიკურ საავადმყოფოში მივედით, მაგრამ იქ მხოლოდ დაჭრილი ჯარისკაცები იყვნენ. შემდეგ გორის ჰოსპიტალში წავედით.

კახა თავგორაშვილის შვილები

ნუნუ:

— იქ ჩემი შვილი დაღუპულთა სიაში ისე ეწერა, როგორც უცნობი ჯარისკაცი.

გიორგი:

— არადა, საბუთებიც თან ჰქონდა, სამხედრო ჟეტონიც, პლასტიკური ბარათიც, ფულიც... ეს ყველაფერი ჯიბიდან ან

სნაიპერმა მათკენ 3-ჯერ გაისროლა, ორი ტყვია მიზანს ასცდენია, მესამე კი ჩემს შვილს მოხვედრია...

ბრძოლაში წასვლისას ამოაცალეს, ან — როცა ჰოსპიტალში მიასვენეს...

— როგორ მიხვდით, რომ დაღუპული უცნობი ჯარისკაცი თქვენი შვილი იყო?

— ექიმმა მკითხა: — თქვენს შვილს სხეულზე რაიმე განსაკუთრებული ნიშანი თუ ჰქონდაო? ვუთხარი: — მარჯვენა მხარზე ასეთი და ასეთი სვირინგი ჰქონდა-მეთქი. ექიმმა მობილური ტელეფონით გადაღებული სურათი მაჩვენა — ეს ხომ არ არისო? დავხედე და ჩემი შვილის სვირინგი იყო... გარდაცვლილი გამოასვენეს. ის მართლაც, კახა აღმოჩნდა. მარჯვენა მხარეს, მკერდს ზემოთ ერთი ნატყვიარი ჰქონდა. ისეთი ტყვიის გამოყენება, როგორითაც შვილი მომიკლეს, საერთოდ არ შეიძლება, აკრძალულია.

ნუნუ:

— კახა სნაპიერმა მომიკლა, შვილო...

გიორგი:

— ის ბიჭი არ მინახავს, ვინც კახას დაღუპვას შეესწრო, მაგრამ როგორც მითხრეს, ქართველი მეომრები საომარი ზონიდან რომ გამოვიდნენ, სნაიპერმა მათკენ 3-ჯერ გაისროლა, ორი ტყვია მიზანს ასცდენია, მესამე კი ჩემს შვილს მოხვედრია...

— კახას თანამებრძოლებიდან ბევრი დაიღუპა?

— მხოლოდ — კახა, ზოგი კი დაჭრილდასახიჩრებულია: ერთს ფეხი მოაჭრეს, მეორეს — ხელი, მესამე ხერხემალშია დაჭრილი და სიარულს ველარასოდეს შეძლებს... ჩემი ბიჭის მეგობრები ყველაზე გულადად იბრძოდნენ — გულუას სპეცრაზმმა მამაცობით თავი გამოიჩინა.

ნუნუ:

— კახას სამეგობროში ყველა კარგი ბიჭია. ჩემს შვილს მეგობრები ძალიან უყვარდა, უკანასკნელი 10 ლარი რომ ჰქონოდა, მათ უნაწილებდა. დაჩაგრულს, გაჭირვებულს ყოველთვის გვერდში ედგა.

გიორგი:

— კახას უფროსი ქალიშვილი 9 წლისაა, უმცროსი — 2-ის. მოვიდნენ, მამა დაიტირეს, მაგრამ ჯერ ბავშვები არიან, ყველაფერს ვერ აცნობიერებენ... 6 წლის

ნუნუ:

— მეცხრე დღეს, კახას საფლავზე რომ მივედით, იქვე ახალი საფლავი დაგვხვდა: ბრძოლაში 20 წლის ბიჭი დაღუპულა. თურმე ის საბრალო, ბებიასთან ერთად ცხოვრობდა, დედამისი კი საბერძნეთში სამუშაოდ ყოფილა წასული...

გიორგი:

— ჯერ კიდევ შოკში ვართ. არ ვიცით, რა გავაკეთოთ... ხვალ სასაფლაოზე მივდივართ... ჩვენ კახას ცხედარი მაინც ვიპოვეთ. იმ უბედურმა მშობლებმა რა ქნან, რომლებიც დღემდე ეძებენ თავიანთ მკვდარ შვილებს? როგორ ვანუგეშოთ ისინი?

ნუნუ:

— ჩემი შვილი უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე რომ შეჭრილიყო, ვიტყოდი: მოკლავდნენ აბა, რას იზამდნენ-მეთქი?! მაგრამ კახა ხომ თავისი სამშობლოს მიწა-წყალს იცავდა!.. კმარა ამდენი სისხლის ღვრა, მშვიდობა გვინდა! უფალმა დაიფაროს საქართველო!.. ■





ექსმინისტრი რომან გვენცაძე უკვე 73 წლისაა და შინ წიგნების კითხვით ერთობა. მოსწონს ისტორიული და სათავგადასავლო ლიტერატურა. როგორც აღმოჩნდა, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ხელოვნებაში საუცხოოდ ერკვევა. გარდა ამისა, ძალიან უყვარს პოეზია. ზოგიერთი ლექსი დღემდე ზეპირად ახსოვს. სხვათა შორის, ჟურნალ „გზის“ აქტიური მკითხველიც ყოფილა. ფიქრობს, რომ „ერუდიტი“ საინტერესო რუბრიკაა და მასში მონაწილეობაზე განათლებული ადამიანი უარს არ უნდა ამბობდეს.

„ხომ არ შევრცხვი?“ –იკითხა გენერალმა „დაკითხვის“ დამთავრებისთანავე...

ხათუნა ბახტურიძე

პრეამბულის მაგიერ

— ბატონო რომან, ამჟამად რა წიგნს კითხულობთ?

— ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლებს“. ადრეც მქონდა წაკითხული, მაგრამ კიდევ ერთხელ მომინდა ჩვენს ისტორიულ წარსულში დაბრუნება.

— დღევანდელ ისტორიულ ვითარებაზე რას ფიქრობთ?

— ვფიქრობ, რომ მოსახდენი უნდა მომხდარიყო. მოლაპარაკებები წლების განმავლობაში მიმდინარეობდა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. რუსები, ოსები და აფხაზები აბუჩად გვიგდებდნენ. ჩემთვის, როგორც ქართველისათვის, ძნელი ასატანი იყო ეს ყველაფერი. ბოლმა მახრჩობს, როდესაც ზოგიერთი „ჭკუის კოლოფი“ ომის დაწყებაში გვადანაშაულებს. ჩვენ საკუთარ ტერიტორიაზე სპეცოპერაციას ვატარებდით, რუსეთი კი მუხანათურად დაგვესხა თავს. სხვის საქმეში „არამკითხე მოამბესავით“ ჩაერია.

— თქვენი შვილი თუ იბრძოდა ცხინვალში?

— აბა, რა! ომის დაწყების დღიდან ბოლო წუთამდე ცხელი წერტილიდან არ გამოსულა. ჩემი შვილი შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობს და თავის მეგობრებთან ერთად ვაუკაცურად იბრძოლა.

— ოჯახში ამის გამო არ ღელავდით?

— რა თქმა უნდა, ვღელავდი, მაგრამ ისიც გააზრებული მქონდა, რომ ჩემს ქვეყანას ბარბაროსები დაესხნენ თავს და ჩემი შვილი ვალდებული იყო, მათ წინააღმდეგ ებრძოლა. თუ ქვეყანას დასჭირდება, ჩემი შვილიშვილებიც იბრძოლებენ. ერთი 18 წლის არის, მეორე — 19-ის. ისინი საქართველოს მომავალი ჯარისკაცები არიან.

— ახლა ჩვენს კითხვარზე გადავიდეთ. „რუსეთში არ არიან კარგი გენერლები, ერთადერთი გამონაკლისი — ბაგრატიონია“ — ეს სიტყვები მსოფლიოში სახელგანთქმულმა ფრანგმა სარდალმა ბოროდინოს ბრძოლის წინ თქვა. ვინ შეიძლება ყოფილიყო ეს პიროვნება?

— როგორც მახსოვს, ბაგრატიონი ნაპოლეონმა შეაქო.

— სწორად გახსოვთ. რა სიტყვები წერია საქართველოს გერბზე?

— „ძალა ერთობაშია“.

— ვინ იყო მიხა ხელაშვილი?

— ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის წევრი და ძალიან კარგი პოეტი. „ლექსო, ამოგთქომ, ოხერო“ — ბევრს ხალხური ლექსი ჰგონია, არადა, მისი დაწერილია. რუსების დაკვეთით მოკლეს.

— რამდენი წლის გარდაიცვალა ალექსანდრე მაკედონელი?

— ძალიან ახალგაზრდა რომ გარდაიცვალა, ვიცი, მაგრამ ზუსტად რამდენი წლის იყო, აღარ მახსოვს.

— ალექსანდრე მაკედონელი 33 წლის ასაკში გარდაიცვალა.

— პასუხი არ ჩამეთვალა?

— ჩაგეთვალათ, ბატონო რომან, მე უბრალოდ დაგიზუსტეთ. პირველად რომელ წელს გამოჩნდა ბაზარზე მობილური ტელეფონი?

— საქართველოს ბაზარზე 1995 წელს შემოვიდა.

— მობილური ტელეფონი პირველად 1993 წელს, ამერიკის ბაზარზე გამოჩნდა. რას ნიშნავს ქართულად ლათინური სიტყვა „ადმინისტრაცია“?

— მართვას.

— „არავინ ისე მამაცურად არ იბრძვის სხვის ომში, როგორც სულელი“. ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?

— კონსტანტინე გამსახურდიას.

— ერთხელ ალექსანდრე ორბელიანმა ასეთი რამ მოჰყვა: „ერთი თოთხმეტი წლის ყმაწვილი დაიჭირეს რუსებმა; ვითარცა მამულის მოღალატეს, თავი გადაჰპარსეს და ციხეში დააპყრობილეს. მერე რუსეთში გაგზავნეს და მამის ხათრით პეტერბურგში კარგ სასწავლებელში მიიღეს. ბოლოს ის გენერალიც შეიქმნა, მაგრამ კიდევ საქართველოს შეთქმაში გაერია, რუსების გარეკვისათვის საქართველოდან და მეორედ ამისათვის აჩვენეს ვრცელი რუსეთი“. ვის ამბავს ჰყვებოდა ორბელიანი?

— ქართველი იყო?

— დიახ, ქართველი იყო. მინიშნებისათვის გეტყვით, რომ ის რუსეთში საქართველოს დესპანის შვილი გახლდათ, მონაწილეობდა 1932 წლის შეთქმულებაში.

— ალექსანდრე ჭავჭავაძე?

— დიახ, ალექსანდრე ჭავჭავაძე. რა ეწოდება ორგანოს, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას, სახელმწიფოს კანონით დადგენილი წესით?

— სასამართლო.

— საფრანგეთის მეფის ბრძანებით, ერთ ღამეში რამდენიმე ათასი ჰუგენოტი გაჟლიტეს. რა სახელწოდებით შევიდა ეს ღამე ისტორიაში?

— „სისხლიანი ღამის“.

— არა, ბატონო რომან, ეს „ბართლომეს ღამე“ იყო.

— აუჰ, ვიცოდი.

— ვინ იყო „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორი?

— დანტე ალიგიერი.

— დაასრულეთ ანდაზა: „წყალნი წავლენ და წამოვლენ...“

— „...ქვიშანი დარჩებიანო“.

— შუშანიკის გვარი თუ გახსოვთ?

— შუშანიკი სომეხი გახლდათ, გვარი არ მახსოვს.

— მამიკონიანი. რომელია მსოფლიოში ყველაზე წყალუხვი და გრძელი მდინარე?

— ენისეი?

— არა, ამაზონი. ვისი რედაქტორობით გამოდიოდა გაზეთი „დროება“ და ჟურნალი „ივერია“?

— ილია ჭავჭავაძის.

— რა გვარის წარმომადგენლები იყვნენ არგვეთის ერისთავები, არაბების წინააღმდეგ მებრძოლი ძმები — დავითი და კონსტანტინე?

— მხეიძეები.

— ვინ არის ფილმის — „ნათლია“ რეჟისორი?

— აღარ მახსოვს.

— ფრენსის ფორდ კოპოლა. სადაური არაყია ჯინი?

— ამერიკული არ იქნება. მექსიკურია?

— არა.

— ინგლისური?

— დიახ, ინგლისური. რას უწოდებენ ირანის პარლამენტს?

— არ ვიცი, რას უწოდებენ?

— მეჯლისს. „მე არც მენშევიკების გენერალი ვარ და არც ბოლშევიკების, მე საქართველოს გენერალი ვარ“. ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?

— გენერალ მაზნიაშვილს.

— ვინ არის „მძიმე ჯვრის“ ავტორი?

— რევაზ ჯაფარიძე.

— რომელ ქვეყანაში გამოიგონეს ზომბირების მეთოდი?

— ამერიკაში?

— არა, აფრიკელი შამანების გამოგონებაა. ის ავსტრიელი კომპოზიტორი იყო. 5 წლის ასაკში უკვე მუსიკალურ ნაწარმოებებს თხზავდა. შექმნა 626 მუსიკალური ნაწარმოები, აქედან 17 ოპერა იყო. გარდაიცვალა 37 წლის ასაკში.

— მოცარტი ხომ არა?

— დიახ, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი. რა ერქვა პლატონ სამანიშვილის მამას?

— ბეკინა.

— ვისი ლექსია „მთაწმინდის მთვარე“?

— გალაკტიონის.

— ვინ ასრულებს მარიტას როლს ფილმში „ნატვრის ხე“?

— ლიკა ქავჟარაძე.

— რომელ ქვეყნებში იკრძალება კანონით, თამბაქოს მოწევა?

— ნორვეგიასა და ირლანდიაში.

— 1882 წელს რუსულ პრესაში ასეთი რამ დაიწერა: „ქართველებმა თავი დაანებეთ რაღაც წარსულზე ბოდვას, ხოლო თქვენი დროშა გირჩევნიათ, ცირკს მიჰყიდოთ“. ვინ იყო ამ სიტყვების ავტორი?

— ინტრიგანი იყო ვიღაცა.

— ამ ინტრიგანის გვარი ხომ არ გახსოვთ?

— (*იცინის*) არა, განა არ მახსოვს, არ ვიცი — ვინ ჯანდაბა იყო.

— ის „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ რედაქტორი და რუსული პრესის ცნობილი ავტორი — კატკოვი იყო. ვისი ლექსიდან არის ეს სტროფი:

„შვილებს ომში აგზავნიდნენ წარბეშკრული დედები,
აგზავნიდნენ, აბარებდნენ დედურ დაიმედებით,
თუ ისარი ზურგში მოგხვდეთ, არ დაიჭრათ მკერდები,
ხელმეორედ ნუ გენახოთ საქართველოს ედემი“?

— ლადო ასათიანის.

— ეს ქალბატონი 1542-87 წლებში შოტლანდიის დედოფალი იყო. იმის გამო, რომ ინგლისის ტახტზე პრეტენზია განაცხადა, დედოფალმა ელისაბედმა 19 წელიწადი ტყვეობაში ამყოფა, შემდეგ კი თავი მოჰკვეთა. მის ცხოვრებაზე შილერმა — დრამა, ცვაიგმა კი ბიოგრაფიული რომანი დაწერა.

— არ მახსოვს.

— ეს ქალბატონი მარიამ სტიუარტი გახლდათ. რა ერქვა საფრანგეთის მეფეთა რეზიდენციას, რომელიც დიდი რევოლუციის შემდეგ, სახელგანთქმულ ხელოვნების მუზეუმად გადაიქცა.

— ვერსალი? არა, არა, ეს ლუვრია.

— ამ არსებას ფილოსოფოსები სიბრძნის სიმბოლოდ მიიჩნევდნენ, მართლმადიდებელი ქრისტიანები — წყეულს ან უხსენებელს უწოდებენ, ზოოლოგები კი ცხოველთა სამყაროში ყველაზე გულღრძოებად მიიჩნევენ.

— გველი.

— რას უწოდებენ მოვლენას, რომლის დროსაც, მთავრობა კარგავს უმრავლესობის მხარდაჭერას პარლამენტში?

— სამთავრობო კრიზისს.

— ვის მისწერა ეს სიტყვები აკაკი წერეთელმა:

„ენას გიწუნებ, ფშაველო, მგოსანო მაღალ მთისაო.
თუმც კი გვითესავ მარგალიტს, მკითხველიც ამას მკისაო“?

— ვაჟა-ფშაველას. ეგ ზეპირად ვიცი. იმასაც გეტყვით, ვაჟამ რა უპასუხა:

„ბევრი ვიფიქრე ძალიან, თუ რა პასუხი გამეცა,
შენთვის, მხცოვანო პოეტო, დღეცა ვფიქრობდი, ღამეცა“.

— რა პროფესიის იყო შერლოკ ჰოლმსის თანაშემწე უოტსონი?

— ექიმი.

— რად გადაიქცა უგუნური თაგუნა, როდესაც თაგვობა იუკადრისა?

— კატად?

— არა, ბატონო რომან.

— აბა? აა, ვიცი, ვიცი — ღამურად.

— რა ჰქვია გზას, რომელზეც ციური სხეულები მოძრაობენ?

— ორბიტა.

— რა ერქვა დონ-კიხოტის სახლთუხუცესს?

— არ მახსოვს.

— სანჩო პანსა.

— აუჰ, ეგ როგორ არ მახსოვდა?!

— ის თუ გახსოვთ, რა თანამდებობა ეკავა ერკიულ პუაროს, აგატა კრისტის დეტექტიურ მოთხრობაში?

— სამძებრო აგენტის.

— მართალი ბრძანდებით.

— როგორ შემაფასებთ? ხომ არ შევრცხვი?

— არა, ბატონო რომან. მართალია, ზოგიერთი მარტივი რამ არ გახსოვდათ, მაგრამ რთულ კითხვებს შესანიშნავად გაარკვევთ თავი.

■

ერუდიტი +

შარიათი — *მუსლიმანური სამართალი, რომელსაც ზოგიერთ სახელწიფოში (მაგალითად, ირანში, პაკისტანსა და საუდის არაბეთში) აქვს უფრო მეტი იურიდიული ძალა, ვიდრე კანონს და თვით კონსტიტუციასაც კი.*

ფოლკეინგი — *დანიის ერთპალატიანი პარლამენტის სახელწოდება.*

პერი — *დიდი ბრიტანეთის არისტოკრატიული წოდება, რომელიც იძლევა პარლამენტის ზედა პალატის (ლორდთა პალატის) წევრობის უფლებას.*

პეტიცია — *წერილობითი სახით, კოლექტიური თხოვნის შეტანა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში.*

კონფედერაცია — *სახელწიფოთა გაერთიანების ფორმა, რომლის დროსაც, მასში შემავალი სახელმწიფოები ინარჩუნებენ თავიანთ სუვერენიტეტს სრული მოცულობით.*

დასეროზეულებული მოზარდები და მოლიმარი სახელების დეფისიტი

„ბევრი ბავშვი სკოლაში მატერიალური სიღუხჭირის გამო ვერ მიდის“...

ლიკა ქაჯაია

სასწავლო პროცესის დაწყებამ ბევრი გაახარა, ბევრს კი სევდით აუვსო გული. 15 სექტემბერს, საკლასო ოთახის კარს ვერ შეაღებენ ის მოზარდები, რომლებიც ომმა თავიანთ კერას მოსწყვიტა. სამაგიეროდ, შეუძლიათ დაესწრონ იმ გაკვეთილებს, რომლებიც მათ თანატოლებს მათსავე თავშესაფარში ჩაუტარდებათ. ამ ამბავს ეწ. ლტოლვილ ბავშვებთან ერთად, ისინიც განიცდიან, ვისაც მათთვის თვალებში ჩახედვა მოუწევს. დევნილ მოზარდებს სასწავლო პროცესის დაწყება კიდევ ერთხელ დაასევდიანებს, რადგან მათ ამ დროისთვის წინასწარ მომზადებული ახალი ტანსაცმელი და სასწავლო ნივთები სახლებში დატოვეს და უკან დაბრუნებულებს ეს ყველაფერი ალბათ არც დახვდებათ. მათ მშობლებს კი ჯერჯერობით, ყველაფრის თავიდან შეძენის საშუალება ნამდვილად აღარ ექნებათ.



მარიკო, *15 წლის:*

— სასწავლო პროცესის დაწყება სულაც არ მახარებს. წელს ნორმალურად ვერც დავისვენე და ვერც ის დავალებები შევასრულე, რომლებიც მასწავლებელმა მოგვცა. საერთოდაც, ვფიქრობ, სწავლა კიდევ უნდა გადაედოთ და როცა ლტოლვილებს სახლებში დააბრუნებდნენ, სკოლაში ჩვენც ხალისით წავიდოდით.

— **რატომლაც მგონია, რომ სწავლა გეზარება და ამიტომ იმიზეზებ რაღაცებს...**

— ახლა, ფრიადოსანი ნამდვილად არ ვარ და თავი ტვინით არ მისკდება, მაგრამ არც მთლად წყალწაღებული გახლავართ. არა, სასწავლო წლის მოახლოება ყოველთვის მახარებდა, რადგან ამ დროისთვის ჩემებს ბაზრობაზე მივყავარ და ახალ „ზმანებს“ ვყიდულობთ. თან, კლასელებთან შეხვედრა მახარებს, მით უმეტეს, რომ ერთერთ მათგანს ვეპრანჭები, თავს ვაწონებ. მაგრამ წელს ამ ყველაფერს გემოს ვერ გავუგებ.

— **რატომ?**

— იმიტომ, რომ ახლა სხვა რაღაცებზე ვფიქრობ. მშობლები ჩემზე ამბობენ, — ამ ომმა მარიკო დაასერიოზულა, თითქოს რამდენიმე წელი ერთბაშად მოემატაო. მართლა ასეა.

— **ახლა რაზე ან ვისზე ფიქრობ?**

— ჩემს თანატოლებზე, რომლებსაც ომმა ყველაფრის ხალისი დააკარგვინა. 15 სექტემბრისთვის რომ მოვმზადებულიყავი, მამიკომ 300 ლარი მაჩუქა. მე კი ავდექი და ამ თანხის ნახევარი ლტოლვილ ბავშვებს დავახარჯე.

— **რას გულისხმობ?**

— მათთვის რაღაცები ვიყიდე. ამაზე არც უნდა ვლაპარაკობდე, მაგრამ ასე იყო და რა ვქნა?! მე სკოლაში ძველი „ზმანებით“ წავალ და იმედი მაქვს, ამის გამო არავინ დამიწუნებს. ომამდე მხოლოდ საკუთარ თავზე ვფიქრობდი. ახლა კი მივხვდი, რომ ბედნიერება მარტო „ჭინჭებსა“ და გართობაში არ არის. ბედნიერი მაშინ ხარ, როცა შენ ირგვლივ ბევრ მოღიმარ სახეს ხედავ. ამის დეფიციტს კი ნამდვილად განვიცდით.

— **რას ეტყვი შენს იმ თანატოლებს, რომლებსაც სასწავლო წლის დაწყება მხოლოდ სევდას მოჰგვრის?**

— ბავშვებო, გამაგრდით! მერწმუნეთ, თქვენ აუცილებლად დაბრუნდებით სახლებში და მტრის ჯინაზე, ცხოვრებას ისე აიწყობთ, რომ ისინი სიმწრისგან თითებს დაიკვნეტენ. იმედი არ დაკარგოთ და ყველაფერი კარგად იქნება. უფალი შეგვეწიოს! ჰო, მერწმუნეთ, მეც ისევე მტკივა გული, როგორც თქვენ და ძალიან მინდა, 15 სექტემბერს სკოლაში მისულს, იქ აღარ დამხვდეთ — ღმერთმა ქნას, ამ დროისთვის სახლებში დაგაბრუნონ.

ილია, *14 წლის:*

— რა ვიცი, მგონი, სასწავლო წლის დაწყება კარგი პონტია. ახლა დაიწყება „დაზაგრული“ გოგონების „დაკერვა“, სკოლის ეზოში რაღაცების ჩალიჩი, მშობლების გაბრაზება და ა.შ. კარგია, ცოტათი გავერთობი მაინც.

— **არდადეგების პერიოდში გართობა ვერ მოასწარი?**

— რა უნდა მომესწრო ომის დროს?! ცხინვალში არეულობა რომ დაიწყო, სახლში იმ დღის ჩასული ვიყავი და მშობლებმა სასწრაფოდ თბილისში წამომიყვანეს. რაც მე ჩვენს მტრებს ვაგინეეე...

— **სკოლაში გასართობად დადიხარ?**

— აბა, რისთვის უნდა ვიარო (*იცინის*)?.. არა, რაღაცრაღაცებსაც ვსწავლობ.

— **რაღაცებში რას გულისხმობ?**

— ბავშვებთან ურთიერთობას, უფროსებისთვის ახალ-ახალი მახეების დაგებას, ზოგჯერ წიგნებსაც ვკითხულობ.

— **ბოლოს რა წაიკითხე?**

— წიგნების კითხვაში მხატვრულ ლიტერატურას ვგულისხმობ. ბოლოს კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ კიდევ ერთხელ წავიკითხე. ახლა კი გაგიკვირდება და, „დათა თუთაშხიამ“ გამიტაცა.

— **შენს თანატოლებზე ამბობენ, — წიგნებს იშვიათად კითხულობენო...**

— მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში კარგ მოსწავლედ ნამდვილად არ მიმიჩნევენ, ეს მე არ მეხება. სახლში კომპიუტერიც მაქვს, მაგრამ წიგნის კითხვას მართლაც, სულ სხვა მუღამი აქვს.

— **ილია, სკოლაში ლტოლვილები დაგხვდებიან...**

— არა. ისინი ჩვენი სკოლიდან საცხოვრებლად, სხვაგან გადაიყვანეს.

საცოდავები, როგორ დაიტანჯნენ, იცი?.. ამ ხელისუფლების გამკვირვებია: ხალხს ერთი ადგილიდან მეორეში რომ ასახლებს, თუ თავისუფალი შენობები გვქონდა, სკოლებში რატომ შეასახლეს?!. დევნილი ბავშვები ძალიან მეცოდებიან. მათ ზოგჯერ საჭმელიც არა აქვთ, მე კი საჭმელს ნაგვის ურნაში ვყრიდი. საშინელებაა ომი. იცი, ჩემი მამიდაშვილი ცხინვალში იბრძოდა. მართალია, ცოცხალი და უვნებელი დაბრუნდა, მაგრამ ისეთი შეშინებულია, არა მგონია, მის ნერვებს რამე ეშველოს.

— რას უსურვებდი ბავშვებს, რომლებიც სკოლაში წელს პირველად წავლენ?

— ისწავლონ, ისწავლონ და ისწავლონ! მაგრამ თუ სასკოლო პროგრამა არ მოეწონებათ, კლასგარეშე ლიტერატურა მაინც იკითხონ. კიდევ, არც გართობა დაივიწყონ და ისეთი რაღაცებიც გააკეთონ, რასაც სკოლის დამთავრების შემდეგ ტკბილად მოიგონებენ.

ანი, *7 წლის:*

— მე სკოლაში წასვლა შარშან მინდოდა, მაგრამ დედიკომ მითხრა, — ჯერ პატარა ხარო. პატარა ვარ, მაგრამ 20-მდე დათვლა ვიცი, წერაკითხვაც მასწავლეს და ინგლისური ენაც. დედიკოს უნდოდა, რუსულიც მესწავლა, მაგრამ ახლა გადაიფიქრა.

— რატომ გადაიფიქრა?

— იმიტომ, რომ რუსებმა ქართველები გააბრაზეს, ტყვიები და ბომბები გვესროლეს.

— გიხარია, სკოლაში რომ მიდიხარ?

— აბა, რა! დედიკომ ჩანთა და ახალი ტანსაცმელი მიყიდა. ერთი სული მაქვს, როდის ჩავიცვამ. სკოლაში კარგად უნდა ვისწავლო, მასწავლებლები არ გავაბრაზო. თუ კარგად მოვიქცევი, მამიკო ორთვლიან ველოსიპედს მიყიდის და ზაფხულში ანტალიაში წამიყვანს.

მარი, *17 წლის:*

— წელს მე-12 კლასში მივდივარ. საოცარი შეგრძნებაა. მე-10 კლასში რომ ვიყავი, ერთი სული მქონდა, როდის გავიდოდა კიდევ ერთი წელი, როცა სწავლას დავამთავრებდი და უნივერსიტეტში ჩავაბარებდი, მაგრამ განათლების სამინისტრომ სიურპრიზი მომიმზადა... ახლა ერთი სული მაქვს, როდის მივალ სკოლაში, რათა კლასელები ვნახო. თითოეული მათგანი ძალიან მიყვარს.

— რას ურჩევ მათ, ვინც სკოლაში წელს პირველად მიდიან?

— ბევრი ისწავლონ და ცოტა იცელქონ. მერწმუნეთ, ნასწავლი ადამიანი არსად დაიკარგება, უსწავლელს კი თავად ცხოვრება დაჩაგრავს... ძალიან მეცოდებიან ის ბავშვები, რომლებიც სკოლაში მატერიალური სიდუხჭირის გამო ვერ მიდიან. ასეთი ბავშვები სოფელში მრავლადაა. შარშან რამდენიმე ასეთ მოზარდს დავეხმარეთ და უნდა გენახათ, როგორი ბედნიერები იყვნენ. ზოგს სწავლა უნდა, მაგრამ ამის შესაძლებლობა არ ეძლევა, ხოლო ზოგს წიგნის გადაშლაც ეზარება, მისი მშობლები კი ყველაფერს აკეთებენ, რათა ის სადღაც „შეტენონ“. ეჰ, ზოგჯერ ცხოვრება ძალიან უსამართლოა...

გიო, *13 წლის:*

— სწავლის დაწყება ძალიან მიხარია. ამ ზაფხულს თბილისიდან ვერ გავედით და სულ სახლში ყოფნა საოცრად მომბეზრდა.

— სკოლაში როგორ მოსწავლედ მიგიჩნევენ?

— ფრიადოსანი ვარ, მაგრამ მასწავლებლებს სისხლს მაინც ვუშრობ. მიუხედავად ყველაფრისა, მათ მაინც ვუყვარვარ.

— შენს სკოლაშიც დევნილები არიან შესახლებულნი?

— კი, არიან და სხვათა შორის, ბევრ მათგანთან ვმეგობრობ. კარგი ბავშვები არიან. ერთმა მითხრა, — რა ბედნიერი ხარ, შენს სახლში რომ გძინავს და არ გშიაო. გული მეტკინა და მშობლებს ვთხოვე, ჩემთვის მისი შინ მოყვანის ნება დაერთოთ. ზურა ახლა ჩემთან ცხოვრობს და მასწავლებლებთან შეთანხმებით, სკოლაშიც ჩემთან ერთად ივლის.

— მისი მშობლები სად არიან?

— ჩვენ პატარა, 1-ოთახიანი ბინა გვაქვს და მათაც შინ ვერ მივიყვანდი. ისინი სკოლაში ცხოვრობენ, მაგრამ ზურასთან ხშირად მოდიან. ეს ადამიანები ჩვენთვის ძალიან ძვირფასები არიან.

— მასაც უყვარს წიგნების კითხვა?

— არ უყვარდა, მაგრამ როცა დაინახა, რომ მე რაღაცას ვკითხულობდი, ამის სურვილი მასაც გაუჩნდა. ზურა შემპირდა, — თუ სკოლაში შენთან ერთად სიარულის ნებას დამრთავენ, არ შეგარცხვენო. ვნახოთ, რას იზამს... ძალიან მინდა, დევნილები თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ და მე ზურასთან სტუმრად მივიდე. იმედია, ეს დროც მალე დადგება.

თინეიჯერები გვწერენ

„ამასაც ვადავიწყანთ, რადგან ქლიშეები ვართ“

ბაია:

„ჯერ მავნე მულატკას მესიჯი (რომელიც „გზის“ №35-ში დაიბეჭდა) წავიკითხე, მერე კი — ხალხის რჩევა, და სურვილი გამიჩნდა, თქვენთვის მომეწერა. ხალხო, ყველამ საკუთარ სულში ჩაიხედეთ და სხვა მერე გააკრიტიკეთ. მულატკა, შემეხმიანე და აუცილებლად დაგეხმარები. მე ფსიქოლოგი ვარ“.

ეშმაკუნა:

„გავოგნდი, რას გწერენ ეს ადამიანები?!. ხალხნო, რამ გაგაგიჟათ, კაცს კაცი რომ გიყვარდებათ და ქალს — ქალი?! ჰმ, დემოგრაფიული პრობლემა გვაქვსო. გვექნება, აბა, რა იქნება, როცა კაცები ქალებს აღარ უყურებენ და — პირიქით... თვალები გაახილეთ და საღად იაზროვნეთ. ყურებიდან ყურსასმენები მოიშორეთ, თვალებიდან თმა გადაიწიეთ, ჩამძვრალი შარვლები ზემოთ აიქაჩეთ და მაისურები ჩამოქაჩეთ! თუ თქვენი ოჯახის წევრები ან ახლობლები არ გებრალებიან, ირგვლივ მაინც მიმოიხედეთ. ნახეთ, რამდენი ქართველი ვაჟკაცი დაიღუპა იმისთვის, რომ მე, შენ და ის უსაფრთხოდ ვყოფილიყავით, რომ უკეთესი მომავალი გვქონოდა, თქვენ კი რა დღეში ხართ? ან თვითმკვლელობაზე რომ ფიქრობთ, ჯოჯოხეთის არ გეშინიათ? რა უფლება გაქვთ, ღმერთის მიერ ბოძებული სიცოცხლე უარყოთ?! მიწაზე დაეშვით, თვალებიდან ვარდისფერი სათვალეები მოიძვრეთ და წინააღმდეგობის გადალახვა ისწავლეთ. მინდა მჯეროდეს, რომ ის, რასაც ლიკას სწერთ, თქვენივე ფანტაზიის ნაყოფია და უბრალოდ, ამით ყურადღების მიპყრობას ცდილობთ, მაგრამ ვაი, რომ ეს ყველაფერი სიმართლეა. ღმერთო, დაგვიფარე!“

სოფიო:

„გული მტკივა, რადგან ქართველებმა ძალიან ბევრი ტკივილი და დამცირება გადავიტანეთ. ენის, რწმენისა და მამულისთვის ბრძოლა საუკუნეების მანძილზე გვიწევდა. ჩვენ მშვიდობას და ბედნიერად ცხოვრებას ვიმსახურებთ. მჯერა, ცოტა ხანში იმ ყველაფერს დავიბრუნებთ, რაც დავკარგეთ, მაგრამ კარგი იქნებოდა, ეს ყველაფერი მსხვერპლის გარეშე მომხდარიყო. არა უშავს, ამასაც გადავიტანთ, რადგან ძლიერები ვართ. ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან თავისუფლების ფასი ვიცით! ქართველებო, უფალი გვფარავდეს!“

„ეს ქეიფისას რუსულმა თვითმფრინავებმა გადაგვიფრინეს...“

„რომ ჰყვარებოდი, თავს ასე ადვილად არ დაგანებებდა“

„გზის“ №37 დაიბეჭდა 17 წლის ბიბოს მესიჯი, რომელმაც ტელეფონით გაიცნო ჯარისკაცი (ის ამჟამად კოსოვოში მსახურობს) და შეუყვარდა კიდეც. ბიბო გვწერდა: შეყვარებულს სულ ორჯერ შევხვდი და მეორე შეხვედრისას, უკვე ცოლობა მთხოვაო. ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, გოგონა შეყვარებულს დაშორდა. „ახლა ყველა მე მამტყუნებს და მეუბნება, — დაურეკე და შეურიგდიო. არ ვიცი, რა ვქნა და იქნებ, თქვენ მირჩიოთ რამე“.

N-KUUS:

„ადამიანს ორი ნახვით ვერ გაიცნობ და შესაბამისად, მასთან ოჯახის შექმნა გაგიჭირდება... შეიძლება, ის მართლაც კარგი ბიჭია, მაგრამ სანამ რაიმე ნაბიჯს გადადგამ, კარგად უნდა დაფიქრდე. ბიბო, ოჯახის შექმნისთვის მზად ხარ? წარმატებებს გისურვებ!“

ლელუკა:

„თანაგიგრძნობ. ასაკით ცოტათი დიდი რომ იყო და დიდი ხნის ნაცნობები ყოფილიყავით, გირჩევდი, მისთვის დაგერეკა, მაგრამ ჯერ 17 წლის ხარ და სიყვარულობანას თამაში (თანაც, 2-ჯერ ნანახ ადამიანთან) რატომ გეჩქარება? ჯერ ისწავლე, გაერთე, დრო გაატარე და ამას მერეც მოასწრებ. არ ვიცი, შეიძლება, ის მართლა კარგი ტიპია, მაგრამ ჯარისკაცის პროფესია ისეთია, რომ თითქმის ყოველთვის მის გარეშე ყოფნა მოგიწევს და ლოდინი დაგტანჯავს. დაფიქრდი!“

სიკვდილა:

„აუ, მაგარი ბავშვი ჩანხარ... თუ გიყვარს, დაურეკე, მის მიმართ ელემენტარული ყურადღება გამოიჩინე და მოიკითხე. პირველი ნაბიჯი გადადგი, მაგრამ იცოდე, უარისთვისაც მზად უნდა იყო“.

იკუშკეგი:

„სიყვარული და მით უმეტეს, ქორწინება სახუმარო საქმე ნამდვილად არ არის. ზოგჯერ სიყვარული მოჩვენებითია. დარწმუნებული ვარ, შენ არც არასდროს გყვარებია და არც შეყვარებული გყოლია. უბრალოდ, მამაკაცის სითბო გჭირდება. სიყვარულს ნუ ეძებ, რადგან მას ვერსად მიაგნებ, ის თავად უნდა გეწვიოს. ცხოვრება დიდ სასწაულებს ახდენს და შენს წილ ბედნიერებას აუცილებლად ელირსები. უბრალოდ, დაელოდე“.

ფიფქია:

„თუ ის ბიჭი ისე გიყვარს, უნდა დაურეკო და შეურიგდე, თორემ მერე შეიძლება, ძალიან დაიტანჯო და შენი პასიურობა სანანებელი გაგიხდეს. წარმატებები!“

სალუკა:

„პირველმა შენ რატომ ან რისთვის უნდა დაურეკო? ცოლობა მთხოვაო, — ამბობ. მერწმუნე, ასე ძალიან თუ უყვარხარ, არ შეგეშვება. ყველაფერზე კარგად დაფიქრდი“:

მილანკა:

„თუ გიყვარს, დაურეკე და შეურიგდი, პატიება სთხოვე იმისთვის, რომ გაუფრთხილებლად, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მიატოვე. თუ მის მიმართ არაფერს გრძნობ, ჯობია, თავი არ შეახსენო. იქნებ, მართლა უყვარხარ და გულს კიდევ ერთხელ ნუ ატკენ“.

უცნობი:

„გენაცვალე, რატომ დაშორდი? მსგავს სიტუაციაში მეც ვიყავი და ახლა ყველაფერს ძალიან ვნანობ. როცა იმ დროს ვიხსენებ, ერთად რომ ვიყავით, გული მწყდება. იმ ბიჭს რომ ჰყვარებოდი, თავს ასე ადვილად არ დაგანებებდა. აბა, კარგად და ღმერთი გფარავდეს!“

ლილე:

„გირჩევ, დაურეკო და შეურიგდე. იცი, ჩემი ჯარისკაცი მეც ასე გავიცანი. მერე აღმოჩნდა, რომ ბევრი საერთო ნაცნობი გვყავდა. ჩვენს სიყვარულს ყველა შეხაროდა, მაგრამ ცოლობაზე უარი ვუთხარი და გამებუტა. მართალია, მერე შერიგება მთხოვა, მე კი აღარ შევურიგდი. ის ახლა ომიდან უვნებელი დაბრუნდა და ამის გამო ძალიან ბედნიერი ვარ (მიუხედავად იმისა, რომ ერთად არ ვართ). ბიბო, ჩემი შეცდომა არ გაიმეორო. P.S. ნიკა, მიყვარხარ!!!

უცნობი:

„კარგად დაფიქრდი, ნამდვილად გიყვარს ის ჯარისკაცი თუ უბრალოდ, სხვების ლაპარაკს აჰყევი? არავის მისცე უფლება, თავის ნებაზე გატაროს და კიდევ, ჭორაობის საბაბი არავის მისცე. თუ გიყვარს, დაურეკე და მოიკითხე, თუ არა და, ხალხს მასზე ლაპარაკი აუკრძალე. მათ აუხსენი, რომ ის ბიჭი არ გიყვარს და თქვენს შერიგებას ტყუილად ცდილობენ“.

იკე:

„საერთოდ, ტელეფონით ლაპარაკისას, შედარებით თამამი ხდები. ძალიან გთხოვ, იმ ბიჭზე სერიოზულად აღარ იფიქრო. კაცი, რომელიც უარის მიღებ-ის შემდეგ ბრძოლას ეგრევე წყვეტს, არაფრად ღირს. თუ ნამდვილად უყვარხარ, აუცილებლად დაგირეკავს“.

EKOBOY ქოგულეთიდან:

„არა მგონია, ტელეფონით გაცნობილ ადამიანთან ურთიერთობის აწყობა შეიძლებოდეს. მერწმუნე, ასეთი ურთიერთობა არასდროს ამართლებს. არა მგონია, შეყვარებული იყო. ეს უბრალოდ, გატაცებაა და მალე გაგივლის“.

ეშმაკუნა:

„ის, რომ მას დაშორდი, შენი ბრალი ყოფილა. ე.ი. შეყვარებულს გული ატკინე. ჰოდა, თუ საკუთარ გრძნობებში დარწმუნებული ხარ, პირველი ნაბიჯი შენ უნდა გადადგა და დაურეკო. მაგრამ სანამ ამას გააკეთებ, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონე, რათა გული კიდევ ერთხელ არ ატკინო. წარმატებებს გისურვებ და იმედს ვიტოვებ, რომ სწორ გადაწყვეტილებას მიიღებ. ღმერთი იყოს შენი მფარველი!“

ნათკა, *24 წლის („ომის პატარძალი“):*

„თუ გიყვარს, აუცილებლად უნდა შეურიგდე. იმედია, ის კოსოვოდან მალე ჩამოვა. სხვათა შორის, ჩემი მეუღლე მეც ტელეფონით გავიცანი და 3 თვეა, რაც ბედნიერად ვცხოვრობთ. ქორწილი ზუსტად იმ პერიოდში გვქონდა, როცა საქართველო იბომბებოდა, მაგრამ მისი გადადება შეუძლებელი იყო. შუა ქეიფისას რუსულმა თვითმფრინავებმა გადაგვიფრინეს. აი, ასეთი სევდიანი ქორწილი მქონდა, სადაც სიძე-პატარძლის სადღეგრძელოს ნაცვლად, ჯარისკაცების ხსოვნის სადღეგრძელოები ისმებოდა“.

კახელო-616:

„როცა გიყვარს, დაივიწყე სიამაყე,/ როცა გიყვარს, არასოდეს არ დამალო,/ თუ გინდა, რომ არასოდეს არ ინანო,/ და-უ-რე-კე!!!“

როგინ ჰუდი:

„თუ გიყვარს და გენატრება, აუცილებლად დაურეკე და უთხარი, რომ ძალიან გენატრება. ბედნიერებას ხელს ნუ ჰკრავ“.

დადუ:

„როგორც ვხედავ, თქვენი ურთიერთობა იმიტომ დასრულდა, რომ ერთმანეთი ისე არ გიყვარდათ, როგორც უნდა გყვარებოდათ. ჯობია, მის ზარს დაელოდო. თუ არ შეგეხმიანება, არც შენ შეეხვეწო“.

გრუზინკა:

„თუ მის მიმართ რაიმეს გრძნობ, დაურეკე, ხოლო თუ სინდისი გქენჯნის იმის გამო, რომ კოსოვოში მყოფ ადამიანს გული ატკინე, მასთან დარეკვას რა აზრი აქვს?“

რა ვერ აპატიეს გაორებულმა და შეშინებულმა კაცებმა ქალებს

„ჯერ დაფიქრდით და ლოგინში მერე ჩაგვიგორდით...“

„გზის“ №37-ში დაიბეჭდა უცნობის მესიჯი, რომელიც გვწერდა, რომ არის განათხოვარი ქალი და ავადმყოფი ბავშვის დედა, საკმაოდ კარგი გარეგნობის, წესიერი მანდილოსანი. უცნობი გვიყვებოდა: „მას შემდეგ, რაც ქმარს დავშორდი, ყურადღებას არავის ვაქცევდი, უკარება გახლდით, ზაზამ კი მოსვენება არ მომცა“... წყვილი ერთმანეთს ხვდებოდა, მაგრამ როგორც ქალი ირწმუნება, ისინი საყვარლები არ ყოფილან: „მეუბნებოდა, თუ არ გამომყვები, მოგიტაცებო. გადავწყვიტე, საკუთარი თავისთვის ბედნიერების ერთი შანსი კიდევ მიმეცა, მაგრამ... ზაზამ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, მიმატოვა“.

თ�:

„შენი კარგად მესმის, იმიტომ, რომ მეც არაერთხელ მიმატოვეს და დამამცირეს, მაგრამ იმედს არ ვკარგავ. შენ ბედნიერი ხარ იმით, რომ შვილი გყავს, მე კი ეს ბედნიერებაც არ მეღირსა... მერწმუნე, ზაზას ღმერთი დასჯის“.

თაკო:

„შენი რჩეული — აფერისტია! უცნობო, რასაც შენ ჰყვები, ძალიან ჰგავს, უფრო სწორედ, ყველაფერი ემთხვევა შავგვრემანი ქუთაისელი აფერისტის, ზაზას ტაქტიკას. სამწუხაროდ, ჩვენ ირგვლივ ბევრი ასეთი ადამიანია. გული არ გაიტეხო“.

სიკვდილა:

„ნუ დარდობ და იცოდე, არ გაეკიდო ადამიანს, რომელსაც შენთან ყოფნა არ სურს. აქეთ გეხვეწოს. აბა, შენ იცი!“

ჭრიჭინა:

„მგონი, ცრუგანგაში ატეხე, რადგან ვფიქრობ, რაღაც დროის შემდეგ აუცილებლად გამოჩნდება. თუ არ გამოჩნდა, მადლობა თქვი, რომ მანამ მიგატოვა, ვიდრე თქვენს ურთიერთობას სახელი დაერქმეოდა. გირჩევ, რაც არ უნდა მოხდეს, მეგობრებთან ყოველთვის გულახდილი იყო. მეგობრის მოვალეობაა, გასაჭირის დროს მხარში ამოგიდგეს. ჰო, კიდევ, რადგან განათხოვარი ხარ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შენს წილ ბედნიერებაზე უარი უნდა თქვა. წარმატებებს გისურვებ!“

ეთო:

„ჯობია, მოღალატე ადამიანი დაივიწყო. კარგია, თავისი ნამდვილი სახე თავიდანვე რომ გამოაჩინა და დაგშორდა. ამ ყველაფერზე კი არ უნდა დარდობდე, არამედ პირიქით, უნდა გიხაროდეს, რადგან ბუნებით მოღალატე, ადრე თუ გვიან, მაინც მიგატოვებდა და უარესად გაგამწარებდა. გირჩევ, შვილს მიხედო. P.S. მჩხავანა ბალღო, მე მატყუარები მიყვარს. ასე უფრო სახალისოა“.

ეშმაკუნა:

„ეტყობა, ზაზას არ უყვარდი. ალბათ, მას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა და როცა მიხვდა, არაფერი გამოუვიდოდა, ადგა და შენგან წავიდა. ვფიქრობ, ასეთი ადამიანის გამო ტანჯვა არ ღირს. თავის მოკვლაზე არც იფიქრო, შვილს სჭირდები. ღმერთი იყოს შენი და შენი შვილის მფარველი!“

EKOBOY ძოგულეთიდან:

„დახმარებას ახლა რომ ითხოვ, ამაზე ადრე უნდა გეფიქრა. ზაზა თავს იმიტომ გაცოდებდა, რომ იცოდა, ამით შენს ნდობას მოიპოვებდა და ლოგინშიც იოლად შეგიტყუებდა. როგორც ჩანს, ეს გამოუვიდა კიდეც. ჩვენ, კაცები ასეთ ხრიკებს ხშირად მივმართავთ იმისათვის, რომ ხაფანგში მალე გაგაბათ. ასე რომ, ქალებო, ჯერ კარგად დაფიქრდით და ლოგინში მერე ჩაგვიგორდით“.

იკუგკეზი:

„კაცები სიყვარულს ხშირად გვეფიცებიან, სიცოცხლეს და საკუთარ თავმოყვარეობასაც კი გვწირავენ, მაგრამ საბოლოოდ, მაინც ულირსად გვექცევიან. ამ გაორების მიზეზი კი ისაა, რომ ვერაფრით გვაპატიეს იმ ერთი ნეკნის უქონლობა, რომელიც ჩვენ გამო აკლიათ. სწორედ ამიტომ, ისინი შურისმაძიებელ, ქარაფშუტა ქალებს დაემსგავსნენ და სისულელეებს შიშის გამო სჩადიან. შენი ზაზაც კაცია — გაორებული, ეგოისტი და შეშინებული. კაცების გამო თავის შეწუხება არ ღირს. შვილი გყავს და მას მიხედე. გეტყობა, პატიოსანი, ღირსეული ქალი ხარ და ასეთსავე მამაკაცს იმსახურებ! წარმატებებს გისურვებ!“

ეგიგმა:

„ასე მგონია, შენი და ზაზას ურთიერთობა თავიდანვე განწირული იყო. შენი რჩეულის უკან იდგა სამეგობრო, ოჯახი, საზოგადოებრივი აზრი და ყოველივე ამის გათვალისწინებით, მან საკუთარ გრძნობებს მკაცრი „ემბარგო“ დაადო. სასოწარკვეთას ნუ მიეცემი. ზაზაზე მეტად, შვილს სჭირდები“.

თაკო:

„პირველ რიგში, გირჩევ, რომ მეგობრებთან უფრო გახსნილი იყო. შეიძლება, ცხოვრებამ და ადამიანებმა ძალიან დაგტანჯეს, მაგრამ მერწმუნე, ამქვეყნად კარგი ადამიანებიც არსებობენ. ცხოვრება გრძელდება“.

უცნობი:

„უცნობო ქალბატონო, შენ ახალი მეგობრები ვერაფერს გიშველიან, კარგი ფსიქოლოგი გჭირდება. ეკლესიაში იარე და უფალს გულით შესთხოვე, რომ ხვალინდელი დღის რწმენა დაგიბრუნოს. შენ შენი პატარისთვის უნდა იცოცხლო!“

სალი:

„ჩემო კარგო, იმედი არ დაკარგო. იცოდე, უფალი შენ გვერდითაა და აუცილებლად დადგება დრო, როცა შენს ცხოვრებაშიც გამოჩნდება ისეთი ადამიანი, რომელიც ცხოვრებისა და ადამიანების მიმართ რწმენას დაგიბრუნებს. რაც შეეხება ზაზას, მან იმიტომ მიგატოვა, რომ მის საყვარლობას არ დათანხმდებოდი. ასეთი კაცი უამრავია — ისინი ჯერ თავს შეგაყვარებენ, ოქროს კოშკებს შეგპირდებიან და თუ იმას არ მიიღებენ, რაც უნდათ, ისე გაქრებიან, თითქოს არც არსებობდნენ... საკუთარ თავს მიხედე და შვილზე იზრუნე. ღმერთი იყოს შენი მფარველი!“ ■

„ჩემზე ლამაზ გოგონას რომ დავინახავ, მრცხვენია“

მარია:

„არ ვიცი, საკუთარ თავს რა მოვუხერხო — სადმე ჩემზე ლამაზ ან უკეთ ჩაცმულ გოგონას რომ დავინახავ, სირცხვილის გრძნობა მეუფლება და მგონია, დამცინებენ. ბავშვებთან ერთად, სასეირნოდ იმიტომ არ დავდივარ, რომ შეიძლება, რაღაც ისეთი გავაკეთო, რის გამოც დამამცირებენ. ამ მიზეზის გამო, სკოლის გარდა არსად დავდივარ. ჩემს უაზრო შიშს ვერაფერს ვუხერხებ და სიმართლეს დაქალებსაც ვუმალავ. ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ. გკოცნით ყველას“.

„ემშინია, რომ შვილი აღარასდროს მეყოლება“

უცნობი, *18 წლის:*

„მე სიყვარულმა ზიანი მომაყენა. იმდენად სუსტი აღმოვჩნდი, რომ სურვილი ვერ მოვთოკე და შეყვარებულთან დავწექი. ფეხმძიმედ დავრჩი. ჩვენ გადავწყვიტეთ, გვექორწინა, მაგრამ მამა გარდამეცვალა და ამაზე როგორღა ვიფიქრებდი?! ამიტომაც, საშინელი შეცდომა დავუშვი და აბორტი გავიკეთე (ჩემი ამბავი ვინმეს რომ არ გაეგო და არ გავეკიცხე)... ახლა ორივეს გვინდა შვილი, მაგრამ ვეღარ დავფეხმძიმდი. მეშინია, რომ შვილი აღარასდროს მეყოლება. ექიმთან დავდივარ, გამოკვლევებს ვიტარებ, მაგრამ ჯერ არ ვიცი, ამას შედეგი ექნება თუ არა. იქნებ, ვინმემ შეძლოს ჩემი დახმარება და ამიტომაც გიმესიჯებთ. წინასწარ გიხდით მადლობას“.

***P.S.* მაშ ასე, თუ მარიასა და უცნობის წერილების წაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.** ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

1. როცა 1990 წელს არაკაცებმა გაგრაში რუსთაველის ძეგლი დაანგრიეს, არც ერთ აფხაზ მწერალს ხმა არ ამოუღია.

2. „რასია ჟივიოტ ვა ვრედ სებე ი ნაზლო დრუგიმ ნაროდამ“, — ამბობდა ფილოსოფოსი ნიკალაი ბერდიაევი.

3. „დუშა უ რუსკიხ ზა სტრანუ ბალიტ ვეჩერომ, ა გალავა — უტრომ“, — ამტკიცებს მიხაილ ზადორნოვი.

4. „ნად რეკოო სტაიტ ტუმან, ნულევაია ვიდიმოსტ, უ პივნოი მუჟიკ ლეჟიტ, რუსკაია ნედვიჟიმოსტ“, — ამბობს ლეონიდ იზმაილოვი.

5. ორმოცდაათიან წლებში ევროპაში ჩასული ზოგიერთი საბჭოთა გენერალი უნიტაზში ფეხებს იბანდა და ზოგიერთი — ხელ-პირსაც, რადგან არ იცოდნენ მისი დანიშნულება.

6. „ვინც საბჭოთა კავშირის დაშლას არ ნანობს, მას გული არა აქვს, ხოლო ვინც მის აღდგენას ცდილობს, მას ტვინი არა აქვს“, — ამბობდა უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა.

7. როდესაც ვერაფრით გაარკვიეს, თურქეთ-საბერძნეთის ომთან დაკავშირებით ჩეხოვის პოზიცია, პირდაპირ ჰკითხეს, ვინ უფრო გიყვართ, თურქები თუ ბერძნებიო? — მე მარმელადი მიყვარსო! — უპასუხა მწერალმა.

8. ჰელსინკიდან გამოფრენილმა მატიას რუსტმა მოსკოვამდე სამოცი მეტრის სიმაღლეზე დაუჯდომლად იფრინა. ვასილევსკის დაღმართს — მისი დაშვების ადგილს — მოსკოველები დღესაც „შერემეტიევო სამს“ ეძახიან.

9. სანამ პეტერბურგში მოხვდებოდა და სამეფო კარს დაუახლოვდებოდა, გრიგოლ ექვთიმეს ძე ნოვიხი ერთ-ერთ სექტაში იყო გაერთიანებული, სადაც აღვირახსნილი ცხოვრების გამო, რასპუტინი დაარქვეს.

10. „ფიცი მქონდა დადებული, არც ერთ რესპუბლიკაში აღარ წავსულიყავი. სამწუხაროდ, ფიცი დავარღვიე. აღარ შემიძლია ვუყურო, რა კარგად ცხოვრობენ რესპუბლიკები. ნუთუ აღარ დადგა დრო, დიდმა რუსმა ერმაც კარგად იცხოვროს?! ამ მიწაში რუსი ჯარისკაცების ძვლები ყრია და კარგად უნდა იცოდნენ, რუსი ჯარისკაცის ძვლები ორჯერ უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე სხვა ეროვნების ჯარისკაცის ძვლები“, — ეს სიტყვა მწერალმა ვიქტორ ასტაფიევმა კიშინიოვში წარმოთქვა. P.S. ეს ის ვიქტორ ასტაფიევია, რომელმაც თავის ყბადაღებულ წერილში — „ლოვლია პესკარეი ვ გრუზიი“ — ქართული ძროხები და ინდაურებიც კი არ დაინდო.

„არგონავტები“ და მწყემსების აღმოჩენილი პივანტური ქართველების ნაკვალევი...

ის პროფესიით ჟურნალისტია, აქვს ყველა ის თვისება, რაც თანამედროვე ჟურნალისტისთვის აუცილებელია. საინტერესო, ზოგჯერ სენსაციური სიუჟეტის მოსამზადებლად უკან არასდროს იხევს. წლების წინ, თავისი ნებით ჩეჩნეთშიც ჩავიდა და თავი სერიოზული რისკის ქვეშ დაიყენა, მაგრამ იქიდან საინტერესო მასალა მაინც ჩამოიტანა. მაშინ სახელმწიფო ტელევიზიის I არხის თანამშრომელი იყო. დღეს ლელა ნინუა არც ერთი ტელეარხის წარმომადგენელი არ არის, დამოუკიდებელი ჟურნალისტია, მაგრამ პროფესიული „ჭია“ ღრღნის და ზაფხულის თვეებში „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემაში მის მიერ მომზადებული ორი სიუჟეტი გავიდა, რადგან ამ მასალით მისი ხელმძღვანელი — ნინო არაზაშვილი დაინტერესდა.

ლალი ფაცია

ლელა ნინუა:

— მოვიპოვე რამდენიმე ექსკლუზიური, საინტერესო ინფორმაცია, რომლითაც დაინტერესდა „რუსთავი 2“ და ეთერში გაუშვა. ისინი უცხოური ტელეკომპანიებითაც გადაიცა.

— შენმა სიუჟეტებმა საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. ახლა მინდა, მკითხველს სიუჟეტის („არგონავტებზე“) იმ დეტალებზე მოვუთხრო, რომლებიც კადრს მიღმა დარჩა.

— ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, ცნობილი გახდა, რომ საბერძნეთში, მოგზაურობიდან 3300 წლის შემდეგ „არგონავტების“ მსგავსი ხომალდი კეთდებოდა (ზუსტად ისეთივე, როგორიც მითოლოგიიდან არის ცნობილი). ხომალდის აგებას საბერძნეთის ქალაქ ვოლოსში („არგონავტების“ ქალაქი) 4 წელი დასჭირდა... ცოტა ხნის წინ, მეც სწორედ იქ გავემგზავრე და იმ ადამიანებზე, რომლებიც ახალი დროის „არგონავტებად“ მოგვევლინნენ, სიუჟეტი მოვამზადე.

ხომალდის კაპიტანი გახლავთ აპოსტოლოს კურტისი, საკმაოდ მკაცრი და შეუვალი პიროვნება. ჩემი იქ ყოფნა მათი ადგილიდან დაძვრას ანუ ნაოსნობის დაწყებას დაემთხვა.

— იქნებ მოგვიყვე იმის შესახებ, თუ რა პირობებში უწევდათ „არგონავტებს“ ცხოვრება, როდესაც ისინი ხომალდს აგებდნენ და ნაოსნობისთვის ემზადებოდნენ?

— იქ, სადაც „არგონავტები“ ცხოვრობდნენ, არის ნაქალაქარი, უამრავი ნასახლარი. ეს ტერიტორია აბსოლუტურად შეუვალია ჟურნალისტებისთვის.

— მაშ, როგორ მოახერხე იქ შელწევა?

— ამაში ქართველი პროფესორი დამეხმარა, რომელიც „არგონავტების“ თემაზე მუშაობს. დიდი ხვეწნა-მუდარა დამჭირდა, რომ იქ შევეშვით. როცა შევაღწიე, კამერით სამუშაოდ მხოლოდ რამდენიმე წუთი გვქონდა. გადავიღეთ ის ქალაქი და სასახლე, სადაც პირველად ბერძნებმა მოტაცებული მედეა მიიყვანეს და ის ადგილი, სადაც „ოქროს საწმისი“ იყო. იქ დღეს არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობს.

— ყველაზე მძაფრი შთაბეჭდილება იქ ყოფნისას შენზე მაინც რამ მოახდინა?

— როგორც ამიხსნეს, ელინურ პერიოდ-

ჩემი იქ ყოფნა მათი ადგილიდან დაძვრას ანუ ნაოსნობის დაწყებას დაემთხვა

„არგონავტების“ ქალაქი

8 საათი მდინარეში ვიარეთ

ღამე ტყეში ცეცხლს ვანთებდით

არის სალოცავის ნაკვალევიც

ში ის ქალაქი კრამიტით იყო გადახურული, რაც ძალიან მაღალი კულტურული დონის მაჩვენებელია. ირგვლივ მიმოფანტულია სხვადასხვაგვარი ნივთი — დოქების, ქოთნების ნამტვრევები, რომლებიც საქართველოდან არის წაღებული. მათთვის ხელის ხლება არ შეიძლება. ვცდილობდი, რაც შეიძლებოდა, მეტი ფოტო გადამეღო. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ირგვლივ ქართული სული ტრიალებდა. განსაკუთრებით ის ადგილი, სადაც „ოქროს საწმისი“ მიიტანეს და მოტაცებული მედეა მიიყვანეს, საოცარ ზემოქმედებას ახდენდა ჩემზე.

— რამდენი კაცისგან შედგება „არგოს“ ეკიპაჟი?

— 50-ისგან და მათ ზუსტად ისეთივე სახელები ჰქვიათ, როგორიც პირველ „არგონავტებს“ ერქვათ. უცნაურია, რომ ხომალდის ნიჩბოსნები ულამაზესი ქალები არიან. ჰყავთ ერთი ქართველიც — დავით ხურაშაული, რომელიც წლებია, საბერძნეთში ცხოვრობს.

— გაიცანი ქართველი „არგონავტი“?

— კი... მას შვილიშვილიც ჰყავს. იგი საკმაოდ ენერგიულად გამოიყურება. დავითმა გაიარა ფიზიკური მომზადება ანუ შესაბამისი ეტაპი, რომ „არგონავტი“ გამხდარიყო. წარმატებით ჩააბარა გამოცდა და მიიღეს.

— ქალებზე რას იტყვი?

— სულ 7-8 ქალია. მესაუბრნენ იმაზე, თუ როგორ კეთდებოდა ხომალდი, რა მოსამზადებელი სამუშაოები უძღოდა მას. თითოეულს საოცრად ამაღლებული განწყობილება ჰქონდა. ხომალდის გამომგზავრების წინ, გრანდიოზული პრეზენტაცია მოეწყო: უკრავდა ორკესტრი, მეუფეები ლოცავდნენ... დიდი ზეიმით აცილებდა ხალხი, სიხარულის ცრემლებს ვერ ფარავდნენ. უხაროდა ყველას, რომ 3300 წლის წინანდელი ისტორია კვლავაც განმეორდა. „არგონავტები“ წამოვიდნენ საქართველოსკენ, მათ ბევრი ქვეყნის გამოვლა მოუწევთ. ვფიქრობ, „არგოს“ არ გაუჭირდება იმ სირთულეების გადალახვა, რაც მოგზაურობისას გაშლილ ზღვაში ელის. იქ საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ჩავწერე, მან ხუმრობით მითხრა: ბევრი ლამაზი ქალია საქართველოში და იქნებ ერთი „მედეა“ მეც შემირჩიოთ, რადგან ახლა თქვენს გასაძარცვავად არ მოვდივართ. „ახალი არგონავტების“ მიზანია, რომ 3300 წლის შემდეგ საბერძნეთის კულტურა ჩაიტანონ იქ, სადაც ჩავლენ. მოხდეს კულტურების ურთიერთგაცვლაო. ისინი უნდა ჩავიდნენ: ვენეციაში, ალბანეთში, თურქეთში, საქართველოში, მათი წინამორბედების ნაკვალევს გაჰყვებიან. ხომალდს არანაირი რკინის დეტალი არა აქვს. მისი ნაწილები ერთმანეთთან სულ თოკებით არის შეკრულ-გადაბმული.

— „არგონავტების“ შემდეგ შენ სამმეტრიანი, გიგანტური ადამიანის ნაკვალევს გაუყევი და საინტერესო სიუჟეტი ამის შესახებაც მოამზადე?

— როგორც კი სიუჟეტი „არგონავტების“ შესახებ ეთერში გავიდა, ქუთაისის პედინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ერეკლე ჯულაყიძე დაგვიკავშირდა და შეგვატყობინა, რომ საქართველოში არის ადგილი, სადაც საოცრება ხდება: ხარაგაულის ტყეპარკში (ნაკრძალი) მწყემსებს გიგანტური, გოლიათი ადამიანის ძვლები უპოვიათ. ჩვენ ვაპირებთ იქ წასვლას და ხომ არ წამოხვიდოდითო? რა თქმა უნდა, დავთანხმდით, რომ ჩვენც მათთან ერთად გოლიათის ნაკვა-

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

11. იარაღის, თანაც — მასობრივი განადგურების იარაღის გამომგონებელს, რომლის გამოყენებასაც, შეიძლება, მთელი ცივილიზაციის კატასტროფა მოჰყვეს, ნობელის პრემიას არ აძლევენ. მაგრამ მოხდა პარადოქსი. რუსეთის წყალბადის ბომბის მამას, ანდრეი სახაროვს, როგორც მშვიდობისა და ადამიანის უფლებათა დაცვისათვის მებრძოლ პიროვნებას, ნობელის პრემია მიანიჭეს. P.S. „საზდავ არუუიე, კატოროე საჟუოტ პლანეტუ, ტაკ ი ნე პაკაიალსა. ტაკაია მალენკაია ხიტროსტ — უმერეტ გეროემ, საერშივ პრესტუპლენიე“, — წერდა მის შესახებ ვიქტორ ასტაფიევი.

12. ივანე მრისხანე ნოვგოროდში ერთი თვის განმავლობაში უსწორდებოდა ლიტვის მეფის, სიგიზმუნდ II-ის მომხრე ბოიარებსა და რიგით მოქალაქეებს. ამ სისხლიანი სამსჯავროს დროს 3 ათასამდე უდანაშაულო ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს. შემდეგ გაირკვა, რომ ხმები ნოვგოროდელი ბოიარების ღალატის შესახებ თავად ლიტვის სამეფო კარის გავრცელებული იყო.

13. „ჩემი განზრახვა, ჩამოვსულიყავი საქართველოში, ზეგარდმო მადლით იყო შთაგონებული. ეს ნაბიჯი ღმერთმა გადამადგმევინა და მხურვალედ ვწირავ მადლობას უფალს: მე ვგრძნობ, საქართველოში უკეთესი გავხდი“, — წერდა ლევ ტოლსტოი.

14. „დამასკოს აქებს, ვით სამოთხეს — ყურანის სურა, აღმოსავლეთის პოეტებიც მას უმღერიან. ჰოი, აშუღნო, ალაჰის წიგნს ნუ იღებთ ყურად, თბილისი ქვეყნად ყველაფერზე მშვენიერია“, — წერდა არაბი პოეტი ნიზკალაჰ-ჰასუნი. P.S. წარმოიდგინეთ, ამას არაბი კაცი ამბობს: „ჰოი, აშუღნო, ალაჰის წიგნს ნუ იღებთ ყურად!“

15. 1979 წლის აღწერით აფხაზეთში საკუთრივ აფხაზები — ანუ აფსუები შეადგენდნენ მოსახლეობის 17,1%-ს; ქართველები — 43,9%-ს; რუსები — 16,4%-ს; სომხები — 15,1%-ს. თავად აფხაზების რაოდენობა ხელოვნურად იყო გაზრდილი, მეგრელთა აფხაზებად ჩაწერის ხარჯზე.

16. „ქართველები კავკასიაში მუდამ პირველები იყვნენ თავიანთი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ბრძოლის სულისკვეთებით... თუ თვალს გადაავლებთ მსოფლიოს მეზობელ ხალხთა ურთიერთობებს, უსათუოდ დამეთანხმებით, რომ ქართველები, როგორც მეზობლები, ქვეყნად ერთ-ერთი საუკეთესონი არიან“, — წერდა უკრაინელი პოეტი ლესია უკრაინკა.

ლევს გავყოლოდით. ადგილი, საითაც წასვლა გადავწყვიტეთ, დიდი ტურისტული ზონა გახლავთ.

— ამ მოგზაურობისთვის, ალბათ გუდა-ნაბადი სპეციალურად აიკარი, არა? როგორც ვიცი, წინ სამდღიანი დამქანცველი გზა გელოდათ...

— სწორედაც, რომ გუდა-ნაბადის აკვრაც ვერ მოვასწარი, ისე სწრაფად წავედით. მთაში პირველად ვიყავი. არადა, იქ წასვლას თავისი წესები და კანონები აქვს. ადგილი, რომლისკენაც ჩვენ დავიძარით, ზღვის დონიდან მაღლა, 2600 მეტრის სიმაღლეზეა. რამდენჯერმე ისე მოხდა, რომ გზაში ცუდად გავხდი, გული წამივიდა, მაგრამ თვითონვე ვასულიერებდი საკუთარ თავს. იქ ქალი, კაცი არ არსებობს, უნდა იყო შინაგანად, მორალურად ძლიერი, ფსიქოლოგიურად მომზადებული, რამაც მიშველა კიდეც. უკან დახევაზე არ მიფიქრია.

— რამდენი ადამიანი იყავით?

— 15. ბატონი ერეკლე ჯულაყიძე იყო ჩვენი მეთაური. მასთან ერთად — უნივერსიტეტის რამდენიმე მაგისტრი, სტუდენტი, არქეოლოგები. სამი დღე ფეხით მივდიოდით. ღამე ტყეში გვეძინა.

— მხეცებისგან თავს როგორ იცავდით?

— წესები რომ ვახსენე, აი, ის უნდა დაიცვა ზუსტად. ტყეში უნდა დაინთოს ცეცხლი, დიდი კოცონი. დათვი კოცონს გაურბის. ამასთან, უნდა დაახრჩოლო გოგირდი, მის სუნზე ქვეწარმავალი იქაურობას არ ეკარება. თან ბევრი საკვები ვერ წავიღეთ, რადგან დაახლოებით 8 საათი მდინარეში უნდა გვევლო, რომელიც ქვებით იყო სავსე. მდინარეს ზემოდან კლდეები გადმოჰყურებს. კლდიდან როდის ჩამოვარდება ლოდი, არ იცი. პატარა ქვები კი მუდმივად ცვივა. იმის გამო, რომ ცხოველები იქვე ახლოს არიან და უამრავი ნადირი დაძრწის, ხმამაღლა უნდა ილაპარაკო. კოცონთან ღამე მორიგეობა გვიხდებოდა, დათვი რომ არ მოგვპარვოდა.

— რას აკეთებდა მორიგეობისას თითოეული თქვენგანი?

— მორიგე რაღაც რკინაზე ურტყამდა და ბოლო ხმაზე ყვიროდა... მერე როგორც კი ავედით დანიშნულების ადგილას, ნისლი ჩამოწვა. იქ ცხენებით მწყემსები დაგვხდნენ — ისინი, რომლებისგანაც ბატონმა ერეკლემ შეიტყო გიგანტური ადამიანის ძვლების შესახებ. მათ იქ წაგვიყვანეს, სადაც დაბანაკებულები იყვნენ და ნახირი ედგათ (სულ 2000 ძროხა). იყო 5-6, კუსტარულად აგებული, ხის პატარა სახლი. მოკლედ, იქაურობას მალე შევეგუეთ... ერთ ღამეს დათვი მაინც შემოიპარა და მწყემსებს ძროხა დაუგლიჯა. სხვათა შორის, აქვე მინდა, მწყემსების გასაჭირზეც აღვნიშნო: ისინი სამ თვეში 1.500 ლარს იღებენ, მაგრამ 500 ლარი უჯდებათ ერთი დაკარგული ძროხა, თუ ვთქვათ, დათვს ან რომელიმე მტაცებელს ვერ გამოჰგლეჯენ პირიდან. არადა, არც ძაღლის ყოლის ან თოფის ტარების უფლება აქვთ.

— მწყემსების სადგომთან არის გიგანტური ადამიანის კვალი?

— მათგან ცოტა მოშორებით, ალპურ ზონაში გვხვდება ფილები, ლოდები, რომელიც ქალაქის შესასვლელის არსებობას ადასტურებს. ამის შესახებ არქეოლოგებმა — გურამ გაბიძაშვილმა და დათო სულხანიშვილმა გვითხრეს, რომლებიც თან გვახლდნენ. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, იქ ლოდებს არავინ აიტანდა.

— ალპურ ზონაში ქალაქი?

— როგორც ამიხსნეს, საუკუნეების მერე ადგილი, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, იცვლება. შესაძლოა, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ დღეს, ოდესღაც ალპურ ზონად იქცეს... მიჯრით



იქ ცხენებით მწყემსები დაგვხდნენ

სამლოცველოს გვერდით არის ერთი გახსნილი სამარხი, სადაც ადამიანის ჩონჩხებია მოთავსებული

მიწყობილი ქვები და ნაქალაქარის ნაშთი, მისი მოხაზულობა იმაზე მეტყველებს, რომ იქ გოლიათი ხალხი ცხოვრობდა. ამასთან არის სალოცავის ნაკვალევიც, რომელიც შუა საუკუნეებით უნდა თარიღდებოდეს. არქეოლოგებმა ადგილზე სერიოზული ზედაპირული დათვალიერება ჩაატარეს, რის შემდეგაც დაადგინეს, რომ საკმაოდ დიდი დასახლება ყოფილა. სამლოცველოს გვერდით არის ერთი გახსნილი სამარხი, სადაც ადამიანის ჩონჩხებია მოთავსებული.

— ნამდვილად ადამიანის ჩონჩხია? ხომ შეიძლება, გიგანტური ცხოველი იყოს?

— კი, ადამიანის ჩონჩხია. ჩვენ ის ჩამოვიტანეთ და აბესალომ ვეკუას ვაჩვენეთ. ის საქართველოს ეროვნული მუზეუმის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, პალეონტოლოგი გახლავთ. მის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

— რა დადგინდა, დასკვნა როგორია?

— გაკეთდა ძვლების იდენტიფიკაცია და აბესალომ ვეკუამ ასეთი რამ ბრძანა: „ამ ძვლების სიგრძეს ზღვარი უდევს. მე მღვიმური დათვის ძვლები მეგონა, მაგრამ გავაკეთე იდენტიფიკაცია და ნამდვილად ადამიანის ძვლებია. არქეოლოგები ამ ადგილით უნდა დაინტერესდნენ. ის მართლაც ადამიანის ძვლებს ეფარდება.“ ის, რომ ადამიანის ძვლებია და მესამე კატეგორიას ეკუთვნის, ამას ადასტურებს თავის ქალის ორი ფრაგმენტიც. ამასთან, ბარძაყისა და წვივის ძვალებიც ესადაგება ერთმანეთს. ის ერთ ადამიანს ეკუთვნის, როგორც ამბობენ, მოზარდს. არის კიდევ სამი თავის ქალის ფრაგმენტი, საიდანაც დგინდება, რომ ორი ინდივიდისაა. როგორც ბატონმა აბესალომმა გვითხრა, მან ჩვეულებრივი ადამიანის თავის ფრაგმენტი შეადარა ჩვენს ჩამოტანილს და საკმაოდ დიდი განსხვავებაა სისქეში. ამის მიხედვითაც შეიძლება იმის თქმა, რომ მართლაც გოლიათები იყვნენ. საინტერესო აღმოჩენა იყო ისიც, რომელზეც რატომღაც მაშინ ნაკლებად გამახვილდა ყურადღება: აღმოჩენილია ძვლები, რომლებიც ქანებშია მოყოლილი. ისინი არ უნდა იყოს ადამიანის. ახლა სწორედ ამის დადგენაზე მიმდინარეობს მუშაობა. ეს ძვლები შესაძლებელია იყოს დინოზავრის. ამ საკითხით აბესალომ ვეკუა სერიოზულად არის დაინტერესებული, რადგანაც საქართველოში, როგორც ირკვევა, მხოლოდ ერთი დინოზავრის ნაწილებია აღმოჩენილი. და თუ ეს მეორეა, სერიოზულ სენსაციასთან გვაქვს საქმე.

— წელან მითხარი, რომ ამ მასალით უცხოური ტელევიზიები დაინტერესდნენ. კერძოდ რომელი?

— ამ სიუჟეტის ეთერში გასვლის შემდეგ არაერთი ადამიანი მირეკავს. კერძოდ, იტალიის ტელევიზია დაინტერესდა. დოკუმენტური ფილმების დირექტორი დამიკავშირდა და მთხოვა, რომ როცა კვლავ წავა მეცნიერთა ჯგუფი იმ მთაზე, მასაც შევეხმიანოთ და წავიყვანოთ.

— ასე რომ, მწყემსებმა მეცნიერები სერიოზულ ნაკვალევზე დააყენეს?

— დიახ. სხვათა შორის, იქ ჩავწერე ერთ-ერთი მწყემსი და შემდგომ მასზეც მოვამზადე პორტრეტული სიუჟეტი. 43 წლის მწყემსს ვესაუბრე, რომელიც პროფესიით ექიმი აღმოჩნდა. თურმე მის ოჯახს უნდოდა, რომ ექიმი გამოსულიყო. გამოვიდა კიდეც, მაგრამ ექიმობა მას ხარაგაულში არ გამოადგა და მწყემსად წავიდა...

— ახლა რა გეგმები გაქვს?

— ახალი, სენსაციური სიუჟეტის მოსამზადებლად ვემზადები... კვლავაც გამგზავრებას ვაპირებ ძალიან საინტერესო ადგილას. არ გავასწრებ მოვლენებს. იქიდან რომ დავბრუნდები, ყველაფერს მერე გიამბობთ.

— წარმატებებს გისურვებ. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

თავის ტკივილი

ალბათ, ძნელად თუ მოიძებნება ადამიანი, ვისაც თავი არ სტკივებია. ზოგს წლების მანძილზე ტკივილი იმდენად აწუხებს, რომ სიცოცხლეს აბეზრებს, ზოგს კი მხოლოდ პერიოდულად შეახსენებს თავს და ისიც — მცირე ხნით.

თავის ტკივილი „დამოუკიდებელი“ სნეულება არ არის, ის მხოლოდ რომელიმე პათოლოგიის სიმპტომია. ცხელებით მიმდინარე დაავადებებს, განსაკუთრებით კი ტიფს, ტვინში ანთებით პროცესებს, დიფტერიასა და სხვ., ხშირად ახლავს თავის ტკივილი. ე.წ ბატონები — ქუნთრუშა, წითელა, წითურა — თითქმის ყოველთვის თავის ტკივილით იწყება. ეს სიმპტომი ზემო სასუნთქი გზების კატარსაც ახლავს. თავის ტკივილი შეიძლება გამოიწვიოს თავის ტვინში სისხლის, როგორც ჭარბმა, ისე მწირმა მიდინებამ, ნერვულმა გადაძაბვამ, გონებრივმა გადაღლამ. მას იწვევს საჭმლის მომნელებელი სისტემის აშლილობანი, სპირტიანი სასმელების ჭარბი გამოყენება, სიცივე, სიცხე და ათასი სხვა რამ. ერთი სიტყვით, თავის ტკივილი ქრონიკულად მიმდინარე მრავალი დაავადების თანმხლებია.

როცა ადამიანი თავის ტკივილით იღვიძებს, ეს ხშირად მისივე დაუდევრობის ბრალია:

- არ შეიძლება ღამე სპირტიანი სასმელების და ყავის მიღება;
- ადამიანმა მსუბუქად უნდა ივახშმოს და თანაც დაძინებამდე რამდენიმე საათით ადრე;
- არ შეიძლება მაგარი სიგარეტის მოწევა;
- თუ ამინდი ხელს გვიწყობს, ფანჯარა მთელი ღამე ღია უნდა დავტოვოთ, მაგრამ უნდა ვერიდოთ ორპირ ქარს;
- არ შეიძლება მოჭერილი ტანსაცმლით დაძინება;
- თავის ტკივილისადმი მიდრეკილები ღამით გონებრივ სამუშაოს უნდა ერიდონ;
- არ შეიძლება დაწოლილ მდგომარეობაში კითხვა. ეს თავის ტკივილის ხშირი მიზეზია;

თავის ტკივილის დასამარცხებლად, პირველ რიგში, მისი მიზეზის დადგენაა საჭირო. მიზეზი კი იმდენად მრავალგვარია, რომ ჩამოთვლაც კი შეუძლებელია. დღეს მხოლოდ რამდენიმე მათგანს შევეხებით.

სისხლნაკლულობით გამოწვეული თავის ტკივილი

სისხლნაკლულობის დროს თავის ტვინს სათანადო რაოდენობით სისხლი არ მიეწოდება, შესაბამისად, ვითარდება ჟანგბადის დეფიციტი, რაც განაპირობებს თავის ყრუ ან მოჭერითი ხასიათის ტკივილს, რომელიც ვრცელდება შუბლზე, საფეთქლებზე და შეიძლება თავის შუა ნაწილიც მოიცვას. მდგომარეობას ამძიმებს დიდხანს ფეხზე დგომა. ასეთი ავადმყოფი არის ფერმკრთალი, მას მსუბუქად ამცივნებს და გამუდმებით უჩივის კიდურების გაცივებას. იგი მიდრეკილია თავბრუს ხვევისა და გულის წასვლისკენ. არცთუ იშვიათად აღენიშნება საკუთარი გულისცემის შეგრძნება, ჰაერის უკმარისობა და მუცელში სიმძიმე. ქალებში ხშირად შეიმჩნევა მენსტრუალური ციკლის დარღვევა.

ასეთმა ავადმყოფმა უნდა მიმართოს შემდეგ ღონისძიებებს:

✔ ყოველ დილით უნდა დაიზილოს ტანი. ზამთარში — თბილი წყლით, ზაფხულში კი — ცივ წყალში დასველებული პირსახოცით.

✔ უნდა იკვებოს ნოყიერი, მაგრამ იოლად გადასამუშავებელი პროდუქტებით. სასარგებლოა რძე, კვერცხი, ბოსტნეული (ჭარხალი, სტაფილო).

✔ სასარგებლოა დღეში ერთი ჭიქა წითელი ღვინო.

✔ ექიმმა სისხლის ანალიზის საშუალებით უნდა დაადგინოს ანემიის სახე და შეურჩიოს ავადმყოფს პრეპარატები.

საჭმლის მომნელებელი სისტემის აშლილობით გამოწვეული თავის ტკივილი

ზოგჯერ თავის ტკივილს საკვებით გადავსებული კუჭი (რაც შეიძლება, გამოწვეული იყოს ჭარბი რაოდენობის საკვების მიღებით ან ქოლეცისტიტის, კოლიტისა ან კუჭ-ნაწლავის სხვა პათოლოგიის გამო კუჭიდან საკვების გადამუშავების შეფერხებით) ან სპირტიანი სასმლის გადაჭარბებული მოხმარება იწვევს. მას თან ახლავს ბოყინი, გულისრევა და ღებინებაც. ავადმყოფი უჩივის ყრუ ტკივილს შუბლის არეში, უშუალოდ წარბების ზევით ან თვალებში.

„სუსტი კუჭის“ მქონე პირებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი რეკომენდაციები:

ერიდონ ძნელად გადასამუშავებელ პროდუქტებსა და სპირტიანი სასმელების მოხმარებას;

უარი თქვან ღამით ბევრი საკვების მიღებაზე;

ჭამონ აუჩქარებლად — ნებისმიერი პროდუქტი კარგად უნდა დაიღეჭოს. ეს ხელს შეუწყობს კუჭში საკვების იოლ მონელებას;

სასარგებლო იქნება, მსუყე საკვების მიღების შემდეგ, ფინჯანი ყავის დაყოლება.

საჭმლის მომნელებელი სისტემის მოშლილობით განპირობებული თავის ტკივილის დროს ეფექტურია თბილი აბაზანის და შემდეგ ცივი შხაპის მიღე-

ბა. კარგია ფეხების ჯერ დათბილვა, შემდეგ კი ცივი წყლის გადავლება.

რევმატიული თავის ტკივილი

ხშირად აღმოცენდება გაცივების დროს. მაშინ, როცა ოფლიან სხეულსა და თავს იშიშვლებენ და გაგრილების მიზნით ინიავებენ. ვინც ადვილად ცივდება, ყურადღებით უნდა იყოს ამინდის ცვალებადობის დროს. ასეთ შემთხვევაში უმეტესწილად აწუხებთ მოჭერითი ხასიათის ტკივილი შუბლის არეში. ამასთან, ავადმყოფს თვალები ცრემლიანი აქვს, ვერ იტანს სინათლეს და ცხვირიდან გამონადენიც აღენიშნება.

ვინც რევმატიულ თავის ტკივილს უჩივის, თავი ნელ-თბილი წყლით უნდა დაიბანოს და უხეში პირსახოცით გაიმშრალოს, ეს შვებას მოჰგვრის.

პოდაგრული თავის ტკივილი

პოდაგრით დაავადებულებს ხშირად აწუხებთ ძლიერი თავის ტკივილი. ასეთი პაციენტები მხოლოდ მცენარეული საკვებით უნდა იკვებებოდნენ და თავი თბილად უნდა შეიხვიონ.

მედიცინის სიახლეები

უცნობი დაავადება ვენესუელელ ინდიელებს ხოცავს

The New York Times-ის ცნობით, ჩრდილო-აღმოსავლეთ ვენესუელაში მცხოვრები, ვარაოს (Warao) ტომის რამდენიმე ათეული ინდიელი დაიღუპა უცნობი დაავადების გამო. აფეთქების ზონაში მყოფი კალიფორნიის უნივერსიტეტის თანამშრომელთა აზრით, ეს საიდუმლო დაავადება სიმპტომებით ძალიან ჰგავს ცოფს.

ამერიკელი ანთროპოლოგის ჩარლზ ბრიგსასა და მისი მეუღლის კლარა მანტინი-ბრიგსას მონაცემებით, უცნობი დაავადებისგან რამდენიმე თვის განმავლობაში გარდაიცვალა 38 ადამიანზე მეტი.

დაავადება ვითარდება 6-7 კვირის განმავლობაში, მიმდინარეობს კრუნჩხვებით, დამბლით, წყლის შიშით და უმრავლეს შემთხვევაში სრულდება სიკვდილით. შესაძლებელია, რომ დაავადების მიზეზს ცოფის ვირუსი წარმოადგენდეს, რომლის გადამტანებიც სამხრეთამერიკული ღამურები არიან. წლის დასაწყისში ამავე რაიონში დაფიქსირდა გარეული ცხოველების მასობრივი დაცემის ფაქტი.

ვენესუელის ხელისუფლება დაავადების შემდგომი გავრცელების თავიდან ასაცილებლად სპეციალური ღონისძიებების გატარებას გეგმავს.

სიახლე! ჩანართი მათთვის, ვისაც სახლში პაპარა ჰყავს

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში



შეაგროვე და აკინძე



ოჯახი

თქვენთვის, ქალბატონებო!

ბედისწერა ქალის არ ემორჩილება

მარინა ბაბუნაშვილი

ადამიანი იბადება თუ არა, ბედ-იღბალი თან დაჰყვება და როგორც უნდა ეცადოს, მას ვერსად დაემალებაო, ნათქვამია. ამ აზრს არ ეთანხმებოდა ქალბატონი ლიანა და ფიქრობდა, რომ ხშირ შემთხვევაში, ადამიანი თავად ქმნიდა საკუთარ ბედს, მაგრამ მოგვიანებით, აზრი შეიცვალა. მასზე ამ სამი წლის წინ დაიწერა „კვირის პალიტრაში“ წერილში — „შვილი ღირსეულ კაცს ჩავაბარე, მაგრამ“... (2005 წლის 24 ოქტომბერი).

ამბავი პირველი

ნარკოტიკში გაცვლილი ბავშვობის სიყვარული

ლიანას ორი ძმა ჰყავდა და ორივეს „პატრონი“ თვითონ იყო. ხშირად მშობლები თვეობით ბებიისა და ლიას იმედად ტოვებდნენ ოჯახსა და ბიჭებს. ისინი გეოლოგები იყვნენ და ხან სად უწევდათ მუშაობა, ხან — სად. ლიანას სკოლის მერხიდან უყვარდა თავისი კლასელი ვახო. ავარა ბიჭი იყო, ყველა მას ემორჩილებოდა. მათ სკოლას ყველა „ვახოს სკოლას“ ეძახდა. ლიას ძმები რომ „მოინახულა“ ბიჭმა და უთხრა, თქვენი და მიყვარსო, მათ ეს ამბავი ძალიან გაუხარდათ. ხუმრობა ხომ არ იყო, მათი და ამისთანა „გავლენიან“ ბიჭს უყვარდა. ამიერიდან მათ სიტყვასაც ფასი დაედებოდა. ამ სიყვარულის კატეგორიული წინააღმდეგი მხოლოდ ლიას დედა აღმოჩნდა. ასე ამბობდა, — ავარა და ქუჩის ბიჭისთვის არ გამიზრდია შვილიო.

მეათე კლასში იყვნენ, როცა ვახო დაიჭირეს. მას ბინის გაქურდვა ედებოდა ბრალად. ლია მწუხარებას მიეცა, დედამისი კი — ზეიმობდა, თუმცა შვილს ამას არ ანახვებდა. ვახოს 4 წელი მიუსაჯეს. დედა ცდილობდა, ვახოს გათავისუფლებამდე „პატრონისთვის“ ჩაებარებინა შვილი. ერთ-ერთ წვეულებაზე წაიყვანა და იქ გააცნო თავისი მეგობრის ვაჟი. ლია პირს არავის უჩვენებდა, დაფიცებული ჰქონდა, რომ ვახოს გარდა სხვას არავის გაჰყვებოდა ცოლად. ერთხელაც, ახალგაცნობილი ვაჟი სადარბაზოსთან დახვდა ლიას და უთხრა: იცი, როგორ გავაბედნიერებთ ჩვენს დედიკოებს ჩვენი შეუღლებითო! გოგო აპილპილდა — დედაჩემი ერთხელ უკვე გაბედნიერდა, ჩემს ბედნიერებაზე კი მე თავად ვიზრუნებო. შინ დაბრუნებულმა მშობლები კატეგორიულად გააფრთხილა, სანამ თქვენ სამსახურით იყავით დაკავებული, მე არც ბებოსთვის, არც ძმებისთვის არ დამიკლია მოვლა-პატრონობა, ახლა კი ჩემს პირად საქმეში ნუ ერევით, მე უნდა გადავწყვიტო, ვინ იქნება ჩემი ქმარი. თუ კიდევ ერთხელ ჩაერევით, წავალ და ვახოს ოჯახში დავჯდები. იქ მშვიდად დაველოდები ჩემს საქმროსო. შვილს კარგად იცნობდნენ და უკან დაიხიეს მშობლებმა. მართლაც, ვახო ციხიდან გამოვიდა თუ არა, ლიას მშობლებს ესტუმრა, მოინანია ძველი „შეცდომა“; დაჰპირდა, მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდებაო და ქალიშვილის ხელი სთხოვა. ლიას უკვე ყველაფერი გადაწყვეტილი ჰქონდა, ამიტომ წინააღმდეგობას და უარს აზრი აღარ ჰქონდა. ლია და ვახო დაქორწინდნენ. მალე გოგონა — მარიამი შეეძინათ. ლია თავს ბედნიერად მიიჩნევდა, მაგრამ მალე გაიგო (ისიც შემთხვევით), რა უბედურებაც სჭირდა...



ლიამ რამდენიმე დღით მშობლებთან ყოფნა გადაწყვიტა. ვახომ მიიყვანა მათთან, თვითონ მანქანიდანაც არ გადასულა, საქმე მოიმიზეზა. ლიას წერილი დახვდა კარში — მშობლები რაიონში წასულიყვნენ. ძმები რომ ბათუმში ისვენებდნენ, მანამდეც იცოდა. ლიამ ცოტა ხანს ბავშვი ასეირნა და შინ იმ დროს დაბრუნდა, როცა მას არავინ ელოდა.

ამონარიდი წერილიდან:

„...6 საათზე შინ დავბრუნდი. გასაღები კარს მოვარგე და შევედი. სამზარეულოდან ხმე-

ბი მომესმა. ვიფიქრე, სტუმრები გვყავს-მეთქი და იქით წავედი. ნარკოტიკების კეთებაში გართულ ჩემს ქმარსა და მის მეგობრებს დავადექი თავზე. „საქმეში“ ისე იყვნენ გართულები, ვერც შემამჩნიეს. თვალთ დამიბნელდა... გონს რომ მოვედი, აღარავინ იყო, ვახოს გარდა“.

როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ამჯერადაც ისე მოხდა. ვახომ პატიება სთხოვა ცოლს და დაჰპირდა, რომ უახლოეს მომავალში ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლებოდა, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხა პირობის შესრულება. ოჯახიდან ნელ-ნელა გაქრა ძვირფასი ნივთები. ლიას ქმართან გაშორება სურდა, მაგრამ ვახომ მოულოდნელად უკრაინაში წასვლა გადაწყვიტა. ცოლს უთხრა, იქ სპეციალური კლინიკაა ჩემნაირებისთვის, ვიმკურნალებ, სამსახურსაც დავიწყებ და იქიდან დაგეხმარებითო. ლიასაც ასე ერჩივნა და დათანხმდა. გავიდა დრო. თითქოს 2 წელიწადში უნდა დაბრუნებულიყო ვახო, მაგრამ ექვსიც გავიდა და შვიდიც, ვახო კი ძველებურად იტყობინებოდა: მანდ რომ ჩამოვიდე, რა გავაკეთო, აქ ხანდახან მაინც ვაკეთებ ფულსო. იმას აღარ ფიქრობდა, რომ შვილსა და ოჯახს ხანდახან კი არა, სისტემატურად ესაჭიროებოდა გამოკვებაც და ზრუნვაც. რომ არა ძმები, ლიას ძალიან გაუჭირდებოდა მარიამის აღზრდა. ასე გავიდა წლები. ის ყოველდღიურად ჩასჩიჩინებდა შვილს, რომ გულს არ აჰყოლოდა და ღირსეულ კაცს გაჰყოლოდა ცოლად. გოგონამაც დაუჯერა... სტუდენტი იყო, როცა ერთ-ერთ წვეულებაზე 14 წლით უფროსი კაცი გაიცნო. ირაკლი

სერიოზული ბიზნესით იყო დაკავებული. მას ძალიან მოეწონა მარი და გადაწყვიტა, ცოლად შეერთო. ისეთ საჩუქრებს უძღვნიდა, რომ მარი აღფრთოვანებას ვერ ფარავდა. უზარმაზარი ქორწილი გადაიხადეს. ლიამ წინდაწინ შეატყობინა ქმარს, — ჩამოდი, მარის ძალიან კარგ კაცზე ვათხოვებ, სიძე ხომ უნდა გაიცნო, შვილის ქორწილში როგორ არ უნდა იყოო, მაგრამ ვახომ უარი თქვა — მერე უკან დაბრუნება გამიჭირდებაო, ჩემს შვილს კი ბედნიერებას ვუსურვებო.

მარიმ ქალ-ვაჟი გააჩინა. ირაკლიმ მომვლელი ქალი დაუქირავა ცოლს. სიდედრიც ეხმარებოდა. თავად მას ხშირად უწევდა რუსეთში და ევროპაში გამგზავრება და მარიც თან მიჰყავდა ხოლმე. ერთი სიტყვით, ლია შვილის ბედნიერებით ტკბებოდა. ბოლო ხანებში მარი ქმართან ერთად გამგზავრებაზე ფეხს ითრევდა, ათას რამეს იმიზეზებდა. ლია დაეჭვდა. შვილი კი ისეთ რამეში გამოუტყდა, ქალს თავზარი დაეცა.

ამბავი მეორე

სხვა კაცზე გათხოვილი უმაღური ცოლი

ლია:

— როცა ჩემმა შვილმა მითხრა, ქონება და ავლადიდება არ ყოფილა მთავარი, შევცდი, რომ დაგიჯერე და სიყვარულს ფუფუნება ვანაცვალეო, კინაღამ გული გამისკდა. მარიამს კარგი აღნაგობა ჰქონდა, 5 წლიდან ჯერ ბალეტზე, მერე კი ქართულ ცეკვებზე დავატარებდი. სწორედ მაშინ გაიცნო და დაუახლოვდა ნიკას. ბიჭს იგი უსაზღვროდ შეჰყვარებია. მარი კი ჩემი ჩიჩინითა და რჩევით, ძალიან თავშეკავებულად იქცეოდა. აღმოჩნდა, რომ მასაც უყვარდა ნიკა, მაგრამ ირაკლის გამოჩენის შემდეგ, უარი უთხრა ბიჭს. მარი გათხოვდა, ნიკამ ორი წლის შემდეგ მოიყვანა ცოლი. ახლა კი ერთიცა და მეორეც ოჯახების დანგრევას აპირებდნენ. ჩემი შვილისთვის არასოდეს მიკადრებია უკადრებელი, მაგრამ ახლა ვაღიარებ, რომ ისე გავმწარდი, ზღვარს გადავედი, რა აღარ ვუწოდე. მართლა გულწრფელად მიკვირდა, ისე როგორ უყვარდა ნიკა, რომ ამისთანა კაცს შორდებოდა. — ნუთუ, არ გრცხვენია, რომ იმ ვიღაცა ნიკას ქმარ-შვილზე, დედაზე წინ აყენებ-მეთქი? — ვეკითხებოდი გაოგნებული. იცით, რა მიპასუხა? — ჯერ ერთი, მივხვდი, რომ ნიკა ჩემთვის „ვიღაცა“ არ არის და მეორეც, წინ და უკან დაყენება რა სალაპარაკოა, ყველას თავისი ადგილი აქვსო.

— როგორც ვიცი, ძალიან მტკივნეულად გადაიტანეთ ირაკლის და მარის დაშორება.

— აბა, რა მომივიდოდა?! ირაკლი მეც და ყველა ნათესავს დიდ პატივს გვცემდა, ცოლ-შვილს ხომ ხელისგულზე ატარებდა. ამისთანა კაცის უარყოფა უსინდისობა იყო და ძალიან განვიცდიდი, რომ ჩემი შვილი ასეთი უსინდისო აღმოჩნდა. ვახო რომ გარდაიცვალა, კიევში ჩავიდა და გადმოასვენა. ჩვენს პატივსაცემად რას აღარ აკეთებდა. ერთი სიკვდილი გავათავე, როცა მარი ქმართან სალაპარაკოდ წავიდა და თავისი გადაწყვეტილების შესახებ ამცნო.

— ალბათ, ირაკლისაც გაუჭირდებოდა ამ ყველაფერთან შეგუება?

— რა თქმა უნდა, გაუჭირდა, მაგრამ საოცრად გაწონასწორებული პიროვნებაა და იმ დღესვე შეთანხმდნენ ბევრ რამეზე. ირაკლიმ მოისურვა, რომ შვილები მასთან დარჩენილიყვნენ. მარი კი, როცა მოისურვებდა, მაშინ ინახულებდა მათ. ზაფხულის პერიოდშიც უფლებას აძლევდა, ერთი თვე თავისთან ჰყოლოდა. ამაზე ხომ მთლად გავგიჟდი, მარის დავეტაკე — რამ გადაგრია, ვინ მოგნუსხა ასე, რომ შვილებს შეელიე-მეთქი?! მშვიდად მომიგო — ვიცი, რომ ჩემს შვილებს მამასთან არაფერი გაუჭირდებათ, მონუსხვით კი (როგორც შენ ამას ეძახი) ნიკამ „მომნუსხა“ და მასთან ცხოვრება მინდაო.

— ნიკა არ მოგწონთ?

— მე ვინ რას მკითხავს. არ ჩანს ცუდი ბიჭი, მაგრამ ხშირი ურთიერთობა არ მაქვს. ნიკამაც დაანგრია ოჯახი. მიკვირს, სხვისი გულის ტკენის ხარჯზე როგორ არიან ბედნიერები?! მაგრამ არიან! მარიმ გოგონა გაჩინა, ახლა ის 2 წლისაა და მის უფროს და-ძმას სიგიჟემდე უყვარს პატარა დაიკო.

უცნაურია ეს ცხოვრება. აქამდე მეგონა, ადამიანი თავად ჰქმნიდა თავის ბედ-იღბალს, უარვყოფდი იმ აზრს, რომ „რაც გიწერია, იმას ვერ ასცდები“... თურმე, მართალი ყოფილა. ეტყობა, ბავშობიდანვე მარი და ნიკა ერთმანეთის ბედი ყოფილან.

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61 ან ელ-ფოსტით: mbabunashvili@posta.ge

ვოლთერი უნიკალური სიყვარული



სამგზავრო ეტლმა მდინარე ლანზე ხიდი გადაიარა და ფოსტის სადგურში, ცაცხვის ქვეშ გაჩერდა. იოჰანი ხიდზე შედგა. ქალაქი, რომელშიც ის ჩავიდა, ლამაზ ადგილზე, მაგრამ ცუდად იყო გაშენებული და მოსაწყენად გამოიყურებოდა. სამაგიეროდ, შთამბეჭდავი იყო მისი შემოგარენი. იოჰანმა ეს დღე დაიმახსოვრა — 1772 წლის 24 მაისი.

მომდევნო დილით ახალგაზრდა ყმაწვილი რეფერენტად ჩაეწერა. მას იურისპრუდენცია უნდა შეესწავლა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იმპერიულ სასამართლო პალატაში პრაქტიკანტი გახლდათ. ასეთი იყო მოხუცი, პარიკიანი ბატონის სურვილი, რომელმაც გადაწყვიტა, რომ 6 თვის წინ, სტრასბურგიდან მშობლიურ ფრანკფურტში დაბრუნებული მისი ერთადერთი ვაჟი იურისტი უნდა გამოსულიყო და ვეცლარში ემუშავა.

გოეთე მალე მიხვდა, რომ ნაცრისფერ ვეცლარში განსაკუთრებული არაფერი ელოდა და უმჯობესი იქნებოდა, ტყე-ღრეში ეხეტიალა, ლანდშაფტის სილამაზით დამტკბარიყო, მდინარის ჩუხჩუხისთვის მოესმინა, თავი ტკბილი ოცნებებისთვის მიენდო და ბუნების სილამაზე ტილოზე გადაეტანა. ასე უკეთ შეძლებდა თავისი განწყობილების გადმოცემას.

წლების შემდეგ გოეთე სიამოვნებით გაიხსენებს მდინარე ლანის ხეობაში გატარებულ დროს და ამის მიზეზი მხოლოდ ბუნების სილამაზე როდი იქნება.

ერთხელ, ივნისის დასაწყისში, იოჰანი სეირნობიდან ბრუნდებოდა. ხელში ნახატებით სავსე საქაღალდე ეჭირა, იღლიაში კი ჰომეროსის ნაწარმოები ჰქონდა ამოჩრილი.

უეცრად, უკნიდან ჭიხვინი მოესმა და შებრუნდა. მას მხედარი უახლოვდებოდა. როდესაც ცხენი გაუსწორდა, მხედარი ჩამოქვეითდა და თავი მოუქნელად დაუკრა. იოჰანმა მხედარში ვეცლარის ახლოს მდებარე სოფლის, ჰარბენჰეიმის მფლობელის, ახალგაზრდა გრაფის, აინზიდელის მსახური ამოიცნო.

— ვის ეძებ, ვილჰელმ? — მზრუნველად ჰკითხა იოჰანმა.

— თქვენ, ჩემო ბატონო, — უპასუხა მან და კონვერტი გაუწოდა. მას ქალაქაგრეთ, წვეულებაზე ეპატიჟებოდნენ.

— შენს ბატონს მადლობა გადაეცი და უთხარი, რომ მის მიწვევას სიამოვნებით მივიღებ და აუცილებლად ვეახლები ზეიმზე.

იოჰანმა ფეხს აუჩქარა, რადგან მას კიდევ ორ ლამაზმანთან, გრაფის ბიძაშვილებთან უნდა შეევლო და გზად მათი ეტლით გოგონების კიდევ ერთი მეგობარი უნდა წაეყვანა წვეულებაზე.

ჯერ დებს მიაკითხა, შემდეგ კი ეტლმა მათი მეგობრის სახლისკენ აიღო გეზი.

— ლამაზია, თქვენი მეგობარი? — ჰკითხა მან გოგონებს, როდესაც ეტლი წაბლის ხეებით დაბურულ, შუაგულ ტყეში შევიდა.

— ძალიან ლამაზი, მაგრამ შენდა სამწუხაროდ, უკვე დანიშნულია, — ეშმაკურად აღნიშნა მარიანამ, რომელიც დასავით — კეთხენივით ბოლო მოდაზე იყო გამოწყობილი.

იოჰანმა ველარაფრის თქმა ვერ

მოასწრო, რადგან ეტლი გაჩერდა და ის ქალებს ჩასვლაში უნდა მიხმარებოდა. მსახურმა, რომელმაც კარი გაულო, მოცდა სთხოვა.

— ფროილენ ლოტხენი რამდენიმე წუთში მზად იქნება.

იოჰანმა მიმოიხედა. ეზო საკმაოდ დიდი იყო, სახლი — მკვიდრად ნაშენი და ლამაზი.

ოდნავ გამოლებული, შემინული კარიდან ბავშვების ხმაური ისმოდა. მამაკაცმა შესასვლელში შეიჭვრიტა და სურათი, რომელიც მან იხილა, სამუდამოდ დაამახსოვრდა: შესასვლელში, ახალგაზრდა ქალის გარშემო 6 ბავშვი ირეოდა. გოგონას უბრალო, თეთრი, მკერდსა და სახელოებზე ვარდისფერბაფთიანი კაბა ეცვა და ხელში შავი პური ეჭირა. გარს შემოხვეულ პატარებს თითო ნაჭერი მოუჭრა. თითოეული პატარა ხელს უწვდიდა და მადლობას უხდიდა. მერე ზოგი კუნტრუშით გაემართა ოთახის სიღრმისკენ, რომ კუთვნილი ვახშამი მიერთმია, ზოგი კი კარისკენ დაიძრა, რომ ეზოში მყოფი უცხო ხალხისთვის თვალი შეევლო.

ამ ოჯახური სიმყუდროვის სურათმა გოეთე ზღურბლს მიაყინა. ის განსაკუთრებით გოგონას სინაზით, უბრალოებით, სასიამოვნო ხმითა და სისადავით მოიხიბლა. შარლოტა ბუფის ყველა ის თვისება ჰქონდა, რომელსაც იოჰანი აფასებდა.

როდესაც ეტლი საბანკეტო დარბაზს მიუახლოვდა, იოჰანი, მისივე სიტყვებით რომ აღვნიშნოთ, სიზმარში იყო. მომხიბვლელი მეგზურით აღფრთოვანებული, ღამის სიჩუმით მინანავებული იოჰანი თავის გარშემო ვერავის და ვეღარაფერს ხედავდა. მას არც ხმამაღალი მუსიკის ხმა ესმოდა და ვერც საკუთარ სხეულს გრძნობდა. კარგად განათებულ დარბაზში შესვლისას თითქოს უფრო დარწმუნდა, რომ სიზმარში იყო. უმშვენიერესი ლოტასთვის წელზე ხელი ჰქონდა შემოხვეული და დარბაზს ცეკვით გარს უვლიდა. მისი მზერა და ნაზი ღიმილი, ოქროსფერი თმის სურნელი, ცისფერი თვალების ციმციმი, რომლებიც გულწრფელ სიამოვნებას გამოხატავდნენ, იოჰანს ათრობდა და თავბრუს ახვევდა.

გარეთ, ხეობის თავზე ელვა იკლაკნებოდა, მაგრამ მას არ ესმოდა განრისხებული ბუნების გრგვინვა, ისევე, როგორც ვერ გრძნობდა, როგორ უშლიდა ხელს წელზე შემორტყმული დაშნა ცეკვის დროს.

მისი მეწყვილე, შარლოტა ბუფი იმ საღამოს მართლაც უზადოდ გამოიყურებოდა. თითქმის ყველა მამაკაცი ადევნებდა თვალყურს ამ ჰაეროვანი გოგონას ცეკვას და მისი კავალრისა შურდა... მაგრამ შურდათ არა იოჰანის, რომელიც დროებით იყო შარლოტას პარტნიორი, არამედ მისი, ვის სახლშიც ის სულ მალე შევიდოდა და ვისი ცოლის სტატუსსაც მოირგებდა, — იოჰან კრისტიან კესტნერის.

იმედი

იმ 2 კვირის მანძილზე, რომელიც გოეთემ ვეცლარში გაატარა, ქალაქის თითქმის ყველა საიდუმლო გაიგო. ის მეტსახელიც იცოდა, რომლითაც საზოგადოებამ ბატონი მრჩეველი კესტნერი მონათლა — სასიძო. მაგრამ ის, რომ სწორედ ეს 30 წლის ჩინოვნიკი, ჰანოვერის საელჩოს პირველი მდივანი გახლდათ შარლოტას საქმრო, მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. თუმცა მათი ოფიციალური ნიშნობა ჯერ არ იყო შემდგარი და ახალგაზრდა კესტნერს მოსამართლე ბუფისთვის ქალიშვილის ხელი ჯერ არ ჰქონდა ნათხოვნი, მაგრამ ვეცლარში ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ 6 თვის შემდეგ, შარლოტა ქალბატონი კესტნერი გახდებოდა.

იმ სალამოს, როდესაც მისის ბუფი საზეიმო დარბაზში გოეთესთან ერთად ხელკავით დადიოდა, მან ეჭვადაც კი არ იცოდა ჰანოვერის საელჩოს მდივნისა და შარლოტას ურთიერთობის შესახებ და როდესაც ის რაღაც მომენტში გოგონასთან მარტო აღმოჩნდა, თავი ვეღარ შეიკავა, მისი ხელი ტუჩებთან მიიტანა და დაეკონა. ამ ელვისებურმა შეხებამ თითქოს იმედი გაუღვივა. ფრთაშესხმულმა, შარლოტას მისი მონახულების უფლება გამოსთხოვა.

მეორე დღეს კი, როდესაც ის პავილიონზე მიდიოდა, კესტნერისა და შარლოტას ურთიერთობის შესახებ უკვე ყველაფერი იცოდა. მიუხედავად ამისა, ახალ, ინგლისურ სტილზე შეკერილ ფრაკში გამოწყობილი, მოსამართლე ბუფის სახლის ზღურბლზე მაინც გამოჩნდა.

თვითონაც არ უწყოდა, სად დაიკარგა ამ დროს მისი სილაღე და სითამამე. ის ჩუმი აღფრთოვანებით უმზერდა შარლოტას და მის გვერდით თავს ბედნიერად და ამასთანავე, უბედურადაც მიიჩნევდა. ერთი სურვილი ამოძრავებდა — ყოველდღე დამტკბარიყო მისი სიახლოვით, დაეჭირა მისი მზერა, მოესმინა ხმა და მისი სურვილები შეესრულებინა.

ერთხელ, შარლოტას სახლს მიუახლოვდა თუ არა, მაშინვე შენიშნა სამკუთხა ეტლი, რომელიც იმ ადამიანს ეკუთვნოდა, ვისზე ფიქრსაც მუდამ გაურბოდა. ეზოში, შარლოტას გვერდით, ჰანოვერიდან ახლახან დაბრუნებული კესტნერი იდგა. გაიფიქრა, რომ კარგი იქნებოდა, მათ შეხვედრას არ დასწრებოდა. იოჰანს ჯერ კიდევ ჰქონდა დრო, რომ უკან გამობრუნებულიყო, მაგრამ ამის ნაცვლად მან ორივეს თავი დაუკრა. მის წინ მისი შარლოტას საქმრო იდგა.

კესტნერმა მისალმებაზე თავაზიანად უპასუხა, ხელი გაუწოდა და მეორე ხელი მეგობრულად მოხვია. შარლოტას სახეზე ღიმილი გადაეფინა და ამ წუთიდან ისინი განუყრელ სამეულად იქცნენ. ეს მართლაც უცნაური, სასიყვარულო კავშირი იყო.

საოცრად ლამაზი ზაფხული იდგა. ისინი მწიფე პურის ყანაში სეირნობდნენ, ნამიანი დილის სიგრილით ნებივრობდნენ და ტოროლას გალობას უსმენდნენ. როდესაც წვიმდა, ერთმანეთს მჭიდროდ ეკვროდნენ და ფიქრობდნენ, რომ ამ გრძნობას დასასრული არ ექნებოდა. ვერ წარმოედგინათ, როგორ გაძლებდნენ უერთმანეთოდ. ეს ნამდვილი სოფლური იდილია იყო: უვნებელი, პოეტური სიყვარული, უმშვენიერესი ბუნების ფონზე.

გოეთე ხშირად საათობით ფიქრობდა არსებულ უჩვეულო სიტუაციაზე. თავის სულიერ მდგომარეობას ყოველთვის ქალალდს ანდობდა ხოლმე და ჩანაწერებს დაუსრულებლად აკეთებდა. ისეც

ხდებოდა, რომ ცხენს მოახტებოდა და რამდენიმე დღით მთაში იკარგებოდა. დაბრუნებულს, თავის მაგიდაზე შარლოტას უამრავი წერილი ხვდებოდა: „როდის გვინახულებთ? ჩვენ მოგვენატრეთ“. იოჰანი უძლური იყო, გამკლავებოდა შარლოტას ნახვის სურვილს და მეორე დღესვე უბრუნდებოდა თავის უცნაურ სიყვარულს.



ხშირად ფიქრობდა, რომ დრო იყო, ამ ორაზროვანი ურთიერთობისთვის წერტილი დაესვა და შარლოტასა და მის საქმროსთან შეხვედრებზე უარი ეთქვა. კესტნერი ნამდვილად ქების ღირსი იყო, რამეთუ, თავისი მეტოქის თანდასწრებით ერთხელაც არ მიჰფერებია საცოლეს. ბოლოს და ბოლოს, გოეთე მიხვდა, რომ მას არავითარი შანსი არ ჰქონდა. შარლოტა თავისი რჩეულის ერთგული იყო.

ის იდგა, შარლოტას ეზოდან ჩამავალ მზეს შეჰყურებდა და იცოდა, რომ ეს აქ უკანასკნელად ხდებოდა.

— მშვიდობით, შარლოტა! მშვიდობით, კესტნერ! — თქვა მან.

— ხვალამდე, მეგობარო! — მიუგო კესტნერმა.

დილაუთენია იოჰანი მდინარის ნაპირს ფეხით გაუყვა. ბარგი ფრანკფურტში წინასწარ გაგზავნა და ახლა მსუბუქად მიაბიჯებდა.

რა ხდებოდა ამ დროს ვეცლარში? იმ დღეს, როდესაც იოჰანი ვეცლარიდან გაიქცა, შარლოტამ არცთუ გასაგები ენით დაწერილი წერილი მიიღო. „ბარგი ჩალაგებულია, მალე ინათებს... როდესაც თქვენ ამ სტრიქონებს წაიკითხავთ, იცოდეთ, რომ მე უკვე შორს ვიქნები. ახლა მე მარტო ვარ და ტირილის უფლება მაქვს. გადავწყვიტე, ჩემი ნებით წავიდე, ვიდრე თავად გამაგდებთ. იყავით ბედნიერი და გახარებული. მშვიდობით და ათასჯერ მშვიდობით“. შარლოტა ჩაფიქრდა და მიხვდა, რომ იოჰანი სწორად მოიქცა.

რაც შეეხება კესტნერს, მასზე მეგობრის გაქცევამ სხვაგვარად იმოქმედა. გადაწყვიტა, ყოველი შემთხვევისთვის, ქორწილი დაეჩქარებინა, სხვისი დაცინვის საგანი რომ არ გამხდარიყო.

განკურნება

გოეთე ჩაფიქრებული იდგა ფანჯარასთან და ფრანკფურტის პეიზაჟს გადაჰურებდა. მას ახლახან მოუტანეს შლაპის ყუთი, რომელიც ხელის ცახცახით გახსნა. მაში თეთრი ვარდების საქორწილო თაიგული იდო. იოჰანი მიხვდა, რომ შარლოტა გათხოვდა.

პრინციპში, მისთვის ეს სიახლე არ იყო, ვინაიდან დანიშნულთა თხოვნით თვითონ უყიდა და გაუგზავნა ნიშნობის ბეჭდები და შეეპირდა, რომ მათი ქორწილის დღეს კედელზე მიკრულ შარლოტას სილუეტს ჩამოხსნიდა. იმ სილუეტს, რომელსაც ვეცლარიდან გამოქცევის შემდეგ საათობით ელაპარაკებოდა ხოლმე.

და მაინც, ქორწილის შესახებ მხოლოდ მისი ჩავლის შემდეგ შეიტყო. ნუთუ, კესტნერს მისი იქ ყოფნის შეეშინდა? ან იქნებ, შეყვარებულებმა უბრალოდ, მისი გრძნობები დაინდეს? მაშ, შარლოტამ რატომ გამოუგზავნა თაიგული? იმისთვის, რომ ცრემლი ღვაროს? საამისოდ ხომ მისი ნაჩუქარი ის ვარდისფერი ბაფთაც საკმარისი იყო, რომელიც იმ კაბის ნაწილი იყო, პირველი შეხვედრისას რომ ეცვა?..

...და ის მიხვდა. ბაფთა დასაწყისის მაუწყებელი იყო, თაიგული — დასასრულის.

დადგა დრო, როდესაც პოეზია საკუთარი თავისგან გათავისუფლებაში დაეხმარებოდა. სიყვარულისგან განკურნება გოეთემ შემოქმედებით დაიწყო.

ასე მოხდა მოგვიანებითაც, როდესაც უკვე მოხუც პოეტს 19 წლის ულრიკე ფონ ლევეცოვი შეუყვარდა. მისი მკერდიდან მტანჯველი სიზმარივით მოდიოდა სტრიქონები „მარიენბადული ელეგიისთვის“. ელეგიაზე მუშაობის დასრულების შემდეგ, ის მიხვდა, რომ თავისი ცხოვრების უკანასკნელი სიყვარულისგანაც განიკურნა.

ერთხელ, 1774 წლის 25 სექტემბერს, ქმართან ერთად ჰანოვერში მცხოვრებ ქალბატონ კესტნერს ფრანკფურტიდან პაკეტი მიართვეს. შარლოტამ ამანათი გახსნა. მასში წიგნი აღმოჩნდა. „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“ — წაიკითხა მან ყდაზე. — როგორც ჩანს, ეს სწორედ ის რომანია, — გაუხარდა შარლოტას, — რომელზეც გოეთე ბოლო დროს მუშაობდა.

შარლოტას ერთი სული ჰქონდა, როდის გაეცნობოდა წიგნის შინაარსს. საღამოს ქმარმა წიგნის ხმამაღლა კითხვა დაიწყო. რამდენიმე გვერდის წაკითხვის შემდეგ, ის გაჩუმდა. მის მზერაში ჯერ შფოთვა, შემდეგ კი განგაში გამოიხატა. მას მოეჩვენა, რომ გოეთე გაგიჟდა.

— შარლოტა, რას იტყვი ამის შესახებ? — ჰკითხა ცოლს.

— ეს საშინელებაა, — ძლივს წარმოთქვა სიტყვები შარლოტამ.

მეუღლეები ერთმანეთის გვერდიგვერდ ისხდნენ, იქვე კი პატარა, ასგვერდიანი წიგნი იდო, რომელმაც ორივე საგონებელში ჩააგდო.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორს მოქმედების დრო შეცვლილი ჰქონდა, ბავშვიც კი მიხვდებოდა, რომ რომანის მთავარი გმირი შარლოტა იყო (ავტორს მისი სახელიც კი არ ჰქონდა შეცვლილი), მრჩეველი კესტნერი — ალბერტი გახლდათ, ხოლო თავად იოჰანი — ვერტერი.

ავტორს ვეცლარელი წყვილის ყველაზე ინტიმური დეტალები დაწვრილებით ჰქონდა გადმოცემული და ყველაზე უმნიშვნელო დეტალებიც კი რეალური ამბიდან იყო აღებული. აი, თურმე რას გულისხმობდა გოეთე, როცა წიგნის გაგზავნამდე რამდენიმე კვირით ადრე წყვილს მისწერა: „ცოტა ხანში ჩემს მეგობარს, ვერტერს გამოგიგზავნით და იმედია, კარგად მიიღებთ. ის გაჭრილი ვაშლივით მგავს“.

გოეთეს არ სურდა მეგობრების განაწყენება, მაგრამ ცოლ-ქმარი მისმა ნაწარმოებმა აღაშფოთა. თუმცა, ბატონმა კესტნერმა მიიჩნია, რომ ეს რომანი წარუმატებელი აღმოჩნდებოდა და ამის გამო არ ღირდა მისი ავტორის მომდურება. რამდენიმე დღის შემდეგ მან იოჰანს შერიგების წერილი გაუგზავნა, რამაც შარლოტა ძალზე გაახარა, ვინაიდან, მიიჩნევდა, რომ გოეთეს ასეთი რომანის დაწერისკენ სწორედ თვითონ უბიძგა.



ეშმაკის მოციქული

მასზე ამბობდნენ, ეშმაკის მოციქულიაო. უტყუარი ინტუიციის გამო ზოგი გრძნეულს ეძახდა, მეტსახელად კი ჭალარა ერქვა. არავინ იცის, მისი ნამდვილი სახელი და გვარი, არც ის, ჰყავდა თუ არა მშობლები, ნათესავები და ახლობლები საქართველოში. იციან ის, რომ ქართველი იყო და როგორც თვითონ ამბობდა, დიმიტრი ერქვა. საქართველოში — დიტო, რუსეთში — დიმა.

რამდენიმე თვის წინ მეგობარმა ახალგაცნობილი ქალის შესახებ მიამბო, რომელსაც თურმე ძალიან საინტერესო ცხოვრება გაუვლია. წლების განმავლობაში რუსეთში ცხოვრობდა და საქართველოში რამდენიმე კვირის წინ ჩამოსულა. აქ თავისი ბავშვობის მეგობარი მოუძებნია და ჩემმა მეგობარმაც სწორედ მის ოჯახში გაიცნო. ასე, ორმოცდაათიოდე წლის ქალის ცხოვრების ეპიზოდებს აღფრთოვანებული მიამბობდა, მის სილამაზეს შესაშური ეპითეტებით აღმინერდა და მეუბნებოდა, აუცილებლად გაგაცნობ, ისეთი თავგადასავალი აქვს, აუცილებლად დაგაინტერესებსო.

ჩვენი შეხვედრა შედგა და ჩემი მეგობრის სიტყვები გამართლდა. ქალი მართლაც შესაშურად გამოიყურებოდა, დახვეწილი მანერები ჰქონდა და კარგი მთხრობელიც გახლდათ. როდესაც მისი ცხოვრებიდან 1-2 ამბავი მოვისმინე, ჩემი ვინაობა გაუმხილე და ვთხოვე, დაწერის უფლება მოეცა.

— მოვიფიქრებო, მიპასუხა. ორიოდე დღის შემდეგ შეხვედრა მთხოვა და რამდენიმე მრავალფურცლიანი რვეული გადმომცა.

— წაიკითხე, თანაც თვალისჩინივით გაუფრთხილდი და თუ აქედან რამეს გამოადნობ, თანახმა ვარ, ამ ადამიანის თავგადასავალი დაწეროო.

მეგონა, მისი დღიურები იყო, მაგრამ შევცდი. პირველსავე სტრიქონებიდან მივხვდი, რომ დღიურები მამაკაცს ეკუთვნოდა. თანაც, როგორც ეტყობოდა, ამ კაცს კალამიც კარგად უჭრიდა და ისე საინტერესოდ წერდა, მისი მონათხრობის უცვლელად გადმოცემაც კი შეიძლებოდა.

თუმცა, ამბის სისრულისთვის ქალბატონი ჯულის ნაამბობსა და კიდევ მთავარი მოქმედი პირის, იმავე დიმკას 2 მეგობრის (რომლებთანაც ქალბატონმა ჯულიმ თავად დამაკავშირა) ნაამბობს მოვიშველიებ.

სიყვარული, სისასტიკე, მკვლელობა, ქურდული გარჩევები, ლმობიერება, სიკეთე, ქველმოქმედება, მტრობა, მეგობრობა... აი ის, რაზეც წინამდებარე ამბავში იქნება მოთხრობილი.

1984 წლის 22 აგვისტო

— „ანუ, სედოი, რუკი ნაზად“, — ეს სიტყვები რომ გავიგონე, სააბაზანოში, ნიჟარაზე ვიყავი დახრილი და პირს ვიბანდი.

თავი ავწიე და სარკეში ჩავიხედე. ჩემ უკან 2 იარაღმომარჯვებული მილიციელი იდგა, ღია კარიდან კი ოთახი მოჩანდა, სადაც უამრავი „ძაღლი“ ირეოდა. ისეთი სიტუაცია იყო, თავი უცხოურ ფილმში მეგონა. მივხვდი, წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა და „ძაღლების“ ბრძანებას დავემორჩილე. ხელები უკან წავიღე და წელში გავსწორდი. მაშინვე ბორკილი დამადეს და სააბაზანოდან ხელის კვრით გამაგდეს.

სახლს 12-მდე მილიციელი ჩხრეკდა. სვეტა დივანზე მშვიდი სახით იჯდა და თვალს ვერ მისწორებდა.

— ძაღლიშვილო, — ქართულად გამოვცერი კბილებში და მისკენ გავიწიე, მაგრამ მილიციელმა კეფაში პისტოლეტი ჩამარტყა. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ წავბორძიკდი. ვიგრძენი, როგორ ჩამეღვარა სისხლი ზურგში. კეფა ამეწვა...

„ჩორნი ვორონში“ დაჯდომის უფლებაც არ მომცეს, პირქვე დამაგდეს და განძრევა ამიკრძალეს. გზაში სვეტაზე ვფიქრობდი და უფლება რომ მოეცათ, ყელს კბილებით გამოვგლეჯდი. მივხვდი, მისი ჩაშვებული ვიყავი. სხვანაირად ვერ მომაგნებდნენ. თანაც, ახალ ბინაში სულ 3 დღე იყო, რაც ვცხოვრობდით. მასზე შურისძიება ახლო მომავლისთვის დავგეგმე...

მილიციის განყოფილებაში ერთ ოთახში შემაგდეს, სადაც ერთადერთი სკამი იდგა. მასზე დამჯდარს ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ კინოთეატრში ვიყავი. ჩემ წინ ნაცრისფრად შეღებილი, ყრუ კედელი იყო, რომელიც ეკრანს ჰგავდა, მასზე კი ჩემი ცხოვრების ეპიზოდები კინოკადრებივით მიქროდნენ. ზურგს უკან, კედელზე დაკიდებული საათი წამებს წიკწიკით ითვლიდა და დროის დინებას მახსენებდა. ვინ იცის, რამდენი ადამიანი მჯდარა აქ დაკითხვის მოლოდინში და რამდენი „ფილმი“ გასულა ამ დროს „ეკრანზე“.

წინასწარ ვიცოდი, რომ იოლად ვერ გამოვძვრებოდი და შინაგანად ვემზადებოდი იმ ტკივილისთვის, რასაც აღბათ სულ ცოტა ხანში გადავიტანდი.

თითქმის მთელი დღე არავის გავხსენებივარ.

როგორც იქნა, კარის საკეტში გასაღების გაჩხაკუნების ხმა გავიგონე. საათს გავხედე, ღამის 11 საათი იყო. ჩემ წინ რამდენიმე მილიციელი აისვეტა. ერთ-ერთს, რომელიც წოდებით მაიორი იყო, სკამი შემოუტანეს. დაჯდა და ფეხი ფეხზე გადაიდო.

— სიგარეტი გინდა? — მზრუნველად მკითხა.

— მინდა, — თავი დავუქნიე.

მომაწოდა და ერთ-ერთს თავით რაღაც ანიშნა. მან ხელები გამიხსნა, წინ გადმომატანინა და ისევ ბორკილი დამადო. სიგარეტი გამოვართვი. თავადვე მომიკიდა. ღრმა ნაფაზი დავაკაკუნე და კვამლი შევისუნთქე.

ვიდრე ღერი ბოლომდე არ ჩავწვი, ხმა არავის ამოუღია.

— ამას იცნობ? — სურათი გამომიწოდა.

დავხედე. მასზე მე და რიჟი რესტორანში ვიყავით გადაღებული.

— არა, — გავაქნიე თავი.

ამ დროს მარჯვენა გვერდში „დუბინკა“ მომხვდა.

— იცნობ? — კიდევ მკითხა.

— არა, — გავუმეორე ისევ.

მილიციელი ახლოს მოვიდა და თვალებში ჩამაშტერდა.

— თუ არ იცნობ, სურათზე ერთად რატომ ხართ?

— რესტორანში ვქეიფობდით, ეგეც იქ ყოფილა, რომ გაიგო, ქართველები ვიყავით, მოვიდა, ერთი ჭიქა ღვინო დაგვილია, დაგვლოცა და წავიდა. სუ-

— ძაღლიშვილო, — ქართულად გამოვცერი კბილებში და მისკენ გავიწიე, მაგრამ მილიციელმა კეფაში პისტოლეტი ჩამარტყა

რათიც სწორედ მაშინ გადავიღეთ, სამახსოვროდ.

— სამახსოვროდ, არა? — ჩაიცინა მაიორმა და უკან დაიხია.

თვალთ დამიბნელდა, ისე დამარტყეს... ნეტავ, რამდენ ასეთ დარტყმას უძლებს ადამიანი?

— იცნობ? თქვი! იცნობ? — ჩამძახოდა მაიორი.

საათი ღამის 12-ს უჩვენებდა. ახლა ქალაქში დაგვიანებული ადამიანები შინისკენ მიიჩქარიან, ზოგი დასაძინებლად ემზადება... შეყვარებულები სადარბაზოებთან დგანან და ერთმანეთს ემშვიდობებიან...

— მიდი, — გასცა ბრძანება მაიორმა.

ერთი, ორი, სამი, ოთხი დარტყმა... ახლა უფრო გულგრილად ვითვლი...

ტკივილს ვეღარ ვგრძნობ, მხოლოდ სისხლის გემოს ვგრძნობ პირში...

ხუთი, ექვსი, შვიდი... ამდენი მილიციელი ირჯება ჩემ გამო... 7 მილიციელი

დარტყმა... დარტყმა... რატომ აღარ მტკივა? გამახსენდა, ტკივილმაც მიჩვევა იცის...

თვალებს ვერ ვახელ, ყველაფერს ბუნდოვნად ვხედავ... წამომაყენეს და სკამზე დამსვეს.

— იცნობ?

ნეტავ, ვის ეკითხებიან, მე თუ მას, ვინც ახლა შემოიყვანეს? რა მნიშვნელობა აქვს?

— არა, — მომესმა პასუხი.

ვერ დავინახე, მაგრამ ხმით მივხვდი, რომ რიჟი იყო.

ესეც აუყვანიათ, ნეტავ, ესეც ნაცემია? ვცადე, თვალები ოდნავ გამეხილა.

ვერა, ვერაფერს ვხედავ... არც ამას აქვს მნიშვნელობა, ნაცემია რიჟი თუ არა...

მე ახლა სიკვდილის დაჩქარება მინდა, მაგრამ არ ვიცი, როგორ მოვახერხო... რიჟი გაიყვანეს, მე ცოტა დავისვენე და შემდეგი შეტევისთვის მოვემზადე. სახეზე ვიღაცის სუნთქვა ვიგრძენი. ვინ იქნებოდა, თუ არა ერთ-ერთი მილიციელი? ხელი მოვიქნიე და გავარტყი...

დამესივნენ...

გამთელეს...

გამალებით მირტყამს წიხლებსა და „დუბინკებს“...

ზოგი დაიღალა კიდეც, სიკვდილი კი არა და არ მოდის...

5 საათი... ახლა ალბათ ოდნავ ინათა...

სისხლს ვყლაპავ...

პირში საშინელ გემოს ვგრძნობ...

— შემოიყვანეთ, — შორიდან ჩამესმა მაიორის ხმა.

ნეტავ, ვინ უნდა შემოიყვანონ?

სიკვდილი კი არა და არ მოდის...

გარეთ ცხოვრება უჩემოდ გრძელდება...

ჩემი მეგობრები ალბათ დაიფანტნენ და საგულდაგულოდ იმალებიან... უკვე ეცოდინებათ ჩემი აყვანის ამბავი...

მათ გახსენებაზე მივხვდი, რომ სიკვდილის უფლება არ მქონდა, უმწყემსო ფარასავით დაიფანტებიან და შესაძლოა, გამოუსწორებელი სისულელეც ჩაიდინონ...

ახლა მათი იმედი მაქვს, ვიცი, ყველაფერს გააკეთებენ, რომ აქედან გამიყვანონ...

ნეტავ, აღარაფერს მეკითხებიან თუ მე არ მესმის მათი ხმა?

დარტყმა... დარტყმა... რატომ აღარ მტკივა? გამახსენდა, ტკივილმაც მიჩვევა იცის...

შემდეგ წყალი მესხმება... ისევ დარტყმა...

ვიღაცამ წყალი დამალევინა. ვიგრძენი, როგორ მინელდა სხეულში გაჩენილი ხანძარი...

ეს მანამდე იყო, „პაბეგამდე“...

ახლა ამის გახსენებაც კი გულს მირევს და სიძულვილით მავსებს...

აუცილებლად შევახსენებ თაკს, იმ ძაღლიშვილებს...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

პეპიმცაყი ყუს ტბიდან

ანუ დასვენება ქართული სიმლერების მოტივებზე

მარი ჯაფარიძე

თქვენი მესიჯებიდან ვიცი, რომ „სიტუაციას“ ყველანი სიამოვნებით კითხულობთ და ალბათ ერთადერთი რუბრიკაა, რომელიც კრიტიკას არ ექვემდებარება. ჰოდა, სიტუაციებს რა გამოლევს? თქვენ რომ არ გაწყენინოთ, რუსი ცოტაა? ამჯერადაც ერთ „კაი სიტუაციას“ გთავაზობთ.

გაგანია ომი იყო, როცა ჩემი ახლობელი უცხოეთში მიემგზავრებოდა, მე კი მისთვის ჩემს დიდი ხნის წასულ მეგობართან ამანათი უნდა გამეტანებინა. ჰოდა, ისე მოხდა, რომ მასთან დილის 6 საათზე, ვაკეში უნდა მივსულიყავი. მიუხედავად ადრიანი დილისა, ქალაქში საკმაოდ ბევრი მანქანა მოძრაობდა. შევნიშნე, რომ ძირითადად იაფფასიანი მანქანები ჭარბობდა (აბა, ჯიპებისა და სხვა, ძვირად ღირებული მანქანების პატრონებს ამ დროს შუა ძილით სძინავთ და ვინ იცის, მერამდენე სიზმარს ხედავენ). ისიც შევნიშნე, რომ თითქმის ყველა მანქანას ჭიანჭველასავით ტვირთი ჰქონდა წამოკიდებული — ზოგს ხილი და ბოსტნეული, ზოგს ტუალეტის ქაღალდით სავსე ჰქონდა საბარგული...

ვაკეში კი მანქანები თითქმის არ მოძრაობდნენ. სრული სიჩუმე და „ტორიჩელის სიცარიელე“ სუფევდა. ჩემ წინ მოფახფახებული „ჟიგული“ მიდიოდა მხოლოდ. მანქანის თავზე დამაგრებულ საბარგულზე პომიდვრით სავსე ყუთები ელაგა. უეცრად, მოსახვევიდან დიდი სიჩქარით მოძრავი ჯიპი გამოვარდა (მაინც, რამ გააღვიძა ამ დილაუთენია?) და მართალია, პომიდვრით დატვირთული მანქანა დაინახა, მაგრამ სიჩქარისთვის არ მოუკლია, ჯიქურ წამოვიდა. ავარიის თავიდან ასაცილებლად, „ჟიგულის“ მძღოლი იძულებული გახდა, მკვეთრად მოეხვია. ამ დროს ყუთები გადმოცვივდა და პომიდორი მე-9 საავადმყოფოს წინ, გაჩერებაზე მიმოიფანტა. მანქანიდან მოხუცი ცოლ-ქმარი გადმოვიდა და პომიდვრების მოგროვებას შეუდგა. მეც გავაჩერე ავტომობილი და საწყლებს, მივეხმარე. ძალიან შეწუხდნენ, მაგრამ ვიდრე ყუთში ბოლო პომიდორიც არ მოვათავსებინე, არ მოვეშვი.

— ეჰ, საუკეთესო პომიდორი ვიყიდეთ, ვაკელები უბრალოს არ კადრულობენ, ახლა კი სულ დაიჭყლიტა, ამას თავის ფასშიც ვერ გავყიდით, — ცრემლს იწმენდდა ქალი.

— კარგი, ჰო, ქალო, არა უშავს, როგორმე გავყიდით, სხვა დროს კი ყუთებს დავაბამ და აღარ გადმოცვივდება, — ყასიდად შეუწყრა ქმარი.

ცოლ-ქმარმა მადლობა გადამიხადა, მეც წარმატება ვუსურვე და გზა განვაგრძე. როდესაც ამანათი საჭირო ადგილზე მივიტანე და უკან გამოვბრუნდი, გადავწყვიტე, კუს ტბაზე ავსულიყავი და სუფთა ჰაერი „ჩამეყლაპა“.

ადგილზე მისული გაოცებული ვიყურებოდი — რომელ „სუფთა ჰაერზე“ იყო ლაპარაკი, როცა შესასვლელი სავსე იყო მანქანებით და თქვენ წარმოიდგინეთ, მანქანის გასაჩერებელი ადგილიც კი ძლივს ვიპოვე. იმდენი ხალხი დამხვდა, ალბათ სუფთა ჰაერის „ყლაპვაც“ მორიგეობით უწევდათ.



ასე გამოიყურებოდა კუს ტბის ავტოსადგომი დილის 6 საათზე



„უფლება არ მაქვს, შენთან მოვიდე“

აი, თურმე სად ყოფილან ვაკელები ამ დილაუთენია, მე კი უსამართლოდ ვსაყვედურობდი, სძინავთ-მეთქი. ზოგი ტბის გარშემო დარბოდა... დარბოდნენ მარტო, წყვილად, გუნდად... ვინც მარტო იყო, ყურსაცვამები ჰქონ-

გაგრძელება იხ. გვ. 31

ძლიერი ადამიანების რვეული

1. ძლიერი ადამიანები გამოსავალს მაშინაც კი ეძებენ, როცა სხვები ფარ-ხმალს ყრიან.

2. რასაც სხვები უიღბლობას უწოდებენ, ძლიერი ადამიანები ცხოვრების გაკვეთილად მიიჩნევენ.

3. ისინი გააზრებულ გადაწყვეტილებებს იღებენ.

4. ისინი მიზანმიმართულად და შეგნებულად მიიწევენ წარმატებისკენ, როცა სხვები სხედან და ელიან, როდის მოვა წარმატება თავად.

5. მათ სხვებივით ეშინიათ, მაგრამ შიშს გაბატონების უფლებას არ აძლევენ. მათთვის შიში მხოლოდ სიფრთხილეა.

6. ისინი სწორ კითხვებს სვამენ, ისეთებს, რომლებიც ამომწურავ პასუხს მოითხოვს.

7. ისინი არ ჩივიან, რომ ძალას ტყუილ-უბრალოდ ხარჯავენ. ყველა მათი საჩივარი სასამართლოში დევს.

8. ძლიერი ადამიანები დაშვებულ შეცდომას სხვას არასოდეს გადააბრალებენ. ისინი მთელ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებენ.

9. ისინი განსაკუთრებული ტალანტით არ არიან დაჯილდოებულნი, მაგრამ ყოველთვის ცდილობენ, ბოლომდე გამოიყენონ არსებული პოტენციალი. საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნები არიან.

10. ისინი დაკავებულნი და პუნქტუალურნი არიან. როცა ყველა უსაქმურობს, ისინი მაშინაც მუშაობენ.

11. გარშემო ერთგულ თანამოაზრეებს შემოიკრებენ, რადგან კარგად მოეხსენებათ, რომ საქმის წარმატებას შეკრული გუნდი სჭირდება.

12. პატივმოყვარენი არიან. საკუთარ თავს ხშირად ეუბნებიან — მე ეს შემიძლია! ეს კი საშუალებას აძლევთ, ბედი მართონ და არა — დინების მიმართულებით იცურონ.

13. ზედმიწევნით კარგად იციან, როგორი უნდა იყოს მათი ცხოვრება და ილტვიან, რომ სწორედ ისე მოაწყონ, როგორც წარმოუდგენიათ.

14. ძლიერი ადამიანები არავის ჰბაძავენ, ისინი ყოველთვის ახალ გზებს ეძებენ.

15. საქმის გადადება არ უყვართ.

16. მთელ ცხოვრებას სწავლაში ატარებენ. ნებისმიერი ცხოვრებისეული გამოცდილება მათთვის გაკვეთილია.

17. ოპტიმისტები არიან, რის გამოც ყველაფერში სარგებელს ნახულობენ.

18. აკეთებენ იმას, რაც სავალდებულოა, მიუხედევად იმისა, როგორ გრძნობენ თავს.

მოკლე ჩართვა

რა ღირს სინდის-ნამუსი?

• სინდისიც და ნამუსიც შეუფასებელია, მაგრამ ჯანდაბას, ახლობლობაში 2 და 20-ად მოგყიდით. სიკვდილა.

• ბანალურია, მაგრამ სინდის-ნამუსი შეუფასებელია. სინდისი ღმერთის ხმაა, რომელიც გვამხელს, როცა ცუდად ვიქცევით. სამწუხაროდ, ჩემ ირგვლივ სინდის-ნამუსიან ადამიანს სულ უფრო იშვიათად ვხედავ. თამუნა.

• სინდის-ნამუსი ღირს 1 აბაზი, 2 შაური და კიდო მანეთი. მარ, სინდის-ნამუსი რომ ფასდაუდებელია, შენ რა, არ იცი? თუ ვინმე სინდის-ნამუსით ვაჭრობას აპირებს?

• სინდის-ნამუსი ღირს აგერ 1 წაბლა ძროხა, 2 ნიკორა ხარი და 6 ინდოური. მსურველებმა იკითხეთ გუგეშა.

• რა ღირს სინდის-ნამუსი? ჰმ... ჩემთვის სინდისიც და ნამუსიც ფასდაუდებელია, ზოგისთვის კი 1 ლარადაც იყიდება. ესეც ჩემი მოკრძალებული შეხედულება. კახელო616.

>>>15

19. იოლად მიდიან ფინანსურ, ემოციურ, პროფესიულ, ფსიქოლოგიურ რისკზე.

20. პრობლემებს კი არ გაურბიან, უშიშრად შეეჭიდებიან.

21. ძლიერი ადამიანები შანსს არ ელოდებიან; საკუთარ შანსს თავად ქმნიან.

22. ცდილობენ, მოვლენებს გაუსწრონ და ზომებს მანამდე იღებენ, ვიდრე რაიმე მოხდება.

23. იციან, როგორ მართონ ემოციები. ისინი ზუსტად იმას გრძნობენ, რასაც სხვები, მაგრამ ემოციების მონებად არ იქცევიან ხოლმე.

24. კომუნიკაციის ხელოვნებას ფლობენ და ცდილობენ, მუდმივად დახვეწონ ეს ცოდნა.

25. გააჩნიათ ცხოვრების კონკრეტული გეგმა და მიჰყვებიან მას. მათი ცხოვრება მოულოდნელ შემთხვევებს არ ემორჩილება.

26. ძლიერი ადამიანებისთვის ჩვეულებრივია ისეთი საქმის კეთება, რომელიც სხვებმა არ იციან ან არ სურთ, რომ აკეთონ.

27. მაშინ, როდესაც უმეტესობა კომფორტს ირჩევს, მათ იციან, რომ ცხოვრებისეული სირთულეები ადამიანის ხასიათს სიმტკიცეს სძენს.

28. მათ გაცნობიერებული აქვთ ის ფასეულობები, რომელიც ადამიანს სრულყოფილი ცხოვრების უფლებას ანიჭებს.



29. ისინი ჰარმონიული ადამიანები არიან და არასოდეს ურევენ ერთმანეთში ცნებებს — წარმატება და ფული; ბედნიერება და მიღწევა. ზედმიწევნით კარგად იციან, რომ ფული — ცხოვრების საშუალებაა და არა — ბედნიერება.

30. კარგად ესმით დისციპლინის მნიშვნელობა.

31. თავდაჯერებულნი არიან.

32. ხელგაშლილნი და კეთილები არიან და როცა სხვებს ეხმარებიან, სიამოვნებას იღებენ.

33. მოკრძალებულები არიან და ყოველთვის მზად გახლავან, რომ შეცდომა აღიარონ და ბოდიში მოიხადონ.

34. ნებისმიერ პირობებთან შეგუება შეუძლიათ და არ არიან ჩვევების მონები.

35. ყოველთვის კარგ ფორმაში არიან, მაგრამ გარეგნობას დიდ დროს არ უთმობენ.

36. შემოქმედებითი ადამიანები არიან და ბევრს შრომობენ.

37. მოქნილი პოლიტიკა აქვთ: სადაც სხვა „აფეთქდება“, ისინი მხოლოდ „შეხურდებიან“.

38. გულღია ადამიანები არიან.

39. არ წყალობენ უსიამოვნო და ბოღმიან ადამიანებს.

40. არ კარგავენ დროს უსარგებლო საქმეზე.

41. მოსწონთ, როდესაც დინების საწინააღმდეგოდ მიცურავენ და არ უყვართ, როცა ვინმე თავზე ხელს უსვამს.

42. თავს ყველგან კომფორტულად გრძნობენ.

43. ქველმოქმედება მათი ერთ-ერთი საუკეთესო თვისებაა.

44. განცდილი მარცხის შემდეგ თავის მართლებისთვის დროს არ კარგავენ.

45. საჭიროების შემთხვევაში, საქმიდან მოწყვეტა და სხვა საქმეზე გადართვა შეუძლიათ.

46. კარიერა მათი პიროვნების მახასიათებელი კი არა, მათი სამსახურია.

47. მოსწონთ პრობლემის რთული გზით გადაჭრა.

48. წამოწყებული საქმე ყოველთვის ბოლომდე მიჰყავთ.

49. ძლიერი ადამიანები რთული პიროვნებები არიან და ესმით, რომ ადამიანს მხოლოდ ფიზიკური და ფსიქოლოგიური კი არა, ემოციური და სულიერი მოთხოვნილებაც აქვს.

50. ძლიერი ადამიანები არ „დაფრინავენ“. ისინი რეალური ცხოვრებით ცხოვრობენ.

ფოტო, რომელიც ოპოზიციას ღაკარგა



ალბათ უკვე მიხვდით, რომ ამ ფოტოსთვის ფესაბამისი ნარნერა უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61

ჩემეული ვერსია კი ასეთია: „დიდების რევოლუცია"

• „ნაკოლკიან" გოგონებს და ცისფერ ბიჭებს გაუმარჯოს!

• — დაველიოთ?

— მაიტა!

• — ამ ღვთაებრივი სითხის დალევა დაგვაგვიანდა. ადრე უნდა დაგვეწყო დალევა, არ მეთანხმები, სიხარულო?

— სავსებით, მაგრამ ხომ იცი, ნათქვამია — სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო. გრუზინკა.

• მოდი, ამ ლუდით რუსებს გაუმარჯოს, როგორც ეკუთვნით, ისე! ჩუპი.

• პატარებო, ლუდი მოგეწონათ? ბევრი არ დალიოთ, დაგათრობთ. ლიზი.

• ბავშვთა ემანსიპაცია.

• ვისაც კაიკაცობა უნდა და დრო არ ჰყოფნის, გაუმარჯო-ო-ს! მის რეალი.

• — კაი გრადუსი აქვს, ხომ იცი, შენ!

— რაია, დაია, მოგერია? ამფერი, მე, 9 არ დამათრობს. პისკა.

• — აი, ამით გაგიმალჯოს, ძია პუტინ...

• წუხელ ამდენი არ უნდა დაგველია ძმაო, გასკდა თავი! ეთო.

• პატარა ქალი: — რაღაც, ამ „პივის" სახელი არ მეცნობა. პატარა კაცი: — გემო კი კარგი აქვს და... ჭრიჭინა.

• თუ ვეფიცხებით მზესაო, ლუდი სჯობია, რძესაო, პუტინის სადღეგრძელოა, შიგ არ ჩავტოვებთ, წვეთსაო. ენიგმა.

პროზა



სულსწრაფი მკითხველები ველარ ითმენენ და მთხოვენ, რომ ანას ამბის დასასრული დავუმესიჯო, მაგრამ თუ ყველაფერს წინასწარ გაიგებ, მაშინ ინტერესი განელდება. ამიტომ, ვინც მოითმენს, სრულ სიამოვნებასაც ის მიიღებს.

ახლა ამბავი, რომელიც წინა კვირაში იმ მომენტში შევწყვიტეთ, როდესაც შეფმა ანა დაიბარა და აუწყა, რომ ეკას (საყვარელს) მისი მიზეზით დაშორდა და ისიც იცოდა, რომ ანა მის შებმას გეგმავდა.

დასაწყისი — „გზა“, №11-37

მარი ჯაფარიძე

გონებამ მიკარნახა, რომ ერთადერთი სწორი გზა სიმართლის თქმა იყო. ამიტომ, პირდაპირობა ვამჯობინე.

— გამოდის, ვიღაცამ ჩემი სანუკვარი საიდუმლო გათქვა, არა?

— ჰო, ასე გამოდის.

— ეგ მამუკა იქნებოდა, რომელმაც მაიკოსგან იცოდა სიმართლე.

— მაგასაც სწორად მიხვდი.

— კი, მაგრამ რაში დასჭირდა ამ ყველაფრის თქმა?

— ეს ამ დილით გავიგე, როცა მამუკამ უხასიათობის მიზეზი მკითხა, მე კი ჩემი და ეკას დაშორების ამბავი ვუთხარი.

— მერე, რაო, ეკას ტყუილად არ უეჭვიანია, ანა მართლაც გეგმავდა შენს შებმასო?

— ჰო, დაახლოებით ასე იყო. უბრალოდ, მითხრა, ყურადღება მიაქციე, ანგელოზივით ქალიაო.

— ჰო, ანგელოზობას ცოტა მიკლია, — გულიანად გამეცინა.

— რატომაც არა? მშვენიერი ქალი ხარ...

— ჯერ ერთი, სხვის ნარჩენებს მიჩვეული არ ვარ და ეკას „გამონაცვალი“, „სექენდ ჰენდი“ კაცი არაფერში მჭირდება. მეორეც, სიტუაცია უკვე დიდი ხანია, შეიცვალა და აღარ მაინტერესებ...

— რატომ? რა მოხდა?

— შენი გარეგნული „ბრწყინვალებით“ მოხიბლულმა მივიჩნიე, რომ შინაგანადაც ასეთივე იქნებოდი, მაგრამ კარგად რომ გაგიცანი, მივხვდი, რომ ვცდებოდი. თუმცა, კარგად რომ გაგიცანი მაშინ კი არა, პირველსავე ახლო ურთიერთობისას მივხვდი. მაშინ, რესტორანში რომ ვიყავით და ეკა მე რომ წავიყვანე შინ, გახსოვს?

— კი, მახსოვს, ისიც მახსოვს, მაშინ რაღაც მწარე-მწარეები რომ მითხარი... რა გავაკეთე ასეთი იმ დღეს?

— გააკეთე კი არა, არ გააკეთე...

— რა არ გავაკეთე?

— ის, რომ ის წუპაკი ქალი თავის ადგილზე არ მოსვი. ბრმა უნდა ყოფილიყავი, რომ ვერ დაგენახა, რომელი იყო თქვენ შორის უფროსი. ქალის ჭკუაზე მოსიარულე მამაკაცის დედა ვატირე...

— აჰა, შენ გინებაც გცოდნია.

— კი, მხოლოდ მათთვის ვიცი, ვინც ამას იმსახურებს... როგორც მივხვდი, იმისთვის დამიბარე, რომ ოფიციალურად გეთქვა, ჩემთან ურთიერთობა რომ გინდოდა. ამაზე ტყუილად დროს ნუ დაკარგავ, არავითარი აზრი არ აქვს. ახლა კი წავედი, საქმე მაქვს... ან იქნებ, ჩვენი საუბრის შემდეგ აქ აღარ ვმუშაობ და საქმეც აღარ მაქვს? — გამომცდელად შევხედე.

— არა, არა, რას ამბობ? ჯერ ერთი, იმედი ბოლომდე არ დამიკარგავს, მეორეც, პირადი და სამსახურებრივი საკითხები ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს.

— გმადლობთ, — უცერემონიოდ შევაქციე ზურგი და წამოვედი.

ჩემს კაბინეტთან ალენა ისევ ისე იდგა, როგორც წამოსვლისას დავტოვე. უბრალოდ, ცოტა მეტი მღელვარება ეტყობოდა.

— რაო, შეფმა? — შევედი თუ არა, უკან მომყვა.

— რაო და, ეკას დავშორდიო და ახლა შენ მიყვარხარო...

— რას მეუბნები, მართლა? — სახეზე ეწერა, რომ ჩემი ნათქვამი არ დაიჯერა.

— შენ გგონია, ვხუმრობ? მართლა ამისთვის დამიბარა.

— რისთვის, რომ ეთქვა, საყვარელს დავშორდიო?

— და რომ ეთქვა, რომ მე ვუყვარვარ.

— მერე, შენ რა უთხარი?

— ვუთხარი, რომ მოვიფიქრებ...

— ამ ბოლო დროს ძალიან ბევრს ფიქრობ და მეშინია, არ გადაიღალო.

— შენ მაგაზე ნუ ინერვიულებ, დასვენებას მოვასწრებ...

ალენა გავიდა და მარტო დავრჩი.



გაცვეთილი ფრაზაა, მაგრამ ცხოვრება მართლაც მოულოდნელობებითაა სავსე. რასაც არ ელი, სწორედ იმას გიმზადებს...

დღის ბოლოს ალენა ფეხს ითრევდა. მივხვდი, უნდოდა, ერთად წავსულიყავით. უცნაურია, არ გვიჩხუბია და ჩვენ შორის სიტუაცია მაინც დაძაბული იყო. მეც ფეხს ვითრევდი, მაინტერესებდა, რამდენ ხანს გაძლებდა ასე მდუმარედ, როდის გატეხდა ნავსს და დამელაპარაკებოდა.

მის სიჯიუტეს საზღვარი არ ჰქონდა. მომწყინდა ლოდინი, მაგრამ მეც ჯიუტად ვიჯექი

— როცა ასე იღიმი, მაშინ რას ფიქრობ ხოლმე? — როგორც იქნა, დავსვი ის კითხვა, რომელიც დიდი ხანია, მაწუხებდა

და ფეხს არ ვიცვლიდი. საათს შევხედე. 8 სრულდებოდა. თუ რვამდე არ შემოვა, წავალ... ჩემს თავს პირობა მივეცი და მაგიდაზე თითები ნერვიულად ავაკაკუნე.

დათქმული დრო შესრულდა თუ არა, ავდექი და ოთახიდან გავედი. ალენა ნიკას კომპიუტერთან იჯდა და ეკრანს მიშტერებოდა. ჩემს დანახვაზე წამოდგა.

— უკვე მიდიხარ?

— ჰო, შენც აქ ხარ? — ყასიდად გავიკვირვე.

— ჰო, ვიფიქრე, მუშაობდი და ხელი არ შეგიშალე.

— ჰო, ვმუშაობდი, ახლა კი წავალ.

— ანა, წავიდეთ სადმე, მგონი, მე და შენ რაღაც გვაქვს გასარკვევი.

— კარგი, — უცებ დავთანხმდი, — წავიდეთ, მაგრამ სად?

— სადმე, როგორც რუსები იტყვიან, „კუდა გლაზა გლიდიატ“.

— მაშინ შენი მანქანით წავიდეთ...

კიბეზე ხალისიანად დავეშვი. როგორც იქნა, გატყდა ნავსი და ახლა რაღაც მაინც გაირკვევა.

ალენა თბილისს გასცდა, მცხეთასაც. მხოლოდ უმნიშვნელო, „საერთაშორისო“ საკითხებზე ვლაპარაკობდით. არავითარი პირადული...

— სად მივდივართ? — მხოლოდ მაშინ ვიკითხე, როცა დასავლეთისკენ მიმავალ ტრასაზე გავედით.

— „კუდა გლაზა გლიდიატ“, — მიპასუხა ღიმილით.

— როცა ასე იღიმი, მაშინ რას ფიქრობ ხოლმე? — როგორც იქნა, დავსვი ის კითხვა, რომელიც დიდი ხანია, მაწუხებდა.

— რას ვფიქრობ და ასეთ დროს რაღაც მაქვს ჩაფიქრებული, რომლის განხორციელებაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს, — მითხრა და ისევ გაიღიმა.

— ახლა რა გაქვს ჩაფიქრებული?

— სულ მალე გაიგებ, მანამდე კი თუ შეგიძლია, გამოიცანი.

— არ მინდა გამოცნობა, გენდობი, — უფრო საკუთარი თავის დასამშვიდებლად ვუთხარი.

ხმას აღარ ვიღებდი. მას კი ვუთხარი, არ გამოვიცნობ-მეთქი, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ ამაზე ვფიქრობდი. ცოტა ხანში ცენტრალური გზიდან გადავუხვიეთ და სოფლის გზას დავადექით. კარგა ხანს ვიჯაყჯაყეთ, რამდენიმე სოფელი გავიარეთ და როგორც იქნა, ერთ-ერთი სახლის ჭიშკართან გავჩერდით.

— აქ ვინ ცხოვრობს? — ვკითხე და გაოცებულმა მიმოვიხედე.

ვიდრე ის პასუხს გამცემდა, ჭიშკარი ფართოდ გაიღო და ეზოში მანქანით შევედით.

ალენა პირველი გადავიდა.

— დედა გენაცვალოს, — ასაკოვანი ქალი ალენას ჩაეხუტა, — ხომ არაფერი გაგჭირვებია, ამ შუაღამისას რომ მოხვედი? — ჩაეკითხა შეშფოთებული.

— არა, დედა, არაფერი გამჭირვებია, თანაც, მარტო არ ვარ...

— უი, სირცხვილო, შემოიპატიჟე სტუმარი, — დაფაცურდა ქალი.

ალენამ მანქანის კარი გამიღო და ჩამოსვლისას ხელი შემაშველა, მაგრამ მაინც წავბორძიკდი. როგორც ჩანს, მღელვარებისგან. დედა გამაცნო და შინ შემიპატიჟა.

პატარა კოხტა ეზოს შუაგულში ლამაზი სახლი იდგა. მზრუნველი პატრონის ხელი ეზოსაც ეტყობოდა და სახლსაც. ოთახში სანიმუშო სისუფთავე და სასიამოვნო სურნელი იყო — სოფლის სახლისთვის დამახასიათებელი, ცეცხლის, ნაცრის, სინესტისა და სიმყუდროვის. სიმყუდროვესაც თუ სუნი ჰქონდა, ახლა მივხვდი. დივანზე უხერხულად ჩამოვჯექი, ქალბატონი ეთერი კი დატრიალდა, ახლავე ზღაპრულ სუფრას გაგიშლითო, შეგვპირდა და სამზარეულოში გავიდა. მას ალენაც მიჰყვა და კარგა ხანს მესმოდა დედა-შვილის ჩურჩული. სასაუბრო თემა მე ვიყავი, რა თქმა უნდა და ინტერესით ვკვდებოდი, რას ლაპარაკობდნენ. ცოტა ხანი შემდეგ მეც შევყავი თავი სამზარეულოში და დახმარება შევთავაზე.

— არა, შვილო, დახმარება არ მინდა, დღეს სტუმარი ხარ და მე მოგემსახურები, — სიყვარულით შემავლო თვალი ეთერმა.

მივხვდი, რომ ეს ალენას დამსახურება იყო.

— გინდა, ეზოში გავიდეთ, იქ უფრო გრილა, — ალენა წინ გამიძღვა. სინათლე მხოლოდ სახლში შესასვლელ კართან იყო, ეზოში კი საკმაოდ ბნელოდა. ეზოს სიღრმისკენ წავედით. ალენამ ხელი გამომიწოდა და მეც, პატარა ბავშვივით ჩავებღაუჭე. ახლა უფრო იმედიანად მივაბიჯებდი, მიწი ხელიდან გადმოსული თბილი ტალღები მთელ სხეულში მივლიდა და სასიამოვნო ჟრუანტელს მგვრიდა. ეზოს კუთხეში უზარმაზარი ტირიფის ხე იდგა, რომელსაც ტოტები მიწამდე ჰქონდა დახრილი. ტოტებში შევძვერით და ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს სამოთხეში ამოვყავით თავი. ეს იყო ჭრგვალი „ოთახი“, რომელსაც მწვანე ტოტების კედელი ჰქონდა. ამის ძირში მომცრო მაგიდა და 2 მერხი იდგა.

— რა ლამაზია, — აღფრთოვნება ვერ დავფარე.

— დაჯექი, — მიმითითა მერხზე და გზა დამითმო. რაღაცნაირი, გაბზარული ხმა ჰქონდა, თითქოს ბგერები ძლივს ამოუშვა. თვითონაც გვერდით მომიჯდა და ხელი გადამხვია. სუნთქვა შემეკრა და ახლა რაიმე რომ ეკითხა, პასუხსაც ვერ გავცემდი. მაშინვე ისე ავტირდებოდი, რომ ვეღარაფერი დამამშვიდებდა...

დასასრული
შემდეგ ნომერში

„ᲑᲣᲠᲐᲢᲘᲜᲝᲡ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ“ – ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲔᲚᲘᲡᲒᲐᲜᲘᲗ ᲣᲐᲜᲠᲘᲡ ᲤᲘᲚᲛᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ

მასალისთვის, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, რუბრიკა „ნოსტალგია“ შემთხვევით არ შემირჩევია. ბავშვობაში ჩემი საყვარელი ფილმი-ზღაპარი „ბურატინოს თავგადასავალი“ გახლდათ. ზეპირად ვიცოდი, რომელ ფრაზას რა მოჰყვებოდა, რომელ კადრს რა შეცვლიდა. მთელი გულით ვგულშემატკივრობდი გულუბრყვილო ხის ბიჭუნას, რომელიც ბოროტების წინააღმდეგ იბრძოდა. ჰოდა, როცა ინტერნეტში ფილმის შესახებ ინფორმაციას გადავაწყდი, ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე და ჩემს ბავშვობაში დავბრუნდი. ვფიქრობ, ეს ფილმი მხოლოდ ჩემი თაობისთვის კი არა, ყველასთვის საყვარელია და თქვენც ინტერესით გაეცნობით, რა ხდებოდა ფილმის გადაღების დროს და სად არიან და ვინ არიან ახლა ის ბავშვები, რომლებიც „ბურატინოს თავგადასავალში“ მთავარ როლებს ასრულებდნენ.

მარი ᲧᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

„უმსგავსო ფილმია, ბავშვებისთვის მისი ჩვენება არ შეიძლება! ნამდვილი საშინელებათა ჟანრია!“ — თქვა „ბელორუსფილმის“ მიმღებმა კომისიამ პრემიერის შემდეგ.

„ბურატინოს თავგადასავალი“ ეკრანებზე 31 წლის წინ გამოვიდა. ფილმის რეჟისორმა, ლეონიდ ნეჩაევმა ბურატინოს როლისთვის ბიჭუნა მინსკში, მიწისქვეშა გადასასვლელში იპოვა.

— დავინახე, რომ ბავშვი ბებიასთან ერთად მოდიოდა. იღლიაში ქაღალდის რულონი ჰქონდა ამოჩრილი, — იხსენებს ნეჩაევი. — თავი წარვუდგინე და ფილმში გადასაღებად მივიწვიე. „ძვირფასო, რომელ კინოზე მელაპარაკები, ვერ ხედავ, მუსიკიდან პირდაპირ ფიგურულ სრიალზე მივდივართ“, — მიპასუხა ბებიამ.

თვითონ დიმა იოსიფოვი, რომელმაც ხის ბიჭუნა ითამაშა, ამბობს, რომ ფილმში გადაღება არ უნდოდა. გადაღებებზე ბრწყინვალე სამსახიობო ჯგუფი შეიკრიბა — ვლადიმირ ეტუში, როლან ბიკოვი, რინა ზელიონაია, ნიკოლაი გრინკო, იური კატინ-იარცევი და ვლადიმირ ბასოვი. ნორჩი მსახიობები თითოეულ მათგანს სხვადასხვაგვარად აღიქვამდნენ.

— ბიკოვი ხანდახან მაშინებდა. როდესაც შედეგის მიღწევა სურდა, არავის ინდობდა, — იხსენებს დიმა იოსიფოვი. — მას საკუთარი ცოლი, მელია ალისას როლის შემსრულებელი, ელენა სანაევა ისტერიკამდე მიჰყავდა ხოლმე. ქალი უღონოდ იკეცებოდა, ის კი უყვიროდა — „უნიჭო ხარ!“

არც თავად ბიკოვი ზოგავდა თავს.

— გახსოვთ, როცა კატა ბაზილიო კიბეზე საჯდომით ეშვება და ამბობს: „პოდა-ა-აიტე ბედნომუ კოტუ ნა პროპიტანიე“... — განაგრძობს დიმა — ეს სცენა მან თვითონ მოიგონა. გადამღები ჯგუფის ავტობუსიდან სავარძელი ამოიღო და მასზე დამჯდარი კიბეზე დაეშვა. სავარძელი ნაფლეთებად იქცა. ამის დამნახავმა მძღოლმა ჩხუბი დაიწყო. ისინი ერთმანეთის საცემრად იწევდნენ და ძლივს დააშოშმინეს.

დიმა მამილო კარლოსა და ჯუზეპეს როლის შემსრულებლებში უსულგულო ადამიანებს ხედავდა, ხოლო ყარაბას-ბარაბასის ეშინოდა და არ უყვარდა.

— ეტუშზე შური მაშინ ვიძიე, როცა ბურატინო ხეზე ზის და ყარაბასს გირჩებს ესვრის.

ამის შემდეგ, ეტუშმა რეჟისორთან უჩივლა: — „დიმა ბოროტი ბავშვია, ის გირჩებს უბრალოდ კი არ ისვრის, პირდაპირ თავში მიმიზნებს და მახვედრებს კიდეც. უმსგავსო!“

ბურატინოსა და კუ ტარტილას შეხვედრა მინსკის მახლობლად, სპეციალურად გათხრილ გუბურაში გადაიღეს. ნოემბერი იყო და მთელი გადამღები ჯგუფი იყინებოდა.

— ჰაერის ტემპერატურა +8 გრადუსი იყო, წყლის — +4, მე კი თხელ ქურთუკში გამოწყობილი დუმფარას ფოთოლზე ვიჯექი, რომელიც ჩვეულებრივ, გასაბერ



ნუ ეკამათები მამაკაცს, მანც ყოველთვის ცდუნს.



ტანია პროცკო, შვილთან ერთად

რგოლზე იდო. ერთი სიტყვით, რამდენჯერმე გადავყირავდი, — ამბობს ყოფილი ბურატინო, — გადაღებას აჩერებდნენ და სპირტით მზელდნენ.

გოგონები, რომლებსაც ბაყაყის ფორმა ეცვათ, კიდევ უფრო უარეს დღეში იყვნენ. მათ დუბლების გადაღების დროს რამდენჯერმე მოუწიათ წყალში ცეკვამ. ბოლოს და ბოლოს, ტარტილას როლის შემსრულებელმა, რინა ზელიონაიამ რეჟისორს განუცხადა, რომ თუ ბავშვებს კიდევ ერთი დუბლის გადაღებას აიძულებდა, გადაღებას შეწყვეტდა და შინ გაემგზავრებოდა.

— რინა ბელორუსიაში ერთი დღით ჩამოფრინდა. ცოტა ხნის წინ, მას და გარდაეცვალა და ძალიან მოწყენილი იყო. სულ სევდიან ამბებს გვიყვებოდა. ექიმმა მას მოძრაობა ურჩია. მხარზე დამეყრდნობოდა ხოლმე და გუბურის გარშემო ვსეირნობდით, — ღიმილით იხსენებს დიმა.

კითხვაზე, მართალია, თუ არა, რომ ბასოვი გადაღებების დროს ბევრს სვამდა, დიმა ამბობს:

— სისუსტე ყველა ადამიანს აქვს. მახსოვს, „წითელქუდას“ გადაღების დროს ბასოვი ისე დათვრა, რომ ფეხზე ძლივს იდგა. ის სცენა უნდა გადაეღოთ, როდესაც ქალის ტანსაცმელში გამოწყობილ მგელს (რომლის როლსაც ბასოვი ასრულებდა), ქოლგით ხელში უნდა ერბინა. ბასოვმა მითითებულ ხემდეც ვერ მიაღწია. ის დაეცა და მისი აყენება ვერავინ მოახერხა.

ჰიეროს რომანი

ნორჩ მსახიობებს დუბლიორები არ ჰყავდათ. ყველაზე სახიფათო ტრიუკებსაც კი თავად ასრულებდნენ.

— გახსოვთ, სცენა, როდესაც სასადილოში იმ თიხის ქოთანს ამტვრევენ, სადაც ბურატინო ზის? — იღიმება დმიტრი. — ის უზარმაზარი და მძიმე იყო და მასში მთლიანად ვეტეოდი. ყველას ეშინოდა ჭიქის სროლა, რადგან იცოდნენ, რომ შიგ ბავშვი იჯდა. არადა, სცენა პირველივე დუბლით უნდა გადაგვეღო, რადგან ერთადერთი ქოთანი გვქონდა. როდესაც ქოთანი გატყდა, მისი ყელი კისერზე ჩამომეცვა. ყველამ შიშით შეკივლა.

ცალკე ამბავია, როდესაც მელია ალისა და კატა ბაზილიო ბუტარინოს ხეზე ფეხებით კიდებენ. დიმას დედა კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რომ მისი შვილი თავქვე დაეკიდებინათ.

— რეჟისორმა დამიძახა და მითხრა, რომ დახმარება სჭირდებოდა. ვუთხარი, რომ ყველაფერი გავიგე და დედას თავი შევაცოდე — შიმშილით მუცელი მტკივა-მეთქი. ვიდრე დედა მაღაზიაში იყო, მე თავქვე ჩამომკიდეს.

კითხვაზე, ნორჩ მსახიობებს შორის გადაღებების დროს სასიყვარულო ამბები ხომ არ გაჩაღდა, დიმა გულიანად იცინის.

— გადაღებებს შორის, თავისუფალ დროს „დაჭერობანას“ ან „დამალობანას“ ვთამაშობდით ხოლმე. ნამდვილი ბავშვები ვიყავით. ტანია პროცენკო, რომელიც მალვინას როლს თამაშობდა, ნამდვილი მზეთუნახავი იყო და პიეროს ის მხოლოდ სცენარის მიხედვით არ უყვარდა, სინამდვილეშიც ეტრფოდა მას.

ბავშვები გასამრჯელოდ თვეში 100 მანეთს იღებდნენ, რომელსაც ბურატინო მშობლებს აბარებდა.

— გოგონებზე ფულის დახარჯვა არ გვიწევდა, ნაყინს

<<<9

მოკლე ჩართვა

რა ღირს სინდის-ნამუსი?

• სინდის-ნამუსი ზოგისთვის 3-ლარიანი „ბალი“ ბარათის ფასი ღირს; ზოგისთვის — „ტაქსაში“ დაბეჭდილი 1 მესიჯის ფასი; პუტინისთვის ქართველების ჟლეტის; ვისთვის კი შეუფასებელია. მის რეალი.

• სინდის-ნამუსი შეუფასებელია და ყველანაირ სიმდიდრეზე მაღლა დგას, მაგრამ დღეს უსინდისობას და უნამუსობას უფრო მეტი ფასი აქვს. გრუზინკა.

• სინდის-ნამუსის გამყიდველი, ადამიანი კი არა, უსულო ფიტულია, რომელსაც ღირებული არაფერი აქვს, გარდა გარეგნული სილამაზისა (თუმცა, ზოგჯერ ესეც საკითხავია). ტრიფი73.

• ვინ ყიდის, რო? სინდის-ნამუსი აღარავის აქვს და... ნუ, თუ ბაზარში შემოიტანეს, ასე, 1.75-ად უნდა გავიდეს. რა, ძვირია? ჭრიჭინა.

• სინდის-ნამუსი ან გაქვს, ან — არა. ვერც იყიდი, ვერც გაყიდი. ასე რომ, შეფასება შეუძლებელია. დეა-25.

• როცა სინდისიანი კაცი თავს იკავებს და ქალს ნამუსს უნარჩუნებს, ეს მარადიულ სამოთხედ ღირს და თუ ორივე ამას დაკარგავს, ამქვეყნიურ ნეტარებად ღირს. კლიკი.

• სინდის-ნამუსის ფასი ღვთის ნიხრით სამოთხეა, ჩვენ ნიხრით კი ჯოჯოხეთი. ენიგმა.

კი ჩვენთვის ისედაც ყიდულობდნენ.

რეჟისორის თქმით, ოქროს გასაღები ყველაზე ძვირფასი რეკვიზიტი იყო, რადგან ყველა

★ დიმა იოსიფოვი

მის მოპარვას ცდილობდა. ბოლოს კი თვითონ რეჟისორმა დაითრია.

დიმა:

— გადაღების ბოლო დღეს, როდესაც რეჟისორმა დაიძახა — „გადაღებულია", გასაღები შარვალში ჩავიტენე. დღემდე მაქვს შემორჩენილი რეჟისორის მიერ გამოწერილი ქვითარი, სადაც წერია: „მიღებულია ნეჩაევის მიერ, რეკვიზიტში გადახდილი 30 მანეთი".

გადაღებების დასრულების შემდეგ „ბელორუსფილმმა" ფილმის მიღებაზე უარი განაცხადა. კრიტიკოსები ამბობდნენ: „როგორ შეიძლება, კატა უკუდო იყოს, მელია — კაბაში გამოწყობილი, ბურატინო კი მოხუცს (იგულისხმებოდა ყარაბასი) დასცინოდეს". ფილმი ეკრანზე მხოლოდ იმის გამო გამოვიდა, რომ წლის ბოლო იყო და გეგმა იყო შესასრულებელი.

ფილმისთვის მუსიკის დაწერა ბულატ ოკუჯავას კარგა ხანს არ გამოსდიოდა. დრო იწურებოდა, მუსიკა კი არ იყო. რეჟისორი მწერალთა დასასვენებელ სახლში გაემგზავრა, სადაც ოკუჯავა ისვენებდა. ნომერი მისი ოთახის გვერდით დაიკავა და დღისა და ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ კედელზე უკაკუნებდა. „მაშინ ალბათ სიკვდილამდე შემიძულა", — ამბობს ნეჩაევი. რამდენიმე დღის შემდეგ კი დაიწერა — „ნე პრიაჩტე ვაში დენეჟკი პო ბანკამ ი უგლამ"...

მხოლოდ ფაქტი

„ბურატინოს თავგადასავლისთვის" ერთი სიმღერის შესრულება რეჟისორმა ალა პუგაჩოვას სთხოვა, მაგრამ მან უარი განაცხადა: „არაფერი გამომივა". სიმღერა ირინა პონაროვსკაიამ შეასრულა.

ვინ ვინ არის...

მალვინა (ტანია პროცკო) — მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტის კინომცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა, ლექსებს წერს და როლან ბიკოვის ცენტრში მუშაობს.

პიერო (რომა სტოლკარეცი) — ექიმი-პედიატრია და ისრაელში ცხოვრობს.

არტემონი (თომას აუგუსტინასი) — კანადაში ცხოვრობს და საკმაოდ წარმატებული ბიზნესმენია.

არლეკინი (გრიშა სვეტლორუსოვი) — „კაგებეს" უმაღლესი სკოლა დაამთავრა და მზვერავია.

ბურატინო (დმიტრი იოსიფოვი) — თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო და სარეჟისორო ფაკულტეტი დაამთავრა, 30 ფილმში მიიღო მონაწილეობა.

ჩვენისთვის ვრცელია
შეუძლებელი, თუ ის ხანგრძლივ
დროს, „ხანგრძლივ" მანძილზე
თვალწინ აღირდება.

ცხვირი

ბურატინოს ცხვირთან დაკავშირებით გადამღები ჯგუფი დიდ სიძნელეებს წააწყდა. ის ფენოპლასტისგან გახლდათ დამზადებული და რეჟისორის მოთხოვნა იყო, რომ მოძრავი ყოფილიყო. გადაღების დროს ცხვირი 45-ჯერ შეცვალეს. პირველი ცხვირი არცთუ ძალიან უხდებოდა პერსონაჟს, შემდეგ ის ცოტა დააპატარავეს და მსახიობის სახეს მოარგეს. ცხვირის მიწებებას გრიმიორი საათ-ნახევარს ანდომებდა.

ფილმის ეკრანზე გამოსვლის შემდეგ, დიმა ცნობილი გახდა. მას მეტსახელი — ბურატინო შერჩა. თავიდან ამაზე ბრაზობდა, მაგრამ მერე მიეჩვია. ახლა ის მოსკოვში ცხოვრობს და ტელევიზიაში მუშაობს — დოკუმენტურ ფილმებსა და სარეკლამო რგოლებს იღებს. ახლა „თავგადასავლებს" თავად ქმნის.

მალვინა

მალვინას როლის შემსრულებელიც სრულიად შემთხვევით იპოვეს. რეჟისორის ასისტენტი მინსკში მატარებლით მგზავრებოდა. მასთან ერთად კუპეში დედა-შვილი მოხვდნენ. ასისტენტი გოგონას სილამაზით მოიხიბლა და სასინჯ გადაღებებზე მიიწვია.

„გადაღების დროს ყველაზე რთული ტირილი იყო, — იხსნებს ტანია. ერთ-ერთი ასეთი სცენის დროს ვერა და ვერ ავტირდი. თვალში გლიცერინიც ჩამაწვეთეს, ხახვიც ამომისვეს, მაგრამ ვერ ამატირეს. რეჟისორი ძალიან გამიბრაზდა და ყვირილი დაიწყო. შიშისგან ავტირდი. მან თვითონ სტაცა ხელი კამერას და დაიძახა — „ვიღებთ!" შემდეგ მომეფერა და კანფეტებით გამიმასპინძლდა".

როდესაც ტანია როლზე დაამტკიცეს, მან სარძევე კბილების მოცვლა დაიწყო. ბავშვი სტომატოლოგთან მიიყვანეს და ფაიფურის პროთეზი ჩაუდგეს.

როდესაც ტელევიზიით „ბურატინოს თავგადასავალი" გადაიცემოდა, დიმასა და ტანიას სკოლებში მეცადინეობა წყდებოდა და ფილმის ერთობლივი ყურება და განხილვა იწყებოდა ხოლმე.

„გზა“ ჟურნალები

18.09. – 24.09.2008

მარი ჯაფარიძე

მეგობრის ლალატი



„საწყალი ტარატუტა ანუ შემოგეუპატიურპუტინებით“

გამარჯობა, როგორ ხართ? იმედია, ამ ერთი კვირის განმავლობაში არ მოიწყინეთ. მოსაწყენად არც მე მეცალა, რადგან უამრავ საქმეში გართულმა ვერც კი შევნიშნე „გზა-ვნილების“ დაწერის დრო ისე მომეპარა. სიმართლე რომ გითხრათ, თქვენს მესიჯებზე ძალიან ვიხალისე. ჰო, მართლა, ბევრ თქვენგანი მეკითხება, სად წავიდა მამაცი თოჯინა. ახლავე მოგახსენებთ: ალბათ, გახსოვთ, რამდენიმე თვის წინ შემოგთავაზეთ, რომ ერთმანეთთან ინტერვიუები ჩაგეწერათ. შემდეგ თქვენს „ნაშრომებს“ ვაქვეყნებდი კიდეც. მაშინ შეგპირდით, რომ ნიჭიერ მკითხველებს (პროფესიით ჟურნალისტებს) საშუალებას მივცემდით, თავიანთ საყვარელ ჟურნალში დაიწყოთ მუშაობა. ჰოდა, მამაცი თოჯინა სწორედ ასეთი აღმოჩნდა. მშვენივრად გაართვა თავი მკითხველებთან ინტერვიუებს, შემდეგ რამდენიმე კვირის განმავლობაში ჩანართისთვის თემები მოამზადა და ამის მერე ჩვენი კოლექტივის სრულუფლებიანი წევრიც გახდა. ახლა მის მიერ მომზადებული სტატიები ჟურნალ „გზის“ ყველა ნომერში იბეჭდება, ავტორის ადგილზე კი უკვე ნამდვილი სახელი და გვარია მითითებული — ეთო ყორღანაშვილი. ახლა იმასაც გეტყვით, რომ დიდი სურვილი მქონდა, ილინიც მომეწვია ჩვენთან, მაგრამ სამწუხაროდ, უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მისი რამდენიმე ნომერი მაქვს, მაგრამ ყველა გამორთულია და ვერ ვუკავშირდები. თუ ვინმეს ხმის მიწვდენა შეგიძლიათ, უთხარით, რომ დამიკავშირდეს. ახლა კი თქვენს მესიჯებს გავეცნოთ.

საწყალი ტარატუტა

„ბავშვობაში, როცა მამა ჯერ კიდევ ცოცხალი მყავდა, მასთან ხშირად სტუმრობდა ერთი საოცრად მიამიტი ბუნების კაცი. ეროვნებით უკრაინელი იყო, მაგრამ „ბედის ირონიით“ საქართველოს ხიზანი გახლდათ. ისეთი საკაიფო ენის გასატეხი გვარი ჰქონდა, რომ სახელით არავინ მიმართავდა და ყველა გვარით, — ტარატუტა — მოიხსენიებდა. სრული ბედნიერებისთვის, ოჯახური სითბო აკლდა და როცა ზამთრის ერთ ცივ საღამოს, ქუჩაში მიმავალ ტარატუტას ვიღაც უიღბლო, ფეხაცურებული, პროვოკაციულად „მინიუბკიანი“ გოგო ილბლიანად ჩაესვენა მკლავებში, ხელი აღარც გაუშვია და მასზე „მონოპოლია“ გამოაცხადა. აღარც გოგოს დაუდვია ბევრი თავაპატიჟი და ის ღამე ზამთრის ყველაზე „ცხელი“ ღამე იყო ემოციებაფეთქებული წყვილისთვის... თაფლობის თვის მერე ცოლი მიწაზე მყრად დადგა, ქმარი კი კვლავ ზეცაში დაფრინავდა და გამოეპარა ოჯახური იდილიის რღვევის პროცესი. ამ პროცესის ეპიცენტრის მთავარი გმირი კი ტარატუტას მეგობარი იყო, რომელმაც არ მოაკლო მეგობარს „მეგობრული“ რჩევები: — შენი ცოლი გუშინ იმასთან ნახეს, დღეს ამასთან, ხვალ სხვასთან ნახავენ... მოკლედ, მოიმტვრიე ეგ რქები და გააგდე ეგ ბოზი. შეურაცხყოფილმა ტარატუტამაც აღარ ინდომა, როგორც თვითონ იტყოდა — „გაუფასურებული მონაპოვარი“ და ცოლი გარეთ გაუძახა. იმ ცოლს კი ქუჩაში სწორედ ტარატუტას მოღალატე, მრჩეველი მეგობარი ელოდა. რატომ — მოღალატე? იმიტომ, რომ ჯიბეში მაშინდელი ლენინგრადისა და დღევანდელი სანქტ-პეტერბურგის 2 ბილეთი ედო და ტარატუტას „ბოზი“ ცოლი თვითონ შეირთო. კადრს მიღმა, პაიკად დარჩენილ ტარატუტას კი მამაჩემი ეხუმრებოდა ხოლმე: — იმ დალოცვილებს, „ბონორარის“ სახით მეჯვარედ მაინც წაეყვანეო. ენიგმა“.

ჩხუბი — „მეგობრული“

„თიკო და ანანო განუყრელი მეგობრები იყვნენ. სიამის ტყუპივით სულ ერთად დადიოდა და ხასიათითაც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთურთს. ორივე უზრდელი, თავხედი და ავარდნილი იყო. ერთობლივი ძალებით მთელი სკოლა თავზე ჰქონდათ დამხობილი მანამ, სანამ თიკოს ღალატის სახით შავმა კატამ არ გაირბინა მათ შორის. ანანომ გაიგო, რომ თიკო მის შეყვარებულს კუდში დასდევდა და თვალებს უჟუჟუნებდა. ეს მეგობრის საშინელ ღალატად მიიჩნია და ახსნა-განმარტების გარეშე, მთელი კლასისა და მასწავლებლების წინაშე თმით ითრია დაქალი. არც თიკო დარჩა ვალში ანანოს, რომელიც კატის თვალებითა და ლომის მრისხანებით კვლავ განაგრძობდა მის თმით თრევას და ლამის კაბა ზედ შემოახია. მეგობრის ღალატის შედეგი გახლდათ — სიცილისგან იატაკზე მოგორავე ანანოსა და თიკოს კლასელები, პირდაღებული მასწავლებელი, რომელიც ისე გაოგნებულიყო მიმდინარე მოვლენებით, რომ აღარ იცოდა, რა ექნა და გაშველების ნაცვლად ორთაბრძოლას დაუნიკვით მისჩერებოდა. თიკოს ბღუჯა-ბღუჯა თმა და ანის დახეული კაბის ნაფლეთები მანამ ეყარა ბრძოლის ველზე, სანამ დამლაგებელმა მოწყალება არ მოიღო და იატაკი საგულდაგულოდ არ დაგავა. ჩხუბის შედეგი გახლდათ ისიც, რომ ძველი მეგობრების პირად საქმეებში მკაცრი გაფრთხილება გაჩნდა. გოგონებს ამ ამბის შემდეგ არც მშობლებმა დააკლეს თმით თრევა. გაგიკვირდებათ და, თიკოს ამ ზაფხულს თურმე ანანო მონატრებია, ანანოს — თიკო. ხომ გაგიგონიათ, „მეგობრების“ ჩხუბი რეგვენს მართალი ეგონაო. ტოპოლინა“.

მოღალატე დედმამიშვილი

„მოღალატე მეგობარი საშინელებაა, მაგრამ უარესი ტრაგედიაა, როდესაც საკუთარი ოჯახის წევრი გიღალატებს. მინდა, ჩვენს სოფელში მომხდარი საშინელი ამბავი შეგატყობინოთ. იყო ერთი ოჯახი, სადაც ცხოვრობდნენ დედა, მამა და 4 ქალიშვილი. აქედან 2 — გათხოვილი იყო, მესამეს კი საცაა, ქორწილი უნდა ჰქონოდა. ქორწილი ახალი ჩავლილი იყო, როცა ამ ოჯახის ნაბოლარა გოგო ახალი სიძის ბიძაშვილს მოეწონა. კარგად „ნაგულავებ“, ლოთ, 32 წლის, ცოლშვილიან კაცს, რომელსაც ოჯახი რუსეთში ჰყავდა. რადგან ამ ბოლო ხანებში ჩვენთან 2-ცოლიანობა მოსულა, ამ ვაჟბატონმაც გაიჯეჯილა და გოგონას მიმართ, რომელიც შვილად უფრო შეეფერებოდა, თავისი სიმპათია გამოხატა. შედარებით მოკრძალებული უარი მიიღო; ვინაიდან მაინც ნათესავად მიიჩნეოდა და ეს

ჭალეში ლაქვნ ქალაქს ყი
ვრა, ლაქვნი ჭალის თანმხლებ
ქალაქს ყოვლდენან.

ჭირვეული მეგობრები

„ეჰ, თემას რომ დავხედე, მოვიწყინე. მართალია, მოსაწერი ბევრი მქონდა, მაგრამ არ მინდოდა, სევდიანი ამბით გამეცლო შენი FACE-კონტროლი. ჰოდა, ეზოში მოწყენილი ვიჯექი, ბაბუ რომ მომივიდა გვერდით. გულახდილად ვუამბე, რაც მაწუხებდა. მან ისეთი „სთორი“ მომიყვა, სიცილით მუცელიც ამტკივდა და ცრემლების ზღვაც დავაყენე. ახალგაზრდობაში მის 2 ძმაკაცს, გენოსა და ავთოს ანუ ჩვენებურად — გენოიასა და ავთოიას შესაშური მეგობრობა ჰქონიათ. მუდამ იმის ცდაში იყვნენ, ერთმანეთისთვის ოინი მოეწყოთ. ერთ დღეს, გენოიამ ნამეტნავად ლამაზი გოგო გაიცნო და პანა ხანში ქე გადაწყვიტა, ცოლად მოეყვანა. ავთოია ხომ არ ჩამორჩებოდა მეგობარს? დატრიალდა და ისეთი გოგო მოძებნა, სილამაზით გენოიას საცოლეს რომ არ ჩამოუვარდებოდა. არ ვიცი, ქაშპობის თუ ბედისწერის ბრალი იყო, მაგრამ ფაქტია, რომ გენოიას ავთოიეს იამზე ჩაუვარდა გულში და ავთოიას — გენოიეს გულნარა. ბევრი იფიქრა ორივემ და გადაწყვიტა, რომ სიყვარულის გულისთვის მეგობრის ღალატი ეპატიებოდა. ერთურთის საცოლეები მოიტაცეს და რადგან ერთმანეთის გარდა საუკეთესო ძმაკაცი ბაბუაჩემი ჰყავდათ, მათი მანქანები ჩუმად მოადგა ჩვენს ჭიშკარს. როცა ერთმანეთის ფარული ღალატის ამბავი შეიტყვეს, გაწევ-გამოწევა და მუშტების ტრიალი ატყდა, მაგრამ როგორც კი ოთახში ჩემი დიდი ბაბუა შევიდა, რომელიც რაიონისა და მთელი გურიის სიამაყე გახლდათ, ყველა გაისუსა. საქმის ვითარებაში რომ გაერკვა, შეჭმუხნილი წარბები გახსნა და გაიღიმა — ყოჩაღ, ბიჭებო, ხედავთ, როგორ გყვარებიათ ერთმანეთი? საუკეთესო საცოლეები შეგირჩევიათ ერთმანეთისთვისო, — უთხრა და დალოცა გენო და იამზე, ავთო და გულნარა... 1 წლისთავზე კი ისინი მშობლები გახდნენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გენოს ბიჭი შეეძინა, ავთოს კი გოგო. გენომ ამაყად გადახედა მეგობარს — ვაუკაცის მამა გავხდი და გელას დავარქუმო. ავთოიამ ტუჩი მოიკვნიტა და ჩაფიქრდა. — მერე რაია, ძამა, გოგო თუა, რავა, გელას ვერ დავარქუმ, თუო? — ამ სიტყვებს გენოიას ხარხარი და გულნარას კივილი მოჰყვა. ავთო კი იძულებული გახდა, გელა ბელათი შეეცვალა და ამით შეეშუბუქებინა თავისი „მარცხი“. მართალია, უკვე ორივემ 70 წელს მოუკაკუნა, თუმცა ძველებურად განაგრძობენ ქაშპობას. ერთმანეთის ღალატი კი მხოლოდ ერთხელ გადაწყვიტეს და მაშინაც ბედნიერება აპოვნინეს ერთურთს. იკუშკები“.

ამბავიც ვითომ ჩაწყნარდა. ერთ ავბედით დღეს გოგონა თავისმა ერთ-ერთმა დამ (არა — ახალგათხოვილმა) საკუთარ სახლში დაპატიჟა. ეს უმანკო ბავშვიც წავიდა. რას იფიქრებდა, თუ საკუთარი და ასე სასტიკად მოექცეოდა. გზად, ვითომდა შემთხვევით, მანქანით თავისი „კეთილი“, მოპატიჟე და შეხვდა, მანქანაში ჩასვა და „ურჩხულს“ გაატანა. მერე მოვლენები ასე განვითარდა: ბედს შეურიგდნენ; სადამდეც უნდოდა, „ურჩხულს“ გასართობი თოჯინა სახლში ჰყავდა. მერე, როდესაც მოსწყინდა გართობა, გოგონას შავ დღეს აყრიდა. მშობლებმაც ითმინეს, ითმინეს და ბოლოს მოთმინების ძაფი რომ გაუწყდათ, ადგნენ და წამოიყვანეს თავიანთი შვილი სახლში. გრუზინკა“.

მოღალატე რეზერვისტი

„ცხინვალის ომში ვიბრძოდი, როგორც რეზერვისტი და იმ ხალხთან ერთად ვიყავი, ვისთანაც მრავალწლიანი მეგობრობა და რეზერვშიც ერთად ყოფნა მაკავშირებდა. ერთ-ერთმა, აწ უკვე ყოფილმა მეგობარმა ვირთხასავით მიგვატოვა და უკან დაბრუნდა. როცა ჩვენც იარაღის დაყრა და დაბრუნება გვიბრძანეს, შევხვდი და ახსნა-განმარტება მოვთხოვე. იცით, რა მიპასუხა? — ბებიას სახლში მარტო ვერ დავტოვებდიო. არადა, დღესაც ვაუკაცობაზე დებს თავს. ამ ომმა ერთადერთი კარგი ის ქნა, რომ ადამიანებს ნიღბები ჩამოჰგლიჯა და ყველამ დაინახა, ვინ ვინ არის. P.S. ოლეგარიო, ხალისიანი მგზავნელი ხარ და ამიტომაც გაფასებ, თუმცა არ გიცნობ. სანთელი“.

მიზეზა

„მეგობრის ღალატზე რა გითხრათ, მაგრამ შეყვარებულის ღალატზე კი უცნაური ამბავი ვიცი. ჩემს მეზობლად ცხოვრობს გოგო, შეყვარებული ჰყავს, რომელიც ქალების მუსუსია. ჰოდა, როცა „გასეირნებას“ აპირებს, ეჩხუბება შეყვარებულს, წავა, გაერთობა, მერე კი ურიგდება. გოგოს კი ეუბნება, მე შენთვის არ მიღალატიაო. ჰმ... თეორიულად მართალია, მაგრამ ასე რომ იყო-ო-ოს... თან როცა ეჩხუბება, გოგომ უკვე წინასწარ იცის ჩხუბის მიზეზი; დახევს სურათებს, მერე მივა ბიჭი, შეურიგდება და ვითომც აქ არაფერიო... რა არ ხდება... მის რეალი“.

არჩევანი

„იყო და არა იყო რა, იყო ორი ძალიან მაგარი მეგობარი, რომელიც უერთმანეთოდ ვერ ძლებდა. ერთად მეცადინეობდნენ, ჭამდნენ, სვამდნენ, ერთმანეთს ყველაფერს უყვებოდნენ. ჰოდა, ერთ-ერთ ბიჭს რამდენიმე მეგობარი გოგონა ჰყავდა, მის ძმაკაცს კი მათგან ერთი გოგო მაგრად შეუყვარდა, მაგრამ მისგან საპასუხო გრძნობას ვერ ეღირსა. ბიჭმა აღარ იცოდა, რა ექნა. ბოლოს კი გადაწყვიტა, მეგობრისთვის ეთქვა ყველაფერი. ისიც დახმარებას დაჰპირდა. ერთ დღეს მოტყუებით შეგზავნა ოთახში გოგო, სადაც შეყვარებული ბიჭი ელოდა. გოგომაც წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია ბიჭს და

ასე გაუბედურდა. ახლაც მისი ცოლია, მაგრამ ჭირის დღესავით სძულს ქმარი. აი, რა შეუძლია გაუკეთოს მეგობარმა მეგობარს. იარმორკელი“.

2 გაზაფხული

„თემა პირდაპირ გულში მომხვდა და მოგონებები ამიშალა... ზღვისპირა ქალაქში გავიზარდე. მიყვარდა მზე, ბულვარი, გაზაფხული... ახლაც მიყვარს, მაგრამ სევდანარევი სიყვარულით. ერთ მშვენიერ გაზაფხულს კი გავიცანი ადამიანი, რომლის მიმართაც სიმპათიები გამიჩნდა და ბედნიერი ვიყავი იმით, რომ მისგანაც იმავეს ვგრძნობდი. შეხვედრა რომ მთხოვა, გახარებულმა მეგობარს მივაშურე, მან კი გამოყოლა შემომთავაზა და... მას შემდეგ იგი ჩვენი შეხვედრების „სრულუფლებიანი“ დამსწრე

ურნალისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობ და მომავლის გეგმებს ვსახავ. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მე იმ „მეგობართან“ ურთიერთობა დღესაც მაქვს, თუმცა მეგობრული — აღარ. გამიხარდებოდა, ამ ამბავს გაზაფხულივით ლამაზი დასასრული რომ ჰქონოდა, მაგრამ... SWEET-GIRL“.

მარიონეტი

„ერთი თვის წინ მეგობარი გამომიტყდა — შენ რომ ბიჭზე ცუდ რაღაცებს გელაპარაკებოდი, იმ ბიჭს შენ უყვარდი; მასაც შენზე ძალიან ცუდი რაღაცები მოვუყევი, რადგან მე მიყვარდა და ვერ დავკარგავდიო. გავოცდი. ვკითხე, მერე რატომ ცდილობდი, ერთმანეთს შევხვედროდით მე და ის ბიჭი-მეთქი?— იმიტომ, რომ შეყვარებული ჰყავდა და მინდოდა, შენ გამო

„როგორ თუ არ წავა!“

„მინდა მოგიყვეთ ამბავი, რომელიც ბაბუაჩემს გადახდა თავს. მოკლედ, ბაბუა ავიდა მეზობელთან, ტელეფონის დამტენის სათხოვნელად, მაგრამ მეზობლის შვილიშვილმა უთხრა, რომ მის „ნოკიაზე“ „მოტოროლის“ დამტენი არ წავიდოდა. ჩემმა ბაბუამ კი ბრაზით მიუგო: — როგორ თუ არ წავა, ესეც „ჯეოსელია“ და ეგეცო! :) მოკითხვა რაჭას. აბსურდა“.

გახლდათ. ვითომდა ბავშვური გულუბრყვილობით ცდილობდა, ჩვენს დაშორებას (მიუხედავად იმისა, რომ შეყვარებული ჰყავდა). მე კი იმდენად ვენდობოდი, რომ მისგან ცუდს ვერც წარმოვიდგენდი. მოხდა ისე, რომ თანდათან ერთმანეთს დავშორდით. მეორე გაზაფხულის დამლევს კი მეგობარი მეახლა და ყოველგვარი შესავლის გარეშე მომახალა, რომ ადამიანს, რომელთანაც მისი „სიყოჩაღის“ გამო გამიფუჭდა ურთიერთობა, ცოლი მოეყვანა. მე ის ერთი წუთითაც არ გამიმტყუნებია — რაში სჭირდებოდა გვერდით ისეთი ადამიანი, რომელიც პაემანზე თანმხლები პირის გარეშე ვერ მისულა?! მას უკვე შვილიც ჰყავს... მე კი... მე გამოვეთხოვე ზღვისპირა ქალაქის ზღვასავით მღელვარე ცხოვრებას და დედაქალაქში გადმოვედი. უმაღლეს სასწავლებელში,

მიეტოვებინა, მერე თქვენ ადვილად დაგაშორებდითო. კინაღამ გავგიჟდი. მაკას სიმთვრალე რომ არა, ვერასოდეს გავიგებდი, მეგობრად კი არა, მარიონეტად რომ მიმიჩნევდა. პრანჭო“.

ყველაფერზე, თემის გარდა

ვეძებ ჯარისკაცს

„სანამ ომი დაიწყებოდა, ერთ ბიჭს ველაპარაკებოდი.

მან მითხრა, რომ ჯარისკაცი იყო, მე კი დავცინე და ვუთხარი, რომ ჯარისკაცებს ვერ ვიტანდი. მან თქვა, რომ სამშობლოს იცავდა და ამიტომ იყო ჯარში; მე კი მისი ნათქვამი სასაცილოდაც არ მეყო. მას ალეკო ერქვა. ახლა ვერ ვუკავშირდები, რადგან მისი ნომერი წამეშალა. ის სამტრედიიდან იყო და ხონში მსახურობდა. გთხოვ, ალეკო, თუ წაიკითხავ ამ მესიჯს (თუ ცოცხალი ხარ), მარის გამოართვი ჩემი ნომერი. იმედია, გახსოვარ... მარი“.

ისევ ომზე

„ნახალოვკაში, ჩემს მეზობლად აფხაზეთის ომგამოვლილი ბიჭი ცხოვრობდა. 2 შვილის მამა იყო, როცა მოხალისედ წავიდა, იქ კი აფხაზებმა დაჭრეს და სხვა მკვდრებთან ერთად ცოცხლად დამარხეს. საფლავიდან ამოღწევა 23 წლის ბიჭს თმის გათეთრებად, საკუთარი ხორცების დაგლეჯად, ასთმური სპაზმებისა და ფსიქიკური აშლილობის ფასად დაუჯდა. გაუბედურებული შვილის დანახვაზე მამამისს ინფარქტმა დაარტყა. ცოლმაც, იმისათვის, რომ შვილები მამის პერიოდული სიგიჟისგან ეხსნა, ქმარი მიატოვა. გაუბედურებულ ოჯახს მთავრობამაც „დაუიგნორა“. ეს ნაღვლიანი ამბავი კამელიას გზავნილმა გამახსენა, რადგან პარალელს რომ ვავლებ, ეს ომი იმ ომის გაგრძელებაა. არც იმ ომის გმირებს აქვთ დაფასება და არც ამ ომისას. ამ პირტიტველა ბიჭებისთვის სამშობლო სიცოცხლეზე მაღლა დგას, ჩვენი სანაქებო მთავრობისთვის კი საქართველოზე მეტი ფასი საკუთარი შვილების სიცოცხლესა და პირად კეთილდღეობას აქვს. აბა, რომელი მაღალი ეშელონის ჩინოვნიკი ან მისი ოჯახის



მომავლის მჭონე ჭალობაღონეში
წარსულის მჭონე მაძაყაღვებს
ოხდა მოუმლდონ.

„ჩიტო-გვრიტო“

„ჩემი სახლის მეზობლად მდებარე სუპერმარკეტ „ჩიტო-გვრიტოს“ დამლაგებელ ლიკაზე მოგიყვებით. ჯერ ხომ ამ გაზაფხულზე მაისში დათქმული ნიორი მინდვრიდან პირწმინდად მოპპარეს. „ნანივრალში“ ჯოხი ჩაერქოთ და „ეუშტი“ ჩამოეკიდათ წარწერით — „სიმწარე გაშორეთ, სტკბო მოგცეთ“.ლიკა სინამდვილეში ლიანაა და 68 წლისაა. ლიკას მე ვეძახი და უხარია. ჰოდა, ეს „ეუშტი“ წამოიღო გამწარებულმა და თან იწყევლებოდა. მისი გამოთქმებიდან ყველაზე ძალიან მომეწონა: „ტყვეოსაგან ასაფლერთო“ და — „კერენცკი“. ეს „კერენცკი“ ლიკას წყევლა ჰგონია, რადგან ცხონებული იმისი დედამთილი კატუშა სულ „კერენცკის“ ეძახდა და „ნიკალაევსკაიასაც“. ჰოდა, ეს ჩვენი ლიკა ამ კვირას ძალიან გაგვიბრაზეს. „ჩიტო-გვრიტო“ ზედ ტრასის პირზეა, წინ დიდი ნაძვის ხე დგას. ლიკა დილის 5 საათზე მიდის ხოლმე დასალაგებლად და ამ ბოლო დროს ძალიან დანაგვიანებული ხვდებოდა მიმდებარე ტერიტორია. თანაც ყოველდღე ცოცხი ეკარგებოდა. ჰოდა, ამ ლიკამ ეს ქურდების სახსოვარი „ეუშტი“ წაიღო და მაღაზიის წინ, ნაძვზე დაკიდა და ზედ დააწერა — „ლოთებო, გთხოვთ, დავიცვათ სისუფთავე!“ მეორე დილით „ეუშტზე“ ახალი წარწერა დახვდა — „წადი, შენი!“ ლიკა გამწარდა და დააწერა: „ლოთობთ, თვრებით ბებიათქვენისათი, ამ ცოცხებს რაღას უშვრებით, ქა?“ „ცოცხებს შენ გიკეთებთ, ერთ ადგილზე“ — იყო პასუხი. როგორია, თანამედროვე კახური, „ეუშტზე“ მესიჯობა? როგორც მერე გაირკვა, უბნის დარდიმანდები ღრეობდნენ ყოველღამე ნაძვქვეშ და მერე ჩხუბისას ცოცხს ერთმანეთს თავზე ამტვრევდნენ. მესიჯებსაც წერდნენ ლიკას. არა, რას აკეთებს „პატონი“ პატრული? ამარიაუებს ახალ მანქანას და ჯორით მიმავალ გიოს ათი ლარით აჯარიმებს. დედას გეფიცებით, არ გატყუებთ, მაგრამ ეს ცალკე ამბავია. მარი, რატომ მესიჯებს არ მიბეჭდავ (ეს ჩემი ნიკია)?“

წევრი დაეცა გმირულად? სამაგიეროდ, მასმედიის წინ იწონებენ თავს ელიტარული ჰაბიტუსითა და ცარიელი ფრაზებით. თითქოს ეგენი არ იყვნენ, საქართველოში რუსული ბიზნესი რომ ააყვავეს და ეკონომიკური მართვის ბერკეტი რუსებს ჩაუგდეს ხელში. ცალკე ამერიკას ეკეკლუცებოდნენ და ამ ორმაგი თამაშის გამოძახილი იყო რუსეთის სისხლიანი „ტრიუმფი“, რომელსაც შენი დე ფაქტოც და დე იურეც სულ ცალ ფეხზე ჰკიდია. ჰო, ნატოც კარგია, მაგრამ ნათქვამია — სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო. ჰოდა, პეტრეც კარგადაა, ჩვენს ჩინოვნიკებსაც არ წახდენიათ მადა, ქართველი ხალხი და ჩვენი სამშობლოსათვის გულანთებული ბიჭები კი ტყავგამძვრალი პავლეს დღეში ვართ. ცოცხალი ჯაჭვითა და აფრენილი მტრედებით კი ვაჩვენეთ მსოფლიოს, რომ „საქართველო ჩვენია“, მაგრამ ეს გაუბედურებული ოჯახები, დაინვალიდებული ბიჭები, ფსიქიკაშერყეული ბავშვები და ძაძით მოსილი დედები ვისია? მართალია კამელია, ვარდებით ნაყიდი საქართველო ინვესტიციებსა და მომგებიან დივიდენდებზე გაყიდეს და ამ ნაჭერ-ნაჭერ გაყიდულ საქართველოს სისხლით იცავს ბინძური პოლიტიკის მსხვერპლი ქართველი. მათი დაუფასებელი ამაგის ამბებს კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხედავთ. ღმერთო, წყალობის თვალით გადმოხედე საქართველოს და ნურც ერთ ჩვენგანს საზარბაზნე ხორცად ნუ გვაქცევ. ენიგმა“.

მზარეული

„ლეგენდარული მზარეული რომ ვარ, თუ მთელმა სამეზობლომ არ იცოდა, უკვე გაიგო და მარ, შენც თუ დამიბეჭდავ, მთელი საქართველოც გაიგებს. მოკლედ, გუშინ ნამცხვარი გამოვაცხვე და შეცდომით, სოდის მაგივრად მარილი ჩავყარე. გამოვაცხვე და ღამაზად მოვრთე. პირველად ბებოს გავასინჯე. ერთი ნაჭერი მიირთვა, მე კი შეფასების მოლოდინში ჭკუაზე არ ვიყავი. იმან მითხრა — კაია, ბებია, მარა მარილი მოგსვლია

„პატივნაცემი სტუმარი“

„მამაჩემის ბიძა ჩვენ გვერდით ცხოვრობს. თავისებური კაცი ყოფილა და ცოლს უშლიდა თურმე, გარეცხილი საცვლების ეზოში გაფენას. ჰოდა, თამარაც ამდგარა და დეკემბერში, ღორი რომ დაკლეს და სტუმრები დაპატიჟეს, თავისი საცვლები მაღლა, მეორე სართულზე, საწოლის თავებზე გადაუფენია და იმ აურზაურში დავიწყებია. მთვრალი სტუმარი კაცები ცოლებმა ძლივს დააწვინეს იმ საწოლებში. მათ შორის, ოჯახის რუსთაველი, მელოტი მძახალიც ერია. დილით ადრე გახსენებია თამარას, სად დაფინა საცვლები. ჩუმად ასულა, შეუღია კარი და ელდანაცემი ჩამოსულა დაბლა. დაეტაკა ქმარს თურმე, შე პირქვე დასამარხავო, ნებას რომ არ მაძლევ, საცვლები გარეთ გავფინო, აბა, წადი ახლა, ნახე. ჩვენს მძახალს რა ახურავს თავზეო. ასულა გოგია მაღლა და რას ხედავს? მის მძახალს მელოტ თავზე თამარას ტოტებიანი ნიფხავი მოუხვევია და არხეინად ხვრინავს. მარი, რატომ მესიჯებს არ მიბეჭდავ?“.

პაწა მეტიო. არ დავიჯერე და მეც გავსინჯე, მაგრამ ჯობდა, არ გამესინჯა. მთელი დღე უნიტაზჩახუტებულმა გავატარე. P.S. ჩემი მარილიანი „იდეალი“ ჩემს ძაღლს, ჯონდის მივართვი, მაგრამ რატომღაც არც მან მიირთვა. ნეტავ, რატომ? ჩუპი“.

კატა – საცდელი ობიექტი

„ამ გაზაფხულზე თბილისში, ჩვენს მეზობლებს მამამ სოფლიდან სოკო ჩამოუტანა. არ ენდვნენ, ადრეც მოგვწამლაო და ჯერ ეზოს მაწანწალა კატას, ლედის აჭამეს. ერთი საათი გავიდა, არაფერი მომხდარა. ჰოდა, თვითონაც მიირთვეს. ბავშვები ჩავიდნენ ეზოში და რას ხედავენ? ლედი გამწარებული ჩხავის და მიწაზე გორავს. არიქა, „სასწრაფო“ და რამე... მთელი ოჯახი საავადმყოფოში გააქანეს, მთელი ღამე ყველას კუჭს ურეცხავდნენ. როგორც იქნა, გადარჩნენ. დაბრუნდნენ შინ და რას ხედავენ? ლედის კნუტები არ დაუყრია? ახლა ეს ამბავი რაზე გამახსენდა, იცით? მეც დავკრიფე სოკო და ახლომახლო კატა არსადაა, რომ ვაჭამო. ჩემი ფისო ამ 2 დღის წინ, ავტოკატასტროფაში „დაილუპა“. მ.რ.მ.ა.მ“.

ეჭვიანი ბაია

„ძალიან ეშმაკუნა ბაია ვიყავი. ჰოდა, დეიდა მიყვარდა უზომოდ. დეიდა მომავალ ბიძიას რომ ხვდებოდა, საშინლად არ მომწონდა. ასე მეგონა, რომ საყვარელ დეიდას მართმევდნენ. ორივეს ნერვებს ვუშლიდი: ერთად არ ვსვამდი, შუაში ვეჩხირებოდი, რომ ცეკვავდნენ, ზედ ვახტებოდი. ერთ მშვენიერ დღეს, პაპუნა სილვას წასაყვანად მოვიდა. როცა ქვევით ჩავიდნენ, ფანჯრიდან გინება დავუწყე. იმდენი ვქენი, რომ საწყალი დეიდაჩემი უკან დავაბრუნე და პაემანიც ჩავუშალე, მაგრამ ახლა კი ვნანობ ჩემს საქციელს. უმაგრესი ბიძა მყავს. იარმორკელი“.

მამაშვილობა

„მარი, დიდი ხნის წინ თემა გქონდა — მამაშვილობა. მაშინ ბევრი სევდიანი და ბევრიც სითბოთი სავსე გზავნილი მოგვივიდა. მეც ამ თბილ, ტკბილ, მამაშვილურ გზავნილს მართალია ძალიან გვიან, მაგრამ ვგზავნი. სულ რამდენიმე დღეში 18 წელი გახდება, რაც ამ ქვეყანას მოვევლინე. ავად ვიყავი, მთლად გავყვითლდი, ფორთოხალივით. ისეთი პრეპარატი მჭირდებოდა, რომელიც ვერც საავადმყოფოში იშოვეს და ვერც აფთიაქში. დიდი წვალებით იშოვა მამიკომ ეს წამალი და გადამარჩინა. იმ დღიდან სულ მხარში მიდგას, ჩემთვის არაფერს იშურებს, ოღონდ მე ვყავდე კარგად. შესანიშნავი მამაა, სითბოსა და ყურადღებას არ მაკლებს. ხშირად ღამით გამომღვიძებია და დამინახავს, მძინარეს როგორი სიყვარულით დამცქეროდა. დედამ მითხრა: — ასე ამბობს, მის გულისცემას ვუსმენ, ისე ვერ ვიძინებო. უსაზღვროდ და უზომოდ მიყვარს. მამა ჩემთვის კაცის ეტალონია. კახელო“.

„სპრავედლივი“ ხელი

„ქუთაისელებმა გუშინ რუსები ვნახეთ, ქართველ გოგოებს „კერავდნენ“. ჰოდა, რომ დავიჭირეთ და ვუუაუუნეთ, გაიძახოდნენ, „ნარტყამზე“ აღარ დაგვარტყათო. :)

გენიოსი კომპიუტერი

„ეს ამბავი მაშინდელია, ქუთაისში პირველად რომ შემოვიდა კომპიუტერები.

— გაიგე? „ზასტავაზე“ კომპიუტერი დაუდგამთ, რასაც ჰკითხავ, პასუხიც ზედვეა, თურმე, — ეუბნება ერთი ქუთაისელი მეორეს.

— კაი, კაცო, არ მჯერა.

— წამო, ვნახოთ.

წავიდნენ.

„აბა, მამაჩემი სადაა?“ — ჰკითხა გივიმ. „მამაშენი გოგისვანიძეებში ქეიფობს“, — იყო კომპიუტერის პასუხი.

— ა, შტერია ეს კომპიუტერი, მამაჩემი ორმოცდასამში დაილუპა, სტალინგრადთან. — აბა, ერთი კიდევ სცადე, ოღონდ სხვა სიტყვებით ჰკითხე, — შეაგულიანა მეგობარმა.

— „სადაა დედაჩემის ქმარი?“

— „დედაშენის ქმარი სტალინგრადთან დაილუპა, ორმოცდასამში, მამაშენი კი გოგისვანიძეებში ქეიფობს“, — უპასუხა კომპიუტერმა. ოლეგარიო“.

მოხვდათ „სპრავედლივი“ ხელი. მოკლედ, არტილერია ომშიც და ქუთაისშიც მაგრად მუშაობს. :) ასე გაიძახოდნენ, ჩამოხვალთ პეტერბურგში და გაგინგრევთ სიფათსო. ჯერ აქ ხართ, ბიჭებო-თქო... სულ არშავინი და პავლიჩენკო ვაგინეთ. :) არა უშავს, დაამახსოვრდებათ ქუთაისელების ხელი. ისე, თურმე რუსი ქალები გაიძახიან — პუტინი გადაშენდა, ქართველი კაცები რას დაგვაკარგვინაო? WIND OF CANGE“.

ინტერნატი

„პატარა ბიჭი დამეკარგა, ვოვკა პუტინაააა, ოჰ, ნეტავი მაპოვნინა და გამაპუტინაააა! — სიმღერით მოგესალმებით, „გზაელებო“. ამ ზაფხულს მე და ჩემი მეგობარი ვსაუბრობდით. მან თქვა — მთელი დღე ინტერნეტში ვარო. ჩვენს საუბრს ბებიამისი უსმენდა. ეს რომ გაიგო, შემოგვხედა და გვითხრა — ჩემს დროს ინტერნატის ბაღნებს დასცინოდნენ და თქვენ ახლა ინტერნატში დადიხართ, მთელი დღეო? ჩუპი“.

სასარგებლო ღალატი

„ღალატი და თანაც — მეგობრისგან, საშინელებაა. მაშინ კოლეჯში ვსწავლობდი. კურსზე ოთხი გოგო ვიყავით და ბიჭები ხელისგულზე გვატარებდნენ. მე გოგონების „მთავარსარდალი“ ვიყავი, რადგან ერთი თვის მანძილზე გოგონებს ვაგროვებდი, რომ როგორმე „ტურიზმისა და უცხო ენის“ ფაკულტეტზე შემეტყუებინა (აჭარელ გოგოს „ტურიზმში“ ვინ გამოუშვებდა?). ჩემი სიკეთე მალე დაავიწყდათ. ეს სიმწრით მოგროვებული გოგონები თანაკურსელმა ბიჭებმა, მოტაცებითა და ერთმანეთის ხელშეწყობით, ცოლებად დაისვეს. მეგონა, ჩემს მოტაცებას ვერავინ გაბედავდა და კურსზე „ჯუნგლების დედოფლის“ სახელს ბოლომდე შევინარჩუნებდი, მაგრამ ბოლოს ისევ ჩემმა გოგოებმა მიღალატეს. ისე მოაწყვეს ყველაფერი, რომ ეჭვი არაფერზე ამიღია. ჩავუჯექი მანქანაში ჩემს თანაკურსელსა და მომავალში თურმე ჩემს მეუღლეს და თანაკურსელი გოგოს სანახავად წავედით. იქიდან მომავალ მულთან შევიარეთ, სადაც გამომიცხადეს, რომ მოტაცებული ვიყავი. რუსების ბომბის გავარდნას ჰგავდა მაშინ ჩემთვის ეს ამბავი. ისევ გოგონებს დავაბრალე, ეს რა გამიკეთეთ-მეთქი. ჩვენ არაფერი ვიცითო, თავი იმართლეს, მაგრამ ვინ დაუჯერებდა ან მე ვინღა გამომიშვებდა იქიდან? ასეთ ღალატს, თურმე გამართლებაც აქვს. მე ბედნიერი ოჯახი შევქმენი. აბლახანუმი“.

თემასა და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები.

„მოუშუშებელი იარა“

„ის ღალატი გულში მოუშუშებელ იარად დამრჩა. დაქალის „ლოვე“ ძალიან დამიახლოვდა. ვმეგობრობდით და კარგი ურთიერთობა გვქონდა. მეგონა, ჩემი დაქალი უყვარდა, მაგრამ... ერთ დღეს სიყვარულში გამომიტყდა. როცა დავიფრინე და სიყვარულზე სიყვარულით ვერ ვუპასუხე, ჩემზე ათასი საძაგლობა მოიგონა. აი, ასეც ხდება, სამწუხაროდ. ფერია“.

„ნუ, ჩემს სოფელში ქურდულს აწვებიან, მტრისას! ამას წინათ, ორი ბიჭი არჩევდა საქმეებს. ერთმა მეორეს რაღაც ჰკითხა. იმას კიდევ მოჰბეზრდა და უთხრა: — ე, ბიჭო, რამდენ კითხვას მისვამ, თავი „პრაიმთაიმში“ ხომ არ გგონია?

პირველმა ვერ გაიგო და უპასუხა:

— პლანის კაიფში შენ ხარ, თუ კარგია. მასტერა“.

„მეგობრის ღალატი ზუსტად ის არის, რამაც ყველაზე მეტად მატკინა გული. არ დავიწყებ იმის მოყოლას, თუ როგორ გავაცანი დაქალს ჩემი „ლოვე“ და როგორ შევუწყვე ხელი მათ „დამეგობრებას“. უბრალოდ, ისე განვითარდა მოვლენები, რომ მე „მესამე და ზედმეტი“ აღმოვჩნდი. ძალიან ვიყავი გაბრაზებული და არც ერთის დანახვა აღარ მინდოდა, მაგრამ მიტევების დიდი უნარი მქონია. სწორედ ამ დაქალს მამა დაეღუპა და გვერდიდან არ მოვცილებივარ იმ მძიმე წუთებში. კახელო616“.

„სანამ მოღალატე მეგობრის ამბავს მოგიყვებით, მანამდე ჩემს „ენის გასატეხებს“ მოგწერთ. მგონი ღირს, დღის სინათლე იხილოს. 1. გაპუტული პუტინი პუტუნებს — ჩემს საპუტუნებელში ნუ აპუტუნებთ, თორემ შემოგეუპატიურპუტინებით და შემოგეამპუტირებითო. 2. ჟირინოვსკი, რა მჟავედ გვეროჟავ-გვერიჟავ-გვებირჟავები, მაგ გიჟური ჟინით რომ არ გვეჯინაო, გაგჟიმავენ?“

„მოღალატევ, მოღალატევ, ნეტავ როგორ გძინავს, ღამეეეეეეეეეეე“... რა დროს მოღალატეობა და სინდის-ნამუსია?! გამწარებული „რთველი 2008“-ია. ჰოდა, წავედი, ხვალიდან. არა, ტელევიზორში რომ აცხადებენ, წავიდეთ კახეთში, მივეხმაროთ რთველში კახელებსო, სად მოდიხართ? დაეყარეთ მანდ და ფეხი არ ჩამოდგათ, უთქვენოდაც კარგად იკრიფება ვენახები. ბიჭოს!“

შემდეგი ნომრის თემად გთავაზობთ — მოწმე. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ **elfostaze: marorita77@yahoo.com** *მიამბეთ, რისი მოწმე გამხდარხართ უნებლიეთ და რა მოიმოქმედეთ ამ დროს. „მოკლე ჩართვის“ კითხვად კი ამჯერად გთავაზობთ: როგორ მასწავლებელს მივანიჭებდი უპირატესობას?* ●

თუ მაძმაკაცი დიდი ხნის განმავლობაში თვალებში გიყურებს, დარწმუნებული იყავი, რომ დანაჩენი მან უკვე ყარგად შეათვალიერა.

ყველას არ ემარცლებს...

1. ალასკაზე, ნავთობის დაღვრის შედეგად განვითარებული ეკოლოგიური კატასტროფის შემდეგ, სარეაბილიტაციო პროგრამა ჩატარდა, რომელიც დაავადებული ირმების განკურნებას ითვალისწინებდა. საამისოდ, ერთ ცხოველზე 80 ათასი დოლარი იქნა გამოყოფილი. მკურნალობის შემდეგ 2 ირემი გაუშვეს. რამდენიმე წუთის შემდეგ, ყველას თვალწინ ორივე „კასატკამ" (ვეშაპისებრთა ოჯახის წარმომადგენელი) შეჭამა.

2. ნიუ-იორკელმა ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა ექსპერიმენტის ჩასატარებლად დურგალი დაიქირავა. მას სურდა გაერკვია, როგორ რეაგირებს ადამიანი, როდესაც მის მიერ შესრულებული სამუშაოს გამო პრეტენზიებს გამოთქვამენ. 4-საათიანი მუშაობის შემდეგ, სტუდენტი გოგონას მხრიდან განუწყვეტელი მეთვალყურეობისა და გამუდმებული პრეტენზიების მოსმენის შედეგად, დურგალს მოთმინების ფიალა აევსო, გოგონას ნაჯახით დაესხა თავს და დაანივალიდა.

3. სამზარეულოში შესულმა ქალმა დაინახა, რომ მისი ქმარი დენში ჩართული ელექტროჩაიდნის სახელურს ჩასჭიდებოდა და მთელი ტანით იგრიხებოდა. მან ხელი დასტაცა იატაკის საწმენდ ჯოხს და სცადა, ქმარს მიხმარებოდა. ამ დროს კი მას ხელი 2 ადგილზე მოსტეხა... აღმოჩნდა, რომ ქმარს ყურსაცვამები ეკეთა, საცეკვაო მუსიკას უსმენდა და თან ცეკვავდა.

4. ცხოველების უფლებების დამცველმა ორმა ადამიანმა ბონში, დასაკლავი ღორებისთვის განკუთვნილ ვაგონთან პატარა დემონსტრაცია მოაწყო. 2 ათასმა ღორმა რაღაცნაირად ჯებირის გარღვევა შეძლო და თავისი დამცველები, სასკვდილოდ გადათელა.

5. ერაყელ ტერორისტს, ქაირაჰაიეტს ფული არ ეყო მარკებისთვის, რომელიც ასაფეთქებელნივთიერებიანი ამანათისთვის უნდა დაეკრა. ამიტომ ფოსტის შესაბამისმა სამსახურმა ამანათი უკან დააბრუნა, წარწერით — „უბრუნდება ადრესანტს". ტერორისტს დააავიწყდა, რა იყო ამანათში და ყუთი გახსნა...

6. ლონგ ბიჩზე ჩატარებული ძარცვის დროს, მძარცველს, ჯეიმს ელიოტს პისტოლეტმა უმტყუნა. მან იარაღი თავისკენ შეაბრუნა, ლულას ჩახედა და ჩახმახს კიდევ ერთხელ გამოჰკრა... ამჯერად პისტოლეტმა თავისი საქმე ზუსტად და შეუცდომლად შეასრულა.

7. შვეიცარიაში, ერთ-ერთი სასტუმროს შეფ-მზარეულს ხორცის საკეპ მანქანაში თითი ჩაჰყვა, რის შემდეგაც სადაზღვევო კომპანიაში განაცხადი გააკეთა. კომპანიამ ეჭვი აიღო, რომ მზარეულმა ეს განგებ ჩაიდინა და ფაქტის ადგილზე შესამოწმებლად წარმომადგენელი გაგზავნა. მან ხორცის საკეპი მანქანა მუშაობის პროცესში შეამოწმა და თვითონაც თითი დაკარგა, რის შემდეგაც მზარეულის მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

8. რუმინეთში ანა ბოჩინსკის დამკრძალავი პროცესიის წევრები გაოგნდნენ, როდესაც სასაფლაოსკენ „მიმავალი" „მკვდარი" კუბოდან წამოხტა, ძირს ჩამოვიდა და გზისკენ სირბილით წავიდა. ის მას საპირისპირო მხრიდან, დიდი სიჩქარით მოძრავი ავტომანქანა დაეჯახა და მოკლა. ამის შემდეგ ის კუბოში დააბრუნეს და დაკრძალეს.

9. სამხრეთ ამერიკაში მოგზაურობის დროს, ამაზონის სანაპიროზე მდგარი ამერიკელი ტურისტი მკვლელმა ფუტკრებმა დაკბინეს. მათგან თავის დასაღწევად მსხვერპლი მდინარეში გადაეშვა, სადაც პირანიებმა რამდენიმე წამში შესანსლეს.

10. ქარბუქის დროს, ჩიკაგოში მცხოვრებმა მამაკაცმა მანქანის სადგომის თოვლისგან გაწმენდას მთელი 2 საათი მოანდომა. მანქანით უკან დაბრუნებულმა აღმოაჩინა, რომ მის მიერ გაწმენდილი ადგილი ქალს დაეკავებინა. განრისხებულმა მამაკაცმა იარაღი ამოღო და ქალი მოკლა.

11. ზიმბაბვეში, ავტობუსის მძღოლი დასლევად ბარში შევიდა. იქიდან გამოსულმა კი აღმოაჩინა, რომ მისი 20 მგზავრიდან ადგილზე არც ერთი აღარ იყო. მგზავრები ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტები იყვნენ და მძღოლს ერთი კლინიკიდან მეორეში გადაჰყავდა; მათ მძღოლის არყოფნით ისარგებლეს და გაიქცნენ. მძღოლს დასჯის შეეშინდა, ერთ-ერთ გაჩერებაზე მივიდა და ხალხს უფასოდ მგზავრობა შესთავაზა. შემდეგ ყველა ფსიქიატრიულ კლინიკაში მიიყვანა და პერსონალს აუწყა, რომ პაციენტები ძალიან აღგზნებული იყვნენ და ერთსა და იმავე, აკვიატებულ ამბავს ჰყვებოდნენ. სიმართლის დადგენას 3 დღე დასჭირდა.

12. ტეხასის შტატის კანონმდებლობაში ცვლილება შეიტანეს, რომლის შედეგადაც სიკვდილმისჯილებს უკანასკნელი სიგარეტის მოწევის უფლება ჩამოართვეს იმ მოტივით, რომ მოწევა ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნებელია.

13. საუდის არაბეთში მოსამართლემ განსასჯელს 2 ბოთლი შოკოლადის ლიქიორის შეძენისთვის წკეპლის 75 დარტყმა მიუსაჯა.

14. დედამ მოზრდილი გოგონა ექიმთან მიიყვანა და შესჩივლა, რომ ბავშვს მუცელი გაებერა. ექიმს რამდენიმე წუთი დასჭირდა საიმისოდ, რომ გოგონას ორსულობა დაედგინა. როდესაც ამის შესახებ დედას აუწყა, ქალი გაბრაზდა. „მე ისეთი შვილი არ გამიზრდია, რომ მამაკაცს ქორწინებამდე დანებებოდა", განაცხადა მან და ექიმის ლანძღვას მოჰყვა. ამ დროს ექიმი ფანჯარასთან იდგა და თვალი ჰორიზონტისთვის გაეშტერებინა.

— კი, მაგრამ, რატომ არ მისმენთ? — აღშფოთდა ქალი.

— გისმენთ, ქალბატონო, მაგრამ სწორედ ახლა, ჰორიზონტზე ჯერ ვარსკვლავი, შემდეგ კი 3 მოგვის სახე გამოჩნდა და იმედი მაქვს, ახლა აქ მოვლენ და დაგვეხმარებიან გავარკვიოთ, ვინ გაუიმა თქვენი ქალიშვილი. ●

ფაქტები — კიბოლოგიური

• რწყილს თავისი ტანის სიგრძეზე 350-ჯერ მეტ მანძილზე შეუძლია გადახტომა. ეს იგივეა, რომ ადამიანი ფეხბურთის სტადიონს გადაახტეს (წარმოიდგიეთ, როგორ გაუმართლა რწყილს!).

• ლოქოს 27 ათასი გემოს რეცეპტორი აქვს (ნეტავ, ფსკერზე ასეთი გემრიელი რა არის?).

• ზოგიერთი სახეობის ლომი დღის განმავლობაში 50 სექსუალურ აქტს ატარებს (რამდენი ინატრებს ლომობას მომდევნო ცხოვრებაში!).

• პეპლებს გემოს რეცეპტორები ფეხებზე აქვთ (რა საინტერესო იქნებოდა, ადამიანებსაც ასე რომ ჰქონდეთ!).

• ადამიანის ყველაზე ძლიერი კუნთი ენაა (ჰმ...).

• ცაციები ჩვეულებრივ ადამიანებზე 9 წლით ახალგაზრდები კვდებიან (ნეტავ, იმ ადამიანების საქმე როგორაა, ორივე ხელს ერთნაირად რომ ხმარობენ?).

• სპილო ერთადერთი ცხოველია, რომელსაც ხტუნვა არ შეუძლია (იქნებ, ასე ჯობია კიდეც).

• კატის შარდი ღამით ანათებს (საინტერესოა, რამდენი გადაუხადეს იმ მეცნიერს, ვინც ეს დაადგინა?).

• სირაქლემის თვალის ზომა მისი ტვინის ზომაზე დიდია (მე ასეთ ადამიანებსაც ვიცნობ).

• ზღვის ვარსკვლავს ტვინი საერთოდ არ აქვს (ასეთ ადამიანებსაც ვიცნობ...).

• თეთრი დათვები ცაციები არიან (თუ „გადაკვალიფიცირდებიან“, 9 წლით მეტს იცოცხლებენ).

• მხოლოდ ადამიანები და დელფინები კავდებიან სექსით სიამოვნების გულისთვის. დანარჩენი სახეობების შეჯვარება მხოლოდ შთამომავლობის მიღებისთვის ხდება (აბა, ლომებიოოოო?).

• თუ 8 წლის, 7 თვისა და 6 დღის განმავლობაში გაუჩერებლად იყვირებ, შეგიძლია, იმდენი ენერგია გამოყო, რაც ერთი ფინჯანი ყავის ადუღებას ეყოფა (ინფორმაციის გადამოწმება, რა თქმა უნდა, არ ღირს).

• ადამიანის გულის წნევას შეუძლია, სისხლი 10 მეტრის მანძილზე გადაისროლოს (ღმერთო, დაგვიფარე).

• ღორის ორგაზმი 30 წუთს გრძელდება(!!!).

• ტარაკანს მოგლეჯილი თავით 9 დღე შეუძლია სიცოცხლე (ამ დროს ალბათ ისევ ღორზე ფიქრობ, არა?).

• თუ ერთი საათის განმავლობაში კედელზე თავს გამალებით ურტყამ, 150 კალორიას დაკარგავ (ჯობს, 100 კილო იყო, ვიდრე ამ ხერხით გახდე).

უძველესი ძველი ხუმრობა

კაცობრიობის ყველაზე ძველი ხუმრობა, რომელმაც ჩვენამდე წერილობითი სახით მოაღწია, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1900 წლით თარიღდება, — აცხადებს ბრიტანული უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფი.

ყველაზე ძველი ხუმრობის ავტორად მეცნიერებმა შუმერები დაასახელეს, რომლებიც თანამედროვე ერაყის სამხრეთით სახლობდნენ. ხუმრობა ასეთია — „რაც არასოდეს მომხდარა: ახალგაზრდა ცოლს ქმრის კალთაში არ გაუკუეია“.



მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ძველ ეგვიპტეშიც ხუმრობდნენ. ფარაონზე შექმნილი ხუმრობა, რომელიც ჩვ.წ.აღ-მდე 1600 წლით თარიღდება, ასე ჟღერს: „როგორ გავამხიარულოთ მოწყენილი ფარაონი? ბადეში უამრავი შიშველი ქალი ჩავსვათ და ფარაონი სათევზაოდ გავუშვათ“.

ინგლისელებმა X საუკუნეში იხუმრეს: „გამოცანა: რა ჰკიდიათ მამაკაცებს ფეხებშუა, რომელიც ხშირად ძირს უვარდებათ? პასუხი: გასაღები“.

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ჯრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. ვარ 44 წლის ქალი და მსურს ოჯახის შექმნა. მინდა, ქართველი ერის გამრავლებაში, უფლის შეწევნით ჩემი წვლილი შევიტანო. დამიმესიჯოს სერიოზულმა, 48 წლამდე ასაკის მამაკაცმა.

2. მაინტერესებს „გზა“ №36, მე-19 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

3. მინდა გავიცნო ისეთი ადამიანი, ვინც იცის ოჯახის ფასი და სურს ოჯახის შექმნა. გთხოვთ, გამომეხმაუროთ. ვარ 24 წლის. თეა.

4. გამომეხმაუროს „გზა“ №36, მე-19 ნომრის პატრონი. ვარ 36 წლის.

5. ვარ 33/170/80, უმაღლესი განათლებით, სიმპათიური, წლინახევრის გოგონას დედა.

6. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ყველაფრით უზრუნველყოფილ მამაკაცს, 40-50 წლამდე. ვარ საშუალო სიმაღლის.

7. შავგვრემანი, ლამაზი, 21 წლის, სერიოზული გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 23-30 წლის, სერიოზულ, გაგებულ მამაკაცს, დასავლეთში მცხოვრებს. სამეგობროდ ნუ გამომეხმაურებით.

8. გასაგიჟებელი ქალბატონი ვარ, მაღალი, სექსუალური აღნაგობის, დედისერთა, ბინით, მანქანით, ყოფილი მოცეკვავე, ექიმი, მაგრამ პირადში — ოჰ, SOS!!! ცოტა წუნიაც ვარ. მორფინი.

9. გიფიქრიათ, პატიოსან, მოსიყვარულე, ერთგულ პიროვნებასთან ოჯახის შექმნა? დემიმესიჯეთ.

10. ვარ 35/160/52, ოჯახის შექმნის მიზნით თუ ვინმე გამომეხმაურება, კარგია. ნანა.

11. ვარ პაწუკა და საყვარელი გოგო. დამღალა ღლაპებთან სიყვარულობანას თამაშმა. მჭირდება ნამდვილი მამაკაცი, ვინც მაგრძნობინებს, რომ სიცოცხლეს აზრი აქვს. გეოკემილი.

12. ვარ 50 წლის, ენერგიული, ოჯახურ სითბოს ნატრული. ამბობენ — სიმპათიური, ქალი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 50 წლის ზემოთ, სიმპათიურ, ბინით უზრუნველყოფილ მამაკაცს.

13. ვარ 39 წლის, გასათხოვარი. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 48 წლამდე ასაკის, დასაქმებულ მამაკაცს, დასავლეთ საქართველოდან. ცოლშვილიანები ნუ გამომეხმაურებით.

მამაკაცები

14. ვარ 31 წლის, 180 სმ სიმაღლის, ცოტა შავგვრემანი. მინდა გავიცნო 22-28 წლის გოგონა, ოჯახის შექმნის მიზნით. მაქვს სამსახური.

15. ვარ 38 წლის მამაკაცი, კარგი გარეგნობის, უმაღლესი განათლებით, დასავლეთიდან. ვმუშაობ თბილისში. დაოჯახების მიზნით გავიცნობდი თბილისელ ქალბატონს, 38 წლამდე. გმადლობთ.

16. ვარ 40 წლის მამაკაცი, 190/80. გავიცნობ ქალბატონს, 40-45 წლამდე. გრინგო.

17. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით ლამაზ გოგონას, 28 წლამდე. ვარ 31 წლის.

18. ვარ 40 წლის, კარგი, კაცური აღნაგობის. ოჯახისთვის მინდა 35 წლამდე ასაკის, არამსუქანი ქალბატონი, შვილების გარეშე. სასურველია, იყოს კახეთიდან. მე ყველაფერი მაქვს.

19. ვარ 38/176/71, მამაკაცი, დასავლეთიდან. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მანდილოსანს, 35 წლამდე. მთავარია, იყოს პატიოსანი და მოსიყვარულე.

ვექილები



20. ვეძებ რუსთაველ ნატოს, საჩხერეში სოფელი აქვს, ფეხი ჰქონდა ნატკენი გასულ წელს.

ჭალის შედნიერებისთვის
მაძმაცალი სტრიდეშა,
ოშედოურებისთვის კი ჭმარეკ
სუფრისა.

თუ ვინმე იცნობს და ამ ჟურნალს კითხულობს, გთხოვთ გააგებინოთ. დათო.

21. 1990 წლის „გეპეის“ კურსდამთავრებულს, შათირიშვილს ვთხოვ, გამომეხმაუროს.



საფასური

• ეს ერთი კვირაა, მუზები დაუპატიჟებლად მაწუხებენ. თანაც, სულ პატრიოტულ თემებზე. ქართველობა მართლა ძნელი ყოფილა. ახლა კი ჩემი მუზის ნაყოფს შემოგთავაზებთ: აწ ვიღაცის კლარჯეთო,/ შავშეთო და ართვინო,/ ვაიი, მამაპაპურო/ საქართველოს სამკვიდროვ,/ სამაჩაბლო ოსებს და აფხაზეთი — აფსუებს,/ ნათელი დღე ანგელოზს,/ ბნელი ღამე — ავსულებს,/ რუსებს მადა გაეხსნათ,/ დაობს — ვისაც რა სურს,/ მტერი ლამის ასად გვფლეთს,/ საქართველოვ, აფსუს!/ შემოჭრილი „სტუმარი“/ ერთი-ორის გარდა,/ როგორ გაღორებულა, როგორ გადაგვარდა?/ სიავეა ჟამთა,/ ეს უზნეოთა ბანდა,/ ნუთუ საქართველომ/ თვითონ გამოზარდა? ღვთისმშობელი დაგვიფარავს,/ თქვენ ხართ ჩემი ბატონი,/ ვერ გახდება რუსი, ვერა,/ საქართველოს პატრონი. ენიგმა.

• მერე რა, თუ ეკლესიაში შესულს, ხატებთან მუხლმოდრეკილს, ლოცვისას თვალებიდან ცრემლები თავისით გადმომეღვრება? მერე რა, თუ ჩემი ცრემლი ანთებულ სანთელს დაეწვეთება და ჩააქრობს? მერე რა, თუ იქვე მყოფი, ღვთისნიერი ადამიანი ჩემს სატკივარს იკითხავს, მე კი გავუღიმებ და ვეტყვი, რომ ყველაფერი კარგად მაქვს? მერე რა, თუ ეკლესიიდან გამოსული, ბედნიერი სახით ხალხს ძალაუნებურად ვუღიმი? მერე რა, თუ ვოცნებობ და ოცნების ახდენას ვნატრობ, იმის მიუხედავად, რომ ვიცი, არ ამიხდება? მერე რა, თუ ბედნიერებისთვის ვიბრძვი? მერე რა, თუ სევდას ფურცლებს ვუზიარებ და ამით ბედნიერი ვარ? მერე რა, თუ ისინიც მიყვარან, ვინც ჩემს სიყვარულს არ იმსახურებენ? მერე რა, თუ ადამიანები, რომლებსაც ვენდობოდი და მიყვარდა, მიღალატებენ და მე ვაპატიებ? ვაპატიებ, რადგან მე ადამიანი ვარ. ახლა უკვე ფრთხილად ვირჩევ მეგობრებს და ეს მეგობრები თქვენ ხართ, მგზავნელებო!!! მე მთელ „გზავნილეთზე“ ვარ შეყვარებული. ლუნა.

• გაზაფხულზე გავიცანი ჯარისკაცი. მოგვეწონა ერთმანეთი, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა ვერ აეწყო. ომის პერიოდში მასზე ძალიან ვნერვიულობდი, მის ამბებს ნათესავისგან ვიგებდი. მინდოდა დამერეკა, მაგრამ ვერ ვბედავდი. დღეს ძალიან მინდა მისი ნახვა ან უბრალოდ, მისი ხმის გაგონება. ნიკა, მგონი შემიყვარდი. ლილე.

• ახლა ახალციხეში ვარ, პატრული ელისოს ქალაქში. ძალიან მიყვარს ეს ქალაქი. ვისაც კი ვიცნობ, ყველა ძალიან თბილი და ყურადღებიანია. სუხუმსკი.

• აგერ გვეჩვენა ელისო, იუმორისტი ქალია,/ შევაქო მისი აზრები, ახლა ეს ჩემი ვალია./ კვლავ კამელიაც სტარტზეა,/ ლიმონას სიტყვას უწუნებს,/ თეოს ნიჭსა და აზრებსა მაინც სიკეთეს უსურვებს./ გრიმსიკო შემოგვემატა,/ ახლებო, ყველამ იხარეთ,/ მარის კეთილი განწყობით და წარმატებით იარეთ./ ashley, გულში გეხუტე, აქვე გვყოლია ბაჭიაც,/ მგზავრს კვლავაც თბილი სალამი, უსაყვარლესი კაცია./ გიხუტებთ გულში სუყველას, სტუმრებად გიხმობთ თელავი,/ თქვენთვის ყოველთვის იქნება, „გზის“ გულში, მის რეალი. მის რეალი.

• დავიწყოთ ესე აღწერა, „გზაელი“ მგზავნელებისა, გურულებისა,/ სვანების და მეგრელ-კახელებისა./ ხმა მივაწვდინოთ ათენში, მეგობარ ემიგრანტებსა,/ რომ გვიტარებენ შორიდან გრძნობების სემინარებსა./ გუ-ათენი დაგვეკარგა, სად წავიდა ნეტავ, — რომში?/ ნეტავ როდის დაბრუნდება, მონატრებულ თავის ხონში./ უკარება მოგვეკარა და გაგვიღო კარი გულის,/ მას არ სცხია ნატამალი სიბოროტის და არც შურის./ სამეგრელოს რჩეულები, ლიმონა და ნონ სტოპ-ი, რუსებმა ვერ შეგვიშინეს, ვერ დამართეს მათ შფოთი./ იკჩო-სიხჩო, მოგვენატრე, კვლავაც გელით თელავში,/ იმედია, მალე გნახავთ, ნუ ჩაგვითვლი რევანშში./ იარმორკელი და ბალი, ახლა დგამენ ნაბიჯებს,/ „გზავნილ-იორკის“ ქალაქში ხომ ტოპოლინაც აბიჯებს./ ეს გზავნილი თქვენ მოგიძღვნათ კახელომ და რეალმა,/ მგზავნელებო, სიყვარულით ჩაგიხუტათ თელავმა./ ჩვენ რეკლამა არ გვჭირდება, როგორც თურმე „ლაკალუტს“,/ ძველი ჩხუბი და კამათი გავატანოთ ნაკადულს. მის რეალი, კახელო616.

• როგორ ხართ, ხალხო? ჰო, გუ-ათენი საფრანგეთში წავიდა და მალე ჩამოვა. არადა, „გზის“ როგორი ერთგული მკითხველი და მყიდველი იყო... :-) გუგა, ბრატ, ჩამოსვლამდე მოითმინე „უგზოდ“ და სანამ ჩამოხვალ, მანამ ყველა ნომერს შეგინახავ. იმედია, დიდი ხნით არ დარჩები. ათენი-23.

• ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და იქ — სვანეთი, ყველა ჩემი სამშობლოა, ოსეთი და აფხაზეთი, რაჭა-ლეჩხუმ, ყველა ერთად, მისი სამცხე-ჯავახეთი, ყველა კუთხე ლამაზია, აღმოსავლეთ-დასავლეთი. დედაბოძად თბილისი დგას, ვახტანგ მეფის ნაშენები, ყველა ქუჩა მიყვარს მისი, მიყვარს ყველა ქართველები, ბუნებაც ხომ ლამაზია, ისე, როგორც სამოთხეთი, წყალი მისი, სასწაული, მიწა კიდევ — ოქროეთი.

• ნათათო, სად დაი-



მამაკაცს ისე ნუ შეიძულებ, რომ შრომანგლისთვიანი შეჭედი დაიშრომო.

კარგე? ხომ კარგად ხარ? მომენატრა შენი მესიჯები. არ დაივიწყო ზურა ძია. :-) ჩორი, ჩემო დაიკო, სად ხარ? რატომ აღარ მეხმიანები? გამიხსენე, მზიკო. ათენი-23.

• ანი (უკარება), sorry, რომ ამ კვირას არ მეცალა ზღვაზე წასასვლელად. მომავლისთვის აუცილებლად გავიდეთ და მაგრადაც ვილივლივოთ.

• მინდა, დიდი, უდიდესი სიყვარულით მოვიკითხო ოლეგარიო, მის რეალი, კახელო, green girl, 9717, ბოა, მაესტრო და რა თქმა უნდა, მისტერ დადუ. მოკითხვები ყველას და გაკოცეთ. 13.07, ათენი23, უმაგრესად მიყვარხართ. ბოტოტ, გატოცე, ვარდენა, ანარქია, სად დაიკარგეთ? გუ-ათენ, ნუ მეღრინები, ცივი ნუ ხარ. გაკოცეთ ყველას. უკარება.

• lovely girl, scorpion girl, კუკლანი, ენიგმა, ალალო, ტირიფი73, მაგდალინა, დადუ, სიკვდილა, გამეცანით, გოჭებო. მაგადი საკალლები ხართ. სესი, ჩემი ნომერი ითრიე. ashley pcd.

• მოკლედ ვიტყვი, აღარ მინდა, სიტყვა ძაან გამიგრძელდეს, ვინმე სადმე თუ იპოვის, ჩემს ძმასა და დამრიგებელს, დამეხმაროს, მაპოვნინოს, ვეძებ განძის მაძიებელს.

• პრივეტ, როგორ ხართ? მე ახალი ვარ... დიდი ხანია, „გზას“ ვკითხულობ და ბოლოს მოწერაც გადავწყვიტე. ჩემი ნიკია, ბუტია91.

• გოუმარჯოს ყველას! მის რეალ და ლიმონჩიკა, გაიხარეთ! მოვიკითხავ აბეზარას, დუჩის, ნიკოლს, 13.07ს, კოხი-20-ს და ყველას, ვისაც ვახსოვარ. მიყვარხართ! ნონ სტოპ.

• სესი და სიკვდილა, თქვენც ძალიან საყვარლები ხართ. რახან პავლიკა გავაცოცხლე, რაღა მომკლავს. :) ტირიფი73, ჩემი ვაუკაცობის ამბავი საიდან გაიგე? ჭრიჭინა.

• მის რეალს: ისევ დაიწყე ანეკდოტები? ლიმონას: სად ხედავ ვარდებს? გული არ გაქვს? აცადე ხალხს ტირილი. 1 რამ ცხადია, „გზა“ ის „გზა“ აღარაა. ამას ყველა ხედავს. ერთგული მკითხველი.

გაზი გამოძახებით

• სალამი, მარიამულო, კამელია და მაესტრო, სდევდეს ღვთის მადლი ილინს და ჩემს დას, უზნეო ანგელოზს. მსურს უკარებაც, ბოტოტაც მოკითხვით გავახალისო. შენც, აფხაზეთის პრინცესავ და ჩემო ედელვაისო. გრუზინკაც მომნატრებია, scorpion girl-ის გზავნილიც, იცავდეს ლუნას, აზიელს, დედა ღვთისმშობლის მანდილი. გა-მა.

• ხალხო, ვერ ვხვდები, რა მოგივიდათ. რომ გამოდიხართ და მიშა, მიშას რომ ყვირით, იცით, რომ ეს ომი მაგის დაწყებულია? პუტინს ლილიპუტს რომ ეძახდა, რა ეგონა?

• როგორ ხართ, ადამიანებო? ჭრიჭინ, ვისა აქვსო დებილუკა აზრებიო, ვისაო? გაიხარე. ვისაც სექტემბერში დაბადების დღე აქვს, ყველას გილოცავთ. სიკვდილა.

• ასი სიცოცხლე რომ მქონდეს, ერთიც არ მინდა უთქვენოდ, იცოდეთ, არც თქვენ გაბედოთ, ქვეყნად ცხოვრება უჩემოდ. როგორ ხართ? გრუზინკა და ლუნა. გაკოცეთ! crazy girl.

• ჰო, მართლა, ზესტაფონელი არავინ ხართ? დავიჯერო, ერთი მაინც არ არის? ზესტაფონი მაგადია. ზესტაფონის ლამაზმანი, ყოფილი შავტუხა.

• გამარჯობა, მის 13.07, როგორ ხარ? კოხი როგორ გყავს? ხომ ხართ კარგად? საქართველოდან, ერთ დროს ნაცნობი, გიო.

• ნებიერა (ლუნა), ნუ მახრჩობ ამდენი სიყვარულით. ჰო, მაგრამ მე უფრო მიყვარხარ. crazy girl-ს: მეც მაგრად მიყვარხარ. მგზავრს მეც ვულოცავ იუბილეს, დაგვიანებით. გრუზინკა.

• sweeT-girl: მე თელაველი ვარ და თბილისელ მგზავნელებს ვერ შევხვდები, ეს ცუდია. სალუკას: დიდი მადლობა. ჩემს ნომერს ვერ იშოვი? ცირას: მეც გმადლობ, რომ მხედავ. გრუზინკა.

• გრუზინკას: რა დამავიწყებს, მითხარი კარგო/ შენს სიყვარულით ანთებულ თვალებს/ მოკვდები, მაგრამ არ დავივიწყებ/ შენს სიყვარულით წარმოთქმულ ბგერებს/ რა დამავიწყებს საოცარ დღეებს/ არ დავივიწყებ, არც ერთ წამს, არა/

თუ გინდა, შომ ჭმარი
გაღმერთებდეს, ვიდრე მოშორდები,
5 წუთით ადრე აკოცე.

გული უშენოდ თითქოს გაშავდა/ თვალებიც თითქოს, სულ შენ გეძებენ/ ამ გულს რა ვუყო, რომ ენატრები/ რომ ვერ ივიწყებს შენს კეთილ ბგერებს/ თვალებსაც უჭირთ უშენოდ ყოფნა/ ხანდახან ცრემლიც ღაწვებს მისველებს/ მომენატრები და ავტირდები/ შენს მოლოდინში გადის დღეები. ლუნა.

• ბუტიაც გამოჩნდა! კეთილი იყოს სიხარულო, შენი მესიჯი „გზაში“. ashley, ჩართე მობილი, მავნეს გაცნობა მინდა. ლეო, ყოჩაღ, შენ! მოგეწერა 1 მესიჯი და დაგანებებდი თავს. აბეზარა.

• დათო, აკი ჟურნალში არ დავამესიჯებო? მეც მენატრებით. crazy girl, მეც გკოცნი, სიხ. p.s. მარ, ჩემს გზავნილს ნიკი რათ არ მიაწერე? „ორნახადის“ ავტორი მე ვარ. ლუნა.

• ძალიან ვნანობ, ცხოვრებაში ამდენი შეცდომა რომ დავუშვი. ძალიან ძნელია, იცხოვრო ისეთ მამაკაცთან, რომელმაც თავისი აუტანელი ქცევებით და ეჭვიანობით მოგაბეზრა თავი, მაგრამ ეჭვიანობასაც გააჩნია. მისთვის სულ ერთია ქალი, კაცი, ყველაზე და ყველაფერზე ეჭვიანობს, შემდეგ იწყება ხელჩართული ჩხუბი და ეს ხდება ყოველდღე. ჯერ ვითმენ, მაგრამ ვხვდები, რომ დიდხანს აღარ გაგრძელდება. მინდა, გავიქცე სადმე, შორს. აუცილებლად მოგწერთ, კიდევ რა ხდება ჩემს ცხოვრებაში, უფრო ვრცლად. სოფო.

• მგზავნელებო, როგორ ხართ? ჯიგრები ხართ, ყველანი. მის რეალ და ლიმონჩიკ, მაგრები ხართ. გრიმსიკოს მოვიკითხავ, დიდი სიყვარულით. კახელო სალომე, მაგარი დეიდა ხარ. ინ.

• სიამოვნებით გაგიცნობდი, ჩემო პატარა ვუნდერკინდო. რამდენიმე თვეა, თვალს გადევნებთ, არ გიცნობთ, თავს თქვენი ოჯახის წევრობის ღირსად არ მივიჩნევ. ტირიფი.

• ტირიფი73 აღარ ხუმრობს! რით დავიმსახურე ასეთი ყურადღება? ან ჩემს ვაუკაცობაზე საიდან გაიგეთ? სიკვდილა, მოიარე კახეთი? ბულალა მომიკითხე. ჭრიჭინა.

• იცი, რა მიკვირს? ზოგიერთები წერენ, „გზიდან“ მივდივართო, მერე კალთებს დაახევინებენ ვიღაცებს, მერე კი სხვა ნიკით აგრძელებენ. განძის მაძიებელო, ენიგმა უფრო გიხდება.

• საყვარელო კამელია, ერთი ნიკი არ გაკმაყოფილებს და ახლა ერენიტათი მოინდომე მგზავნელთა გულის დაპყრობა? უნიკოთაც ვცნობთ, შენს იუმორს. გოგა.

• ჩამოვედი ბათუმში და მაინცდამაინც მაშინ მოუნდა მზეს დღეში ცხრაჯერ პირის დაბანა. :(ფურისულა, პავლიკა, სიკვდილა, სესი, ფელამუშა, ხალხო, მიყვარხართ! ჭრიჭინა.

• ზოგიერთმა შურიანმა თათრობისთვის გამჯორეს, საქართველოს სიყვარულში ბევრ ცუდ ქართველს ვაჯობებ, ჩემს ფერიებს — კამის, ლუნას, სულში შემოგევლებით.

• მაგარი ტალანტია ენიგმა. ოლე, ისე მომენატრე, ვერ გამოვთქვამ ენითა. კარდიოლოგს, აბლახანუმს და იკუშკებს ვაკოცებ, ფინტიკოზაც და ელისოც მახალისებს, მაოცებს, ჩემს უზნეო (ზნიან) ანგელოზსაც ვაქებ თავდავიწყებით, ლელუჩია, ქუთათურო, არც თქვენ დამავიწყდებით! კინაღამ არ დამავიწყდით, ანგელოზებო? გრუზინკა.

• მის რეალ, გაიხარეო, მამაცო თოჯინავ, ვიცი რომ აქ ხარ, „მობილი-ზაციაშიც“ შეგვეხმიანე. ashley pcd, ლიმონა, ჭრიჭინ, გაიხარეთ, მე ყოფილი 9122 ვარ. სიკვდილა.

• ყველას, ვისაც ამ თვეში აქვს იუბილე, ვულოცავ. ისე, „რუსთავი 2“-ის კორესპონდენტს ყურძენი რა მაგრად ჰყვარებია?! ჩემთან რომ იყო, ლამის მთელი ვენახი გადამიჭამა. :) აბეზარა.

• თამო ჩოფიკაშვილო, ძალიან მენატრები, სიხარულო. გურანდას და თეოს მოკითხვა. პატრიოტი.

• აგნეს, გახსოვდეს, რომ მახსოვხარ. მენატრები. შენ? თამო.

• რამაზ ზაზაძევ და ვიტალი ჩოჩიევო, თქვენს თამო დედას ენატრებით. ვიტო, იქნებ გამაგებინო, სად ხარ? თამო.

• ლიმონა, მაგადი ხარ, რა! ლიმონ, გოგო არ ვარ, ბიჭი ვარ. მოკითხვა მის რეალს. დადუ.

• მარ, ყველა მგზავნელის სახელით გთხოვ, დაუშვი გამონაკლისი და მიეცი რა, გრუზინკას ბოხოს ნომერი. ამით ერთ ადამიანს სიცოცხლეს გაუხანგრძლივებ. ოლეგარიო.

• აფერისტები და მატყუარები ხართ.

მიყვარხარ



• კოტე ქათამაძევ, მიყვარხარ და დაუსრულებლად გავყურებ იმ გზას, რომელზეც ვიცი, ერთხელ მაინც უნდა გამოჩნდე! მალე ჩამოდი, მენატრები. პაწია.

• მიშიკო ელყანიშვილო, შენ ჩემი სიცოცხლე, სიყვარული, სიხარული და ცხოვრების თანამგზავრი ხარ. მე შენ უზომოდ მიყვარხარ. შენი ოცნება, სოფიკო დათუაშვილისგან.

• ძალიან, ძალიან მენატრება და მიყვარს დათო გურული, რომელიც რუსთავის მეორე ზონაზეა, კრიტში. ვერაფრით ვუკავშირდები. იქნებ, შენ შეძლო, დათ! გკოცნი ბევრს. ეკუნა.

ვილოცავ

• დაბადების დღეს ვულოცავთ ირინა ქავთარაძეს და ნანული ბაშარულს. მრავალს დაესწარით, თქვენი ლამაზი ოჯახებით და მფარველი ყოფილიყოს მამა ზეციერი და ღვთისმშობელი მარიამი. იხარეთ და იბედნიერეთ. ომონია, IV სართულის დაქალები. გკოცნით.

• ეკა გორგიძეს და კობა გაბადაძეს ვულოცავ გაბედნიერე-



ხელების მოკლის სიფერეისი საშოალებაა, მოცა ყველაფერს ჭეშის ხელი გააჭეთებ.

ბას. ჩემო კარგებო, სიხარული და ბედნიერება ნუ მოგაკლოთ, ღმერთმა. ნინო, ათენიდან.

• დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს დეიდაშვილს, ნესტანს. გისურვებ ჯანმრთელობასა და გაძლებას, ამ „ერთუჯრედიანებში". დაე, ყველა მიზნები უკლებლივ აგესრულებინოს. ზურა. ათენი-23.

• ახალციხეში, 19 სექტემბერს, დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს მონატრებულ შვილს, მერაბ აბრამიშვილს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და მშვიდობიან საქართველოში ცხოვრებას. მონატრებული დედიკო.

• ჩემო საყვარელო დისშვილო, ნესტან ალფაიძე, გილოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს. გაიხარე შენს ერთადერთ შვილთან ერთად. მინდა იცოდე, რომ ძალიან მიყვარხარ. ათენი-50.

• ბავშვებს სურთ, საყვარელ მამიკოს, რამაზ ზაზაძეს მიულოცონ დაბადების დღე, ციხეში. არ დასწყვიტოთ გული მარიკოს და ნანიკოს და დაუბეჭდეთ ეს სურათი, ჟურნალ „გზაში". დიდი სიყვარულით, თამო ნოზაძე. *(სამწუხაროდ, MMS-ი არ მოვიდა და მარიკოს და ნანიკოს სურვილს ბოლომდე ვერ ვუსრულებთ —ავტ).*

• ციური ცისკაძეს ვულოცავთ ათენში, დაბადების დღეს, 15 სექტემბერს. საყვარელო, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და შვილებისა და შვილიშვილების კარგად ყოფნას. გკოცნით დები, გიული და თინიკო.

• ჩვენო საყვარელო დედიკო, გილოცავთ დაბადების დღეს, 15 სექტემბერს, მონატრებული შვილები. სულ ჯანმრთელად და კარგად გვყავდე. მალე მოსულიყოს ის დრო, როდესაც ყველა ერთად ვიქნებით, ჩვენს მიწაზე, ჩვენს სახლში, მაგრამ მამიკო აღარ გვეყოლება. დაგვტოვა სამუდამოდ და შვილებმა ვერც დავიტირეთ. შენ დიდხანს გვეყოლე, დედიკო, ჩვენს იმედად. გკოცნით და გეფერებით ათენში, ამერიკიდან — მანანა, პორტუგალიიდან — თემური და ათენიდან — თამრიკო.

• მინდა, ჩემს ძმას, ხვიჩა წიწაკიშვილს მივულოცო დაბადების დღე, 21 სექტემბერი. სულ ჯანმრთელი და გახარებული ყოფილიყავი, შენს ცოლშვილთან ერთად. თამილა.

• დაბადების დღეს ვულოცავ 7 სექტემბერს, ლინდუკას, რომელიც წელს შედის პირველ კლასში და წარმატებებს ვუსურვებ სწავლაში. აგრეთვე, ანუკისაც მინდა მივულოცო 8 სექტემბერი.

• მცხეთაში, ნონა ჯიმშიტაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, ჯანმრთელი და ბედნიერი გვენახე, შენს შვილებთან ერთად. მამუკა, ლია და კობრიკო.

• ვულოცავ დაბადების დღეს, 11 სექტემბერს მახოს, რომელიც საბერძნეთშია. ვუსურვებ ბედნიერებას და ულევ სიხარულს, ცოლ-შვილთან ერთად. ძალიან გვენატრები.

• ჩემს თავს ვულოცავ დაბადების დღეს, 11 სექტემბერს. 15 წლის ვხდები. ანანო, გისურვებ ყოველივე კარგს, ბედნიერებასა და ჯანმრთელობას. აბა, შენ იცი, ყოჩაღად იყავი.

• მთელ საგარეჯოს ვულოცავ ჩემს დაბადების დღეს. ანანო.

• სოსო ინანაშვილო, 18 სექტემბერს გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ბედნიერებას, სიხარულსა და ყოველივე საუკეთესოს. შენი ძიას კაცი, ლუკა.

• ათენში, მზია გირდას ვულოცავთ დაბადების დღეს. ცხოვრებაში ერთხელ მღერის თეთრი გედი, და ცხოვრება ოცნებების ნაბადია, რა გაჩუქოთ სიყვარულზე უკეთესი, გულის მეტი არაფერი მაბადია. ღმერთი გფარავდეს მუდამ, შენთვის ძვირფას ადამიანებთან ერთად. გვენატრები, გკოცნით. ნინო და კოკორიჩი, ჯიმშიტაშვილები.

*ყარგი მაამაყაცის ჰოვნა გაცილებ

თ ილოცა მაშინ, ჩოცა ერთი ცუდი ოკვე გუაკვს.*

ყურადღება!

„მობილიზაციაში" ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის" ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა" №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

დასაწყისი იხ. გვ. 8

და გარჭობილი და მუსიკის ტაქტზე ნაზად მიარხევდა უკანალს. მათი მოძრაობისა და სირბილის ტემპით იოლად მიხვდებოდი, როგორ მუსიკას უსმენდა.

მაგალითად, აგერ, ძვირფას სპორტულში გამოწყობილმა, სათვალიანმა, კეპიანმა,





თმაგადახოტრილმა მამაკაცმა ჩამირბინა. შარვლის უკანა ჯიბიდან მანქანის გასაღებზე დაკიდებული „ბრელოკი“ მოუჩანს. ამის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „ინფინიტის“ პატრონი ყოფილა. სახეზე მედიდური იერი აქვს და ისე მირბის, თითქოს გაყვედრის და გეუბნება — თქვე საცოდავებო, სხვა გზა არ მაქვს, თორემ თქვენ გვერდით სირბილს როგორ ვიკადრებდიო. დარწმუნებული ვარ, ახლა ის ერთ ძველ სიმღერას უსმენს — „მთავარია, გქონდეს ფული, რომ არ იყო დაჩაგრული... ფული ჯოჯოხეთს ანათებს, ფული ჯადოა, თილისმა, ხშირად ნერვების მომშლელი, დამაფრთხობელი ძილისა... ფულის დათვლა და შენახვა, ესეც ხომ დიდი ნიჭია, შემოგხედავენ, იტყვიან, ფული აქვს, კარგი ბიჭია“...

ის ამ სიმღერას ალბათ მხოლოდ ამ სტროფის ჩათვლით უსმენს, მე კი მისი დასასრული გამახსენდა — „არ დალიო თეთრი ღვინო, სულ დალიე კაშერი, სადმე სული ამოგხდება, ვინ იქნება მაშველი“...

ტბის პირას, პლაჟზე, ნაშობაა „დაყრილი“ და ერთმანეთის ფეხების სიგრძესა და საცურაო კოსტიუმებს ირიბი მზერით ამოწმებს. ქალების უმეტესობას მამაკაცები არ ახლავს. ამიტომ, მათ გარშემო უცხო მამაკაცები ტრიალებენ და ცდილობენ, როგორმე ლაპარაკი გაუბან.

აგერ, ერთ-ერთი „მორბენალი“ გოგონების სიახლოვეს გაჩერდა, წელში მოიხარა, მკლავები „ჩამოყარა“ და „გააფართხალა“. თითქოს, მოსადუნებელ ვარჯიშებს აკეთებს, არადა, ცალი თვალით წამოწოლილ გოგონებს უყურებს და მათი გარუჯული ფეხებისა და მკერდის ყურებით ტკბება. „უფლება არ მაქვს, შენთან მოოოვიდეეე“... ამ დროს ალბათ ანრის ამ სიმღერას უსმენს და ცდილობს, ეს უფლება მოიპოვოს. ამიტომ, მტკიცე ნაბიჯით მიემართება გოგონებისკენ. მისი სიტყვები ვერ გავიგონე, მაგრამ გოგონას ქცევით მივხვდი, რომ „ოტ ვაროტ, პოვოროტი“ მიიღო. გოგონა გადაბრუნდა, პირქვე დაწვა და სახე საპირისპირო მხარეს მიაბრუნა. მამაკაცმა მისი უკანალი გულიანად შეათვალიერა და მზეზე დაწოლილ დანარჩენ ქალებს გახედა. ახლა სხვა მიმართულებით გაეშურა.

მის თვალთვალს შევეშვი და კაფესკენ გავეშურე. ხალხი აქაც ბლომად იყო. ზოგი ვარჯიშის შემდეგ ყავას მიირთმევდა, ზოგიერთი საცურაო კოსტიუმით მოსულიყო და პლაჟზე წასაღები საჭმლის შეკვეთას აძლევდა. მეც ყავა შევუკვეთე, ცარიელ მაგიდასთან მოვთავსდი და მათ ლაპარაკს ყური მივუგდე. საუბრის ძირითადი თემა ომი იყო. აქ, კუს ტბაზე, ნავარჯიშევ-გარუჯულები მსჯელობდნენ, როგორ უნდა გადაწყვეტილიყო რუსულ-ქართული პრობლემა და „ბრძნულ“ აზრებს უხვად აფრქვევდნენ. ათასი ჭორი და მართალი გავიგონე. ერთი მამაკაცი ისეთ ამბებს ჰყვებოდა, დანარჩენები არაფრით უჯერებდნენ, მაგრამ როცა თქვა, მე ამა და ამ ადამიანის მძღოლი ვარ, ახლაც მას ველოდები, სავარჯიშოდ ამოვიყვანეო, ყველანი გაჩუმდნენ და მის ნათქვამს უსიტყვოდ დაეთანხმნენ...

იყვნენ ისეთებიც, ვისაც ჩვილი ბავშვები ჰყავდათ მოყვანილი. ასეთები ერთად ისხდნენ და შვილებზე ლაპარაკობდნენ, თინეიჯერები ძირითადად, ერთმანეთის შეყვარებულებზე და საერთო მეგობრებზე ჭორაობდნენ...

საინტერესოს ალბათ მეტს ველარაფერს გავიგებდი, ამიტომ წამოსვლა გადავწყვიტე, კიდევ ერთხელ შევავლე იქაურობას თვალი — ეს არის „ქალაქი, რომელიც ჩემს ქალაქს აღარ ჰგავს“-მეთქი, გავიფიქრე და წვერგაუპარსავ, მხრებში მოხრილ „სტაიანშიკს“ გამოწვდილ ხელში ერთლარიანი ჩავუკუჭე. „ტრიალებს, ტრიალებს, ბედის ბორბალი ტრიალებს“... — ძრავის ამუშავებისთანავე, თითქოს ჩემს ფიქრს გამოეხმაურა ჩემი მაგნიტოფონი...

როცა გაზულუქებული პატრონების „მომლოდინე“ ჯიპებს გვერდით ჩავუარე, სამაჩაბლოს „ბინდისფერი“, დაბომბილი, სისხლისგან დაცლილი და აოხრებული სოფლები გამახსენდა. ქვეყანაში 2008 წლის 11 აგვისტოს დილის 8 საათი იყო...

„მზეზე ვთბები და ხშირად ვისვენებ, რაღაც მინდოდა, მეთქვა...

ვიხსენებ, მაგრამ ვერ გავიხსენე, რატომ მოვედი თქვენთან“...

„ჭკვიანურ" ვარსკვლავებს სუდოკურ გამოიცანიც ჭკვიანებმა

ცნობილი ფაქტია, რომ ჰოლივუდელი ვარსკვლავების უმეტესობა დიდი გონიერებითა და ჭკუით არ გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, მათ ხშირად მძიმე მოვალეობის შესრულება და სხვადასხვა საკითხზე კომენტარის გაკეთებაც უწევთ ხოლმე. ჰოდა, სწორედ ასეთ დროს ბევრ სისულელესაც წამოროშავენ.

პრისტინა აგილერა: „წელს კანის ფესტივალი სად ტარდება?"

ბრიტნი სპირსი: „ოკეანის იქით ბევრ ადგილზე მიხდება ყოფნა. მაგალითად — კანადაში".

ბრიტნი სპირსი: „არასოდეს მინდოდა იაპონიაში წასვლა, უბრალო მიზეზის გამო — თევზი არ მიყვარს. მე კი ვიცი, რომ მათთან, აფრიკაში თევზი პოპულარული საკვებია".

გრეგ ნორმანი: „მე ვალში ვარ მშობლებთან. განსაკუთრებით — დედასთან და მამასთან".

მერაია ქერი: „როდესაც ტელევიზორში ვუყურებ, როგორ შიმშილობენ ბავშვები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ცრემლს ვერ ვიკავებ. მეც მინდა, რომ ასეთი გამხდარი ვიყო, მაგრამ ყოველგვარი ტანჯვის, სიკვდილისა და ასეთი რაღაცების გარეშე".

ლინდა ევანგელისტა: „მე არ ვიცავ დიეტებს. უბრალოდ, იმდენს არ ვჭამ, რამდენიც მინდა".

სილვესტერ სტალონე: „ერთადერთი ბედნიერი მსახიობი მკვდარი მსახიობია, რადგან მხოლოდ მაშინაა მისი შეცვლა შეუძლებელი. სიკვდილის შემდეგ, ალბათ ფუნჯი ვიქნები".

ჯესიკა სიმფსონი: „მე ანორექსიით დაავადებული არ ვარ. მე ტეხასელი ვარ და ტეხასში ანორექსიით არ ავადდებიან. ასეთი რამ არასოდეს გამიგონია და მეც მათ რიცხვს მივეკუთვნები".

ალისია სილვერსტოუნი: „ვფიქრობ, ფილმი — „გაგების გარეშე" — ძალიან ღრმაა. ის ღრმაა იმ გაგებით, რომ მსუბუქია, სიმსუბუქე კი სიღრმიდან უნდა მოდიოდეს, თუ ნამდვილი სიმსუბუქეა".

ბრუკ შილდსი: „მოწევა კლავს. თუ მკვდარი ხარ, ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს კარგავ".

ანჯელინა ჯოლი: „არ ვიცი, იყო თუ არა ჩემს ცხოვრებაში ისეთი მოვლენა, რომელმაც ჩემში გარდატეხა მოახდინა, მაგრამ პირველად სექსი 14 წლის ასაკში მქონდა".

დევიდ ჰასელჰოფი: „მე კარგი გემოვნება მაქვს. ის ჩემშია შეზრდილი".

არნოლდ შვარცენეგერი: „დარწმუნებული ვარ, რომ ჰომოსექსუალური ქორწინება მხოლოდ ქალსა და მამაკაცს შორის უნდა მოხდეს".

დონ პინგი: „ის ინგლისურად და ესპანურად ლაპარაკობს და ამავე დროს, ბილინგვაა".

უაინონა რაიდერი: „თავს ყველაზე უკეთ მაშინ ვგრძნობ, როცა ბედნიერი ვარ".

რობერტ პელი: „უეცრად, ამერიკელ ბინლადენად გადავიქცევი ხოლმე. უსამა ბინ ლადენი ერთადერთია, ვინც მიგებს".

პასუხისმგებელი რედაქტორი — მარი ჯაფარიძე. პირადი ტელ: 8.77.45.68.61

სარკულ ჭეშმარიტ სიტყვად

ანუ რატომ პიესების რუსთაველ „დაკარგვის“ იუბილეს „დაკარგულები ვარ“

სიღნაღისთვის ყოველთვის ტრადიციული იყო კულტურული ღირებულებები. დღეს ქალაქის გარეგნული იერი მთლიანად შეცვლილია და, შესაბამისად, მიმდინარეობს აქტიური სარეკლამო კამპანია, რათა ის კულტურის ცენტრიდან ტურიზმისა და სოფლის ქალაქად იქცეს. სად იქნება და რა ფუნქცია დაეკისრება ამ ახალ ამპლუაში ვანო სარაჯიშვილისა და ჰამლეტ გონაშვილის ჯადოსნური ხმებითა და ბგერებით გაჯერებულ სომლერას, მათ მიერ დამკვიდრებული თეატრალური ტრადიციებით ნასაზრდოებ, სიღნაღელთა საყვარელ თეატრს, რომელმაც სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყანა რუსეთ-საქართველოს „ძმობის“ მე-200 წლისთავს ზარ-ზეიმით აღნიშნავდა, გაბედულად, აიმაღლა ხმა რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ?! თეატრს, რომლის რეჟისორმა, მურად ვაშაკიძემ, დღემდე ილვაწა კალდერონის ცნობილი პრინციპით — „ცხოვრება თეატრია“ და სცენის ჭერი აქცია ცის თაღად, რომელშიც, როგორც სარკეში, ისე ჩაახედა საზოგადოება — საკუთარი ღირსებისა და ნაკლის დასანახად.

მარინა გოგოლაშვილი

მურად ვაშაკიძე მეხუთე კლასში იყო, სოფელ დიდი ჯიხაიშის ტრიალ მინდორზე „კაკო ყაჩაღი“ რომ დადგა. კაკოს როლიც თვითონ მოირგო. „მთავარი როლი ყოველთვის ჩემთვის მინდოდა“, — ღიმილით შენიშნავს ახლა. მალე ეკრანზე გამოჩნდა ახალი ფილმი „ფატიმა“, რომლის გავლენითაც, დიდი ჯიხაიშის „მინდვრის თეატრში რეპერტუარი შეიცვალა. სპექტაკლ „ფატიმაში“ დამდგმელმა რეჟისორმა იბრაჰიმის როლი ითამაშა, ფატიმას ეპიზოდი კი საერთოდ ამოიღეს, რადგანაც ვერც ერთი გოგო ვერ დაითანხმეს ამ როლის თამაშზე. ჩაის პლანტაციებისკენ მიმავალი გზა სწორედ „მინდვრის თეატრზე“ გადიოდა, რისი წყალობითაც მაყურებელი არ აკლდათ პატარა მსახიობებს. პლანტაციებიდან მომავალი დაღლილი ქალები დასასვენელად აქ, ცაცხვების ჩრდილში ჩერდებოდნენ და, ნებსით თუ უნებლიეთ, ესწრებოდნენ წარმოდგენებს.

იმთავითვე ცხადი იყო, რომ მურად ვაშაკიძის გზა თეატრალური ინსტიტუტისკენ წავიდოდა. თუმცა, ჯერ ამ ინსტიტუტის არსებობაც კი არ იცოდა, როცა ხელში ჩაუვარდა არაჩვეულებრივი ლიტერატურა: ნათელა ურუშაძის „თეატრალური ძიებანი“ და დიმიტრი ჯანელიძის „სახიობა“ რომლის წაკითხვის შემდეგაც, უკვე 14 წლისამ, საბოლოოდ გადაწყვიტა — თეატრი და სხვა არაფერი!

თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თბილისში დაფუძნდა და მუშაობა დაიწყო მოზარდ მაყურებელთა თეატრში, სადაც რეჟისორმა შალვა გაწერელიამ მიიღო. გარდა იმისა, რომ თამაშობდა სპექტაკლებში, გადაიღეს ფილმებში — „მეზღვაურები“ და „შერეკილები“.

...დგას 70-იანი წლები. იღვიძებს „სამშობლოს გრძნობა საკვირველი“ (როგორც გალაკტიონი იტყოდა.) მურად ვაშაკიძეს სურს, ჰქონდეს თავისი თეატრი, სადაც იტყვის საკუთარ სათქმელს, მაშინ, როდესაც ეროვნულ თემებზე ჯერ ნაკლებად ლაპარაკობენ. სურს წამოვიდეს პროვინციაში, დედაქალაქიდან ის სულისკვეთება წამოიღოს, რომლის ძარღვის ფეთქვა უკვე ძალუმად ესმით თბილისელებს. თბილისში ეროვნულ სულს დიდი კორიფეები აღვივებენ, პერიფერიებში კი უამათობაა. იქ ეროვნული სულიერების შიმშილია. თუ მოსახლეობა ამას გრძნობს, მის გრძნობას მიხედვა და გაღვივება სჭირდება, ხოლო თუ ვერ გრძნობს, უნდა აგრძნობინო, — ასე ფიქრობს მურადი და ამ პრინციპით ირჩევს ყველასგან მიტოვებულ, ჩუმ და მოკრძალებულ მუჭისტოლა ქალაქს — სიღნაღს. არჩევანში გარკვეულ როლს თამაშობს პირადული მიზეზიც, კერძოდ ის, რომ სიღნაღის რაიონის მკვიდრია მურადის მეუღლე — ნელი ყარალაშვილი. ამას გარდა, სიღნაღის თეატრში უკვე მუშაობს მურადის მეგობარი, აკაკი ძაძამია და მურადს სთავაზობს, დაეხმაროს დასს სპექტაკლის დადგმაში, რადგანაც 1981 წელი ახლოვდება და საქართველო ზეიმობს საბჭოთა რუსეთთან შეერთების მე-60 წლისთავს, რაც ერთგვარ რეპეტიციადაც უნდა იქცეს მოახლოებული უფრო „დიდი ზეიმის“ — გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავის „ღირსეულად“ დახვედრისათვის. სიღნაღში ჩასულ მურად ვაშაკიძეს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, გასაბჭოების მე-60 და გეორგიევსკის მე-200 წლისთავს შეაგებოს ვლადიმერ კანდელაკის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი — „დრო-24 საათი“, რომელიც, ფაქტობრივად, თეთრგვარდიელი გენერლების ხოტბაა. როგორია — დიდ საბჭოურ ზეიმზე იმღერო თეთრგვარდიელების ჰიმნი! ინციდენტმაც არ დააყოვნა.

მურად ვაშაკიძე ფიქრობს, რომ საჭიროა შეიქმნას ტურისტებე მორგებული თეატრი, სადაც გათვლილი იქნება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიც

მურადი:

— არ ვიცოდი, სიღნაღის რაიონის უშიშროების სამსახურის უფროსი კარლო ჩეჩელაშვილი, თურქეთში თუ იყო ნამყოფი. ჩემ მიერ დადგმულ სპექტაკლში, „დრო 24 საათი“ ბათუმში ქიაზ-ბეის არმიის შემოსვლას, ფონად თურქული მარში გავაყ-

გაგრძელება იხ. გვ. 82

არდადეგები რაჭაშიც, ზღვაზეც და უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაშიც მაქვს გატარებული

ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთ ლიდერს, მამუკა კაციტაძეს ძალიან უყვარს რაჭაში დასვენება. ფიქრობს, რომ იქაური ბუნება ენერგიით ავსებს. მთისთვის დამახასიათებელი ხიფათებიც ხიბლავს და იმითაც ამაყობს, რომ ცურვა აუზში ან ზღვაზე კი არა, გიუმაუ მდინარეებში აქვს ნასწავლი. როგორც თავად ამბობს, ბოლო პერიოდში, პოლიტიკური პროცესები ისე წარმართა, რომ დასვენების არც ხალისი აქვს და არც — დრო. რაჭაში დასასვენებლად მხოლოდ ცოლ-შვილი გაუშვა, თავად კი ზაფხულის არდადეგების დროს გატარებულ იმ დღეებს იგონებს, რომლებმაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

ხათუნა ბახტურიძე

— ჩემი სტუდენტობის დროს, ლესელიძეში (1990 წლის ზაფხულში) გატარებული დღეები არასოდეს დამავიწყდება. მაშინ იქ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ახალი დასასვენებელი ბაზა გაიხსნა, თანაც ჩემი ორგანიზატორობით. ადგილობრივ დამსვენებლებთან ერთად, ვილნიუსის უნივერსიტეტიდან 30 სტუდენტი მყავდა მოწვეული. საკმაოდ ემოციური დღეები მქონდა, კარგად ვერთობოდით, მაგრამ ბევრ ხიფათსაც გადავეყარეთ. ზუსტად იმ პერიოდში გახმაურდა ამბავი, რომ „თურქი მესხები“ საქართველოში ძალით შემოჭრას ცდილობდნენ და მთებზე ფეხით გადმოდიოდნენ.

— თქვენთვის რატომ იყო სახიფათო?

— იმიტომ, რომ ჩვენს ბაზასთან ახლოს უნდა გაევლოთ. ეს ფაქტი დამსვენებლებში ერთგვარ შიშს იწვევდა. გარდა ამისა, აფხაზეთში თანდათან იძაბებოდა პოლიტიკური ვითარება და ჩვენ სერიოზული რისკის ქვეშ გვიწევდა ყოფნა. ამ დროს 24 წლის ბიჭი ვიყავი და უზარმაზარი პასუხისმგებლობა მეკისრებოდა. პირადად მე, არაფრის მეშინოდა, მაგრამ სტუმრების გამო ძალიან ვნერვიულობდი. განსაკუთრებით მაშინ შევშფოთდი, როდესაც ჩვენს ბაზასთან ახლოს, მდინარე ფსოუსთან ხალხის დიდი ნაკადი მოზღვავდა და სერიოზული დაპირისპირების საფრთხე შეიქმნა. აქეთ მხარეს იდგნენ მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა გორგოძე, ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი დავით ჭკადუა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და საზოგადოების სხვა წევრები. რა თქმა უნდა, მეც მივედი. სიტუაცია თანდათან იძაბებოდა და ფიზიკური დაპირისპირების საფრთხე იქმნებოდა. ერთ-ერთმა მათგანმა ისიც კი მკითხა — რამე რომ იყოს, შენი ბიჭები გვერდით თუ დაგვიდგებიანო? მე ვუთხარი — კი, დაგიდგებიან, მაგრამ იარაღი თუ გაქვთ-მეთქი? იარაღი იმდენი გვაქვს, ერთ კაცზე ორი მოვა, ოღონდ თქვენ წამოდითო. მაშინ გავიგე პირველად, თუ რას ნიშნავს სამოქალაქო დაპირისპირება და პროვოკაციაზე წამოგება.

— ბოლოს რა მოხდა?

— ბოლოს პოლიტიკური ლიდერებისა და სასულიერო პირების მცდელობით ხალხი დაიშალა. ეს იყო ზაფხული, რომელსაც მწვავე და მძიმე მოგონებებიც სდევს თან. დანარჩენი არდადეგები, ლაღად და ლამაზად მაქვს გატარებული — რაჭაშიც, ზღვაზეც და უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაშიც.

— უცხოეთის რომელ ქვეყნებში ხართ ნამყოფი?

— ბულგარეთში, ამერიკაში, თურქეთში, იტალიაში, ესპანეთში. 4 წლის განმავლობაში საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვიყავი და იმ პერიოდში სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობა ხშირად მიწევდა.

— თქვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება რომელმა ქვეყანამ მოახდინა, სად გაერთეთ ყველაზე უკეთ?

— ზოგიერთ ქვეყანაში, ისტორიული ძეგლებითა და კულტურული მემკვიდრეობის ნახვით მოვიხიბლე. ირლანდიაში ყოფნის დროს ძალიან მომეწონა ქალაქი დუბლინი, რომელიც სხვა დანარჩენი ქალაქებისაგან იმით განსხვავდება, რომ იქ მხოლოდ რამდენიმესართულიანი სახლებია. ერთადერთ მაღალ შენობაში (6 თუ 7-სართულიანი იყო) ლუდი „გინესის“ მუზეუმია განთავსებული. მისი ბოლო სართულიდან მთელი ქალაქი ხელისგულივით მოჩანს. ქუჩებში ტრადიციულად ჩაცმული ხალხი დადის, ბარებიდან კი მუსიკის ხმა ისმის. იქ, ყველგან და ყველაფერში ირლანდიური სული იგრძნობა. ესპანეთში სხვა კულტურა და განსხვავებული სულიერი სამყარო აღმოვაჩინე. ერთხელ, მე და ჩემი მეგობრები ბარში ვისხედით, ვსვამდით, თან ძმობასა და სიყვარულზე ვსაუბრობდით. ჩვენ გვერდით ესპანელები ისხდნენ, რომლებიც ანალოგიურ სიტუაციაში იმყოფებოდნენ. ბოლოს მაგიდები გავაერთიანეთ და ქეიფი ერთად გავაგრძელეთ. ძალიან ბევრი ვისაუბრეთ ქართულ-ესპანურ ურთიერთობებზე, კულტურასა და ტრადიციებზე, რის შედეგადაც აღმოვაჩინე, რომ ჩვენ შორის მართლაც არსებობს ნათესაური კავშირები.

— ასეთი დასკვნის საფუძველი მაინც რამ მოგცათ?

— ერთნაირი ბუნებისა და ტემპერამენტის ხალხი ვართ. ბალტიისპირელების, გერმანელებისა და ფრანგების ხასიათში სიცივე იგრძნობა. ესპანელებსა და იტალიელებს წმინდა სამხრეთული ტემპერამენტი აქვთ. როდესაც იტალიის პატარა ქალაქ ტერამოში ვიყავი ჩასული, საღამოს ზღვის სანაპიროზე გავისეირნე და იმ ადგილს ჩავუარე, სადაც სხვადასხვა ტიპის გასართობი იყო

იქ, ყველგან და ყველაფერში ირლანდიური სული იგრძნობა

მოწყობილი. ერთი ადგილიდან განსაკუთრებული ხმაური მომესმა. მივედი და რას ვხედავ — სათითეებით თამაშობენ, თანაც ძალიან აზარტულად. თავი ნავთლუღის ბაზართან მეგონა. ამერიკა სულ სხვა სამყაროა. ამ ქვეყნის მცხოვრებლები და ჩვენ ისე განვსხვავდებით, როგორც ცა და დედამიწა. ვისკონსინის შტატში ყოფნისას, ამერიკული ფეხბურთის საყურებლად წავედი. მე ადგილობრივ გუნდს ვგულშემტკივრობდი, რომელიც აიოვას შტატს ხვდებოდა. ათი, თხუთმეტი წუთის შემდეგ ისეთ აზარტში შევედი, რომ ჩემდა უნებურად, ქურთუკი გავიხადე, ჰაერში ვატრიალებდი და თან ყვიროდი. მაშინ 25 წლის ვიყავი. გაგიჟდნენ ამერიკელები — ეს კაცი ვინღა არის, რა აყვირებსო?! როცა გაიგეს, ქართველი ვიყავი და მათ ასე გულმოდგინედ ვუჭერდი მხარს, ნაყინითა და ლუდით გამიმასპინძლდნენ. ეს ჟესტი ამერიკელებისგან ძალიან გამიკვირდა იმიტომ, რომ ცოტა უცნაური ხალხია, ტყუილუბრალოდ დოლარსაც არ დაგახარჯავენ.

— იმ პერიოდში, როდესაც თქვენ 25 წლის იყავით, ამერიკელები საქართველოს რამდენად კარგად იცნობდნენ?

— მაგ კითხვასთან დაკავშირებით ერთ საინტერესო ამბავს მოგიყვებით. ამერიკაში გაცვლითი პროგრამით ვიყავი წასული. რვა სტუდენტთან ერთად, ოთხოთახიან კემპინგში ვცხოვრობდი. ჯერ ახლა რა ვიცი და, მაშინ ძლივს „ვამტვრევდი“ ინგლისურს, მაგრამ მაინც შევძელი ვიღაც-ვიღაცების გაცნობა. ყველას აინტერესებდა, რომელი ერის წარმომადგენელი ვიყავი. ყველანაირად ვეცადე, ამეხსნა, თუ სად არის საქართველო. ხან შავი ზღვა ვახსენე, ხან — კავკასიონი და თურქეთი, რუკაც კი მოვატანინე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ისე გამიჭირდა, რომ სტალინი და შევარდნაძეც კი მოვიშველიე, მაგრამ შენც არ მომიკვდე, ვერაფერს მივახვედრე. ძალიან დავღონდი. უცებ კედელზე გაკრული ბაუმგარტნერის პლაკატი დავინახე (ის იყო ამერიკის მრავალგზის ჩემპიონი, ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი — თავისუფალ ჭიდაობაში. 1988 წლის ოლიმპიადაზე ფინალში, ქართველ გობეჯიშვილთან დამარცხდა). მიხვდი, რომ ეს სპორტსმენი ამათ ძალიან უყვარდათ და ვკითხე — ეს ვინ არის-მეთქი? ისეთი გაოცებით შემომხედეს, თითქოს ძალიან ბრიყვული კითხვა დამესვას. რვა კაცმა ის არ იცოდა, ქვეყანა სად იყო და ის ეწყინათ, ბაუმგარტნერის ვინაობა რომ არ ვიცოდი. ერთი სიტყვით, მთელი მისი რეგალიები ჩამომითვალეს და ბოლოს ისიც დასძინეს — ოლიმპიადაზე ვერცხლის პრიზიორი გახდაო. მე ისევ ვკითხე — ვერცხლის პრიზიორი რატომ გახდა, ოქრო რატომ ვერ მოიგო-მეთქი? ცოტა არ იყოს, შეიშმუშნნენ და მითხრეს: რა მოხდა, ერთთან წააგო. მხრებში ამაყად გავსწორდი და თავაწეულმა ვუპასუხე — მე იმ ქვეყნიდან ვარ, რომლის წარმომადგენელთანაც თქვენი ბაუმგარტნერი დამარცხდა-მეთქი.

— ბატონო მამუკა, მანდილოსნების შეფასებისასაც სამხრეთულ ტემპერამენტს ხომ არ ანიჭებთ უპირატესობას?

— გამოიცანით. რატომღაც რუსი და სლავი ქალები ძალიან მაგრეებად მიიჩნევიან, მე კი სულაც არ მომწონს, ზედმეტად დიდები და ქერები არიან. ყოველთვის საშუალო ზომის, ხორბლისფერი ქალბატონებით ვიხიბლები... ამერიკაში ყოფნის დროს ორი გოგონა მომეწონა და ორივე იტალიური წარმოშობის აღმოჩნდა. მარტო თვალის სეირი ხომ არ არის? ჩემთვის ურთიერთობებიც ძალზე მნიშვნელოვანია. სამხრეთელები, ჩრდილოელებისაგან, შინაგანი სითბოთი განსხვავდებიან. ისე, გამონაკლისებიც არსებობენ. ერთხელ ვილნიუსელმა გოგონებმა მე და ჩემს მეგობრებს ისეთი სიურპრიზი მოგვიწყვეს, რომ არასოდეს დამავიწყდება.

— ასეთი რა მოგიწყვეს?

— ეს გოგონები ლესელიძეში გავიცანით, მერე თბილისშიც დავპატიჟეთ. ერთხელ, როდესაც რიგაში ვიყავით, მათ სანახავად ვილნიუსში გადავედით. გოგონებიდან ერთ-ერთმა თავის ოჯახში მიგვიწვია. სიურპრიზიც იქ გველოდა. შევდივართ სახლში და რას ვხედავთ — სუფრა ქართული კერძებით არის გაწყობილი, კედლებზე თბილისიდან ჩატანილი გობელენი და ჭედური ნაკეთობები კიდია; ოთახში კი ქართული ხალხური სიმღერების ხმა ისმის.

როდესაც რიგაში ვიყავით, მათ სანახავად ვილნიუსში გადავედით. გოგონებიდან ერთ-ერთმა თავის ოჯახში მიგვიწვია



— ვილნიუსელმა გოგონებმა რა კერძები მოგიმზადეს?

— ლობიო, საცივი, ხაჭაპური. ხინკალის მოხვევაში ჩვენც დავეხმარეთ. ცოტა ხანში მასპინძელი გოგონას მამაც მოვიდა. ამ კაცის შემოსვლა კულმინაცია იყო — ტანზე ხევსურული სამოსი ეცვა, თავზე კი სვანური ქუდი ეხურა. ერთი სიტყვით, ჩვენმა მასპინძლებმა ძალიან ლამაზი საღამო გვაჩუქეს, მაგრამ ამის მიზეზი ჩვენ შორის არსებული ხანგრძლივი მეგობრული ურთიერთობა იყო. სტუმრისადმი ასეთი პატივისცემა მათ ხასიათში გენეტიკურად არ დევს.

— უცხოელებთან მხოლოდ სასიამოვნო მოგონებები გაკავშირებთ?

— უმთავრესად ასეა, მაგრამ უსიამოვნებებიც შემხვედრია. ერთხელ მეგობრებთან ერთად ჩიკაგოში ვიყავი. შაბათ დღეს მასპინძლებმა ჯერ ტბაზე სანადიროდ წაგვიყვანეს, შედეგ კი ღამის ბარში, რომელსაც ასეთი აბრა ჰქონდა — „შენ არცხვენ ჩიკაგოს“. ფილმებში ხომ გინახავთ ჩიკაგოს ღამის ბარები — ძაღლი პატრონს რომ ვერ ცნობს, ზუსტად ისეთი სიტუაცია დაგეხვდა. ლუდი დავლიეთ და ხორცი ხელით ვჭამეთ (იქაური წესის თანახმად). იქვე, მეორე სართულზე დისკოთეკა იყო გამართული. შუა სცენაზე ერთი ზანგი გოგო ძალიან მაგრად ცეკვავდა, თანაც მარტო. სასმელი რომ მოგვეკიდა, ჩემი მეგობარი ამ გოგონასთან მივიდა და ცეკვა დაიწყო. ცოტა ხანში დარბაზში ხუთი თუ ექვსი „ნაკაჩავები“ ზანგი შემოვიდა. თურმე მათი „შეფი“ ამ მოცეკვავე ქალბატონის მეგობარი ყოფილა. რა თქმა უნდა, არ მოეწონა, მის ქალს სხვა რომ ეცეკვებოდა და ორივეს სცენიდან ჩამოსვლა „უბრძანა“, მაგრამ ყური არც ერთმა არ შეიბერტყა. მივხვდი, რომ ჩემს მეგობარს დარხეული ჰქონდა. მასპინძელს გადავულაპარაკე — მგონი ჩიკაგოში ჩხუბი მოგვიწევს-მეთქი. მეც შეზარხოშებული ვიყავი, თორემ ფხიზელი, ჩიკაგოში ზანგებთან ჩხუბს აზრადაც არ გავივლებდი. მასპინძელს გაეცინა, მივიდა შემოსულებთან, ორიოდე სიტყვა უთხრა და ისინიც წავიდნენ.

— ასეთი რა უთხრა?

— ვერ მივხვდი და არც მასპინძელმა გამიმხილა. კიდევ კარგი, სიტუაცია არ გამწვავდა, თორემ მართლა არ ვიცი, რა მოხდებოდა. ჩვენ სამნი ვიყავით, ისინი — ექვსნი, თან როგორი ზანგები იყვნენ იცით? მაისურები ტანზე ასკდებოდათ... ერთხელ სომხებმაც გამაბრაზეს, თანაც — ძალიან, მაგრამ მათთან ჩხუბი თავში აზრადაც არ მომსვლია, იმიტომ, რომ მაშინ სრულიად ფხიზელი ვიყავი.

— სომხებმა რა დაგიშავეს?

— პარლამენტიდან, სამხრეთკავკასიურ საპარლამენტთაშორისო ასამბლეაზე, სლოვენიაში ჩავედით. მაშინ სლოვენიის კალათბურთის გუნდში ვოვა ბოისა და მანუჩარ მარკოიშვილი თამაშობდნენ. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც საქართველოს შესახებ არავინ არაფერი იცოდა. რამდენჯერაც მკითხეს — საიდან ხარო? — იმდენჯერ ვუპასუხე — მანუჩარისა და ვოვას ქვეყნიდან-მეთქი. ამ ბიჭებმა გაიგეს თუ არა, რომ ქართველები ვიყავით, მაშინვე სანახავად მოვიდნენ. ძალიან ამაღელვებელი შეხვედრა იყო. მანუჩარი და ვოვა პირდაპირ სხდომათა დარბაზში შემოვიდნენ და ისე მოგვძებნეს. ცოტა ხნის შემდეგ ჩემთან სომხეთის ორი წარმომადგენელი მოვიდა და მკითხა — ესენი ვინ იყვნენო? ვუპასუხე, რომ ქართველები იყვნენ და აქ კალათბურთს თამაშობდნენ, — და რა მითხრეს იცით?! — როგორ, საქართველოში კალათბურთსაც თამაშობენო? ■

ირიკლის ხიმანი



დასაწყისი „გზა“ №24-37

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

თაკო მზეს ეფიცხებოდა. სათვალე ეკეთა, რომელიც ცხვირის კეხთან ოდნავ უჭერდა. საინტერესოა, ადრე თუ ატარებდა მზის სათვალეს? ისიც ასე უჭერდა? არა, უინტერესოა, სრულებით უინტერესოა ეს სათვალე. უჭერს? ესე იგი, უნდა მოიხსნას. თან, რატომღაც, თვალებიც ეძაბება. ალბათ არც ადრე მოსწონდა მისი ტარება.

იქ, პარკის ბოლოში, მავთულის ღობეა, ღობის იქით — ქუჩა. ქუჩაში კი ადამიანები დადიან. ადამიანები... სწორედ მათ გამოა აქ, სწორედ მათ გამო მიიღო ასეთი ტრავმა და დაკარგა მეხსიერება. ამიტომაც არ უნდა იქ. არ იზიდავენ ადამიანები. „დამანებეთ თავი, ყველამ დამანებეთ თავი!“ — ჩაილაპარაკა სასოწარკვეთით და სათვალე მოიხსნა. აქ კარგად გრძნობს თავს, შეეშვას ყველა და მორჩა! ის აქ დარჩება.

რა მარტივად ხდება ყველაფერი — ერთი თავის დარტყმა და დამთავრდა — არც მეხსიერებაა, არც წარსული, თითქოს არც არაფერი ყოფილა. „სწორედ ამ მომენტიდან შენ არავინ ხარ, არაფერი გქვია და არსად ცხოვრობ. შენ უკვე აღარ გაქვს ბიოგრაფია, გოგონი, არც წარსული, მხოლოდ სუფთა ფურცელი დარჩა“, — თვალები ცრემლით აევსო. ძალიანაც კარგი, თუ ასეა. არაფერში სჭირდება წარსული, არც ოჯახი, არც ახლობლები. დაე, იყოს სუფთა ფურცელი. აქედან დაიწყებს და ეგ იქნება.

ჯინსის ქურთუკის ზედა ორი ღილი შეიხსნა, თავი მაღლა ასწია და სახე სექტემბრის თბილ მზეს მიუშვირა.

ირაკლი საავადმყოფოს სუნს ვერ იტანდა, ნერვები ეშლებოდა. მარტო ეს სპეციფიკური სუნი ეყოფოდა ადამიანს დეპრესიაში ჩასავარდნად. იგი მთავარი ექიმის კაბინეტში იჯდა და უსიამოვნო ფიქრების თავიდან მოშორებას ცდილობდა.

მსუქანმა და მაღალმა, ჭაღარა მამაკაცმა კარი შემოაღო და კაბინეტში შემოვიდა. პროფესორი ვანო მაისურაძე ნაძალადევი ღიმილით გამოეშურა ირაკლისკენ.

— ახლავე ყველაფერს აგიხსნით, ჩემო ბატონო, — ხრინწიანი ხმით დაიწყო ექიმმა, ხელით ფანჯრისკენ ანიშნა ირაკლის და თვითონაც უკან მიჰყვა. იქიდან კარგად ჩანდა, როგორ დასეირნობდა ეზოში თაკო.

— ხედავთ მას? იგი ყოველთვის შიდა ეზოს სიღრმეში დადის, არავითარ შემთხვევაში ბაღის ბოლოში არ გავა. მხოლოდ შორიდან ათვალიერებს მას. ამ ტერიტორიას კი პრაქტიკულად, არასდროს ტოვებს.

— ვიცი, შევნიშნე... მე დიდხანს ვზივარ ხოლმე პარკში, აი, იმ მერხზე და მას ვუთვალთვალებ, ველოდები, როდის გამოჩნდება, — თქვა ირაკლიმ და უხერხულად შეიშმუშნა.

— და იცით, ამას რატომ აკეთებს? იმიტომ, რომ პარკის იქით ქუჩა მოჩანს. მას სწორედ ამ ქუჩის ეშინია. თქვენ კი მეუბნებით, შინ წავიყვანო! ამან შეიძლება ნერვულ კრიზისამდე მიიყვანოს, გესმით? შეიძლება მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდეს. ეს დიდი რისკია, ჩემო ბატონო, რისკი იმისა, რომ მეხსიერება საერთოდ აღარ დაუბრუნდეს.

— ბოლოს და ბოლოს, ჩემთვის მთავარი სულაც არ არის მისი მეხსიერება, ექიმო. თუ თაკოს თავად არ სურს წარსულის გახსენება, არც დავაძალებ. ჩემთვის მთავარი მხოლოდ ისაა, რომ ერთად ვიყოთ, ერთმანეთის გვერდით. მე ვიზრუნებ მასზე, არაფერს მოვაკლებ. ჩემთვის უმთავრესი ჩვენი ოჯახია; ოჯახი, რომელიც უნდა შეგვექმნა და ვერ მოვასწარით. ახლა მით უმეტეს — ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, ის ხომ ბავშვს ელოდება ჩემგან.

— თქვენ ერთი რამ გავიწყდებათ, ირაკლი. ეს თქვენთვის არის ოჯახი მთავარი, ეს თქვენ გსურთ, თაკო თქვენი მეუღლე გახდეს, მაგრამ მას არ ეკითხებით? ამ მომენტში თქვენ მისთვის არაფერს წარმოადგენთ და არც არანაირი ოჯახი არ არსებობს. არც ორსულობის შესახებ იცის რამე, და არავითარ შემთხვევაში არ უნდა წამოგცდეთ ამის შესახებ, სანამ ყველაფერი არ დალაგდება, სანამ არ შეგეჩვევათ და არ გაგიხსენებთ.... როგორ აგიხსნათ... ის ახლა პატარა ბავშვივითაა, რომელსაც თუკი მზრუნველი სჭირდება — მხოლოდ დედისა და მამის სახით და არა მეუღლის ან საქმროსი.

— და რას მთავაზობთ ამ სიტუაციაში?

— ლოდინს.

— კი, მაგრამ მთელ ცხოვრებას საავადმყოფოში ხომ არ გაატარებს?

— რა თქმა უნდა, არა, მაგრამ სანამ მის სახლში გადაყვანას გადაწყვეტდეთ, უმჯობესი იქნებოდა, ჯერ გაგეცნოთ იგი. იქნებ ცოტათი მაინც შეგეჩვიოთ, დაგიახლოვდეთ. თუმცა, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, ამაზე დათანხმდება თუ არა.

— მაგრამ მას არ უნდა ჩემი ნახვა, კატეგორიული უარი თქვა ჩემთან შეხვედრაზე.

— ბოლოს მას ორი დღის წინ ველაპარაკე. ვეცდები, კიდევ ერთხელ დაველაპარაკო, თანაც — დღესვე. მას ყოველდღიურად უნდა ეჩიჩინო, რათა დაითანხმო, მაგრამ დაძალება გამორიცხულია; ეშინია, ყველაფრის ეშინია. გოგონას ცნობიერებას რაღაც აბრკოლებს, აფერხებს,

რომ აღიდგინოს მეხსიერება. ამნეზიის შემთხვევებში ასეთი რამ გვხვდება. ასე რომ, გირჩევთ, მოთმინება იქონიოთ და ჩემს გადაწყვეტილებას დაელოდოთ.

მოთმინება! ირაკლიმ გრძელ დერეფანს თვალი მოავლო. უფერული, უსიხარულო, უსიამოვნო გარემო — როგორ უნდა მოუნდეს ადამიანს აქ დიდხანს დარჩენა და მით უმეტეს, ხანგრძლივად ცხოვრება?! ჯერ ეს სუნი როგორი ასატანია! საშინელი მოწყენილობა შეგიპყრობს ადამიანს. ჯანმრთელ კაცს შესძულდება სიცოცხლე!

— იქნებ ჯობია, სანამ ის ეზოში სეირნობს, მივიდე და თავად გავეცნო? როგორ მეხამუშება ეს სიტყვა, ვერ წარმოიდგენთ, ექიმო, უცნაურად ჟღერს, — გაეცინა ირაკლის.

— მესმის თქვენი. მაგრამ ამის გაკეთება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ის უარესად დაფრთხება.

— რატომ, რატომ? გგონიათ, არ მოვეწონები?

— მოწონება არაფერ შუაშია. შეიძლება მოეწონოთ კიდეც, შეიძლება — არა... ამის პროგნოზირება არავის შეუძლია, მაგრამ უარყოფითი რეაქციის ალბათობა მეტია, ვიდრე დადებითის. მას ახლა იმდენად სძულს ადამიანები, დარწმუნებული ვარ, დაფრთხება, ეს კი ნერვულ აშლილობას გამოიწვევს, რის შემდეგაც ჩვენი შანსები ძალიან შემცირდება. შესაძლებელია, მეხსიერება აღარასდროს დაუბრუნდეს. არ გვაქვს უფლება, ასე გავრისკოთ. უნდა გაიგოთ, რომ ამნეზია უკიდურესად დელიკატური ავადმყოფობაა, რადგან მასში ჩათრეულია ფსიქიკა და ამის გამო, ტვინის დაბლოკილი უბნები შესაძლებელია სამუდამოდ გამორთული დარჩეს. გესმით ჩემი? ამ საქმეს ფრთხილი, ძალიან სათუთი მიდგომა სჭირდება, მით უმეტეს, რომ გოგონას თავად არ სურს არაფრის, თუნდაც ერთი უმნიშვნელო ეპიზოდის გახსენებაც კი. იგი სრულიად შეგნებულად ცდილობს, „შეინარჩუნოს“ ამნეზია. სხვანაირად როგორ აგიხსნათ... წარმოიდგინეთ, რომ მან თავისი მოგონებები ერთ ყუთში ჩადო, გასაღებით ჩაკეტა, გასაღები კი სადღაც მიაგდო. ამასთან, მას მოსწონს ეს ყველაფერი, ამიტომაც გასაღების მოძებნა სულაც არ უნდა, არ ცდილობს ამას.

— კარგი, ბატონო პროფესორო. მოიქეცით ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნევთ, მაგრამ იქნებ ცოტა დააჩქაროთ მისი დარწმუნება. ძალიან გთხოვთ... სანამ მამამისი ჩამოსულა, მანამდე მინდა ყველაფერი მოვაგვარო.

— მამამ თქვენ შესახებ არაფერი იცის?

— მ...მ...მ... რაღაც-რაღაცები იცის, მაგრამ არ იცის მთავარი.

— ალბათ ფეხმძიმობის ამბავს გულისხმობთ, არა?

— დიახ.

— გასაგებია. ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლია, — პირობას გაძლევთ, ძალისხმევას არ დავიშურებ.

მამაკაცები ფანჯარას მოშორდნენ და კორიდორს დაუყვნენ. მოულოდნელად ირაკლიმ იქვე, მეზობელ ფანჯარასთან ახალგაზრდა მამაკაცი შენიშნა, რომელმაც ორივეს თვალი გამოაყოლა. „ალბათ რომელღაც პაციენტის მნახველია“, — გაიფიქრა პირადმა მცველმა და უცნობს მზერა აარიდა.

როცა ისინი გარეთ გავიდნენ, უცხო

მამაკაცი მხოლოდ მაშინ მოშორდა ფანჯარას და გასულებს კვალდაკვალ მიჰყვა...

დახუჭულ თვალებს მიღმა მზის სითბო სასიამოვნოდ ატანდა. როდემდე უნდა ეშინოდეს ასე? ბოლოს და ბოლოს, ამით ხომ არ მთავრდება ცხოვრება? უნდა დათანხმდეს იმ სეანსების ჩატარებას, რომელიც მეხსიერების დაბრუნებაში დაეხმარება. პატარა გოგო ხომ არ არის? არ შეიძლება ასე გაჯიუტება. უნდა შეხვდეს თავის საქმროს, გაიგოს თავისი წარსულის შესახებ. საინტერესოა, როგორ გამოიყურება იგი? როგორი მამაკაცია? ვაითუ, ღიპიანია და მელოტი? — თაკოს უნებურად ღიმილმა გაუპო ბაგეები.

„წარსული“ — რა ბნელი და უღიმღამო სიტყვაა. შავ ყუთს აგონებს თაკოს, მძიმესახურავიან ყუთს. რა მოხდება, თავსახური რომ ახადოს? რა დახვდება შიგ?

რა მოხდება და, იქიდან ბოროტი სულები ამოფრინდებიან და თაკოს შიგნით შეათრევენ! და სახურავიც ტკაცანით დაიხურება! არა! არავითარ შემთხვევაში!

ღმერთო, რატომ წარმოუდგენია წარსული ასე საშინლად? რა არის მასში ასეთი ცუდი? რა მოხდა სინამდვილეში? რატომ არაფერი ახსოვს? ან კი რატომ არ უნდა დაეხმაროს საკუთარ თავს მის გახსენებაში?

რატომ გადაწყვიტა ასე? სისულელეა ეს ყველაფერი. არა, უნდა დაელაპარაკოს ვანო ექიმს, დაე, მოუყვეს თავისი განვლილი ცხოვრების შესახებ, დაე, გაიგოს, რა დატოვა იქ, წინა ცხოვრებაში ასეთი მძიმე, ასეთი შავი... სულ საავადმყოფოში ხომ არ იქნება?! ან ვინ გააჩერებს აქ სამუდამოდ? ერთხელაც ხომ მოუწევს აქედან გასვლა, და სად უნდა წავიდეს? წარსულ ცხოვრებას დაუბრუნდეს? რატომ, რატომ? რატომ ხდება აუცილებელი, რომ ასე მოიქცეს? იქნებ არ უნდა ძველებურად ცხოვრება, იქნებ ყველაფრის თავიდან დაწყება სურს?! ვის აქვს უფლება, აიძულოს?!

იქნებ გაიქცეს აქედან?

მოულოდნელად სახეზე ჩრდილი დაეცა. ნელა გაახილა თვალები...

მის წინ ვიღაც მამაკაცი იდგა, ლამაზი მამაკაცი. შავგვრემანი. მაღალი, კარგად ჩაცმული, ელეგანტური, ის უღიმოდა.

საინტერესოა, ვინ არის და რა უნდა? თაკოს უცნობის ღიმილი არ მოეწონა, რატომღაც, ნაძალადევი მოეჩვენა, ყალბი.

გოგონამ მამაკაცს კითხვით სავსე მზერა მიაპყრო, მაგრამ იგი დუმდა.

— რა გნებავთ? — ჰკითხა ბოლოს.

უცნობს პასუხი არ გაუცია, მის გვერდით მერხზე დაჯდა და შეხედა. თაკომ დემონსტრაციულად განზე გაინია.

— ვერ მცნობ? — ფრთხილად ჰკითხა მამაკაცმა, თუმცა სახიდან ღიმილი არ მოშორებია.

— ვერა, — ყოველგვარი ცნობისმოყვარეობის გარეშე უპასუხა გოგონამ.

— ცოტათი მაინც ვერ მცნობ? — ჩაეძია უცნობი.

— დროს ტყუილად კარგავთ, — ცივად მოუჭრა გოგონამ, — ვერაფერს გეტყვით, მე ამნეზია მჭირს.

— ვიცი, — თითქოს კმაყოფილებით თქვა მამაკაცმა, რაც თაკოს ძალიან გაუკვირდა.

— საიდან იცით?

უცნობმა პასუხი არ გასცა, იმავე ღიმილით განაგრძობდა გოგონას თვალიერებას. თაკოს არ მოეწონა, როგორ უყურებდა ეს ვიღაც, როგორ უღიმოდა... და საერთოდ, თვითონ მამაკაციც არ მოეწონა. წამოხტა და წასვლა დააპირა.

— მოიცა, თაკო! — დაეწია უცნობის ხმა. — მოიცა! მე შენი საქმრო ვარ, რისი გეშინია?

შავი ყუთის თავსახური ნელა, მძიმედ გაიღო. ბოროტი სულები აფუთფუთდნენ...

როგორ დართო მასთან მიახლოების ნება ვანო ექიმმა ამ თავხედს! ეს არასწორია! მას ხომ სრულ სიმშვიდეს შეჰპირდნენ საავადმყოფოში. მოატყუა ექიმმა, ყველამ მოატყუა!

— მოიცა, — ისევ გაიმეორა საქმრომ, — ერთი წუთით მომიცადე. თუ არაფრის მოსმენა არ გინდა, შენი საქმეა. მაგრამ ერთი რამ უნდა იცოდე, მხოლოდ ერთი. მერე თავად გადაწყვიტე, როგორ მოიქცე.

თაკო ბოლო წინადადებამ დააინტრიგა და კვლავ დაჯდა, ოღონდ უცნობისკენ ზურგშექცევით. ყუთიდან ამოფრენილი ბოროტი სულები თითქოს მოედვნენ მის

სხეულს, თითქოს მის დაჰიპნოზებას შეუდგნენ... გოგონა თავს პარალიზებულად გრძნობდა, სხეული არ ემორჩილებოდა, თითქოს უხილავი არსებები მთელი ძალით შავი ყუთისკენ ეწეოდნენ...

— შენ უნდა იცოდე, რომ პოლიცია გეძებს, — მამაკაცი ხმადაბლა, მაგრამ ძალზე მკაცრი ტონით საუბრობდა, — დანაშაული გაქვს ჩადენილი, ამისთვის დაგიჭერენ, როგორც კი აქედან გაეწერები. მართალია, დანაშაული მძიმე არ არის, მაგრამ მაინც ჩაგსვამენ ციხეში, როგორც კი მეხსიერება დაგიბრუნდება. ასე რომ, აქ დარჩენა მხოლოდ შენს ინტერესებში არ შედის. შენ ვერც ამჩნევ, როგორ მუშაობენ შენზე ფსიქიატრები. მერე რა, რომ სეანსებზე უარს ამბობ. ისინი შენთან მაშინაც მუშაობენ, როცა გძინავს ან როცა ჭამ. ნებისმიერი სიტყვა, რასაც გეუბნებიან, სეანსითაა გათვალისწინებული. და ეს არის მათი მკურნალობის კურსი, აღარაფერს ვამბობ წამლებზე. ერთ მშვენიერ დღესაც, დაგიბრუნდება მეხსიერება და ეს მშვენიერი დღე მალე დადგება. ამწუთას ველაპარაკე ექიმს და დამარწმუნა, რომ რამდენიმე დღეში გამოჯანმრთელდები. სწორედ მაშინ მოვლენ შენს წასაყვანად პოლიციელები და სასამართლოს გადაგცემენ.

— რა დანაშაული? — ჩურჩულით წარმოთქვა ფერმიხდილმა.

— გაინტერესებს, რა ჩაიდინე? — დაბეზუსტა უცნობმა.

— ჰო...

— დღეს საკმარისია. ბევრი ინფორმაციის ერთად მიღება გავნებს. ამან შეიძლება ცუდად იმოქმედოს შენს ჯანმრთელობაზე. ჩემი თუ არ გჯერა, შენს ექიმს ჰკითხე, ის საქმის კურსშია. პოლიცია ლამის ყოველდღე მოდის და შენი მდგომარეობით ინტერესდება. ერთი სული აქვთ, როდის გაგწერენ.

ეს იცოდა თაკომ, ექიმმა ერთხელ უთხრა კიდეც, გამომძიებელი მოვიდა შენს სანახავადო. აი, თურმე რაში ყოფილა საქმე.

— რატომ მიყვებით ამ ყველაფერს, რა გინდათ ჩემგან?

— თქვენობით რატომ მელაპარაკები, თაკო? მე შენი საქმრო ვარ. იმიტომ გიყვები, რომ არ მინდა მათ ხელში მოხვდე, არ მინდა გაგასამართლონ. მირჩევნია, საერთოდ არ დაგიბრუნდეს მეხსიერება, გესმის? ბოლოს და ბოლოს, ეს არ არის მთავარი. მთავარია, ჩვენ ვიყოთ ერთად, მთავარია, ოჯახი შევქმნათ. ამიტომაც მინდა შენი აქედან წაყვანა. უნდა დამიჯერო.

თაკომ, როგორც იქნა, დასდო პატივი უცნობს და შეხედა. მამაკაცს ცივი, უმეტყველო თვალები ჰქონდა, გამჭოლი მზერა, როგორც მონადირეს, რომელიც მსხვერპლს მიზანში იღებს.

— შენც ხომ არ გინდა, რომ დაგაპატიმრონ?

გოგონამ ხმა არ გასცა, შიშმა აიტანა, ძლივძლივობით ახერხებდა მის დაძლევას.

— დაფიქრდი, მე არ გაიძულებ, თუმცა წესით, ასეც უნდა ვიქცეოდე. შენ ახლა, როგორც ბავშვი, საკუთარ გადაწყვეტილებაზე პასუხს არ აგებ. ამიტომ მე მომიწევს შენ მაგივრად ამ გადაწყვეტილების მიღება, — შენ ხომ ჩემი საცოლე ხარ, საყვარელი საცოლე. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, არ მაქვს უფლება, ძალა დაგატანო. არც შენი შეშინება მინდა. თავად მოიფიქრე, მაგრამ ერთი რამ გახსოვდეს — ერთადერთი, რაზეც მე ვიზრუნებ, შენი გადარჩენაა, — თქვა მამაკაცმა და წამოდგა, თითქოს წასვლა დააპირაო.

— არ მინდა, რომ დამაპატიმრონ, — ჩურჩულით წარმოთქვა უმწეო გოგონამ.

— ეს ჭკვიანურია, მომწონს ასეთი აზროვნება. ყოველთვის მჯეროდა შენი. მე ხვალ მოგაკითხავ, ოთხ საათზე. ეზოში დამხვდი, ამ ადგილას. მედპერსონალი იმ დროს უკვე აღარ იქნება საავადმყოფოში და ადვილად შევძლებთ გაპარვას, ვერავინ შეგვამჩნევს. კარგია, რომ ჯინსის შარვალი და ქურთუკი გაცვია. ხვალაც ასე ჩაიცვი. და ჩვენ წავალთ აქედან... — მამაკაცი შეყოვნდა. — ჩვენთან ავალთ, ჩემს სახლში. იქ არ იქნებიან არც ექიმები და არც ექთანები. არ მოგიწევს წამლების ყლაპვაც. ოღონდ ერთი პირობით... შენს ექიმს არაფერი უთხრა, არავის არაფერი უთხრა ამის შესახებ. მერე მე თვითონ ვეტყვი მათ ყველაფერს, როცა უკვე შინ ვიქნებით... მორჩა, მე წავედი. არ მინდა, ერთად დაგვინახონ, შეიძლება მიხვდნენ, რაზეც ვსაუბრობთ. შენთან დალაპარაკება ამიკრძალეს. მათ ეშინიათ, ჩემთან კონტაქტის შემდეგ უარესად არ გახდე და მთლიანად არ დაკარგო მეხსიერება. მათ ეს ხელს არ აძლევს, მერე ვეღარ დაგიჭერენ, გასაგებია? მიხვდი, მათ რაც უნდათ?

თაკო უსმენდა უცნობს. თითქოს ყალბად ყღერდა მისი ყოველი სიტყვა, თითქოს რაღაც უსიამოვნო გამოსჭვიოდა მის ხმაში, მაგრამ კონკრეტულად — რა, ვერ ხვდებოდა.

— შენი გადარჩენა მხოლოდ მე შემიძლია, საყვარელო, სხვას არავის. მე შენ მიყვარხარ, გესმის? მორჩა, ამის თქმა მინდოდა მხოლოდ. აბა შენ იცი, ხვალამდე გემშვიდობები, — და მამაკაცი ხელზე შეეხო.

თაკოს თითქოს დენმა დაარტყაო, სწრაფად გასწია ხელი განზე. საქმრო წავიდა და ისე მიეფარა ბაღის კუთხეს, ერთხელაც არ მოუხედავს უკან.

გოგონა გაუნძრევლად იჯდა, უაზროდ იყურებოდა წინ, სივრცეში... ამწუთას იგი მხოლოდ შავ ყუთს ხედავდა, ბოროტი სულებით სავსე შავ ყუთს...

„მე დანაშაული ჩავიდინე... აი, თურმე რაში ყოფილა საქმე. აი, თურმე, რატომ არ მინდა არაფრის გახსენება. შავი ყუთი — ეს არის ის ცუდი, რაც გავაკეთე. რა გავაკეთე? რა ჩავიდინე? ვის რა დავუშავე? ნუთუ შემეძლო? შეუძლებელია, მე ცუდის გაკეთება არ შემეძლო! მე ასეთი არ ვარ! მაგრამ ვიცი კი, როგორი ვარ? როგორი ვიყავი? საქმეც ისაა, რომ არ ვიცი“.

საავადმყოფოს შენობაში შებრუნდა, ბუფეტიდან ფინჯანი ყავა გამოიტანა და პალატაში შევიდა. უეცრად მძიმე ნაბიჯების ხმა გაიგონა ზედ კართან.

— თაკო! — დაიძახა ვიღაცამ.

კარი გაიღო... ზღურბლთან პროფესორი ვანო მაისურაძე იდგა, მთავარი ექიმი. ორივე ყურადღებით უცქერდა ერთმანეთს.

— რა გჭირს, რაღაც შეშფოთებული მეჩვენები, — დაეჭვდა ვანო ექიმი.

— არაფერი, ყველაფერი რიგზეა, — თავს ძალა დაატანა თაკომ და გაიღიმა.

— მომისმინე, გოგონი, — ექიმმა მკლავში ხელი ჩაავლო და საწოლზე ჩამოსვა, — სულაც არ არის აუცილებელი, საკუთარ თავში ჩაიკეტო. საავადმყოფო ძალიან მოსაწყენი ადგილია, ამიტომ ყველა ადამიანი უნდა ეცადოს, დროზე წავიდეს აქედან. შენ სრულიად ჯანმრთელი ხარ და ამ ავადმყოფებთან არაფერი გესაქმება. გონს მოუხმე, მოდუნდი, უფრო მსუბუქად შეხედე მოვლენებს. ბოლოს და ბოლოს, დროა, დაუბრუნდე შენს ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს, საზოგადოებას... თუ არ გსურს ფსიქოთერაპიის კურსის გავლა, შენი ნებაა. ოღონდ კი ნუ იტყვი უარს, შეხვდე იმ ადამიანებს, რომლებიც გიცნობენ და რომელთაც უყვარხარ, მაგალითად — შენს საქმროს...

„უკვე შეხვდი, დიდი მადლობა“, — ფიქრებში გაეპასუხა გოგონა.

— გაიგე, რომ ის ძალიან განიცდის შენს ამბავს, ძალიან დარდობს. იცი, როგორ უყვარხარ? სულ მცირე შანსი მაინც მიეცი — შეხვდი, დაელაპარაკე. ამით არაფერი დაშავდება. თავად დარწმუნდები და ნახავ, რომ ძალზე სასიამოვნო და სიმპათიური მამაკაცია... მოგეწონება...

„რა თქმა უნდა, სიმპათიური ნამდვილად არის, სიმპათიური კი არა, ლამაზიც. ის კი არა და, ასაკთან შედარებით, ახალგაზრდადაც გამოიყურება“, — თავისთვის

განაგრძობდა ფიქრს თაკო.

— აუცილებლად მოგეწონება, თავს დავდებ, — ისმოდა ექიმის ხმა, — პირობას გაძლევ...

„ის გულისამრევია, ჩემი საქმროა თუ ვიღაც! ლამაზი, მაგრამ გულისამრევი! მის ღიმილს ღიმილი არ ჰქვია! მისი გამოხედვა უტიფარია! როგორ შემეძლო, ასეთი კაცის ცოლობაზე მეოცნება?! მისნაირი როგორ უნდა მყვარებოდა?! ნუთუ ასეთი უცნაური ვიყავი?“ — საკუთარ თავს ებრძოდა გოგონა.

— სახლში ყველა თავზე შემოგევლება — საქმროც, მამაც, მეგობრებიც, ახლობლებიც... თავიდან გაიცნობ ყველას, თანდათან გაგახსენდება კიდეც... ირაკლი არაფერს მოგაკლებს, არც არაფერს გაიძულებს, სრულ თავისუფლებას მოგანიჭებს... ამასობაში მამაშენიც ჩამოვა. ისიც ნერვიულობს, განიცდის... მანამდე შენი საქმრო მოგივლის. ოღონდ ჯერ უნდა შეხვდე, დაელაპარაკო. იქნებ პირველსავე შეხვედრაზე დასძლიო შიში და აღარ შეგაწუხოს უსიამოვნო მოგონებებმა... არ თქვა უარი. ის გელოდება. რომც არ დაგიბრუნდეს მეხსიერება, სულერთია, მაინც...

„მაინც მიმაბრძანებთ პოლიციაში, არა? — ფიქრში დაამთავრა მისი აზრი თაკომ, — არ გამოვა, ექიმო, არა“.

— კარგი, თანახმა ვარ... შევხვდები იმ თქვენს საქმროს, — მორჩილად განაცხადა თაკომ.

— ჩემს კი არა, შენს საქმროს, გოგონი, შენსას.

— რა თქმა უნდა, ჩემსას, ვანო ექიმო... უბრალოდ, ვიხუმრე. ოღონდ ერთი-ორი დღე კიდევ მაცალეთ, კარგი? უნდა მივეჩვიო ამ აზრს, — ვითომ დაიმორცხვა.

პროფესორმა ურწმუნოდ შეათვალიერა პაციენტი და წარბები აზიდა. რაღაც არ მოეწონა მის გადაწყვეტილებაში. რა მოიფიქრა? როცა ადამიანის ფსიქიკაში რაღაც იცვლება, ძნელია გაარკვიო, სად რა ხდება — სად არის სიმართლე, სად — ტყუილი და სად — ფანტაზია. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ინტუიციას უნდა დაეყრდნო, თუმცა... ხანდახან ინტუიციაც ღალატობს ადამიანს.

— გინდა მისი ფოტოსურათი გაჩვენო? — გაუღიმა მთავარმა ექიმმა.

— რაში მჭირდება? — ცივად იკითხა გოგონამ და მხრები აიჩეჩა. — მალე ხომ ისედაც ვნახავ მას.

— ესე იგი, თანახმა ხარ? — ჩაეკითხა პროფესორი.

— რა თქმა უნდა, უკვე გითხარით. ორ დღეში აუცილებლად შევხვდები.

— ანუ ზეგ, არა?

— დიახ, იყოს ზეგ.

— კარგი. მაშინ ვეტყვი შენს საქმროს, რომ ზეგ მოვიდეს, — ექიმი დაკვირვებით მისჩერებოდა თაკოს სახის გამომეტყველებას, თითქოს სიმართლის გაგება ასე უფრო უადვილდებაო.

— ვანო ექიმო, რა, არ გჯერათ ჩემი? — გაიღიმა გოგონამ. — გასაგებია, რომ მე ამნეზია მაქვს, მაგრამ შეშლილი კი არ ვარ, რომ საკუთარ ნათქვამზე პასუხი ვერ ვაგო.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი, — ვანომ ვეებერთელა ხელისგული თაკოს მხარზე დაადო, — მომწონს შენი გადაწყვეტილება! ახლა კი დაისვენე! თუ რამე დაგჭირდეს, მე აქვე ვარ! — თქვა და გავიდა.

გავიდა, მაგრამ რაღაც არ მოეწონა, ბოლომდე არ ენდო მის სიტყვას. უცნაურია, რატომ დათანხმდა გოგონა ასე უცებ მის წინადადებას?

ირაკლი ადრიანად მივიდა პარკში, ამოჩემებულ მერხზე დაჯდა და მზერა საავადმყოფოს შენობას მიაპყრო. თაკო ჯერ არ ჩანდა. არა უშავს, ალბათ მალე გამოჩნდება და დაიწყებს სეირნობას. თუ არ გამოვა, არც ამით დაშავდება რამე. მთავარია, რომ ისინი ხვალ შეხვდებიან ერთმანეთს. ვანომ დაურეკა წუხელ და ყველაფერი უთხრა. ნუთუ მართლა თანახმაა პრინცესა? უჭირს ამის დაჯერება პირად მცველს.

რა უნდა უთხრას, როცა ნახავს, როგორ უნდა გაეცნოს? — მე ირაკლი მქვია, შენი საქმრო ვარო? მამაკაცს ვერ წარმოედგინა, თუ ასეთი უბრალო სიტყვების წარმოთქმა ასე ძნელი იქნებოდა. რა იდიოტობაა! გაეცნო ყველაზე საყვარელ ადამიანს, რომელთანაც საუკეთესო დღეები გაგიტარებია, რომელიც შენგან ბავშვს ელოდება... და არ იცოდე, როგორ გააკეთო ეს!

არა უშავს, როგორმე მოაბამს თავს. განა ერთი და ორი ქალი გაუცნია? როგორც სხვებთან იქცეოდა, ისე მოიქცევა თაკოსთანაც. მე ირაკლი ვარ, ირაკლი მეუნარგია... გავიცნოთ ერთმანეთი... ასე ეტყვის. მერე თავისთავად უკარნახებს სიტუაცია, რა თქვას.

ოჰ!.. რა ძნელია ეს ყველაფერი!

— უკაცრავად, — გაისმა უეცრად გვერდით ქალის ხმა, — ვერ დამეხმარებით?

ირაკლიმ თვალები გაახილა, მოიხედა და ადგილზე გაშეშდა...

მის წინ თაკო იდგა — გამხდარი, ფერმკრთალი, სიფრიფანა...

— გესმით ჩემი? — კვლავ მოესმა მისი ხმა.

„თ“... რამდენი „თ“ ითქვა ორ წინადადებაში... მისი საყვარელი არსება თქვენობით ელაპარაკება. ირაკლის ყელში ბურთივით მოებჯინა რაღაც... თითქოს მიელურსმა მერხს, თითქოს გაქვავდა.

შეეცადა, როგორმე გაეღიმა, ოდნავ წამოიწია და ქვემოდან ახედა გოგონას.

— გისმენთ...

— ხომ არ გაგაღვიძეთ? ალბათ გეძინათ...

— არა, არა, რას ამბობთ... უბრალოდ, ჩაფიქრებული ვიყავი. რით შემიძლია გემსახუროთ? — მამაკაცი საკუთარ ხმას ვერ ცნობდა.

— შეგიძლიათ ჩემთან ერთად წამოხვიდეთ? იქნებ ჭიშკარში გამიყვანოთ? — თაკო დაბნეულად ლაპარაკობდა. — ვითომ ერთად ვართ...

ირაკლი ხვდებოდა, რომ ბუნებრივად უნდა მოქცეულიყო, რათა თაკო ვერ მიმხვდარიყო, ვინ იყო სინამდვილეში. ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც უცნობი მამაკაცი, რომელსაც ვიღაც გოგონა დახმარებას სთხოვს. ახლა არაფერი უნდა შეეშალოს, თორემ ყველაფერს გააფუჭებს.

ისევ გაუღიმა და თავი მორჩილად დაუქნია.

— რატომაც არა, შემიძლია. ახლავე?

— ახლავე, ამწუთას.

— წავედით, — ჩვეულებრივად თქვა და წამოდგა.

თაკომ ხელი მკლავში გაუყარა, მსუბუქად დაეყრდნო და გასასვლელისკენ მიმავალ ბილიკს დაუყვნენ. ირაკლი გრძნობდა, როგორი დაძაბული იყო თაკოს სხეული.

„რას ნიშნავს ეს ყველაფერი? — ფიქრობდა იგი. — გარბის საავადმყოფოდან? თუ ჩემგან? იმიტომ გარბის, რომ ხვალ მე არ შემხვდეს?“

როგორც კი ეზოდან გამოვიდნენ, გოგონამ ხელი უშვა მამაკაცს.

— უღრმესი მადლობა, — უთხრა მან, — დიდად დამეხმარეთ, ნამდვილად კარგი სამსახური გამიწიეთ. მე... დაქალი უნდა ვინახულო. იცით, მეშინოდა, რომ ამის უფლებას არ მომცემდნენ... შეიძლება არც ყოფილიყო ასე, მაგრამ მე მაინც შემეშინდა... თუმცა თქვენ ეს ალბათ არ გაინტერესებთ. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, — წამოჭარხლებული თაკო გატრიალდა, გზა განაგრძო.

სად, სად მიდის? მისი გაშვება არ შეიძლება, არაფრით არ შეიძლება, რაღაც უნდა მოიფიქროს მორიელმა, რაღაც უნდა იღონოს, თორემ მეორედ შანსი აღარ მიეცემა. რა ქნას? რა თქვას? მოულოდნელად, იქვე მდგარ ცარიელ ტაქსის მოჰკრა თვალი.

— მგონი, ამის გაკეთება მანქანით ჯობია, — ღიმილით უთხრა გოგონას, თუმცა ერთიანად ცახცახმა აიტანა.

— რისი გაკეთება? — თავი მოაბრუნა თაკომ და ცალი წარბი ასწია.

— საავადმყოფოდან გაქცევა.

კარგად გამოუვიდა, ყოჩაღ, თავადაც არ მოელოდა ირაკლი ამას.

— საიდან მოიტანეთ, რომ გავრბივარ? — შუბლი შეკრა გოგონამ.

მისი მანქანა, მისი ძვირფასი მანქანა იქვე იდგა, ორიოდე მეტრის მოშორებით, მაგრამ შეეშინდა პირად მცველს, საეჭვოდ არ მოსჩვენებოდა პრინცესას იგი. ვაითუ, მორიელის მანქანის დანახვაზე რამე გაახსენდეს... რა იცი, რა ხდება....

დაფიქრების საშუალება არ უნდა მისცეს.

— ტაქსი! — იყვირა უცებ და ხელი დაუქნია მთვლემარე მძღოლს. — ტაქსი!

ორიოდ წამში მძღოლმა მანქანა მის წინ დაამუხრუჭა. ირაკლიმ უკანა კარი გამოაღო და განზე გადგა.

— დაბრძანდით, — ხელით ანიშნა თაკოს.

პრინცესა შეყოყმანდა.

მერე საავადმყოფოსკენ მიტრიალდა...

მერე კვლავ მამაკაცს შეხედა....

და სწრაფად ტაქსიში ჩაჯდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნების საკუთრება

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. რა არის გომიჯი?
2. რა აქვს ბედნიერ რიცხვს ებრაელთა მტკიცებით?
3. რა არის რცმელი?
4. საქართველოს რომელ კუთხეშია გადაღებული მხატვრული ფილმი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“?
5. მსოფლიო ომის დროს ოკუპირებულ დანიაში ნაცისტებმა გამოსცეს ბრძანება, რომლის თანახმადაც, ადგილობრივ ებრაელებს დავითის ვარსკვლავიანი სამკლავური უნდა ეტარებინათ, რათა საჭიროების შემთხვევაში, ადვილად შესძლებოდათ ხალხის მასაში მათი ამოცნობა და დაპატიმრება. ბრძანების დარღვევა ვერავინ გაბედა, მაგრამ ფაშისტებმა მაინც ვერ შეძლეს იქაური ებრაელების ხელყოფა. რატომ?
6. ვის მიიჩნევდა კარლ მარქსი ანტიკური ხანის ყველაზე შესანიშნავ ადამიანად?
7. ამ მთის სახელი სვანურად, უკარებას ნიშნავს. დაასახელეთ იგი.
8. რა გაყიდა ჯართად (თანაც ორჯერ) აფერისტმა, ვინმე ლასტიკმა?
9. ამ ზღაპარს ესპანურად „გატო ენ ბოტას“ ჰქვია. რა ჰქვია მას ქართულად?
10. ვის ეკუთვნის სიტყვები: „ქალს, რომელსაც ცუდი სუნამოს სურნელი ასდის, მომავალი არა აქვს“?
11. რომელმა დიქტატორმა აღზარდა ესპანეთის ამჟამინდელი მეფე?
12. რა არის წრიაპი?
13. ჰოლანდიელი ფერმწერის, რემბრანდტის სურათებზე თანამედროვენი ხუმრობით ამბობდნენ, მისი პორტრეტების ცხვირით აწევა შეიძლებაო. რის გამო?
14. ქალაქ ბუდაპეშტში, ერთ-ერთი ტაძრის ეზოში ამავე ტაძრის 1,5 მეტრის სიმაღლის ზუსტი ასლი დგას. ვისთვის არის იგი განკუთვნილი?
15. ბუნებაში ძალზე ცოტაა კაციჭამია ვეფხვი. რა არის ამის მიზეზი?

ანეკდოტები

***

— რას უჩივით? — ეკითხება ექიმი პაციენტს.



— თავად ვერ ხვდებით?

— თქვენ ვეტერინარს უნდა მიმართოთ, მხოლოდ მას შეუძლია შეკითხვების გარეშე დიაგნოზის დასმა.

***

კახელი ექიმმა გასინჯა და ეუბნება:

— გულის საქმე ვერა გაქვს კარგად. თავი უნდა დაანებო სიგარეტს, ღვინოს, არაყსა და ქალებში სიარულს.

— ექიმო, წვერის გაპარსვა თუ შეიძლება?!

***

გურული ორმოში ჩავარდა და ვეღარ ამოდის. გამოიარა რაჭველმა.

— რას აკეთებ, ბოშო, მაქანა?

— ვერა ხედავ?! ჩავვარდი და ვეღარ ამოვდივარ!

— მეიცა, წავალ და ბაწარს მოვიტან, არსად წახვიდე!

— ა, ახლა ამას ელოდე კიდო!

***

სვანმა სიძე მოკლა.

— რას ერჩოდი, ბიჭო?

— აბა, და მომიკვდა და სიძე რაღა ჯანდაბად მინდა!

***

— გაიგე? მოშემ შეყვარებულს იმდენი ძვირფასი ნივთი აჩუქა, რომ ბოლოს იძულებული გახდა, ცოლად შეერთო.

***

მაიმუნები ოცნებობენ. ერთმა ინატრა, — ნეტავ, არწივი ვიყოო! მეორემ თქვა, — ნეტავი ადამიანი ვიყოო!

— რად გინდა?! — შეიცხადა პირველმა. — ადამიანი რომ იყო, გაიზრდები, შეგიყვარდება ვინმე, ცოლად მოიყვან, შვილები გეყოლება, მერე ხელფასი არ გეყოფა და დაიწყებ მაიმუნობას. მაიმუნი ხომ ისედაც ხარ და დაეტიე შენს ქერქში!

***

ომის დროს მეთაური ეკითხება ჯარისკაცებს:

— ვის უყვარს სამშობლო?!

— მე მიყვარს, — გამოვიდა წინ მეგრელი.

— მაშინ აიღე ყუმბარა და შეუვარდი იმ ტანკს!

— მერე, სამშობლო ვიღას ეყვარება?!

***

ერთ შეკრებაზე მომხსენებელი საწარმოო ინფრასტრუქტურის არასწორ განლაგებას აკრიტიკებდა: ნედლეული სადაც არის, იქ გადამამუშავებელ საწარმოებს არ აშენებენო.

— მედიცინაშიც ეგრეა, — წამოიძახა დარბაზიდან ვიღაცამ, — ნედლეული გურიაშია, საგიჟეთი კი — თბილისში!

***

სვანი ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად. დილით ჩამოიარა ნაგვის მანქანამ. მენაგვე იძახის:

— ნაგავი, ნაგავი!

სვანი ცოლს ეკითხება:

— ნაგავი გვაქვს?!

— კი!

— წადი, ძმაო, გვქონია! — გასძახა სვანმა მენაგვეს.

***

— თავიდან მე მსუქანი მამაკაცი ვიყავი, რის გამოც დავკომპლექსდი. სიმსუქნე ხელს მიშლიდა ყოველდღიურ ცხოვრებაში. გადავწყვიტე, ოპერაცია გამეკეთებინა და აი, ახლა მსუქანი ქალი ვარ.

***

მოდების ჩვენების დროს ჟიურის ერთი წევრი ეკითხება მეორეს:
— გინახავთ როდესმე ასეთი დეკოლტე?!
— მინახავს!
— ოჰო! როდის?
— როცა ძუძუს მაწოვებდნენ!

***

შვილი მამას კარს უღებს:
— ვა, მამი, რომ იცოდე, დედას როგორ გაუკვირდება, უკვე ერთი საათია, ტელეფონზე გელაპარაკება.

***

— რას უჩივით? — ეკითხება ფსიქიატრი პაციენტს.
— სულ მეჩვენება, რომ ვიღაცა მომდევს!
— დიდი ხანია?
— მას შემდეგ, რაც ციხიდან გამოვიპარე.

***

— ძვირფასო, მოგწონს ჩემი ცისფერი თვალები?
— ჰო.
— ხომ ლამაზი მკერდი მაქვს?
— ჰო.
— თმაც ხომ ლამაზი მაქვს?
— ჰო.
— როგორ მიყვარს, როცა ასეთ კომპლიმენტებს მეუბნები!

***

თუთიყუშმა ნახევარი საათი ნაღვლიანად უყურა, თუ როგორ ცდილობდა დიასახლისი ქათმის მომზადებას და ბოლოს უთხრა:
— ქალბატონო, კიდევ დიდხანს უნდა აწვალოთ მიცვალებული?!

***

— ჯონ, რატომ ხართ ასეთი მოწყენილი?
— ხვალ ჩემს საცოლეს ათხოვებენ!
— ვისზე?!
— ჩემზე!

***

— სმიტ, თქვენ ამტკიცებთ, რომ ბრალდებულმა მორგანმა სამჯერ ესროლა თავის მსხვერპლს?
— დიახ, სერ!
— რა მანძილზე იყავით შემთხვევის ადგილიდან?
— პირველი თუ მესამე გასროლის დროს?
— რა განსხვავებაა?
— ძალიან დიდი! დაახლოებით ხუთასი მეტრი.

***

— ასე რით ხიბლავ კაცებს?
— კარგად ვიცვამ. შენ?
— მე კარგად ვიხდი!

***

— ზაქრო, ერთი ნაჯახი გადმომიგდე!
— დაიჭი!.. ხმას რატომ არ იღებ, ბიჭო?!

***

ჭიჭიკია და ბიჭიკია ნარდს თამაშობენ.
— ამიხსენი, სულ შენ რატომ იგებ?! — ბრაზობს ჭიჭიკია.
— იმიტომ, რომ სულ შენ აგებ! — მშვიდად პასუხობს ბიჭიკია.

***

— გაიგე ახალი ამბავი? ბორია საავადმყოფოში დაუწვენიათ.
— კი, მაგრამ როდის? გუშინ დავინახე ვიღაც ლამაზ გოგოსთან ერთად.
— ჰოდა, ცოლსაც დაუნახავს!..

***

მე და ჩემი მეუღლე ბედნიერები ვიყავით ოცი წელი.
— მერე?
— მერე გავიცანით ერთმანეთი და დავქორწინდით.

***

პოეტმა, რომელიც მატარებლით მგზავრობდა, ბილეთი დაკარგა. სულ ამოიბრუნა ჯიბეები, მაგრამ მაინც ვერ იპოვა.
— არა უშავს! — ამშვიდებს კონტროლიორი.
— რას ჰქვია, „არა უშავს“, რომ არ მახსოვს, სად მივდივარ?!

ჟონგლის საფარჯელი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ნაღვერდალში გამომცხვარი უსაფუძვრო და უმარილო პური.
2. ბევრი ნული.
3. ფერდის ქონი.
4. კახეთში.
5. მეორე დღეს უკლებლივ ყველა დანიელი, დანიის მეფის ჩათვლით, ქუჩაში ასეთი სამკლავურით გამოვიდა.
6. სპარტაკს.
7. უშბა.
8. ეიფელის კოშკი.
9. „ჩექმებიანი კატა“.
10. კოკო შანელს.
11. გენერალმა ფრანკომ.
12. ტერფზე ამოსაკრავ კბილანებიან რკინას, რომელიც ცეცაბოსა და ყინულზე სიარულის დროს იხმარება, წრიაში ჰქვია.
13. ტილოებზე საღებავი ძალზე სქლად არის დადებული.
14. უსინათლოთათვის. მათ შეუძლიათ, ხელით შეეხონ მას და ამ გზით შეიგრძნონ ტაძრის სილამაზე.
15. ამ მტაცებელს უბრალოდ, ეშინია ადამიანის.

ოცნებიდან ვგზავნიდით

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „ჯვრის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში მის: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

როგორ მამაკაცს უნდა ვეჩიდოთ

შეგვიძლია რამდენიმე სასარგებლო რჩევა მოგაწოდოთ იმასთან დაკავშირებით, თუ რა შემთხვევაში უნდა ერიდოთ მამაკაცთან ურთიერთობას. თუ ხშირად ხდება ისე, როგორც ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებშია აღწერილი, მაშინ წინასწარ შეეგუეთ იმ აზრს, რომ თქვენს ურთიერთობას სასიკეთო დასასრული არ ექნება.

მაშ ასე, ერიდეთ მამაკაცთან ურთიერთობას, თუ...

1. გეუბნებათ, რომ მის პირველ სიყვარულს აგონებთ.

მას ან სძულს, ან ჯერ კიდევ ახსოვს ის: ორივე შემთხვევაში წაგებული ხართ.

2. მეგობრები არასდროს არაფერს გეკითხებიან მის შესახებ.

თუ თქვენს საუკეთესო მეგობარს არ აინტერესებს, თქვენი და თქვენი რჩეულის ურთიერთობის დეტალები, საკუთარ თავს ჰკითხეთ: რატომ? ეჭვიანობს?! — ნაკლებსარწმუნოა. ალბათ ეს უფრო იმით აიხსნება, რომ მეგობარი თქვენს ურთიერთობაში სასიკეთოს ვერაფერს ხედავს, მაგრამ უყვარხართ და გულს არ გტკენთ.

3. შინ ურეკავთ, მისი ოჯახის წევრები კი ცივად გპასუხობენ.

თუ თქვენი ზარი მისთვის მნიშვნელოვანია, მისი ახლობლები უხეშად არ დაგელაპარაკებიან.

4. ფიზიკური სიახლოვის შემდეგ, თქვენდამი ინტერესი დაკარგა; გახდა ცივი, უხეში, გულგრილი, ირონული ან თავდაჯერებული.

ეს ნიშნავს, რომ აჩქარებულხართ და ახლა ბედნიერება სხვაგან უნდა ეძებოთ.

5. ავიწყდება თქვენი დაბადების დღე.

6. ძალზე გულჩათხრობილია, იშვიათად გიზიარებთ განცდილს.

თავიდან ეს თავშეკავებულობა მოგწონდათ კიდეც, მაგრამ ახლა... ფხიზლად იყავით: თუ საყვარელი მამაკაცი კითხვებზე არ გპასუხობთ, უეჭველია, თქვენდამი გულწრფელი არ არის ან რაღაცას საგანგებოდ გიმალავთ.

7. პაემანს ყოველთვის კვირის ბოლოს ან გარკვეულ დღეებში გინიშნავთ.

თავიდან ამის საწინააღმდეგო არაფერი გქონდათ, მაგრამ დროთა განმავლობაში, მისი ნახვის სურვილი სულ უფრო და უფრო ხშირად გეუფლებათ; გსურთ შეხვდეთ სამუშაო დღეებშიც ან თუნდაც — ორი დღე ზედიზედ. თუ ასე არასდროს ხდება, ე.ი. თქვენ მას არ უყვარხართ ისე, როგორ სიყვარულზეც ოცნებობდით.

8. მეორე შეხვედრისას გეუბნებათ — „მიყვარხარ“.

ეს თითქოს არარეალურია. „მართლა ვუყვარვარ?“ — ეკითხებით საკუთარ თავს. შეიძლება მართლაც უყვარდეთ, მაგრამ არ არის გამორიცხული, ჩვეულებრივი, ქალების მუსუსი გირევდეთ თავგზას.

9. თავს შეუძლოდ გრძნობთ, ის კი თქვენს ამბავს არც კითხულობს.

10. ავიწყდება ყველაფერი, რაც თქვენ გიკავშირდებათ.

ის, რომ მას არ ახსოვს თქვენი საყვარელი ფერი, წვრილმანი როდია — მამაკაცს, რომელსაც ნამდვილად უყვარხართ, ასეთი წვრილმანები არასოდეს დაავიწყდება.

11. არ გაცნობთ მშობლებს, დედმამიშვილებს, მეგობრებს.

12. ეუბნებით, რომ დასასვენებლად მიდიხართ, ის კი ბედნიერ მგზავრობას და სასიამოვნო დროს ტარებას გისურვებთ.

თუ ოდნავ მაინც არ გაგრძნობინათ, რომ მოენატრებით, არ გამოგიტყდათ, რომ ძალიან უნდა თქვენთან ერთად წამოსვლა, საკუთარ თავს ახალი მეგობარი უსურვეთ.

13. სრულიად არ ეჭვიანობს თქვენზე.

14. გადაწყვეტით ვერასდროს ვერაფერს გეუბნებათ.

თუ თქვენს წინადადებაზე — ერთად გაატაროთ გამოსასვლელი დღეები, გპასუხობთ: „შეიძლება“, ანდა: „ვნახოთ, მოგვიანებით დაგირეკავ“ — ყველანაირი საბაბი გაქვთ, იფიქროთ, რომ ის უფრო მაცდურ წინადადებას ელის. თუ მას ნამდვილად უყვარხართ, სიხარულით, უყოყმანოდ მიიღებს თქვენს შეთავაზებას.

16. ის ჩინებულად გრძნობს თავს... უთქვენოდ.

თუკი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს უმეტესწილად თქვენ გარეშე სტუმრობს, არასდროს ახსენდებით, როცა მეგობრებთან ერთად რესტორანში მიდის, შინაგანმა ხმამ უნდა გიკარნახოთ, რომ თქვენ მისი ოცნების ქალი არ ხართ.

17. ამბობს, რომ „სერიოზული კავშირებისთვის“ მზად არ არის.

თუკი ფიქრობთ, რომ თქვენნაირი ქალი ჯერ არ შეხვედრია და არ იცის, თუ რა არის ნამდვილი სიყვარული, თავს იტყუებთ! გახსოვდეთ: მამაკაცი ქალისგან განსხვავებით, ყოველთვის კმაყოფილია საკუთარი ცხოვრებით და ფრთხილობს, თუ მისგან ბევრს ითხოვენ.

18. და კიდევ ერთი: ყური მიუგდეთ შინაგან ხმას — ხანდახან მაინც...

ფლავი კარტოფილითა და კვერცხით

მასალად საჭიროა:

500 გ ბრინჯი;
4 ცალი კარტოფილი;
3 სუფრის კოვზი ცხიმი;
4 ცალი კვერცხი.

მომზადების წესი:

ბრინჯი მოხარშეთ ჩვეულებრივი წესით, გადაიტანთ თუშფალანგზე და გადაავლეთ წყალი. შეაზავეთ მარილითა და ცხიმით.

ქვაბის ძირზე დააწყვეთ გათლილი და რგოლებად დაჭრილი კარტოფილი, დააყარეთ მომზადებული ბრინჯი, დაახურეთ თავსახური და შედგით ცეცხლზე. თავსახური ხშირად მოხადეთ, მასზე წარმოქმნილი წვეთების გადასაწურად. როდესაც ზედმეტ სითხეს შეიშრობს, თანაბარ ფენად დაასხით ათქვეფილი კვერცხი და ისევ დაახურეთ თავსახური. 3-5 წუთის შემდეგ კერძი მზად იქნება.

MK

რომელი ფერის თეთრეული მოგწონთ?

აღმოჩნდა, რომ ესოდენ ამოუცნობი და იდუმალი არსების — ქალის უკეთ შეცნობა და მისი ხასიათის დაფარული მხარეების გაგება იმის მიხედვითაც შეიძლება, თუ რა ფერის თეთრეულს ამჯობინებს იგი.

ყვითელ თეთრეულს კეთილგანწყობილი და ოპტიმისტი ქალები ეტანებიან, ისინი არ ცნობენ არსებულ ტრადიციებს და საზოგადოებაში ქცევის მიღებულ ნორმებს. ასეთი ქალები სიცოცხლით სავსენი და გულახდილები არიან. ერთი შეხედვით, თითქოს გულუბრყვილოებიც ჩანან, მაგრამ სინამდვილეში კარგად იციან საჭირო ზღვრის დაცვა ურთიერთობაში.

თეთრი — ე.წ. ცივსისხლიან და ჭკვიან ქალებს მოსწონთ. ამ ტიპის ქალებისათვის მთავარი შედეგია, ხოლო ის, რა გზით შეძლებენ სასურველი მიზნის მიღწევას, სრულებით არ აღელვებთ. მათთვის „მიზანი ყოველთვის ამართლებს საშუალებას“.

სტაფილოსფერს ახალი იდეებით სავსე, გმირული საქციელისთვის მუდამ მზად მყოფი ქალები ამჯობინებენ. ასეთი ქალები მძაფრი განცდებისკენ ისწრაფვიან. რეალობა მათთვის ზედმეტად პირქუში და ნაცრისფერია, ამიტომ მუდამ ცდილობენ ცხოვრების გადახალისებას; ძალიან უყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა.

წითელი — ენერგიული, აქტიური ქალებისთვისაა განკუთვნილი. მათ არ ერიდებათ თავიანთი სურვილებისა და გრძნობების დემონსტრირების, საოცარი ფანტაზიის უნარი აქვთ და ტემპერამენტიანებიც არიან. წითელი თეთრეულის მოყვარული ქალბატონები ბავშვობიდანვე ლიდერობისკენ ისწრაფვიან და ენთუზიამით ჰკიდებენ ხელს ახალ საქმეებს. მათ გარშემო მყოფებს კი სიფრთხილე მართებთ — არავინ უნდა შეეხოს მათ თავმოყვარეობას.

ვარდისფერი — ნაზი და დელიკატური ქალების არჩევანია. სენტიმენტალობა და მოჭარბებული რომანტიკულობა სწორედაც რომ მათი საქმეა. ასეთი ტიპის ქალებს ყველაფერი ადვილად სწყინთ, ეშინიათ კონფლიქტების და ამიტომ მზად არიან, იოლად დათმონ პოზიციები, ოღონდაც კი ირგვლივ სიმშვიდე და ურთიერთთანხმობა სუფევდეს.

იასამნისფერს საკუთარ თავში ჩაკეტილი და გარეგნულად ცივი ქალები ანიჭებენ უპირატესობას. ისინი უმეტესწილად, გულგრილი ადამიანის როლს თამაშობენ, სინამდვილეში კი მთელი არსებით სურთ, საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოხვდნენ.

ლურჯი — პუნქტუალური, მოწესრიგებული ქალების საყვარელი ფერია. ამ ტიპის ქალებს სიამოვნებას ანიჭებს სხვებისთვის დახმარების გაწევა, დაინტერესებულნი არიან გარშემო მყოფთა პირადი ცხოვრებით; ახლობლებს კი ჭკუის დარიგებითა და მორალის კითხვით ხშირად თავს აბეზრებენ — შეიძლება ითქვას, ეს მათი ჰობია.

ცისფერი — მეოცნებე ქალებს უყვართ. ისინი ვერასოდეს სჯერდებიან მიღწეულს, დაუღალავად იქექებიან წარსულში და ოხვრით იხსენებენ გარდასულ ტკბილ დღეებს. ამასთანავე, გამუდმებით რაღაცით უკმაყოფილონი არიან, რაღაც არ მოსწონთ პარტნიორ მამაკაცში და ხელახლა, კვლავ უშედეგოდ იწყებენ იდეალის ძებნას.

მწვანე თეთრეულის მოყვარულ ქალებს საოცრად გამახვილებული ინტუიცია აქვთ; ძალიან უყვართ მეგობრებთან ყოფნა, მაგრამ არანაკლებ — ოჯახური გარემო და მოვლილი სახლი. დაუღალავად ზრუნავენ ბავშვებსა და შინაურ ცხოველებზე. ემოციის სახალხოდ გამოხატვა მათი სტილი არ არის.

რუხი თეთრეული თითქმის არაფრით გამორჩეულ ქალებს მოსწონთ. სამაგიეროდ, ისინი უზომოდ ერთგულნი არიან და კარგად იციან მეგობრობის ფასი.

რაც შეეხება **შავ** თეთრეულს, ის იმდენად მასობრივ მოხმარებაშია, რომ თითქმის ყველა ტიპის ქალი იყენებს, ამიტომ ამ ფერის თეთრეულის მიხედვით მისი ხასიათის გამოცნობა ნაკლებად შესაძლებელია. ■

 აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეიტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. Женский журнал	11.65	69.7
4. Женское здоровье	7.00	41.8
5. Сандра	4.00	24.0
6. Все для женщины	0.80	19.9
7. Гламур	7.20	43.2

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის
გავრცელების
საგენტო
ელვა

ქ. თბილისი
ოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com



ღიღვორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი

ბოჩა მანველიძე

დასაწყისი „გზა“ №24-37

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

აზიზის მცველთა რაზმმა მშვიდად მიიღო ბანაკის აშლისა და გზის გაგრძელების ბრძანება. მცველებმა იცოდნენ, რომ ჰასანი კარანაუსელთა ტყვეობაში რჩებოდა, მაგრამ არც ერთ მათგანს წინააღმდეგობა არ გაუწევია ჩაუშისთვის. მათ მიაჩნდათ, რომ სამსახურში იყვნენ და მხოლოდ მის ბრძანებებს ემორჩილებოდნენ. აზიზს ჰასანის გამოსახსნელად კარანაუსელთა სიმაგრეზე თავდასხმა რომ მოენდომებინა, უყოყმანოდ იშიშვლებდნენ იარაღს, მაგრამ ახლა ჩაუში გზის გაგრძელებას ბრძანებდა და ისინიც მშვიდად შეუდგნენ ბანაკის აშლას. სამაგიეროდ, ჰასანის ღულამები გაჯიუტდნენ. როგორც კი აზიზის ხალხმა ბანაკის აშლა დაიწყო, ისინი გვერდზე გადგნენ და საომარ სამზადისს შეუდგნენ.

— რას აკეთებთ? — მუროჩი პირველი მიეხალა მოღრუბლულ ღულამებს.

ჰასანის ყმებმა დუმილით უპასუხეს. დილით ისინი თავად შეესწრნენ მუროჩისა და აზიზის დავას. მაშინ ყოველი მათგანი დარწმუნებული იყო, ფიცხი გურჯი ჩაუშს დაითანხმებდა და ღულამებსა და მცველთა რაზმს კარანაუსელთა სიმაგრისკენ დაძრავდა. შემდეგ მათი საუბარი კარავში გაგრძელდა. რა ითქვა იქ, ღულამებმა არ იცოდნენ, მაგრამ მაინც კარანაუსელებთან შეტაკების მოლოდინი ჰქონდათ. ახლა კი გურჯი მშვიდად ელოდა ბანაკის აშლას და ღულამებმაც მიიჩნიეს, რომ მათ წინაშე ჰასანის მეგობარი კი არა, მოღალატე იდგა.

— თქვენ, რა, ჰასანისა და საკუთარი თავების დაღუპვა გინდათ?! — ბრაზი მოერია მუროჩის.

— ჩვენ ჰასანის ყმები ვართ და არა — შენი! — ბღვერით უპასუხა ღულამთა შორის უფროსმა, ისამ.

ისა გამორჩეული ღულამი იყო. ჰასანი ყმად არც კი მიიჩნევდა. სელჩუკთა წესით, ყმად და მონად ვერ ჩაითვლებოდა ის, ვისშიც ბატონს ფული არ ჰქონდა გადახდილი ან საჩუქრად არ ჰყავდა მიღებული. ის კი არც ნაჩუქარი ყმა იყო და არც — ნაყიდი მონა. ისა ჰასანმა აბისინიის უდაბნოში, ავაზისგან დაფლეთილი იპოვა. იქვე ეგდო ავაზის მძორიც. მერე გაირკვა, რომ ახალგაზრდა ღულამს, საკუთარი მკერდით დაეცვა ბატონი, რომელსაც უდაბნოს მტაცებელი დასხმოდა თავს, ავაზა ხანჯლით მოეკლა, მაგრამ თავადაც დაშავებულიყო. ბატონს კი სამაგიერო იმით გადაეხადა, რომ დაჭრილი და დასუსტებული იქვე მიეტოვებინა. ჩანს, ბევრი ღულამი ჰყავდა და ერთის დაკარგვა დიდად არ აფიქრებდა. სამაგიეროდ, ჰასანი ასე არ ფიქრობდა. მან უპატრონა სასიკვდილოდ განწირულ ღულამს. გამოჯანმრთელების მერე კი ისამ მასთან დარჩენა მოინდომა. ჰასანსაც აღარ გაუწევია წინააღმდეგობა. თავის სასახლეში დატოვა და ღულამთა მეთაურობაც უბოძა. მას შემდეგ ოცი წელი გასულიყო. ჰასანმა რამდენჯერმე შესთავაზა ისას მიწის ჩუქება და დასახლება, მაგრამ ღულამი უარზე იყო. პასუხობდა, რომ თავს მის ყმად მიიჩნევდა და თუ ბატონს მისი სამსახური აღარ სურდა, შეეძლო გაეყიდა ან გაეჩუქებინა, თავად კი არაფრით დაშორდებოდა. ასე ფიქრობდა ასაკოვანი ღულამი და რა იყო იმაში გასაოცარი, თუ ბრაზით პასუხობდა მუროჩის.

— თუ გინდა, რომ ჰასანი დაბრუნდეს და ხვალ ისევ მის სამსახურში იყოთ, ეგ იარაღი გვერდზე გადადეთ და თქვენი კარვები აშალეთ! — ცივად მოსხიპა მუროჩიმ.

— იარაღი გვერდზე თუ გადავდეთ, ვინღა დაიხსნის ბატონს?! — არ შეეპუა ისა.

— მე!

— შენ?! — გაეღიმა ისას. — მერედა, ეყოფი კარანაუსელთ?!

— ვეყოფი!

— დამხმარეც არ დაგჭირდება?

— თქვენ მხოლოდ ხელს შემიშლით, — განაგრძო მუროჩიმ.

— შენ ერთი ხარ, ჩვენ — ექვსნი. ვიცით, რომ ჰასანის ერთგული ხარ, მაგრამ ჩვენ მისი მსახურები ვართ. თან წაგვიყვანე ან გვიბრძანე, რა გავაკეთოთ, — სთხოვა ისამ.

— არც ერთს გავაკეთებ, ერთგულო ისა და არც — მეორეს. აქედან ქარავანს ვერავინ მიატოვებს. კარანაუსელები მაშინვე თავს დაგვესხმიან და ყველას გაგვჟლეტენ!

— სირცხვილში სიცოცხლეს, ბრძოლაში სიკვდილი გვირჩევნია! — დაიბუხუნა ისამ.

— სიკვდილი მეც არ მაშინებს, მაგრამ აქ რომ დავიხოცოთ, ვინღა გამოიხსნის ჰასანს? — ჰკითხა მუროჩიმ.

ისამ დუმილით უპასუხა.

— სელჩუკებთან ომში ტყუპისცალი ძმა დამიჭრეს. დაჭრილი მდინარის პირას დავმალე და სელჩუკები გავიტყუე, რომ ძმა გადამერჩინა. მაშინ მეუბნებოდა ჩემი ძმა: ერთად დავრჩეთ და შევებრძოლოთო... სიკვდილი რა ბედენაა, ღულამო. ბევრჯერ ჩაგვივლის გვერდით და ერთხელ მაინც ჩაგვბღუჯავს, მაგრამ რომ მოვმკვდარიყავი, დაჭრილ ძმას ხომ ვეღარაფერს ვუშველიდი!.. მასთან დარჩენაზე უარი ვუთხარი, პირობა მივეცი, რომ უკან დავბრუნდებოდი და ცხენი სელჩუკთა შესახვედრად გავაქანე. მას შემდეგ ჩემი ძმა აღარ მინახავს, მაგრამ მწამს, რომ გადარჩა. იმიტომ მწამს, რომ ის სელჩუკები მე დამედევნნენ და ისეთი სისხლი ნახეს, რომ უკან მიბრუნების ხალისი დაეკარგათ. მაშინაც მარტო ვიყავი და მთელი რაზმი მომდევდა. ძმასთან ვეღარ დავბრუნდი, მაგრამ მისი სიტყვა რომ შემესმინა და ერთად დავრჩენილიყავით, ორივე დავიღუპებოდით!.. ახლა კი მისმინე, ღულამო... აქ, ამ ქვეყანაში ჰასანზე ახლობელი კაცი არ მყავს. ძმად მიცნია თქვენი ბატონი. მისგან სიცოცხლით ვარ დავალებული. ჩემი საკეთებელია, რაც უნდა გაკეთდეს და მაღალ ღმერთს ვფიცავ, კიდევ თუ არ შეისმენ ჩემს სიტყვას, ექვსივეს აქავ დაგაყრევინებთ თავებს და მერე გავაკეთებ საქმეს, რომელიც განმიზრახავს!..

ისამ ცივი მზერით გაბურღა და მერე ჩაილაპარაკა.

— კარგი, გურჯო. ბატონი გენდობოდა და ჩვენც ვირწმუნებთ შენს სიტყვას, მაგრამ იცოდე: ჰასანის გარეშე თუ დაბრუნდი, ჩვენგან შეწ-

ყალებას ნუღარ ელი. ღალატს არ გაპატიებთ და რომც შეგაკვდეთ, მაინც არ გაცოცხლებთ!

— მაგაზე ნუ იღელვებ, ისა, — ჩაეღიმა მუროჩის, ისე იქნება თუ — ასე, ჩემს სისხლს მაინც ვერ დაღვრით. თუ ჰასანთან ერთად არ დავბრუნდი, ესე იგი, საერთოდ ვეღარ დავბრუნდები.

— ვნახოთ, — შეუღრინა ღულამმა და თავის დაკვრით გაშორდა.

ემძიმებოდა მუროჩის ერთგული და თავდადებული ღულამისთვის ამ სიტყვების თქმა. თავადაც მოხარული იქნებოდა, თუ ბრძოლაში, ნაცადი მეომრები ეყოლებოდა გვერდით, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. მამარის მზვერავებს არ გამოეპარებოდათ მექარავნეთაგან შვიდი მხედრის გამოკლება. თანაც შვიდს უფრო გაუძნელდებოდა მთის ვიწრო ხევში მიმალვა და ჩასაფრება. ამას მხოლოდ ერთი და ისიც — მთის კარგად მცოდნე მეომარი თუ მოახერხებდა. ასეთი კი ქარავანში მხოლოდ ის იყო. ამიტომაც ითავა მულიდთა დახვედრა. ამის გაგონებაზე გვიდომ მახვილზე გაივლო ხელი და ჯიქურ წამოისროლა: აქედან ფეხს არ მოვიცვლი და ვინც ძალით წაყვანას დამიპირებს, მახვილით გავცემ პასუხსო.

— აუჰ!.. რამდენი შეშლილი მყოლია ქარავანში?! — ამოიოხრა ამის მნახველმა აზიზმა, მერე მუროჩის ანიშნა: მე შენი დამხმარე აღარ ვარ, თავად დაითანხმე ვენეციელიო და, იქაურობას გაეცალა.

მუროჩიმ სულ ადვილად მოდრიკა ფიცხი ვენეციელი. ხელით მიანიშნა ბანაკის თავს ზემოთ გადმოკიდებულ ქარაფზე და სთხოვა: — ზემოთ ადიო. პასუხად, გვიდომ მახვილი ქარქაშში ჩააგო, ქარაფის შვერილს მოეჭიდა და ზემოთ აცოცდა. თავიდან ყველაფერი კარგად გამოუვიდა. საკმაო მანძილზე აუყვა შვერილს, მაგრამ მერე შვეულ კედელს მიადგა და შედგა.

— რატომ შეჩერდი?.. აძვერი! — ქვემოდან შესძახა მუროჩიმ.

გვიდომ რამდენჯერმე სცადა ნაპრალებზე ფეხის მოჭიდება, მაგრამ ვერ შეძლო, მიწაზე დაეშვა და თავჩახრილი დაჯდა ქვის ლოდზე.

— ხედავ?!. დიდებული ზღვაოსანი ხარ, მაგრამ მთისა არაფერი გესმის. ქარავანს გაჰყვები! — განაჩენივით მოსხიპა მუროჩიმ.

— მართალი ხარ, ქარაფზე ცოცვა არ მეხერხება, მაგრამ ბრძოლა ხომ შემიძლია! — გვიდომ მახვილზე გაივლო მარჯვენა.

— ვიცი, მაგრამ მაინც უარს გეტყვი. მთაში ორ მტერთან გამკლავება უნდა შეგეძლოს: თავად მტერთან და ქარაფთან!.. ბარში იბრძოლებ, არც მთის ბილიკზე გაგიჭირდება მახვილის მოქნევა. მაგრამ რას იზამ, თუკი უკან დახევა და ბრძოლას გარიდება მოგვიწევს? —

გუელმომ დუმილით უპასუხა.

— თავადაც ხვდები, რომ სათქმელი არაფერი გაქვს. აქ დარჩენით თავსაც დაიღუპავ და მეც დამღუპავ. გაჰყევი ქარავანს და ილოცე, რომ მე ყველაფერი გამომივიდეს.

გვიდომ უხალისოდ დაუქნია თავი და ქარავანს მიაშურა, სადაც მამა და აზიზი ელოდნენ.

ჩაუშის ბრძანებაზე მსახურები სირბილით მოედვნენ ბანაკს. ვინ კარვებს კეცავდა, ვინ ჯორ-აქლემს საპალნეებს ჰკიდებდა, მაგრამ მსახურები იმაზე მეტს მიმორბოდნენ და ხმაურობდნენ, ვიდრე ეს საჭირო იყო. ასეთი იყო მუროჩის ბრძანება. აქეთ-იქით მორბენალ მსახურებს კარანაუსელთა მზვერავები უნდა მოედუნებინა, რათა მას ბანაკიდან შეუმჩნევლად გასვლა შესძლებოდა.

ბანაკიდან ბარისკენ დაკლაკნილი ბილიკი ეშვებოდა, მაგრამ ამ გზით წასვლა არ შეიძლებოდა. მზვერავებს არ გამოეპარებოდათ ბარისკენ დაშვებული მხედარი. ერთადერთი გზა, რომლითაც გაპარვა შეიძლებოდა, ბანაკიდან მარცხნივ მდებარეობდა — იმ ქიმის ქვეშ, რომელზეც ცოტა ხნის წინ, გვიდო ასვლას ცდილობდა. ქიმის ქვემოთ ღრმა ხევი იწყებოდა. მთაში გამოუცდელი ადამიანი, ამ ფრიალოზე დაშვებას ვერ შეძლებდა. არც მუროჩისთვის იქნებოდა იოლი ამ გზით წასვლა. ერთი შეცდომა და — ფრიალოს მოწყვეტილი, უძირო ხევში დაინთქმებოდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა: ან ფრიალოთი უნდა დაშვებულიყო ან უარი ეთქვა ჩანაფიქრზე და ქარავნს გაჰყოლოდა.

მზვერავებს არ გამოჰპარვიათ მექარავნეთა გამოცოცხლება. ბილიკის თავზე რამდენჯერმე გამოჩნდნენ თეთრმოსასხამიანი მეომრები, რომლებიც თვალს ადევნებდნენ მექარავნეთა სამზადისს. მათ დანახვაზე მუროჩი აზიზს მიუბრუნდა და დასაპალნებული ჯორ-აქლემის ხევის ნაპირთან მირეკვა სთხოვა. აზიზი მაშინვე მიხვდა, რაც სურდა ფხოველს. დასაპალნებული ჯორ-აქლემი და მათი ფლოქვებიდან ავარდნილი მტვერი, მუროჩის ხევში შეუმჩნევლად დაშვების საშუალებას მისცემდა.

ჩაუშის ნიშანზე მსახურებმა ჯორ-აქლემი ხევის პირას მირეკეს. მუროჩი სწორედ ამას ელოდა. როგორც კი ხევის ნაპირი მიწიდან ავარდნილმა მტვერმა დაფარა, ხევში დაშვება დაიწყო. ფრიალო კედელზე ჩასვლა ძნელი აღმოჩნდა. მუროჩი გაჭირვებით ეჭიდებოდა შვერილებსა და ნაპრალებს, რომლებზეც ხვლიკსაც კი გაუჭირდებოდა ფეხის მოკიდება, მაგრამ მთის ცოდნამ და ბრძოლის ჟინმა თავისი გაიტანა. მუროჩი ხევის ძირამდე დაეშვა და თავი ერთ-ერთ გამოქვაბულს შეაფარა, საიდანაც კარგად მოჩანდა ბარი-ბარ მომავალი დაკლაკნილი ბილიკი.

ერთმა დღე-ღამემ მშვიდად ჩაიარა. გამოქვაბულს შეფარებული მუროჩი განუწყვეტლივ ადევნებდა თვალს ბარიდან მომავალ გზას. ამ დროის განმავლობაში მხოლოდ ადგილობრივი თხის მწყემსებს მოჰკრა თვალი. ერთხელ კი კარანაუსელ მხედართა რაზმიც შენიშნა. თეთრმოსასხამიანი მეომრები მთიდან დაეშვნენ. მცირე ხანს ზვერავდნენ ბარიდან მომავალ გზას და მერე ისევ უკან გაბრუნდნენ.

მეორე დღის მიწურულს ბილიკზე სამი მხედარი გამოჩნდა. იერითა და ჩაცმულობით სელჩუკებს ჩამოჰგავდნენ, მაგრამ არც ერთი არ იყო შეიარაღებული. თუმცა ვაჭრებიც არ უნდა ყოფილიყვნენ, რადგან თან არ ახლდათ მცველთა რაზმი და დასაპალნებული ქარავანი. მუროჩის უმალ გაახსენდა აზიზის გაფრთხილება: მთის ბერები ხორცშესხმული შაითნები არიან, მაგრამ ნუ ელი რქებშესხმული და ბანჯგვლიანი

დემონების ხილვას; ისინი არავის ეჩვენებიან თავისი ნამდვილი სახით, უფრო ვაჭრებად ან მოხეტიალე დერვიშებად ინიღბებიან, იარაღსაც კი ვერ შენიშნავ, რომ სელჩუკებმა მეომრები არ ამოიცნონ მათშიო. ისე კი მხედრები ძალიან ჩამოჰგავდნენ ბაღდადში ნანახ მულიდებს. ისინიც სელჩუკებივით იყვნენ ჩაცმულები და იარაღიც მანამდე არ შეუნიშნავთ, ვიდრე ხმალდახმალ შეტაკებამდე არ მივიდა საქმე. სანამ მუროჩი გამოქვაბულიდან ადევნებდა თვალს, მხედრები შედგნენ. მათგან ერთ-ერთმა აბგიდან ტყავის გრაგნილი ამოიღო, ყურადღებით ჩააცქერდა, მერე კი ხელი ხევის ყელისკენ გაიშვირა და თანამგზავრებს რაღაც უთხრა.

„აქაურობას არ იცნობენ, ალბათ რუკით ცდილობენ გზის გაკვლევას. ღამდება... გზას აღარ გააგრძელებენ. იქ დაბანაკდებიან, სადაც აზიზმა შეაჩერა ქარავანი. წყარო ეგულებათ და ბილიკიდან მოშორებითაც იქნებიან, მაგრამ იქ თუ ამასწრეს, კარანაუსელები მოჰკრავენ თვალს და მათ შეუმჩნევლად ახლოს ვეღარ გავეკარები... უნდა ვიჩქარო!“ — გაიფიქრა მუროჩიმ და მაშინვე გავიდა გამოქვაბულიდან.

მხედრები მშვიდად შეეგებნენ ბილიკზე გამოჩენილ უცნობს. შავი მოსასხამი და ასევე შავი ჩალმა იმაზე მიუთითებდა, რომ მათ წინაშე სელჩუკი იდგა. კარანაუსელთა მიწაზე კი სელჩუკს არავითარი გავლენა არ ჰქონდა, მაგრამ მუროჩიმ მისთვის გვერდის ავლის საშუალება არ მისცა, გზა გადაუჭრა და წინ მომავალ მხედარს ჯიქურ ჩააცქერდა სახეში.

მხედარმა სადავე მოზიდა და გაოცებით ჰკითხა:

— ვინ ხარ და რა უფლებით გვიჭრი გზას?

— თავად ვინ ხართ? — ცივად მიუგო მუროჩიმ.

— ჩვენ მართლმორწმუნე მუსლიმანები ვართ და ჩვენი ბატონის ბრძანებით, ჯაფარ მამართან მივემგზავრებით. თუ მისი მსახური ხარ, შეგიძლია წინ გაგვიძღვე და მის სიმაგრემდე მიგვაცილო, — თქვა მხედარმა და ამასთან ერთად ორიოდ ვერცხლი გადაუგდო.

მუროჩიმ არც დახედა მიწაზე გაბნეულ დირჰემებს. წინ წაიწია, მოსასხამის კალთები უკან გადაიყარა და თეძოსთან მოქანავე ფარი და ხმალი გამოაჩინა.

ფხოვური ფარისა და ჯვრებით მოზარნიშებული ხმლის ხილვამ მხედრები დააბნია. ვერაფრით მიმხვდარიყვნენ, თუ ვინ იყო მათ წინაშე მდგომი უცნობი.

— ცხენებიდან ჩამოდით! — ავად ისროლა მუროჩიმ და მარჯვენა ხმლის ვადაზე ჩამოიდო.

— მეკობრე ყოფილა! — შმაგად წამოიძახა მხედართა წინამძღოლმა და ცხენი ადგილს მოსწყვიტა.

მუროჩი ელვის სისწრაფით გახტა უკან და მხედარს ხმალი შემოუქნია. ბასრმა ფხამ მუხლს ქვემოთ უწია. მხედარმა დაიგმინა და ფეხმოკვეთილი გადმოეშვა ცხენიდან. ის მიწაზეც არ იყო დაშვებული, რომ მისმა თანამგზავრებმა ხმლები იშიშვლეს, მაგრამ ამაოდ. მხედარს, რომელიც უფრო ახლოს იყო, მუროჩიმ სატევარი სტყორცნა. მკერდგაპობილი მულიდი, მოწყვეტილი დაენარცხა მიწას. მეორემ ცხენი გააფიცხა, მიწაზე გაშოტილ ამხანაგს ზემოდან გადაევლო და ხმალი ზემოთ აღმართა, მაგრამ მუროჩიმ აქაც იმარჯვა და ხმალი კისერზე შემოჰკრა ცხენს. თავწაკვეთილი ცხენი იქვე ჩაიკეცა. მხედარმა თავის შეკავება ვეღარ შეძლო. უნაგირს მოსწყდა და მძიმედ დანარცხა მიწას. ის ჯერაც ცოცხალი იყო. მუროჩის სულ ადვილად შეეძლო მისი დატყვევება, მაგრამ აზიზს წინასწარ ჰყავდა გაფრთხილებული: არამც და არამც არ სცადო რომელიმეს დატყვევება; იცოდე, რომ მთის ბერის დამორჩილება შეუძლებელია; მოსაჩვენებლად შეიძლება მართლაც დაგნებდეს, მაგრამ როგორც კი დროს იხელთებს, ხანჯალს ჩაგცემს ზურგში; თუ ეს ვერ მოახერხა, შეეცდება, კბილებით დაგფლითოს და თუ მიხვდა, რომ შენგან თავს ვეღარ დააღწევს, დაგეძგერება, კლდეზე გადავარდება და შენც თან გადაგითრევსო. ამიტომაც აღარ უცდია მუროჩის მთის ბერის დამორჩილება. სხარტად გადაუქნია ხმალი და შუაგაჩეხილი დასცა მიწას. როგორც კი მულიდმა ფართხალი შეწყვიტა, მუროჩიმ სამივე ცხედარი ბილიკიდან გადაათრია, თვალს მიაფარა და აბგები გაუჩხრიკა. ის, რასაც ეძებდა, ერთ-ერთ აბგაში აღმოჩნდა — ეს იყო წვერმოკაუჭებული ხანჯალი, რაც მათი მულიდობის უეჭველი დასტური გახლდათ. აზიზის თქმით, თუ მთის ბერებს ჰასანისთვის სასიკვდილო განაჩენი ჰქონდათ გამოტანილი, ის ასეთი ხანჯლით უნდა მომკვდარიყო. ასეთი იყო მათი წესი. როგორც კი დარწმუნდა, რომ დახოცილები ნამდვილად მულიდები იყვნენ, ცოცხლად გადარჩენილი ორივე ცხენი დაიჭირა და გამოქვაბულის სიახლოვეს გადაიყვანა. მერე აღმართს შეუყვა. მალე ის ხეობის შესასვლელში, წყაროს სიახლოვეს აღმოჩნდა. ამ ადგილს კარანაუსელთა მზვერავები კარგად ხედავდნენ.

მშვილდ-ისრის მომზადებას ცოტა ხანი დასჭირდა. მერე მუროჩიმ ზროზე დახვეულ ჭინჭს ცეცხლი მოუკიდა და ისარი სიბნელემორეულ ცას შესტყორცნა. ეს აბუბაქარის მომხრეებისთვის მულიდთა დახოცვის ნიშანი იყო.

ისარი სწრაფად აიჭრა ცაში. მერე სიჩქარეს მოუკლო, გვერდზე გადაიხარა და ისევ მიწისკენ დაეშვა. ამ დროს ხეობის საპირისპირო მხარეს ყიჟინა და ხმლების ჟღრიალი ატყდა. მუროჩი შეტაკებას ვერ ხედავდა, მაგრამ ხმა მიანიშნებდა, რომ ხეობაში ფიცხელი ბრძოლა მიმდინარეობდა.

ხმლების ჟღრიალი მალე ჩაცხრა. მუროჩიმდე მხოლოდ დაჭრილთა კვნესა-კივილი აღწევდა. ბოლოს, ეტყობა, ბრძოლაში გამარჯვებულებმა, დაჭრილებიც დახოცეს და ხეობაში სიჩუმე ჩამოწვა. ცოტა ხანში ბილიკზე ცხენის ფლოქვების ხმა გაისმა. მერე კი სიბნელიდან სამი მხედარი გამოჩნდა. მუროჩის დანახვისას მხედრებმა ცხენები შეაჩერეს.

— აზიზის მცველი ხარ? — იკითხა ერთ-ერთმა მათგანმა.

— არა... აზიზის მსახური არ ვარ, — შეეხმიანა მუროჩი.

— მაშ ვინ ხარ?! — დაიძაბნენ კარანაუსელები.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს. თუ იმ კაცს ეძებთ, ვინც თავისი და თქვენი მტრები დახოცა, მე ვარ ის კაცი! — თქვა მუროჩიმ.

— ყველა მკვდარია? — იკითხეს კარანაუსელებმა.

— მკვდარია, — დაუდასტურა მუროჩიმ.

— სად არიან?

— იქ, — მუროჩიმ გამოქვაბულისკენ მიანიშნა.

კარანაუსელებს აღარაფერი უთქვამთ. ცხენები ადგილიდან მოსხლიტეს და გამოქვაბულისკენ დაეშვნენ.

სამი მულიდის ცხედარმა კმაყოფილება მოჰგვარა კარანაუსელებს. მათ დრო აღარ დაუკარგავთ. სამივეს თავი მოჰკვეთეს, მერე ცხედრები ქარაფიდან გადაისროლეს და მუროჩის ამხედრება უბრძანეს.

— სად მივდივართ? — ჰკითხა მუროჩიმ.

— მამარის სიმაგრეში. აჩქარდი. ჩვენს ბატონთან მაცნე ვაფრინეთ. ის უკვე გველის, — უპასუხა კარანაუსელთა მეთაურმა და ცხენი ადგილიდან მოწყვიტა.

მუროჩის იმედი ჰქონდა, რომ გზად ქარავანს წამოეწეოდნენ, მაგრამ კარანაუსელებმა სხვა — ციცაბო და ძნელად სავალი ბილიკით წაიყვანეს. ამ ბილიკზე ქარავანი ვერც კი გაივლიდა. სამაგიეროდ, ის იმდენად მოკლე აღმოჩნდა, რომ მამარის სიმაგრეს

გათენებამდე მიაღწიეს. სიმაგრის მისადგომებთან კარანაუსელთა მოზრდილი რაზმი შეხვდათ. თანამოძმეებისგან განსხვავებით, ეს მეომრები შავ მოსასხამებში იყვნენ გამოხვეულნი. მუროჩის უმალ გაახსენდა აზიზის ნაამბობი: ჯაფარ მამარის უმცროსი ძმა აბუბაქარი და მისი მიმდევრები შავ სამოსში იყვნენ გამოწყობილნი და სახეებიც შებურული ჰქონდათო.

კარანაუსელთა რაზმიდან ერთი მხედარი დაწინაურდა, მუროჩის თანამგზავრებთან მიაგდო ცხენი და მათ მეთაურს გამოელაპარაკა. პასუხად მეთაურმა აბგიდან მულიდთა თავები წამოყარა და მუროჩიზე მიუთითა. შავმოსასხამიანმა მხედარმა ზიზღიანი მზერა ესროლა მულიდთა მოკვეთილ თავებს. მერე კი მუროჩის მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ვინ ხარ, უცნობო?.. ჰასანის მსახური?..

— არა, — თავი გაიქნია ფხოველმა.

— ღულამი? — განაგრძო მხედარმა.

— არც ღულამი ვარ და არც — მსახური, — ისევ იუარა მუროჩიმ.

— მაშ ვინ ხარ?

— ჰასანის მეგობარი ვარ.

— აფერუმ, უცნობო. მეგობრობაც კარგი გცოდნია და ხმლის მოქნევაც... იცი, ვინ ვარ?

— აბუბაქარ მამარი უნდა იყო, — უპასუხა მუროჩიმ.

— ადრე ხომ არ ყოფილხარ სიმაგრეში? — აბუბაქარი გაოცებული ჩააცქერდა სახეში.

— არა... პირველად მოვხვდი კარანაუსელთა ქვეყანაში, — იუარა მუროჩიმ.

— არა მარტო გაბედული, არამედ გონიერიც ყოფილხარ, — კმაყოფილებით შენიშნა აბუბაქარმა.

— სად არის ჰასანი? — ჰკითხა მუროჩიმ.

— სიმაგრეში.

— მე პირობა შევასრულე, — მულიდთა თავებზე მიუთითა მუროჩიმ, — ახლა ჯერი შენზეა. გაათავისუფლე ჰასანი.

აბუბაქარი მცირე ხნით ჩაფიქრდა და მერე უპასუხა:

— ვიდრე ჩემი ძმა ცოცხალია, შენი მეგობარი დილეგში დარჩება.

— მერედა, რას ელი? — გაუკვირდა მუროჩის. — ისინი, ვისი სიმაგრეში მოსვლაც გაფიქრებდა, დაიხოცნენ. მათი თავები ფეხებთან გიყრია.

— ეგ ნახევარი საქმეა. ჯაფარი და მისი მიმდევრები უნდა მოკვდნენ, მაგრამ ეს შენ გარეშე ვერ მოხერხდება, — უპასუხა აბუბაქარმა

— ეგაა შენი პირობა?! — შუბლი შეიკრა მუროჩიმ.

— მე შენთვის არანაირი პირობა არ მომიცია! — ცივად შენიშნა აბუბაქარმა.

— გამოდის, რომ აზიზმა მოგატყუა?!

— არა... მას არ მოუტყუებიხარ, მაგრამ ყველაფერი ისე არ გამოვიდა, როგორც ვგეგმავდი.

— რას ელი ჩემგან? — სწრაფად ჰკითხა მუროჩიმ.

— ჩემს ძმას მულიდის სახით უნდა ეახლო, — ასევე სწრაფად დაუბრუნა აბუბაქარმა.

— გინდა, რომ შენი ძმის სისხლიც მე დავღვარო?! — მოიღუშა მუროჩი.

— არა... მაგას არ დაგავალებ, — თავი გაიქნია აბუბაქარმა.

— მაშინ რისთვის უნდა ვეახლო შენს ძმას?

— ჩემმა მიმდევრებმა ვერ მიაგნეს მულიდთა მზვერავს. ის არ გაჰყოლია მზვერავთა რაზმს. ახლა სიმაგრეშია და მთის ბერების გამოჩენას ელის. მას ზუსტად ეცოდინება, თუ როდის მოვლენ ისინი...

— მესმის, მაგრამ მე რა შუაში ვარ? — შეაწყვეტინა მუროჩიმ.

— შენ უცხო კაცი ხარ. სიმაგრეში არავინ გიცნობს და ჩემი ძმა დაიჯერებს, რომ შორიდან ხარ მოსული. მერე, მოგვიანებით, ჯაფარიც მიხვდება, რომ არაფერი გაქვს საერთო მთის ბერებთან, მაგრამ მათ მზვერავს არ გამოეპარება სიყალბე; არ გამოეპარება და დარწმუნებული ვარ, თავს გასცემს. ვიდრე ის არ მოკვდება, ჯაფარს ვერ შევეხებით. ადრე თუ გვიან, მზვერავი ხმას მიაწვდენს ალამუთს და სიმართლეს აცნობებს. მულიდები ამას არ გვაპატიებენ და რადაც არ უნდა დაუჯდეთ, მოტყუებისთვის შურს იძიებენ!..

— კარგი, ვთქვათ, ვეახლე შენს ძმას. რა მოხდება მერე? — ჰკითხა მუროჩიმ.

— როგორც კი მზვერავი თავს გაამჟღავნებს, მოვკლავთ. მერე ჯაფარის ჯერიც დადგება.

— როგორ უნდა ვეახლო შენს ძმას?! მე ხომ არაფერი ვიცი მულიდთა წესებისა...

— მათი წესებისა მეც არაფერი ვიცი, მაგრამ ეგ ნუ დაგაფიქრებს. ჯაფარიც არასოდეს შეხვედრია მთის ბერებს. მარტო შენს მისვლასა და მულიდთა ხანჯლის ჩვენებასაც დასჯერდება. სამაგიეროდ, არ შეცდება მზვერავი და ზუსტად მაშინ გაამჟღავნებს თავს.

— რომ არ გაამჟღავნოს?

— გაამჟღავნებს.

— შენ ეგ უკვე უთხარი აზიზს, — შენიშნა მუროჩიმ.

— კარგი... მაშინ ასეთ პირობას მოგცემ. ეახლე ჩემს ძმას და აღარაფერს მივაქცევ ყურადღებას. რაც არ უნდა მოხდეს, ჰასანს გავათავისუფლებ და ერთად გაგისტუმრებთ სიმაგრიდან!.. ვფიცავ ალაჰს, რომ ეს ასე იქნება!.. — თქვა აბუბაქარმა და მარჯვენა გაუწოდა.

მუროჩიმ უხმოდ შეაგება მარჯვენა და მერე ანიშნა, — სიმაგრისკენ გამიძეხიო.

რაზმი დაუბრკოლებლად შევიდა მამარის სიმაგრეში. მხედართა ნაწილი უმალ ჩამოქვეითდა და უკან მიჰყვა ძმის სამყოფლისკენ დაძრულ აბუბაქარს. სამყოფლის შესასვლელში აბუბაქარსა და მის მხედრებს თეთრსამოსიანი კარანაუსელები გადაუდგნენ წინ.

— ვის უბედავთ?! — გაბრაზდა უმცროსი მამარი. — ძმის სამყოფელში არ მიშვებთ?!

— ბატონს სძინავს, — თავმდაბლად უპასუხა მცველთა მეთაურმა.

— გააღვიძეთ და მოახსენეთ, რომ ის სტუმარი მოვიდა, რომელსაც თავად ელოდა! — ბრძანა აბუბაქარმა.

მცველმა უხმოდ დაუკრა თავი და ბრძანების შესასრულებლად გაეშურა. კარში კი ისევ ჩადგნენ შუბოსანი კარანაუსელები.

ჯაფარის სამყოფელი სწრაფად გამოცოცხლდა. გამოჩნდნენ მემაშხლეები. მერე გაიღო კარი და მცველმა აბუბაქარი და მუროჩი დარბაზში მიიწვია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. გვ. 67

ოლეთ. ისტორიულად ცნობილია, რომ თურქები თერგდალეულებმა გაყარეს. მაგრამ როცა ჟლობას წითელი კავალერია შემოვიდა ქალაქში, ტრაგიკული ჟღერადობის კომენტარს — „შემოვიდა მე-11 არმია ჟლობას მეთაურობით“ — კვლავ თურქული მარში შევურჩიე ფონად, რითიც ქვეტექსტით ვუთხარი მაყურებელს, რომ რუსიც თურქივით დამპყრობელი იყო საქართველოსთვის... პრემიერის მეორე დღეს მიბარებს კარლო ჩეჩელაშვილი, რომელსაც, თურმე ნუ იტყვით და, მთელი თავისი ცხოვრება თურქეთში უმსახურია. მითხრა: „კარგი სპექტაკლი იყო, მურად, მაგრამ ეს მუსიკალური გაფორმება რაღაც, ვერ გავიგე, ქიზილ-ბეისა და ჟლობას არმიების შემოსვლას ორჯერვე თურქული მარში რატომ ედო?“ რადისტს მუსიკა აერიამეთქი, — არ დავიბენი მეც. — ახლა თეატრში რომ წამოვიდე, რომელი მელოდიაც უნდა დაგეკრათ, იმას თუ მომასმენინებთო? ავიწურე. ამ დროს ტელეფონმა დარეკა. სანამ ის საუბრობდა, ვფიქრობდი, ამიხდა ჩვენი მხატვრის, გოგი დანიელაშვილის ხუმრობა-მეთქი: პრემიერის მერე „ჩორნი ვარონს“ მოაყენებენ და ზოგიერთებს „გალიაში“: მიაბრძანებენო. ამსობაში, კარლომ ტელეფონზე საუბარი დაასრულა და მომიბრუნდა: „აბა, რას იტყვი, წავიდეთ მუსიკის მოსასმენად?“ — არა-მეთქი, ვუპასუხე; — რატომ? მაშინ, ეს რას ნიშნავსო? — ალბათ, იმას, რასაც თქვენ ფიქრობთ-მეთქი, — ამოვლერლე. წამით დამაკვირდა, მერე თითი სამჯერ დააკაკუნა მაგიდაზე და ამოთქვა: **Ты далеко пойдешь, парень!** *წადი, თავისუფალი ხარო. და ეს ჩაიდინა უშიშროების საშიშმა უფროსმა კარლო ჩეჩელაშვილმა, თანაც 1981 წელს — მაშინ, როდესაც იდგა მრისხანე საბჭოთა რუსეთთან „ძმობის“ ხანა! ამის გამო დღემდე მადლობელი ვარ ბატონი კარლოსი.*

მართალია, აქტიურ რეჟისორულ მოღვაწეობას 1997 წლამდე ეწეოდა, მაგრამ მურად ვაშაკიძეს მიაჩნია, რომ სიღნაღის თეატრის სცენაზე განხორციელებულთაგან მისთვის ყველაზე ფასეული სპექტაკლი იყო აზათ აბდულინის „მეცამეტე თავმჯდომარე“. ეს პიესა გურამ ბათიაშვილმა თარგმნა, მაგრამ თითქმის აკრძალული იყო, რადგან რეჟისორები ერიდებოდნენ ძლიერთა ამა ქვეყნისათა გაღიზიანებას.

სიღნაღის თეატრის ისტორიას შემორჩება უამრავი ფესტივალი და ამ ფესტივალებზე მიღწეული წარმატებები: ჩელიაბინსკის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატის წოდება (სპექტაკლისთვის „ცა რომ სარკე იყოს“); მსოფლიო თეატრალური საზოგადოება „აიტის“ მიერ ორგანიზებული ორი ფესტივალი კანადაში — ოტავისა და მონრეალის თეატრების სცენებზე; ტაში და ოვაცია და განსაკუთრებული სიამაყის შეგრძნება იმის გამო, რომ ქართულ კულტურასა და საქართველოს, ამ შორეულ კონტინენტზე სწორედაც რომ სიღნაღი წარმოაჩენდა.

ეს იყო გუშინ. დღეს თეატრმა პროფილიც შეიცვალა და ოფისიც. ის კინოს სახლში განთავსდა, სადაც, მართალია, შედარებით პატარა, მაგრამ ლამაზი სცენა გაკეთდა. ამას დაემატა სამუშაო ოთახები და საგრიმიორო. მას შემდეგ, რაც სიღნაღის რაიონის კულტურის განყოფილება დაიშალა საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანებებად, შეიქმნა სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი, რომლის განკარგულებაში გადავიდა სარაიონო კულტურის სახლი, ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები, თეატრი. მის შემადგენლობაში შევიდა აგრეთვე, სოფლების კულტურის სახლები, რომლებიც აღარ გაიყიდება. მეტიც, ისინი განახორციელებენ პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს კულტურული მემკვიდრეობისა და ფოლკლორის მოძიებას, მხატვრული თვითშემოქმედების მოვლა-განვითარებას. ცენტრში სულ 16 თანამშრომელი გაერთიანდება და მათ დაემატებათ თითო კოორდინატორი სოფლების მიხედვით, ანუ — სულ 13 ადამიანი.

სიღნაღის ტურიზმის ცენტრად ქცევა დღეს ერთგვარად აიძულებს თეატრს, უარი თქვას თავის ტრადიციებზე და სიახლე ეძიოს. მურად ვაშაკიძე ფიქრობს, რომ საჭიროა შეიქმნას ტურისტზე მორგებული თეატრი, სადაც გათვლილი იქნება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებიც:

— სიღნაღში ჩამოსულ ტურისტთან საუბარი შექსპირის ან შილერის ენაზე უხერხული არ არის, მაგრამ მძიმე ნამდვილად იქნება. ჩვენ უნდა ველოდოთ ან არ ველოდოთ იმ ტურისტს, რომელსაც ესმის და აინტერესებს კლასიკური დრამატურგია. ყველა გემოვნების ტურისტი რომ დავაკმაყოფილოთ, ამისთვის თეატრმა სწორება ფოლკლორზე უნდა მოახდინოს ანუ უნდა შეიქმნას ფოლკლორის თეატრი, რითიც დაიძლევა ენობრივი ბარიერი. საბედნიეროდ, თეატრალური დასი შენარჩუნებულია, თუმცა, მოგვიწევს გადახალისება. ფოლკლორის თეატრს უპირველესად ხმა და პლასტიკა სჭირდება, ამიტომ ვაპირებთ ახალგაზრდების შემომატებას თეატრალური ინსტიტუტიდან. დასში სულ 12-12 კაცი იქნება, რადგანაც აუცილებლად გავითვალისწინებთ „ღარიბი თეატრის“ მოწყობის პოლონურ გამოცდილებას, რაც გულისხმობს იმას, რომ მსახიობს უნდა შეეძლოს სცენის მუშად ყოფნაც და ყველაფრის თავად კეთებაც, რათა გაჭირვებულმა თეატრმა შეძლოს არსებობა. ჩვენს თეატრთან იფუნქციონირებს უკვე არსებული სამი ხალხური ანსამბლი: „ქიზიყი“, „მრავალუამიერი“ და ბიჭუნათა ანსამბლი „ხორნაბუჯი“. არსებობს მობილური ანსამბლების შექმნის პროექტიც. ამათგან რვაწევრიანი იქნება სიმღერის, ხოლო თორმეტწევრიანი — ცეკვის ანსამბლი. მათ დაევალებათ, ნებისმიერ ექსტრემალურ სიტუაციაში გამართონ კონცერტები ტურისტებისთვის, რათა მათთვის საცნაური გახდეს ქართული ეგზოტიკის ხიბლი. მე მესმის, რომ არსებობს ერთგვარი შიში — აქვს კი მომავალი თეატრს საქართველოში, მით უმეტეს, — პროვინციულ თეატრს? მტკიცედ მწამს, როგორი მთავრობაც უნდა მოვიდეს და რაც უნდა პოლიტიკური თამაშები წამოიწყოს, თეატრს ყოველთვის ექნება მომავალი, რადგან ის უკვდავი ხელოვნებაა. ■

„როგორი ლამაზიც ხარ, ისე ლამაზად მსჯელობ...“

„გზის“ №32-ში, რუბრიკაში „საპატარძლო“ დაიბეჭდა თიკა ჯამბურიას ინტერვიუ, რომელსაც მისი ბევრი თაყვანისმცემელი გამოეხმაურა. რატომღაც, თიკას ინტერვიუმ ბევრი პოეტურ განწყობილებაზე დააყენა და ჩვენი მკითხველების უმეტესობა მას ლექსებით გამოეხმაურა.

მარეხ ჭონიშვილი

„თიკა, შეიძლება, ერთმანეთი გავიცნოთ? მე შენი დიდი თაყვანისმცემელი ვარ. მინდა, გაგიცნო და შენთან ვიმეგობრო (რა თქმა უნდა, თუ ამას თავადაც მოინდომებ). მე აკაკი მქვია“.

„ჩემო კარგო, ძალიან მიყვარხარ და მომწონს შენი სიმღერები. კარგი გოგო ხარ, გაიხარე. წარმატებებს გისურვებ! ეკა, ჭიათურიდან“.

„ძალიან კარგი გოგო ხარ, ლამაზი, ჭკვიანი და ნიჭიერი. მიუხედავად იმისა, რომ ერთი ასაკის ვართ, შენ ჩემთვის მისაბაძი ადამიანი ბრძანდები. გისურვებ, რომ ყოველთვის ასეთი ლამაზი იყო. დარწმუნებული ვარ, კარგ ოჯახსაც შექმნი და მაქსიმუმს მიაღწევ. აბა, წარმატებები! მიყვარხარ“.

„გამარჯობა, როგორ ხარ? მე ლიკა ვარ, სენაკიდან. შენი გაცნობა და შენთან მეგობრობა ძალიან მინდა. თუ მართლა თიკა ხარ, პასუხი მომწერე. გელოდები“.

„საოცრად ლამაზი ინტერვიუა. ადამიანი რომ არ გიცნობდეს, ვერ იტყვის, ეს 17 წლის გოგონას პასუხებიაო. ძალიან მიზანდასახული, ერთგული და კარგი მესაიდუმლე რომ ხარ, ეს დანამდვილებით ვიცი და ამიტომაც, სიამოვნებით გაგიც-

„მიუხედავად იმისა, რომ ომია, შენს გასაცნობად ჩამოვალ“

ნობდი უფრო ახლოს. იქნებ, ჩემი რომელიმე სიმღერა მოგეწონოს და ერთად ვიმღეროთ კიდეც :)). გოჩა“.

„თიკა, რატომ ხარ ტრადიციების მიმდევარი? მე ასეთი გოგონები არ მომწონს. ქალი რაც შეიძლება, თამამი უნდა იყოს. BOY, 17 წლის“.

„თუ სულში ლამაზი ოცნება ჩასახლდა,/ შენს სახელს დავარქმევ ჩემს ყველა სახატეთს,/ რადგან ღვთისმშობლის ლამაზმა თითებმა,/ ჩემს სულში შენი აჩრდილი ჩახატეს!“

„რა სისულელეა, ვინ დაიჯერებს ამას? არა მგონია, ასეთი ანგელოზი იყო. უბრალოდ, ყველაფერს თამაშობ. ამას სჯობია, გულახდილი იყო. ეკა“.

„ღმერთმა გაგიღიმა, ლამაზო არსებავ,/ და მერე სახელად დაგარქვა ქალი,/ დღეს შენ იბედნიერე და/ არ დაკარგო არც ერთი წამი“.

„ლამაზმა თვალებმა ლამაზი ცრემლები იცის,/ ლამაზმა ცრემლებმა ლამაზად ციმციმი იცის,/ ლამაზმა ტუჩებმა ლამაზი ღიმილი იცის,/ და ყველა ლამაზმა ლამაზი სიყვარული იცის. თიკა, შემიყვარე, რა. ნიკა, 20 წლის“.

„როდესაც წამით დავფიქრდები, შენ გაგიხსენებ/ და უნებურად, წამომცვივა ჩუმად ცრემლები,/ ვიცი, რომ ახლა ტყუილია ეს გახსენება,/ ვიცი, რომ შენ მე არასოდეს შეგიყვარდები“.

„შენ არ გეგონოს, გულის ყიდვა ლექსით მინდოდეს,/ შენზე ფიქრები თავად ბადებს ლამაზ სტრიქონებს./ ლამაზ ოცნებად მომევლინე, მომაჯადოვე,/ რა უსასრულოდ მენატრები, მინდა, იცოდე“.

„ლამაზი თვალები დედიკომ გაჩუქა?/ შენი სილამაზე სიონში აკურთხა?/ ბევრი იარა და მე მომადგა,/ გინდა, შეგიყვარო? — უკვე მიყვარხარ!“

„თიკა, მშვენიერების, საოცრების თუ გსურს დანახვა,/ მაშინ შენი თავი ჩემი თვალით უნდა განახვა“.

„რა მოხდება, გინატრო და ახლა უცებ გაჩნდე ჩემთან,/ ნიავივით ფიქრს გამოჭყვე, ამ პატარა ლექსთან ერთად,/ ხელისგულზე დამეცე და სამუდამოდ დარჩე ჩემთან“.

„თიკა, სიყვარულით და მონატრებით გიგზავნი მილიონ ლამაზ, სათითაოდ შეფუთულ, სუფთა, ლიცენზირებულ კოცნას. იმედია, მოგივა“.

„შვილო, ძალიან კარგი ახალგაზრდა ხარ. შენმა მშობლებმა უნდა იამაყონ, რომ ასეთი კარგი შვილი აღზარდეს. ძალიან მიყვარხარ. გისურვებ წინსვლას, კარიერასა და პირად ცხოვრებაში. გაიხარე“.

„მე ის ვარ, ვისაც არ იცნობ,/ მე ის ვარ, ვისაც გაიცნობ,/ მე ის ვარ, ვისაც ეტყოდი:/ მთელი ცხოვრება გელოდი... ავთო, ქუთაისიდან“.

„ძალიან მომწონდი, მაგრამ ამ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ კიდევ უფრო მომეწონე. ჯარისკაცი ვარ, სამშობლოს ვიცავ და თუკი მოისურვებ, შენც დაგიცავ. შენი უცნაური თაყვანისმცემელი“.

„როცა შემცივდება, როცა დავიღლები,/ როცა მზე ჩავა ზღვაში,/ როცა გეტყვი, რომ ძალიან მიყვარხარ,/ რას მიპასუხებ მაშინ?..“

„ისეთ ოჯახში ხარ აღზრდილი, არ შეიძლებოდა, სხვანაირი ყოფილიყავი. მიყვარს შენი სიმღერები. იმედია, ამ სიამოვნებას არ მომაკლებ და ბევრ ახალ სიმღერას გვაჩუქებ. ნანა“.

„დიდი და ხატული, კაშკაშა ვარსკვლავი,/ ღრუბლები, სულ ერთი ციდა,/ მინდა, რომ გაჩუქო, მკერდზე დაგაბნიო,/ შენთვის ჩამოვკრიფო ციდან“.

„ჯერ არ გიცნობ და გნატრობ,/ ვერ გამიგია, რატომ? თიკა, მომწონს შენი სიმღერები. შენ ნამდვილი ქართველი ქალბატონი ხარ. პაატა“.

„შენთან მოსასვლელ მიზეზს ვეძებდი,/ ვერ მოვიფიქრე, რა მეთქვა,/ ისე, უბრალოდ დაგიმესიჯე,/ მომენატრე და რა მექნა?“

„როგორი ლამაზიც ხარ, ისე ლამაზად და კარგად მსჯელობ. დიდი სიამოვნებით გაგიცნობდი და ვიმეგობრებდი შენთან. მეც თიკა მქვია“.

„ძალიან უბრალო და საყვარელი გოგო ხარ. არ გინდა, მამაშენს შენი ხელი რომ ვთხოვო? თუკი მოისურვებ, მიუხედავად იმისა, რომ ომია, შენს გასაცნობად მაინც ჩამოვალ. ლაშა, სამეგრელოდან“.

„ტეკილასავით დარტყმული ხარ,/ კონიაკივით ცხელი,/ შამპანურივით მიმზიდველი,/ მალიბუსავით ეგზოტიკური,/ კოქტეილივით არეული და/ ამიტომაც ხარ ყველაზე გემრიელი. ეკა“.

„გრძნობა მომეძალა უშენობის,/ გული მოლოდინით ამიტირდა,/ კიდევ გავუძლებდი სიმარტოვეს,/ მაგრამ უშენობა გამიჭირდა“. ■

ქალეიდოსკოპი

რეკორდი – 23 ათასი ბიგმაკი

აკვიატებული ნევროზით (ავადმყოფობა, რომლის დროსაც ადამიანი ერთსა და იმავე ქმედებას მრავალგზის იმეორებს) შეპყრობილმა ვისკონსინელმა დონ გორსკემ 36 წლის განმავლობაში 23 ათასი ბიგმაკის შეჭმა მოასწრო. 54 წლის გორსკე 1972 წლის 17 მაისიდან მოყოლებული, ყოველდღე 2 ბიგმაკს მიირთმევს, მაგრამ ზედმეტი წონა მაინც არ აწუხებს, რადგან კალორიების დასაწვავად, ყოველდღიურად 16 კილომეტრს დადის ფეხით. გასული საუკუნის 80-იან წლებში გორსკე ბიგმაკს შემწვარ კარტოფილთან ერთად ნთქავდა, 90-იან წლებში დოზა თანდათან შეამცირა და ახლა თვეში მხოლოდ ერთი იჯრა კარტოფილით კმაყოფილდება. დონ გორსკეს არ სწყინს, როდესაც ადამიანები მას, როგორც სულელს, ისე უყურებენ; მისი სურვილია, ისეთად მიიღონ, როგორიც არის. ბიგმაკის მოყვარული რეკორდსმენი საკუთარი ცხოვრების შესახებ წიგნის დაწერას აპირებს.

ქვაზე დაწერილი ზეციური საგალობელი, ზღვის ტალღებზე მდგარი ღვთისმშობლის ხატი და სასწაულებრივად გამთელებული მარჯვენა

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის რამდენიმე ხატი არსებობს, რომლის მადლით აღსრულებული სასწაულები საუკუნიდან საუკუნეში თაობიდან თაობას გადაეცემა...

ლიმნის ღვთისმშობელი

მორენა მერკვილაძე

ღვთისმშობლის ხატი „ღირს არს ჭეშმარიტად“

ათონის წმინდა მთაზე მოღვაწე ერთ-ერთ ბერს ასეთი ჩვეულება ჰქონდა: თუკი განსაკუთრებული აუცილებლობა არ მოითხოვდა, თავის სენაკს არ მიატოვებდა. ერთ კვირას ბერი ღამისთევის წირვაზე წავიდა ტაძარში, სენაკში მორჩილი დატოვა. მორჩილმა მოძღვრის მიერ მიცემული ლოცვითი კანონის აღსრულება დაიწყო. კარზე დააკაკუნეს. კარს მიღმა მწირი იდგა. მორჩილმა სტუმარი სენაკში შეიყვანა. საღამო ხანს გადაწყვიტეს, ეგალობათ: „უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაბიმთასა“... — წამოიწყო მორჩილმა ღვთისმშობლის საგალობელი. იგი სტუმარმა შეაჩერა და უთხრა: ჩვენთან ამგვარად ადიდებენ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, ჯერ ვგალობთ: „ღირს არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ შენ, ღვთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ ყოვლად უბიწოდ და დედა ღვთისა ჩვენისა“. ამის შემდეგ ვგალობთ: „უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაბიმთასა“. ისინი ღვთისმშობლის ხატის წინ გალობდნენ.

მორჩილმა სტუმარს სთხოვა, რომ ეს საგალობელი მისთვისაც დაეწერა. სენაკში მელანი და ქაღალდი არ აღმოჩნდა. საგალობელს ქვაზე დაგიწერ, რათა შენც ისწავლო, სხვა ქრისტიანებსაც ასწავლო და ასე განადიდებდეთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელსო, — უთხრა სტუმარმა. წერის დროს მორჩილმა იხილა, რომ ქვა სანთელივით დარბილდა და საგალობლის სიტყვები ღრმად ამოიტვიფრა. ნაწერი მორჩილს გადასცა, თავი გაბრიელად მოიხსენია და გაუჩინარდა. თურმე მორჩილს მთავარანგელოზი გაბრიელი გამოსცხადებია...

სენაკში მარტო დარჩენილი მორჩილი ღვთისმშობლის ხატის წინ მთელი ღამე გალობდა მთავარანგელოზ გაბრიელის მიერ ნაუწყებ გალობას. ზეპირად დაიმახსოვრა კიდეც.

დილით მოძღვარიც დაბრუნდა. მორჩილმა საგალობელი მოასმენინა, ქვაზე ამოტვიფრულიც აჩვენა და მომხდარის შესახებაც ყოველივე აუწყა. ბერმა მთაწმინდაზე მოღვაწე მამები იხმო. როდესაც ბერებმა მომხდარის შესახებ შეიტყვეს, ერთხმად განადიდეს უფალი და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი. ახალი საგალობელიც იგალობეს. საგალობელს „ღირს არს“ ეწოდა, ხოლო ღვთისმშობლის ხატს, რომლის წინაშეც მთავარანგელოზმა საგალობელი აღავლინა — „ღირს არს ჭეშმარიტად“. ხატი ათონის მთის ერთ-ერთ ტაძარში გადააბრძანეს. ქვის ფილა, რომელზეც მთავარანგელოზმა საგალობელი აღბეჭდა, კონსტანტინოპოლში გადააბრძანეს. ღვთისმშობლის ხატს „ღირს არს ჭეშმარიტად“ — „მოწყალესაც“ უწოდებენ. მისგან მრავალ ადამიანს მიენიჭა და დღემდე მიენიჭება მადლი და წყალობა.

ლიმნის ღვთისმშობლის ხატი

ლიმნის სახელწოდებით ცნობილი, ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი დაბრძანებულია საბერძნეთში, ევბეის ყურის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ ლიმნის ტაძარში. ხატი მძიმე, მყარ ხეზეა დაწერილი და ვერცხლითაა მოჭედილი.

ლიმნის ღვთისმშობლის ხატთან დაკავშირებით შემდეგი თქმულება არსებობს: 1560 წელს, სულთან სულეიმანის მმართველობის წლებში, თურქული ხომალდი ჰოლანდიისკენ მიემართებოდა. ეკიპაჟის წევრებს შორის ერთი ღვთისმოსავი ქრისტიანი, ბოცმანი — დიმიტრიც იმყოფებოდა. როდესაც სკიაფოსის კუნძულს მიუახლოვდნენ, დიმიტრიმ ზღვის ტალღებზე სწორად მდგარი ღვთისმშობლის ხატი შენიშნა. ბოცმანმა ხატი გემზე ამოაბრძანა და თაყვანი სცა მასზე გამოსახულ ღვთისმშობელს. გემზე ხატის ატანის შემდეგ მოულოდნელად ჩრდილოეთის ძლიერი ქარი ამოვარდა. გემი დიდი სისწრაფით გაქანდა. ასე მიაპობდა ტალღებს, ვიდრე ევბეის ყურეში, დღევანდელი ქალაქ ლიმნის ადგილს არ მიუახლოვდა. ქარი ჩადგა და გემიც გაჩერდა. ადგილიდან არ იძვროდა. ბოცმანმა კანჯოები ჩამოუშვა და გემის ბუქსირზე აყვანა დაიწყეს. გაჭირვებით მოახერხეს კანდილის მთის ძირამდე მისი მიყვანა, მაგრამ მოულოდნელად კვლავ ამოვარდა ქარიშხალი. გემი ტალღებმა კვლავ იმ ადგილისკენ წაიყვანა, სადაც ამჟამად ქალაქი ლიმნია გაშენებული. როდესაც იქაურობას მიუახლოვდნენ, ქარიშხალი ჩადგა და ზღვა ისევ დაწყნარდა. მეზღვაურები ისევ წინ წაწევას შეეცადნენ, მაგრამ შეცვალეს თუ არა მიმართულება, უფრო ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა და გემი კვლავ ევბეის ყურისკენ მიაბრუნა.

ღვთისმოსავი ბოცმანი დიმიტრი მიხვდა, რომ ამ ყველაფრის მიზეზი — გემზე დაბრძანებული ღვთისმშობლის ხატი იყო, რომელიც თავის სამყოფლად ევბეის ყურის მახლობლად არსებულ ადგილს ითხოვდა. ბოცმანი კაპიტანთან მივიდა და უთხრა: თუ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს ნაპირზე არ დავასვენებთ, აქედან ვერ გავალთ. კაპიტანი დათანხმდა. ეკიპაჟის წევრებმა სანაპიროდან რამდენიმე კილომეტრში მდებარე სოფელ კასტრიის მცხოვრებთ აცნობეს, რომ ხატი მათ სოფელში დაესვენებინათ. მორწმუნენი სიხარულით გამოემართნენ სანაპიროსკენ და ლიტანიობით მიეახლნენ. დიმიტრიმ მათ სიწმინდე გადასცა.

გემი უკვე მშვიდად გაემართა ჰოლანდიისკენ. ღვთისმშობლის ხატი კი სოფელ კასტრიაში წააბრძანეს და წმინდა ანას სახელობის ტაძარში დააბრძანეს. მეორე დილით ხატი ადგილზე აღარ დახვდათ. სოფლის მცხოვრებნი მის მოსაძიებლად გაემართნენ. ღვთისმშობლის ხატი იმ ადგილას იპოვეს, სადაც ამჟამად ქალაქი ლიმნია გაშენებული. სიწმინდე კვ-

MK

ლავ ტაძარში დააბრუნეს, მაგრამ ასე რამდენიმეგზის განმეორდა. ხალხი მიხვდა, რომ ღვთისმშობლის ხატს ლიმნში სამუდამოდ დარჩენა სურდა. მომცრო ტაძარი ააგეს და ხატიც იქ დააბრძანეს. კასტრიის მცხოვრებლებმა სოფელი მიატოვეს და ყველანი ლიმნში გადასახლდნენ. მოგვიანებით, პატარა ეკლესიის ადგილას დიდი ტაძარი აიგო — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის. ტაძარში ყოველწლიურად 8 სექტემბერს იმართება ლიმნის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული.

1944 წელს ამ ხატის ძალით, ქალაქი ლიმნი განადგურებას გადაურჩა: გერმანელები საბერძნეთის ოკუპაციის დღეებში სოფელ დოსტომის განადგურების შემდეგ, ევბეის კუნძულისკენ დაიძრნენ. როდესაც ლიმნის მიუახლოვდნენ, დამსჯელი არმიის მეთაურმა შუა გზაზე დაინახა ხელი, რომელიც მათ გზას უღობავდა. მეთაურს ხმაც ჩაესმა: „ეს ადგილი ჩემია! არ შეეხოთ მას!“ მეთაური ქალაქის მმართველებთან მივიდა და ჰკითხა: — ვინ არის თქვენი ქალაქის მფარველი? მათგან შეიტყო, რომ ქალაქში ინახებოდა ზღვაში სასწაულებრივად ნაპოვნი, ღვთისმშობლის ხატი და სწორედ ლიმნის ღვთისმშობელი მიიჩნეოდა ქალაქის მფარველად. მეთაურმა ხელი აიღო თავის განზრახვაზე და იქაურობას გაეცალა. სასწაულმოქმედი ხატის ძალით, კიდევ არაერთი საკვირველი მოვლენა აღსრულებულა.

ღვთისმშობლის ხატი „სამხელა“

სამხელად წოდებული ღვთისმშობლის ხატის ისტორია წმინდა იოანე დამასკოელის სახელს უკავშირდება: იოანე დამასკოელი ხალიფის კარზე მსახურობდა. მას საკმაოდ მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა. იმ პერიოდში ბიზანტიის ტახტზე ხატმებრძოლი იმპერატორი ლეონ ისავანსი იჯდა. მან იოანეს ცილი დასწამა ხალიფის ღალატში: თითქოს ლეონს წერილით მისწერა, სადაც სთავაზობდა, — ჩემს ბატონს ვუღალატებ და გიერთგულებო. როდესაც ამის შესახებ ხალიფამ შეიტყო, ისე, რომ სიმართლე არ გაურკვევია, ბრძანა, იოანესთვის მარჯვენა მოეკვეთათ, რომლითაც წერილი დაწერა, მოკვეთილი ხელი კი ხალხის გასაფრთხილებლად, მოედანზე დაეკიდათ. ასეც მოხდა. საღამო ხანს, იოანემ ხალიფასთან მეგობარი გაგზავნა და მოკვეთილი ხელის დაბრუნება სთხოვა. ხალიფას მოწამე შეებრალა და ხელი დაუბრუნა. ღამით იოანე სალოცავ ოთახში განმარტოვდა, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის წინ თავისი მოკვეთილი ხელი დადო, თვითონ ხატის წინაშე დაემხო და ლოცვა-ვედრებით შესთხოვდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს ხელის გამთელებას, ხატმებრძოლობის დასამარცხებლად და მართლმადიდებლური სარწმუნოების დასაცავად. ბოლოს, ლოცვითა და ცრემლთა ღვრით დაღლილს ჩაეძინა. სიზმრისეული ჩვენებისას, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი იხილა, რომელიც მოწყალე თვალებით შესცქეროდა მოწამეს: „ნუ წუხხარ, აი, შენი ხელი, ახლა გაცოცხლდა“... — მიმართა ღვთისმშობელმა. იოანეს გამოეღვიძა. მას მართლაც, სასწაულებრივად გამთელებოდა მარჯვენა. იმ ადგილას კი, სადაც ხელი მოჰკვეთეს, სისხლისფერი ხაზი აჩნდა. მადლიერების ნიშნად, წმინდა იოანემ ვერცხლისაგან ხელის მტევანი ჩამოასხმევინა და ღვთისმშობლის ხატს შესწირა, რომლის წინაშეც მთელი ღამე ლოცულობდა. ამის შემდეგ ხატს „სამხელა“ ეწოდა. სასწაულმოქმედი ხატი ათონის წმინდა მთაზე, ხილენდარის მონასტერშია დაბრძანებული.

მონრეალის ივერიის ღვთისმშობლის ხატი

ივერიის ღვთისმშობლის ხატის არაერთი ასლი არსებობს, ერთ-ერთია მონრეალის ივერიის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც 1981 წელს დაიწერა ათონის წმინდა მთაზე, კარიბჭის ღვთისმშობლის ხატიდან: ასლი ხატმწერმა ხოსე (იოსებ) მუნიოს კოსტესმა წააბრძანა წმინდა მთიდან და კანადაში, ქალაქ მონრეალში ჩაიტანა.

როგორც კოსტესი იხსენებს, 1982 წელს მეგობრებთან ერთად, ათონის წმინდა მთაზე გაემგზავრა. წმინდა დანიელის სკიტისკენ მიმავალთ, შემოაღამდათ და გზა აებნათ. მგზავრები ქრისტესშობის სახელობის სკიტს მიადგნენ, სადაც იმ დროისათვის 12 ხატმწერი ბერი მოღვაწეობდა. ბერებმა სიხარულითა და პატივით მიიღეს სტუმრები. დასვენების შემდეგ კი ხატწერის სახელოსნოში მიიწვიეს. ხოსე მუნიოსის ყურადღება ღვთისმშობლის ხატის ასლმა მიიპყრო. კარგა ხანს მზერა ვერ მოსწყვიტა. ბერს ხატის მიყიდვა სთხოვა, მაგრამ უარი მიიღო, რადგან ივერიის ღვთისმშობლის ხატი მათი პირველი ნამუშევარი ყოფილა და არ შეეძლოთ მასთან განშორება. ხოსეს იმედი არ დაუკარგავს. მგზავრები ღამით სკიტში დარჩნენ, დილით კი წირვას დაესწრნენ. როდესაც „ღირს არსს“ გალობდნენ, ხოსემ მუხლი მოიყარა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს შესთხოვა, მისი წმინდა ხატება მასთან ერთად წასულიყო ამერიკაში. მლოცველმა სულიერი სიმშვიდე იგრძნო, სწამდა, რომ ყოვლადწმინდა ქალწული მის თხოვნას შეისმენდა.

დადგა გამგზავრების დრო. ხოსე მუნიოსი და მისი მეგობრები სკიტში მოღვაწე ბერებს გამოემშვიდობნენ, მაგრამ იღუმენი არსად ჩანდა. მალე ისიც გამოჩნდა, თან ქაღალდში გახვეული ხატი ეპყრა ხელთ: „ღვთისმშობელს სურს, თქვენთან ერთად წამოვიდეს ამერიკაში“, — მიმართა ხოსეს და ხატი გაუწოდა. მადლიერებითა და სიხარულით აღსავსე ხოსე მუნიოსი ივერონის მონასტრისკენ გაემართა, რათა ღვთისმშობლის ხატის ასლი იქ დაბრძანებული დედნისთვის შეეხო. მონასტერში მოღვაწე ბერებმა ნება მისცეს, რომ ნაჩუქარი სასწაულმოქმედი ხატის ასლი პირველსახეზე მიდებით ეკურთხებინათ...

1982 წლის 3 დეკემბერს ხოსე მუნიოსი მონრეალში დაბრუნდა და თან უდიდესი სიწმინდეც ჩაიტანა. ხატი შინ, სამლოცველო კუთხეში დააბრძანა. მის წინ უქრობი კანდელი ენთო. სამი კვირის მანძილზე, ძილის წინ ღვთისმშობლის დაუჯდომელ ლოცვას კითხულობდა. ერთხელ ღამით, ძლიერმა კეთილსურნელებამ გამოაღვიძა. როდესაც სამლოცველო კუთხეს მიუახლოვდა, ნახა, რომ ღვთისმშობლის ხატი კეთილსურნელოვანი მირონით იყო დაცვარული.

მალე ივერიის ღვთისმშობლის ხატის ასლი მონრეალის მართლმადიდებლურ ტაძარში გადააბრძანეს და საკურთხეველში ტრაპეზზე დააბრძანეს. წირვის დროს ხატზე გამოსახული ყრმა იესოს ხელებიდან ნაკადულებივით მოედინებოდა მირონი. მირონი მოედინებოდა ღვთისმშობლის მარჯვენა მხარზე გამოსახული ვარსკვლავიდანაც. ამის შემდეგ მირონდენა არ შეწყვეტილა. ის მხოლოდ ვნების კვირაში წყდებოდა, დიდ შაბათს კი კვლავ იწყებოდა...

მონრეალის ივერიის ღვთისმშობლის ხატს არაერთი სასწაული მოუხდენია. მისი ძალით განიკურნა დამბლადაცემული ამერიკელი ყმაწვილი, განიკურნა მძიმედ სნეული ქალბატონი, დიაკვნის ლეიკემით დაავადებული 14 წლის გოგონა და მრავალი სხვა.

ხოსე მუნიოსი 15 წლის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დააბრძანებდა სასწაულმოქმედ ხატს. მის მიერ ასრულებულმა სასწაულებმა არაერთი ადამიანი მოაქცია ჭეშმარიტ რჯულზე. 1990 წელს საბერძნეთის დედაქალაქ ათენში ღვთისმგმობმა ადამიანებმა წამებით მოკლეს ხოსე მუნიოსი, სასწაულმოქმედი ხატი კი გაიტაცეს. სამწუხაროდ, მისი ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია.

■

ნიკოლას კეიჯს ვალი დაედო

ნიკოლას კეიჯს ამერიკის საგადასახადო სამსახურისთვის 666.000 დოლარის გადახდა მოუწევს. მსახიობს ეს თანხა ვალად დაედო, რადგან საქმიანი ხარჯებისთვის განკუთვნილი 3.3 მილიონი უკანონოდ ჩამოწერა. ამ თანხაში შედის დაქირავებული ლიმუზინით მგზავრობა, კერძო თვითმფრინავის მომსახურებისა და სხვა ამგვარი ხარჯი. საგადასახადო სამსახურის თანამშრომელთა ვარაუდით, კეიჯი დაბეგრილი შემოსავლების რაოდენობას სისტემატურად, განზრახ ამცირებდა, მაგრამ მსახიობის ადვოკატებმა დაამტკიცეს, რომ საგადასახადო დეკლარაციის შევსების დროს კეიჯს იმდენი შეცდომა არ დაუშვია, რამდენსაც სახელმწიფო ორგანოები ირწმუნებიან. იურისტებმა მსახიობისადმი თავდაპირველად წაყენებულ პრეტენზიებში მითითებული 1 მილიონის 666 ათასამდე შემცირება მოახერხეს. როგორც გაზეთი Los Angeles Times იუწყება, ნიკოლას კეიჯი იძულებულია, ხარჯები შეამციროს და ლოს-ანჯელესში მდებარე სახლი გაყიდოს. მიუხედავად ამისა, ჰოლივუდის ვარსკვლავს ღია ცის ქვეშ ღამის გათევა არ მოუწევს, რადგან მას კიდევ ორი სახლი დარჩება: ერთი — ბაჰამის კუნძულებზე, მეორე კი — როდ-აილენდის შტატში. კეიჯის საკუთრებაა დიდი ბრიტანეთის სამხრეთ-დასავლეთში მდებარე მიდფორდის ციხესიმაგრეც, რომლის შენახვა წელიწადში 185.000 დოლარი

რობი უილიამსმა არამიწიერ ცივილიზაციასთან კონტაქტი დაამყარა



ბრიტანელი პოპმომღერალი, ბოიზ-ბენდის Take That ყოფილი წევრი რობი უილიამსი ამბობს, რომ ლოს-ანჯელესში მდებარე მისი სტუდია უცხოპლანეტელებმა მოინახულეს. ბოლო ხანებში ამოუცნობი მფრინავი ობიექტებით გატაცებული მომღერალი არამიწიერ არსებებთან კონტაქტში პირველად სიმღერის Arizona შექმნის დროს შევიდა, რომელიც უცხოპლანეტელთა მიერ გატაცებულ ადამიანებს ეძღვნება. რობი უილიამსი ირწმუნება, რომ უცხოლანეტელი „უცნაურ შავ სინათლეს“ ჰგავდა, რომელმაც სტუდიაში უჩუმრად შეაღწია. მუსიკოსის მტკიცებით, ამო-ს ვიზიტის თვიმთხილველნი მისი მეგობრებიც აღმოჩნდნენ. აღსანიშნავია, რომ 2008 წელს უილიამსი ამო-ს შესახებ დოკუმენტური რადიოპროგრამის შექმნაში მონაწილეობდა.

ცნობილია, რომ ჯგუფის Take That დატოვების შემდეგ მუსიკოსი ალკოჰოლს მიეძალა და ზოგჯერ — ნარკოტიკებს, მათ შორის ჰეროინსაც მოიხმარდა. 2007 წელს კი ანტიდეპრესანტზე Seroxat დამოკიდებულების გამო მკურნალობის კურსის ჩატარება დასჭირდა. ■

კვენტინ ტარანტინოს ახალი ფილმი

კვენტინ ტარანტინოს ახალ ფილმში „უდარდელი ნაძირალები“ ერთ-ერთ როლს ფრანგი მსახიობი მელანი ლორანი ითამაშებს. როგორც ამბობენ, ლორანი ტარანტინოსთან მოსალაპარაკებლად ლოს-ანჯელესში ჩაფრინდა. ფრანგული ტაბლოიდების მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, ლორანი ფრანგი ებრაელი ქალის როლს ითამაშებს, რომელიც ნაცისტების წინააღმდეგ მებრძოლ ამერიკელ ებრაელთა ჯგუფს შეუერთდება.

25 წლის მელანი ლორანის ფილმოგრაფია უკვე 20 სურათს მოიცავს. 2008 წელს მისი სარეჟისორო დებიუტიც შედგა. ლორანის მიერ გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმი De moins en moins კანის კინოფესტივალის „ოქროს პალმის რტოს“ ნომინაციაზე იყო წარდგენილი. კვენტინ ტარანტინოს ახალი ფილმის გადაღებები 13 ოქტომბერს გერმანიაში დაიწყება. რეჟისორი ფილმზე მუშაობას 2009 წლის კანის კინოფესტივალის დაწყებამდე დაასრულებს. სურათში, რომელიც ნაწილობრივ ენცო კასტელარის მიერ 1978 წ. გადაღებული ფილმის რიმეიკს წარმოადგენს, მაყურებელი, მელანი ლორანის გარდა, ბრედ პიტს, მაიკ მაიერს, ელი როტს, ტილ შვაიგერსა და დაიენ კრიუგერს იხილავს. ■

მოკრძალებული საქორწინო ცერემონია და მაღალი რანგის სტუმრები

საფრანგეთის საინფორმაციო საშუალებათა მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პარიზის გარეუბან ნეიის მერიაში საფრანგეთის პრეზიდენტის შუათანა ვაჟის, 22 წლის ჟან სარკოზისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის Darty მაღაზიათა უმსხვილესი ქსელის მფლობელის ქალიშვილის, ჟესიკა სებუენის საქორწინო ცერემონია შედგა, რომლის ჩატარებაზე პასუხისმგებელი ნეიის მერი ჟან-კრისტოფ ფრომანტენი იყო. 30-წუთიან ცერემონიაზე, მცირერიცხოვან სტუმრებს შორის იყვნენ: სასიძოს მამა ნიკოლა სარკოზი, მეუღლესთან — კარლა ბრუნისთან ერთად; ჟანის ბებია ენდრე; უფროსი ძმა პიერი და საფრანგეთის იმიგრაციის მინისტრი ბრის ორტეფე. საპრეზიდენტო წყვილი მერიაში უკანა შესასვლელიდან შევიდა და ჟურნალისტებისგან თავის დასაღწევად, შენობა იმავე გზით დატოვა. „ეს, უპირველეს ყოვლისა, კერძო, ოჯახური ცერემონია იყო. ნეფე-პატარძალს შევახსენე, რომ ქორწინება — მათი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მომენტია და წარმატება ვუსურვე“, — განაცხადა ახალდაქორწინებულთა მშობლიური გარეუბნის მერმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

ჟან სარკოზი მამის კვალს გაჰყვა და ახლა პოლიტიკაში პირველ ნაბიჯებს დგამს. მარტში ჟანი ნეიის (ერთ დროს ნიკოლა სარკოზი სწორედ ამ გარეუბნის მერი იყო) რეგიონული საბჭოს მრჩევლად აირჩიეს. უმცროსი სარკოზი ო-დე-სენის დეპარტამენტის მმართველი პარტიის (კავშირი სახალხო მოძრაობისთვის) ჯგუფსაც ხელმძღვანელობს.

ნიკოლა სარკოზი 3 ვაჟიშვილის მამაა. პიერი და ჟანი პირველ ცოლთან შეეძინა. მეორე ცოლთან, სესილიასთან კი 9 წლის ლუი ჰყავს. სარკოზის უფროსი ვაჟი, 23 წლის პიერი, როკმუსიკოსი და მუსიკალური პროდიუსერია. ■

როგორ მოვხსნათ ხაღო და რით ვუშველოთ უბარაქობას

ნათელმხილველმა ლია ხუციშვილმა წინასწარმეტყველების ნიჭი ბებიისგან მემკვიდრეობით მიიღო. მასთან რჩევების მისაღებად, ხშირად დადიან პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, ექიმები და შოუბიზნესის წარმომადგენლები. ქალბატონი ლია ხსნის ჯადოს, ჩაკეტილ ბედს, უბარაქობას. მისი ნიჭის წყალობითა და შელოცვებით ბევრი ოჯახი გადაურჩა დანგრევასა და მოსალოდნელ უსიამოვნებას. ქალბატონ ლიასთან ხალხი რაიონებიდანაც ჩამოდის.

— როგორც ვიცი, თქვენთან რჩევის მისაღებად ბევრი ადამიანი მოდის. ძირითადად რა პრობლემები აწუხებთ?

— ზოგს ჯადო აქვს გაკეთებული, ზოგს — ბედი ჩაკეტილი და ა.შ. ხშირად უჩივიან უბარაქობასაც.

— ჯადოს და ჩაკეტილ ბედს როგორ ხსნით?

— ქრისტიანული ლოცვით, რომელიც წმინდა ბარბარეს გამოცხადების შემდეგ ვისწავლე. ბევრს არ სჯერა ჯადოს არსებობის, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ის არსებობს და საშიშიცაა. თავისუფლად შეიძლება, წინაპრების მიერ გაკეთებული ჯადო (თუ ის მოხსნილი არ არის) შენზე გადმოვიდეს და უბედურება მოგიტანოს. ამ ცოტა ხნის წინ ჩემთან ახალგაზრდა მამაკაცი მოვიდა. ვუმკითხავე და ვუთხარი: სახლში ლეღვის ხე გაქვთ, მის ძირში ჯადოა ჩამარხული და თუ არ ამოიღებთ, შეიძლება უბედურება მოხდეს-მეთქი. ამ ბიჭმა ჩემს ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია. ერთ კვირაში კი სრულიად ჯანმრთელი მამა დაეღუპა. მხოლოდ მაშინ გაახსენდა ჩემი ნათქვამი. ლეღვის ძირში მიწა ამოთხრეს და დაფლული წინდები და სხვა ნივთები იპოვეს.

— როგორ უნდა მივხვდეთ, რომ ჯადო გვაქვს გაკეთებული?

— ამ დროს ადამიანი უმიზეზოდ ჩხუბობს, უხასიათოდაა, ყველაფერი აღიზიანებს, ოჯახის წევრებს ვერ იტანს, მათ ეჩხუბება და შინიდან გარბის; ხშირად ავადმყოფობს; რაც არ უნდა სერიოზული საქმის გასაკეთებლად მიდიოდეს, უკან ბრუნდება. ბოლო დროს ხალხი ძალიან გაბოროტდა. თითქოს ეშმაკი ყველას ერთად შეუჩნდა, განსაკუთრებით კი — მამაკაცებს. მათ ცხოვრების ხალისი აქვთ დაკარგული, ზოგი სვამს, ზოგი წამალს იკეთებს, უმრავლესობა კი საყვარელს იჩენს.

— უბარაქობაზე რას გვეტყვით?

— დღეს ამ პრობლემას უამრავი ადამიანი უჩივის. მიუხედავად იმისა, რომ ბევრს კარგი სამსახური და სოლიდური ხელფასი აქვს, ალებული თანხით ვერაფერს აკეთებს, თითქოს ფული სადღაც ქრება. მაგრამ გამოსავალი არსებობს, ლოცვით ყველანაირი ჯადოს მოხსნა შეიძლება. თუკი თქვენთან მეზობელი ხშირად შემოდის და წუწუნებს, ის თავის ცუდ აურას გიტოვებთ და მთელი დღე ცუდ ხასიათზე იქნებით. ასევე, თუ მეზობელი საღამოობით (6 სთ-ის შემდეგ) ხშირად გთხოვთ პურს, ზეთსა და მარილს, დააკვირდით და მიხვდებით, რომ თქვენი შემოსავალი მცირდება.

— ხშირად ბარაქსათვის საფულეში ერთდოლარიანი უდევთ. ამასთან დაკავშირებით რას იტყვით?

— ბარაქისათვის უმჯობესია, საფულეში ხურდა ფული ჩავდოთ და ეს ფული ერთი წლის განმავლობაში მაინც ვატაროთ. ის ნივთი თუ თილისმა, რომელიც ბარაქის გამო გიდევთ საფულეში, სასურველია, სხვამ არ დაინახოს. ასევე არავის უნდა მივცეთ უფლება, ჩვენი საფულიდან ფული ამოიღოს.

მის: დ. გურამიშვილის №48. (მ. „ღრმაღელესთან“), II სად, VII სართ. ბ. №40. ტელ: 69-60-00. 61-87-21; 8 (93) 21-52-33.

R

ამერიკის მომავლით შეშფოთებული მეტ დეიმონი

ჰოლივუდის ცნობილი ვარსკვლავი მეტ დეიმონი სარა პეილინს სერიოზულად ვერ აღიქვამს და მის მიერ პრეზიდენტის პოსტის დაკავების შემთხვევაში, ამერიკის მომავალი ძალზე აშინებს. დეიმონის აზრით, დიდია იმის ალბათობა, რომ ჯონ მაკქეინმა პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე „ვერ მიაღწიოს“: ამ შემთხვევაში, ამერიკის პრეზიდენტი სარა პეილინი გახდება, რომელსაც ქვეყნის მართვისთვის აუცილებელი გამოცდილება არ გააჩნია. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს მეტ დეიმონი, რომელიც ჯონ მაკქეინის მიერ ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე სარა პეილინის კანდიდატურის დასახელებას პოლიტიკურ სვლად მიიჩნევს და ალასკის გუბერნატორის მიერ მთავრობაში მაღალი პოსტის დაკავების შესაძლებლობას — „კატასტროფას“ და „აბსურდს“ უწოდებს. „ეს ყველაფარი დისნეის ცუდ მულტფილმს მაგონებს. აბსურდია, რომ „ჰოკეის დედიკო“ პუტინს წინააღმდეგობას იმ ხერხებით გაუწევს, რომელიც მან ალასკაზე ჰოკეის თამაშის დროს აითვისა. ეს სრული აბსურდია! და არ მესმის, ამ აბსურდის შესახებ ხალხი რატომ არაფერს ამბობს“, — ამბობს მსახიობი, რომელიც მრავალი ცნობილი ადამიანის მსგავსად, ბარაკ ობამას აქტიური მხარდამჭერია. ■

ოპრა უინფრი – „რესპუბლიკელთა“ წინააღმდეგ

პოპულარული ამერიკელი ტელეწამყვანი ოპრა უინფრი სარა პეილინისგან ინტერვიუს აღებას წინასაარჩევნო კამპანიის დასრულებამდე არ აპირებს! საიტზე Drudge Report გამოქვეყნებულ განცხადებაში უინფრიმ გარკვევით მიანიშნა, რომ გადაცემა Opra Winfrey Show საკუთარი პოლიტიკური პოზიციის გამოსახატავად ცხოვრებაში პირველად გამოიყენა: იგი ბარაკ ობამას მხარდამჭერია, მაგრამ მისი შოუს პოლიტიკური აგიტაციის არენად გამოყენებას არ დაუშვებს. ოპრა უინფრის განცხადება მას შემდეგ გამოქვეყნდა, რაც საიტმა Drudge Report გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ ოპრა უინფრის გუნდში აზრი ორად გაიყო. ერთნი ფიქრობენ, რომ გადაცემაში პეილინთან ინტერვიუ უნდა გავიდეს; მეორე ნაწილი — მათ შორის გადაცემის ავტორიც — ამ იდეის წინააღმდეგია. 2008 წლის მაისში, ანუ იმ დროს, ვიდრე ბარაკ ობამას პრეზიდენტობის კანდიდატად ოფიციალურად დაასახელებდნენ, ოპრა უინფრიმ მასთან ვრცელი ინტერვიუ ჩაწერა. იუნფრის შოუ ძირითადად ქალთა აუდიტორიისთვის არის განკუთვნილი. ამომრჩეველთა ამ ნაწილის ხმების მოსაპოვებლად კი ორივე პარტიას ცხარე ბრძოლა მოუწევს. ლონდონის გაზეთის The Observer მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ოპრა უინფრის დემოკრატიული სიმპათიები ჯონ მაკქეინის საარჩევნო შტაბის წისქვილზე ასხამს წყალს. „რესპუბლიკელთა“ მტკიცებით, ამერიკის საინფორმაციო საშუალებები მათი პარტიის წინააღმდეგ უარყოფით დამოკიდებულებას განზრახ ნერგავენ და ოპრა უინფრის პოზიცია ამ ფაქტის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა! ■

პოლ ვერხუვენი ახალ ეროტიკულ ტრილერზე მუშაობს

გახმაურებული ფილმის — „ძირითადი ინსტინქტი“ რეჟისორი პოლ ვერხუვენი სტუდიისთვის Relativity Media ეროტიკული ტრილერის გადაღების თაობაზე მოლაპარაკებებს მართავს. სურათი ახალგაზრდა მამაკაცის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც ერთ-ერთ კომპანიაში სტაჟიორად მუშაობს და დაწესებულების ბოსის ცოლთან სასიყვარულო რომანს გააბამს... ფილმის გადაღებები 2009 წელს დაიწყება. ამჟამად რეჟისორი ვენდი მილერთან ერთად სურათის სცენარზე მუშაობს. პოლ ვერხუვენის ბოლო ნამუშევარი — „შავი წიგნი“ ეკრანებზე 2006 წელს გამოვიდა. ■

რუბრიკა მოამზადა **ნატო მანჯავიძემ**

სერგეი ლავროვმა ბრიტანეთის მინისტრი ძალიან „შორს“ გაგზავნა...

ბრიტანული გაზეთის — The Daily Telegraph — პოლიტიკურმა მიმომხილველმა ენდრიუ პორტერმა მკითხველს რუსეთისა და ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს — სერგეი ლავროვსა და დევიდ მილიბენდს შორის შემდგარი „გამაოგნებლად არადიპლომატიური“ სატელეფონო საუბრის თაობაზე აცნობა. ბრიტანეთის მთავრობაში საკუთარი წყაროების მეშვეობით, ჟურნალისტმა ისიც შეიტყო, რომ ორ მინისტრს შორის რამდენიმე ხნის წინ შემდგარი საუბარი საქართველოში დატრიალებულ მოვლენებს ეხებოდა.

სიტყვები ასო F-ზე

როგორც პორტერი წერს, მილიბენდმა ლავროვთან საუბრისას, რუსეთის მოქმედებით გამოწვეული უკმაყოფილების გამოხატვა სცადა. იყო თუ არა მისი საუბრის ინტონაციები ზედმეტად ქედმაღლური ანდა დიდაქტიკის შემცველი — ცნობილი არ არის, მაგრამ ყველა ინსაიდერმა ერთხმად აღნიშნა, რომ ლავროვმა კოლეგას ძალზე უხეშად უპასუხა და სრულიად არადიპლომატიური გამოთქმების ნებაც კი მისცა თავს. კერძოდ, გაცხარებულმა ლავროვმა შემდეგი სიტყვები წამოისროლა: Who are you to f… lecture me? („ვინ ხარ, შე... ლექციებს რომ მიკითხავ?“). გარდა ამისა, რუსეთის მინისტრმა „ფრიად არადელიკატური სიტყვებით“ იკითხა, — ოდნავ მაინც თუ იცნობს მილიბენდი რუსეთის ისტორიას?!. „ლავროვი ასობგერა F-ზე დაწყებულ სიტყვებს ისროდა, — განაცხადა საუბრის გაოგნებულმა მოწმემ. — ამას დიპლომატიურ ენას ვერაფრით უწოდებ“. უცენზურო გამონათქვამების სიმრავლემ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს აღნიშნული საუბრის სტენოგრამის შედგენაც კი გაუძნელა.

დიპლომატიური ლანძღვა

ყველაფერი კი, როგორც ჩანს, დიდი ბრიტანეთის მინისტრის სიტყვებით, — ევროპამ რუსეთის „აგრესიული მოქმედების“ გამო მასთან ურთიერთობას უნდა გადახედოსო, — დაიწყო. პასუხად, ლავროვმა მილიბენდს ჰკითხა, — მაშინ, როგორღა უნდა მოვიქცეთ, აშშ-ისა და ბრიტანეთის ერაყში შეჭრის გამო და ამას, რუსეთის მოქმედებისგან განსხვავებით, რატომ არავინ გმობსო?..

წყაროების თქმით, ლავროვმა უხეშად გამოლანძღა დასავლეთის მასმედია, საქართველოში რუსეთის მოქმედების გაშუქების გამო, რომლის ვერსიითაც, „გოლიათად“ გამოყვანილი რუსეთი თავს დაესხა „დავითს“ — ანუ გულად, პატარა საქართველოს, სადაც „სულ რამდენიმე მილიონი ადამიანი ცხოვრობს“.

„ფორინ-ოფისში“ (დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეა სამინისტრო) მყოფმა არაოფიციალურმა წყაროებმა გაზეთის ჟურნალისტს დაუდასტურეს, რომ მინისტრების საუბრისას, ბილწსიტყვაობას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, ოღონდ — „მხოლოდ ერთი მხრიდან“. ოფიციალურად კი ბრიტანეთის საგარეო უწყების წარმომადგენელმა მხოლოდ განაცხადა: „საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის შემდგარი დიპლომატიური საუბრების კომენტარს არ ვაკეთებთ“.

ბრიტანელი ჟურნალისტის აზრით, სერგეი ლავროვმა „რუსეთის ახალი საგარეო პოლიტიკის მრისხანე გამომხატველის რეპუტაცია დაიმსახურა, თუმცა სხვა ქვეყნების არცთუ იშვიათი და მწვავე კრიტიკა მას ჯერ კიდევ მაშინ სჩვეოდა, როცა გაეროში რუსეთის წარმომადგენელი გახლდათ“.

რუსეთის პოლიტიკური ინფორმაციის ცენტრის ხელმძღვანელის, ალექსეი მუხინის თქმით, ნიუ-იორკში მუშაობისას ლავროვს მართლაც, საკმაოდ ემოციური დიპლომატის რეპუტაცია ჰქონდა და ენასაც არ უგვალავდა. მისგან „არადიპლომატიური გამოთქმებიც“ მოუსმენიათ, მაგრამ ეს მხოლოდ სიგარეტის მოსაწევად გამოყოფილ ადგილებში თუ ხდებოდა. „დიპლომატიურ ვითარებაში კი ლავროვისთვის ასეთი საქციელი მაინც არ არის დამახასიათებელი, — აღნიშნავს მუხინი. — ამიტომ, წონასწორობიდან მის გამოსაყვანად, მოსაუბრეს დიდი ძალისხმევა უნდა დასჭირვებოდა“. ხოლო იმაში, რომ მილიბენდს ეს შეიძლებოდა მოეწადინებინა, პოლიტოლოგს ეჭვი არ ეპარება. „როგორც ცნობილია, ბრიტანული მხარისთვის საქართველოში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით რუსეთის არგუმენტები სრულიად მიუღებელია, — აცხადებს ალექსეი მუხინი, — სხვისი პოზიციის ასეთ ყრუ მიუღებლობას კი წონასწორობიდან ისეთი გამოცდილი დიპლომატის გამოყვანაც კი შეუძლია, როგორიც სერგეი ლავროვია. ადამიანმა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე არათუ საკუთარი არგუმენტების გაგებას, არამედ მათთვის ანგარიშის გაწევასაც კი ვერ მიაღწია, შეიძლება, საკუთარ თავზე კონტროლი მართლაც დაკარგოს, — დაასკვნის პოლიტოლოგი. — როგორც ჩანს, სწორედ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა ბატონი ლავროვი. მილიბენდს, მიკერძოებული პოზიციის გამო, ბრიტანულ პრესაშიც კი აკრიტიკებდნენ, — განაგრძობს ის. — სიტუაციის მისეული შეფასება იმდენად არაობიექტურია, რომ საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელიც წესით, მსოფლიო პოლიტიკაში ზედმიწევნით ერკვევა, ნამდვილად არ ეკადრება“.

დაგეგმილი მხილება?..

იმას, რომ ამ შეურაცხყოფაზე (თუკი, რა თქმა უნდა, ეს მართლაც მოხდა) ბრიტანელებს ოფიციალური რეაქცია არ გამოუხატავთ, ალექსეი მუხინი იმით ხსნის, რომ „დღეს რუსულ-ბრიტანულ ურთიერთობაში უამისოდაც ძალიან ბევრი მტკივნეული თემაა და მინისტრების ერთმანეთზე თავდასხმის დამატება ნამდვილად ზედმეტი იქნებოდა. უფრო მეტიც — ასეთი კაზუსები დიპლომატიურ ურთიერთობებში ჩვეულებრივ, იჩქმალება და ღია წყაროებში არ ხვდება, რადგან ეს არც ერთი მხარისთვის არ არის მომგებიანი. ამიტომაცაა უცნაური ამ კონკრეტული შემთხვევის გახმაურება... სერეგეი ლავროვისგან მსგავსი გამოთქმები არ მიკვირს, — განაგრძობს შემდეგ პოლიტოლოგი, — მაგრამ იმით კი ნამდვილად გაოცებული ვარ, რომ ეს ყველაფერი პრესაში მოხვდა. დღეს, ინფორმაციული ომის პირობებში, „შემთხვევითი მხილებები“ პრაქტიკულად, აღარ ხდება. ამიტომაც, არაა გამორიცხული, რომ ლავროვს პროვოკაცია მოუწყვეს, შემდეგ კი ამ ყველაფერმა პრესაში, რუსეთის ნეგატიური სახის შემდგომი ფორმირების მიზნით, „გაჟონა“.

P.S. რუსული საქმიანი გაზეთის — Взгляд — ცნობით, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სერგეი ლავროვის მიერ თავის ბრიტანელ კოლეგასთან საუბრისას არანორმატიული ლექსიკის გამოყენება უარყო, ხოლო The Daily Telegraph-ის პუბლიკაცია „კავკასიაში რუსეთის მოქმედების ირგვლივ ატეხილი ისტერიის გაღრმავების მცდელობად“ შეაფასა. როგორც სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ანდრეი ნესტერენკომ განაცხადა, — „ინფორმაციის მსგავსი გაჟონვა ალბათ, პოლიტიკურ მიზანს ემსახურება... და რუსეთისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობის სულისკვეთებას არ შეესაბამება“. ნათქვამს ნესტერენკომ ისიც დასძინა, რომ „ინფორმაციის გაჟონვა, როგორც ჩვენ გვგონია, დევიდ მილიბენდის ნებართვით მოხდა...“

„ანალიზზე უარს მაშინ ამბობ, როცა შენი მარცხის გაცნობიერება არ გინდა“...

ხელისუფლებამ უნდა გააერთიანოს ადამიანები, მათი უფლებები და მოვალეობები ანუ ერის უფლებები და მოვალეობები. ეს აუცილებელია, თუმცა ამას ჩვენში სათანადო ყურადღებას არ აქცევენო, — ამბობს ფსიქოლოგი შოთა ნადირაშვილი, რომელიც ავადმყოფობის გამო, კარგა ხანია, არ შეხმიანებია ქართველ საზოგადოებას. ახლა კი, როგორც სჩვევია, საკუთარ მკაფიო და უკომპრომისო პოზიციას გვიზიარებს.

ირმა ხარშილაძე

— ბატონო შოთა, რას ფიქრობთ საქართველოს მიერ გადატანილ ომზე?

— ცოტა შორიდან დავიწყებ. ტერიტორიული გაერთიანება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული — მოწინააღმდეგე გვყავდა ე.წ. სამხრეთ ოსეთიც, აფხაზეთიც და რუსეთიც. რუსეთს დიდი ძალა აქვს. მომზადება იყო საჭირო, რომ ისეთი პოზიცია შეგვერჩია, რომელიც მიზნის მიღწევაში დაგვეხმარებოდა. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო, გადაგვედგა ნაბიჯები, აფხაზებთან და ოსებთან დასაახლოებლად; უნდა დაგვენახვებინა, რომ რუსეთთან დაკავშირება მათთვის უფრო საშიშია, ვიდრე ჩვენთან და ა.შ. ხელისუფლებამ კი მთავარ უახლოეს ამოცანად, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა დაისახა. ხელისუფლებას ისიც შეეშალა, რომ საკუთარი სამხედრო ძალა ობიექტურად ვერ შეაფასა. გამოვიდა ის, რაც მივიღეთ — რუსეთს არაფრის შეეშინდა და შემოვიდა ჩვენს ტერიტორიაზე. დარწმუნებულია, საქართველოს გამო ვერც ნატო და ვერც ევროკავშირი ომს მას ვერ გამოუცხადებს. ყოველივე ამის შედეგად, მომხრეები შევიძინეთ და რუსეთი როგორც მოწინააღმდეგე, ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ ამავე დროს, საქართველოს საქმე ძალიან ცუდადაა. ამიტომ ორგვარი განცდა ხალხშიც გაჩნდა — კი დავმარცხდით, მაგრამ გავიმარჯვეთ. იმის შემდეგ, რაც მოხდა, ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის შემოერთების საკითხმა კიდევ უფრო შორეულ პერსპექტივაში გადაინაცვლა. პოლიტიკა სამართლიანობაზე კი არა, უფრო ხშირად — ძალაზეა დამყარებული, ძალის მიხედვით კი ჩვენი მდგომარეობა დღეს ბევრად უარესია, ამიტომ ჩვენ — ერმა წავაგეთ, დავმარცხდით, მაგრამ ხელისუფლებამ უფრო გაიმყარა პოზიციები. ამის შემდეგ დასავლეთი მეტ დახმარებას ჰპირდება, თუმცა იქაც აზრთა სხვადასხვაობაა. საკაშვილის შესაძლო შეცვლაზეც კი ალაპარაკდნენ... ოპოზიციის წარმომადგენლებს სურთ, ჩამოაყალიბონ საერთო აზრის მქონე დიდი ჯგუფი, რომელიც შეაფასებს ხელისუფლების ქმედებას.

— ბევრს მიაჩნია, რომ მომხდარის გაანალიზებისა და შეფასებების დრო ჯერჯერობით არ დამდგარა...

— ეს უდიდესი შეცდომაა. ანალიზზე უარს მაშინ ამბობ, როცა შენი მარცხისა თუ შეცდომების გაცნობიერება არ გინდა. დღეს ისე აქტუალურია ანალიზი, შეფასება, როგორც არასდროს. ხალხმა უნდა იცოდეს, რა გააკეთოს, ერი რას მიემხროს, რა დაიცვას ოპოზიციამ. ოპოზიციას ნათლად არა აქვს ჩამოყალიბებული, რა უნდა დაიცვას. ჭკვიანი და გამოცდილი ქალბატონი სალომე ზურაბიშვილიც კი ფიქრობს, რომ დღეს არ უნდა დაიწყოს გარკვევა, რატომ დავმარცხდით. დავსხდეთ და საერთო აზრი შევიმუშავოთო, რომ ამბობს, რად გინდა აუცილებლად ვიღაცასთან დაჯდომა? თვითონ შეიმუშავე აზრი, გააცანი ხალხს, გააანალიზე... მაინც ვერ ბედავენ ბოლომდე თქმას, რომ ხელისუფლებამ შეცდომები დაუშვა, დამარცხდა და ჩვენც დავმარცხდით. ეს, ერთი მხრივ, სიმპათიას იწვევს, მეორე მხრივ, ღუპავს ჩვენს ერს. ამის თქმას ვაუკაცობაც უნდა. უნდა მოუწოდონ ხელისუფლებას, კეთილშობილური მიზნებისთვის ბევრი რამ დათმოს. ყველაზე სწორი და ყველაზე კარგი ნაბიჯი ჩვენი პრეზიდენტისთვის, გადადგომა იქნება, მაგრამ ამას არ გააკეთებს, რადგან მისი მიზანი ხელისუფლების შენარჩუნება, საზღვარგარეთთან მეტად დაახლოებაა და არა ჩვენი ქვეყნის, ერის ეკონომიკურად და კულტურულად მოძლიერება, რომ მერე ტერიტორიულადაც გამთლიანდეს. საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, მაგრამ ქართველი ერი თავისუფალი ვერ გახდა, იმიტომ, რომ თავისუფლებისთვის აუცილებელი ამოცანები და მიზნები არ აქვს შესრულებული: ვერ შექმნა საკუთარი მრეწველობა და მეურნეობა, ბაზა საკუთარი კულტურის განვითარებისთვის, უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო დაწესებულებები, ვერ მოაგვარა ჯანდაცვის საკითხები. ყველაფერში, ფაქტობრივად, უკან წავედით... პოლიტიკა არ არის მეცნიერება. პოლიტიკა გარკვეული პოზიციების მიღწევას უნდა ემსახურებოდეს. პოლიტიკოსმა უნდა გამოიყენოს ყველა საშუალება, მტრების მტრობის შესანელებლად და მოყვრის მოყვრობის გასაძლიერებლად. ჩვენმა ხელისუფლებამ ვერავითარი პოლიტიკური სვლა ვერ გააკეთა, რომელიც შეანელებდა რუსეთის მტრულ, ავანტიურისტულ ქმედებას ჩვენ მიმართ. პირიქით, — გააძლიერა. ეს, პოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთთან დამარცხებას ნიშნავდა. აბა, დააკვირდით, რა რთულ და გაურკვეველ ვითარებაში აღმოვჩნდით: რუსეთის ჯარი ჯერ კიდევ აქაა. რუსეთი მსოფლიოს თვალში სამართლებრივად დამარცხდა, ჩვენ კი რუსეთთან სასტიკად დავმარცხდით. ავჩქარდით, ანკესზე წამოგვაგეს. ევროპა ცდილობს, რუსეთი „მოაქციოს“, ჰუმანურ ქვეყნად აქციოს და ურთიერთთანამშრომლობაზე დაიყოლიოს, მაგრამ ჯერჯერობით — ამაოდ. ასე რომ, ჩვენს ხელისუფლებას სულ უფრო მძიმე ამოცანები ელის წინ. ამიტომ მან კიდევ ერთხელ უნდა დაიბაროს საზღვარგარეთიდან პიარის ხალხი, ჩვენი „პიარშიკებიც“ და გამონახოს რუსეთთან მისასვლელი გზები, რომ ამ ქვეყანამ როგორმე თავი დაგვანებოს — პირველ ეტაპზე, საქართველოს საზღვრები რომ იყოს დაცული და მერე ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დაბრუნების საკითხიც დავსვათ. ამის დროც მოვა.

დაპყრობილ სახელმწიფოდ ვიქეცით. ჩვენი საკითხები გადასაწყვეტად სხვა ქვეყნებს გადავაბარეთ. სანამ ჩვენი მმართველობის, ხელისუფლების მიზნები არ შეიცვლება და უახლოესი ამოცანების დასახვას და განხორციელებას არ დავიწყებთ, ჩვენი საქმე უკან-უკან წავა. ■

ახალდაქორწინებულ კაცს ყაჩაღობაში აღანაშაულებენ

„საყვარელ ადამიანთან ცხოვრება არ მაცალეს“...

2008 წლის 11 იანვარს ისანი-სამგორის რაიონის მე-2 განყოფილებაში 28 წლის გიორგი ნორაკიძის მიმართ 179-ე მუხლის I ნაწილით (ყაჩაღობა) სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. საქმეს საფუძვლად დაედო ნუგზარ რეხვიაშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ 11 იანვარს, დაახლოებით ღამის 4 საათზე კაზინო „აჭარიდან“ თავისი ტაქსით წამოიყვანა ახალგაზრდა, რომელიც მას ვაზისუბნის დასახლებაში თავს დაესხა და ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით, 50 ლარი წაართვა. გიორგი ნორაკიძე, რომელსაც ცოლი ორი კვირის შერთული ჰყავდა, 3 თებერვალს დაიბარეს განყოფილებაში და უკან აღარ გაუშვიათ. ეჭვმიტანილს აღმკვეთ ღონისძიებად, წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდეს.

ნანა ფიცხელაური

სოფო ჩხიკვაძე, გიორგის მეუღლე:

„მომხდარიდან სამი დღის შემდეგ, პოლიციის თანამშრომლები მოვიდნენ ჩვენთან, გამომძიებელთან ერთად და უთხრეს, — მოწმის სახით უნდა დაგკითხოთო. წაიყვანეს განყოფილებაში. დააგვიანდა. წავედით მე და დედამთილი და შევიტყვეთ, რომ იგი ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი იყო. შემდეგ შინ ჩაატარეს ჩხრეკა, ცეცხლსასროლ იარაღს ეძებდნენ, მაგრამ ვერ იპოვეს. 5 თებერვალს გიორგის ორთვიანი პატიმრობა შეუფარდეს. ჩემი ქმარი 11 იანვრის ღამეს შინ იმყოფებოდა. ახალდაქორწინებულები ვიყავით და იმ დღეებში შინიდან საერთოდ არ გასულა, სტუმრების მიღება-გაცილებას ვერ ავუდიოდით. არიან მოწმეები, ჩემი ორი ნათესავი გოგონა, რომლებიც იმ ღამით ჩვენთან დარჩნენ. სასამართლოზე ისინი რატომღაც, მოწმეებად არ დაჰკითხეს“.

მალხაზ ხიდაშელი, გიორგი ნორაკიძის ადვოკატი:

„გამოძიება არაობიექტურად წარიმართა. მას, დაზარალებულის ჩვენების გარდა, სხვა მტკიცებულება არ გააჩნია. ამოცნობაც კანონის უხეში დარღვევით ჩატარდა: გიორგის პოლიციაში სპეციალურად ჩააცვეს სხვებისგან განსხვავებული, ზოლიანი მაისური (დანარჩენ სამ პირს მუქი ფერის მაისურები ეცვა). დაზარალებული თავიდან აცხადებდა, რომ 45 ლარი წაართვეს, შემდეგ თქვა — ორმოცდათხუთმეტიო. ის თავდამსხმელს აღწერს სლავური გარეგნობის პიროვნებად, გიორგი ნორაკიძე კი — ტიპური ქართველია. პოლიციის უფროსი იცნობდა ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფს და დაპატიმრებამდე რამდენიმე დღით ადრე იგი პოლიციაში დაიბარა, რათა „დაოჯახება მიელოცა“. ვეჭვობ, გიორგი 70 წლის დაზარალებულის წინაშე შეგნებულად წარადგინეს, რომ შემდეგ მას ამოცნობა არ გასჭირვებოდა. ერთი კვირის შემდეგ ნორაკიძე დააპატიმრეს. დაზარალებული მიუთითებდა, რომ ნორაკიძე კაზინოდან გამოვიდა და მის ტაქსიში ჩაჯდა. ჩვენ მოვითხოვეთ გარე სათვალთვალო კამერის ფირის ამოღება. მასზე არც ნორაკიძეა დაფიქსირებული და არც ტაქსის მძღოლი. ამოცნობისას დაზარალებულმა ჰკითხა გიორგის, — შენ ხარ თემურ კაპანაძეო? როგორც რეხვიაშვილი აცხადებდა, თავდამსხმელი გზაში მას თემურ კაპანაძედ გაეცნო. გამოძიებას მოვთხოვეთ, დაედგინა — ვინ იყო თემურ კაპანაძე, მოვიძიეთ მისი ფოტო. სხვათა შორის, მასა და გიორგის შორის გარკვეული მსგავსება არსებობს. გამომძიებელმა ზაზა იაგანაშვილმა ჩვენი მოთხოვნით, ვითომ ჩაატარა დამატებითი საგამოძიებო მოქმედებები — დაიკითხა ვაზისუბანში მცხოვრები ვინმე ავთო კაპანაძე, რომელსაც ჰყავს ძმა თემურ კაპანაძე, რომელიც საზღვარგარეთ იყო წასული. გამოძიება იმ პიროვნებით არც დაინტერესებულა“.

გოჩა ჯაფარიძე, გიორგი ნორაკიძის ადვოკატი:

„როცა გიორგი ნორაკიძეს ორთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს, სასამართლოს ზუსტად ის მტკიცებულებები ჰქონდა, რაც მანამდე, — არც არაფერი მომატებია, არც დაჰკლებია. უბედურება ის არის, რომ ერთი მოწმის ზეპირი ჩვენება საკმარისია იმისათვის, რომ პატიმრობა მოგისაჯონ. აქ მარტო ნორაკიძეზე არ არის ლაპარაკი. საგანგაშოა, რომ შსს-ში ნამუშევარი კაცის, ყოფილი ოპერმუშაკის, ამჟამად ტაქსის მძღოლის (რომელიც გამოსარკვევია, „შეკრულია“ თუ არა სამართალდამცველებთან) განთქმითი ჩვენება ადამიანის დაპატიმრების საფუძველი გახდა. გამოძიებას სხვა მტკიცებულება არა აქვს. ერთმა ცინიკოსი, მოსამართლე კედელაშვილი ადგა და, ვითომ საქმე გახსნა და გიორგის ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა. მოსამართლეს 3 ათასი ლარი გირაო შევთავაზეთ, — გაუშვით, ცოლი ახალშერთული ჰყავს-მეთქი. ნორაკიძეს მიუბრუნდა და ჰკითხა, — მიგაჩნიათ, რომ ეს თანხა საკმარისი იქნება ამ დანაშაულისთვისო? 100 ათასი რომ შეგვეთავაზებინა, შეიძლება, გამოეშვათ... დამნაშავის ამოცნობა ჩატარებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის უმნიშვნელოვანესი დარღვევით. ანუ ერთადერთი მტკიცებულება, რომელიც პროკურატურას აქვს, იმავე საპროცესო კოდექსის თანახმად, მტკიცებულებად ვერ მიიჩნევა. რჩება მხოლოდ ყოფილი ოპერმუშაკის განთქმა. გიორგი 3 წლის წინ მუშაობდა შსს-ში კონტრდაზვერვის ერთ-ერთი სამსახურის თანამშრომლად, პარალელურად უნივერსიტეტში სწავლობდა. როგორ გგონიათ, უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე კაცი ტაქსის მძღოლს სადარბაზოსთან მიიყვანდა, შინ ავიდოდა, იარაღს ჩამოიტანდა და 50 ლარს წაართმევდა?!. დაზარალებულს ვეკითხები, — როგორი იარაღი იყო-მეთქი? — და 18 წლის გამოცდილების მქონე ყოფილმა ოპერმუშაკმა თურმე იარაღის ცნობა არ იცის!.. გიორგიმ და სოფომ 27 დეკემბერს მოაწერეს ხელი. 11 იანვარს დანაშაული მოხდა. შვიდი თვეა, ამ ოჯახს ვიცნობ, ვიცი, იმ პერიოდში რა თანხები და საქორწინო საჩუქრები მიიღეს. ორ კვირაში ამ ბიჭს რა გაუჭირდებოდა ისეთი, რომ ტაქსის მძღოლისთვის 50 ლარი წაერთმია?! ეს ხომ აბსურდია! ეჭვი მაქვს, რომ ყაჩაღობა საერთოდ არ მომხდარა“.

მარინე ნორაკიძე, გიორგის დედა:

„ამ ფაქტის შემდეგ, ერთ თვეში, ჩემი რძლის, სოფოს 30 წლის ძმა ინფარქტით გარდაიცვალა. როგორც კი დავმარხეთ, ბაბუაც მოუკვდა. ორი თვის შემდეგ დედა გარდამეცვალა. სული ვერ მოვითქვით, ტრაგედია ტრაგედიაზე გვატყდება. მინდა, ჩემს ახალმოყვანილ რძალს დაუბრუნონ ქმარი... სასამართლო პროცესი სექტემბრისთვის გადაიდო. ბადრაგმა იკითხა სასამართლოზე, — ეს ის ბიჭია, დანაშაულს რომ „ტენიანო“?.. ყველამ იცის, რომ გიორგი უდანაშაულოა, მაგრამ 6 თვეა, „კრიტში“ ზის. მირჩიოს ვინმემ, რა გზას დავადგე“.

მალხაზ ხიდაშელი:

„1937 წელს სხვა კი არაფერი იყო — ერთი ადამიანის განთქმითი ჩვენებით ასამართლებდნენ და ხვრეტდნენ ადამიანებს. დანაშაულს დამტკიცება სჭირდება. გიორგის გარეგნობა დამნაშავისას არ ემთხვევა, გვაქვს ალიბი, არიან მოწმეები, მეგობრები და ოჯახის წევრები, მაგრამ არაფერზე ყურს არ იბერტყავენ. არც ერთი მათგანი, ვინც მის უდანაშაულობას ადასტურებს, სასამართლოში გამოძახებულ პირთა სიაში პროკურატურამ არ დაასახელა. გიორგის მანამდე, პირობითი სასჯელი — 6-წლიანი პატიმრობა ჰქონდა შეფარდებული სხვა დანაშაულისთვის; თუ არ გაამართლეს, იმ ექვსწლიან პირობითს ალბათ, ახალ სასჯელს დაუმატებენ და უდანაშაულო კაცს 12 წელი მაინც მოუწევს ციხეში ჯდომა. განთქმით ხომ ნებისმიერი ადამიანის დაჭერა შეიძლება. გამოძიება ცალმხრივად ჩატარდა და არ არის გამორიცხული, სასამართლო პროცესიც ასევე ჩატარდეს. ადვილი შესაძლებელია, ჩვენ რომ აქ ვსხედვართ, ვიღაცის განთქმით, ბათუმში ამ მომენტში ჩადენილი დანაშაულისთვის დაგვაპატიმრონ და „დაგვიმტკიცონ“ კიდეც“.

სოფო ჩხიკვაძე:

„სამგორის რაიონის პროკურორი ნინო ციხისელი სასამართლოზე დაზარალებულს აშკარად კარნახობდა, რა უნდა ეთქვა. პირველ სხდომაზე დაზარალებულმა თქვა გიორგიზე, — პირველად ვხედავო. წამოცდა, ალბათ. ამის შემდეგ ვნახეთ, ციხისელმა როგორ ლანძღა ფოიეში ის დაზარალებული, — ეს როგორ თქვიო?!. როცა გიორგის აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდეს, ციხისელი გიორგის ჩაუჯდა მანქანაში და უთხრა, — თუ დანაშაულს აღიარებ, პირობით სასჯელს გაგიუქმებთ და 2 წელს მოგისჯითო. ანუ შეცდომაში შეჰყავდათ ჩემი ქმარი. მას პირობით სასჯელს არავინ მოუხსნიდა. გიორგიმ თქვა, — 20 წელიც რომ მომისაჯონ, რაც არ ჩამიდენია, იმას არ ვაღიარებო. მღუპავენ მეც და ჩემს მეუღლესაც. 22 წლის ვარ, გიორგის სიყვარულით გავყევი ცოლად, არ მაცალეს საყვარელ ადამიანთან ცხოვრება. მოვითხოვ, სიმართლე დადგინდეს და დამიბრუნონ ჩემი ქმარი“.

მკვლელობა, რომელიც მკვლელობის „გამობიეზას" მოჰყვა...

„აპმარონ ის 4 წელი, რომელიც არაფრის გამო გაატარა ციხეში“

ანანო გაგუა

2004 წლის 10 თებერვალს, თელავის რაიონის სოფელ ართანაში მცხოვრები ზაზა ლაზარიშვილი მოკლეს. მისი გვამი სამართალდამცველებმა მდინარე ალაზანში 12 თებერვალს იპოვეს. იმავე დღეს, თელავის რაიონის პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ზაზა ლაზარიშვილის გატაცებისა და განზრახ მკვლელობის ფაქტზე. სამართალდამცველებმა დანაშაულში ეჭვმიტანილი სამი პიროვნება — გელა ჩაკვეტაძე, დავით პაპუაშვილი და ხვიჩა ოგბაიძე დაკავეს. მოგვიანებით, თბილისში დავით წულაია დააპატიმრეს, რომელსაც ბრალი, დანარჩენების ანალოგიურად, ორი მუხლით წაუყენეს. საქმე სამმა სასამართლომ განიხილა. საბოლოოდ უზენაესმა სასამართლომ გელა ჩაკვეტაძეს (რომელმაც დანაშაული აღიარა) — 21 წლით, დავით პაპუაშვილს — 18 წლით, წულაიას — 10, ხოლო ოგბაიძეს (რომელმაც გამოძიებასთან ითანამშრომლა), 3 წლით თავისუფლების აღკვეთა დაუტოვა ძალაში.



დავით წულაია მეუღლესთან ერთად

დაცვის მხარე მიიჩნევს, რომ დავით წულაია უკანონო პატიმარია, მის წინააღმდეგ არანაირი მტკიცებულება და არც განთქმითი ჩვენება არ არსებობს. წულაიას ოჯახი საქმის გადასინჯვას ითხოვს და იმედი აქვს, რომ სიმართლე აუცილებლად დადგინდება.

ნათია სირაძე, დავით წულაიას ადვოკატი:

— 2004 წლის 10 თებერვალს, თელავის პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ზაზა ლაზარიშვილის თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან (გატაცება) დაკავშირებით, რომელიც შემდგომ გარდაცვლილი იპოვეს. 12 თებერვალს, საქმე უკვე მისი განზრახ მკვლელობის ფაქტზე აღიძრა. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, გამოძიების მხრიდან მხილებულ იქნნენ: გელა ჩაკვეტაძე, დავით პაპუაშვილი და ხვიჩა ოგბაიძე, მოგვიანებით კი — დავით წულაია. გამოძიებამ დაადგინა, რომ ზაზა ლაზარიშვილის მკვლელობა, რომლის მოტივიც შურისძიება იყო, გელა ჩაკვეტაძემ ჩაიდინა. საბრალდებო დასკვნაში წერია, თითქოს ამ პიროვნებებმა წინასწარ დაგეგმეს ლაზარიშვილის გატაცება და ამ მიზნით — ჩაკვეტაძის ოჯახის წევრების მკვლელის ვინაობის დადგენა. ამ ადამიანებმა ერთად იქეიფეს. შეზარხოშებულ გელა ჩაკვეტაძეს ბოღმა მოაწვა... საქმე ისაა, რომ მანამდე მის ოჯახზე შეიარაღებული თავდასხმის დროს, ყაჩაღებს გელას დედა და ძმა შემოაკვდათ. იგი ფლობდა ინფორმაციას, რომ მკვლელი — ზაზა ლაზარიშვილის მეგობარი იყო და მან ამ უკანასკნელის ადგილსამყოფელი იცოდა. ჩაკვეტაძემ ამ თემაზე ლაზარიშვილთან საუბარი მოისურვა. შეხვედრისას, ვინაიდან მისგან ვერ გაარკვია მკვლელის ვინაობა და ადგილსამყოფელი, მათ ჩხუბი მოუვიდათ და, როგორც ჩანს, ჩაკვეტაძეს ლაზარიშვილი შემოაკვდა (რასაც ჩაკვეტაძე აღიარებს კიდეც). აღიარების მიუხედავად, განაჩენი ოთხივე პირის მიმართ დადგა. აქედან სამი — ჩაკვეტაძე, ოგბაიძე და პაპუაშვილი ერთად, ხოლო — წულაია ცალკე გასამართლდნენ.

— რატომ?

— იმ სამის მიმართ საბრალდებო დასკვნა ცალკე დაიწერა, ვინაიდან ისინი წულაიაზე ადრე დაიჭირეს. წულაია

2005 წლის იანვარში დააპატიმრეს. შეეძლოთ ამ საქმის გაერთიანება, მაგრამ პროკურატურამ რატომღაც, არ მოინდომა.

— რატომ დააპატიმრეს წულაია სხვებზე გვიან? იმალებოდა?

— წულაია კი არ იმალებოდა, ჩვეულებრივად განაგრძობდა ცხოვრებას და მუშაობდა. მან არც იცოდა, ვინმე რამეს თუ ედავებოდა. მთელი უბედურება ისაა, რომ არანაირი ძებნის დადგენილება არ არსებობდა. ოჯახმა არც იცოდა, დათოს ვინმე თუ ეძებდა. მათ არ მისვლიათ უწყება, თუნდაც მოწმის ან ეჭვმიტანილის სტატუსით გამოძახების შესახებ. წულაია თბილისში, ძმის ოჯახში აიყვანეს და მკვლელობაში დასდეს ბრალი. მკვლელმა — გელა ჩაკვეტაძემ წულაიას ავტომანქანით ისარგებლა — საქმეში მისი შინდისფერი „ნივა“ ფიგურირებს, რომელშიც ბრალდებულები ისხდნენ.

— თუ ჩაკვეტაძე აღიარებს, რომ მკვლელობა მხოლოდ მან ჩაიდინა და სხვამ არავინ, მაშინ რატომ წაუყენეს ბრალი დანარჩენ სამს და რა მტკიცებულებების საფუძველზე იხდის სასჯელს კონკრეტულად წულაია?

— დავით წულაიას, ფუნდამენტური უფლებების დარღვევით და ყოველგვარი უტყუარი მტკიცებულებების გარეშე გამოუტანეს განაჩენი. 2006 წლის 18 ივლისს უზენაესმა სასამართლომ საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა. სამმა სასამართლომ, ფაქტობრივად, საქმის შესწავლის და სამართლებრივი შეფასების გარეშე, განაჩენი უცვლელი დატოვა. წულაიას თავდაპირველად წარდგენილი ჰქონდა ორი ბრალდება — ზაზა ლაზარიშვილის თავისუფლების უკანონო აღკვეთა ანუ გატაცება და შემდგომ მისი მკვლელობა (143-ე პრიმა და 109-ე მუხლები) დანარჩენ პირებთან ერთად. შემდგომ მას პირველი ბრალი მოუხსნეს და მკვლელობის მუხლით გაასამართლეს. ის სასჯელს მკვლელობაში თანამონაწილეობისთვის იხდის რუსთავის №2 საპყრობილეში და 6 წელი აქვს დარჩენილი. დავით წულაია, რა თქმა უნდა, დანაშაულს არ აღიარებს. საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება აშკარად ადასტურებს — არ არსებობს ეჭვიც კი იმისა, რომ წულაიამ დანაშაული ჩაიდინა. ამასთან ჩატარდა სამედიცინო, ქიმიური და ბიოლოგიური ექსპერტიზები, რომლებმაც ასევე გამორიცხა მისი ბრალეულობა. ყველაფრის მიუხედავად, დავით წულაიას 109-ე მუხლი წაუყენეს. პროკურატურამ ერთადერთ მტკიცებულებად გამოიყენა ოგბაიძის ჩვენება, რომელიც მხოლოდ იმას წერს, რომ მანქანაში წულაიაც იჯდა. ის არსად მიუთითებს, რომ წულაია მკვლელობაში მონაწილეობდა და ან ესწრებოდა მაინც. თავად ოგბაიძეც არ არის მკვლელობის მოწმე, თუმცა არც მის მიმართ გამოუტანიათ გამამართლებელი განაჩენი.

— დანარჩენებს რა ბედი ეწიათ?

— სასამართლომ გელა ჩაკვეტაძეს 25 წელი 21-ით შეუცვალა, დავით პაპუაშვილს 21 — 18-ით, ხოლო ოგბაიძეს, რომელმაც გამოძიებასთან ითანამშრომლა, 3 წელი მიუსაჯეს. ამჟამად ის უკვე თავისუფალია. დავით წულაია ამხელა სასჯელს იხდის და არ იცის, რისთვის, ვის მკვლელობას და რატომ ედავებიან. დედამისმა, ქალბატონმა ჯანიკო გუგუშვილმა თხოვნით მიმართა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, რათა გენპროკურატურას გადაესინჯა ეს საქმე. წერილი გადაგზავნილია გენპროკურატურაში, მაგრამ სამართლებრივ შეფასებას არავინ ახდენს, ორტომიანი საქმის გადახედვას არავინ აპირებს. თუკი დადგინდებოდა, რომ მკვლელობის გახსნამდე წულაიამ იცოდა, რა მოხდა სინამდვილეში, ვინ ჩაიდინა მკვლელობა და ეს დაფარა, მას მხოლოდ დანაშაულის დაფარვისთვის უნდა ეგო პასუხი, მაგრამ საქმე ის არის, რომ წულაიამ მკვლელობის შესახებ მაშინ გაიგო, როცა ლაზარიშვილის გვამი იპოვეს. ასე რომ, დავით წულაია არათუ მკვლელი არ არის, არამედ სრულიად უდანაშაულოა, ის უკანონო პატიმარია.

გია კაჭკაჭიშვილი, *დავით წულაიას ძმა:*

„ჩემი ძმა ნაომარი კაცია, აფხაზეთის ომში იბრძოდა და დაიჭრა კიდეც. ჯილდოებიც აქვს მიღებული. დათო თელავში მუშაობდა, ხეტყის გადამამუშავებელი საამქრო ჰქონდა, წყნარად და პატიოსნად შრომობდა. ამასობაში მოასწრო რაიონში კარგი სახელის დამკვიდრება, თუ ვინმეს უჭირდა, ეხმარებოდა. იმ საბედისწერო დღეს, თბილისში მოდიოდა საკუთარი ავტომანქანით (შინდისფერი „ნივა“ ჰყავდა), სამსახურის საბუთები მოჰქონდა. თელავში, გზად ნაცნობი ბიჭები შეხვდნენ, სთხოვეს, — ბაზარში გაგვიყვანე და მერე თითო ჭიქა დავლიოთო. დათომ თბილისში წამოსვლა მეორე დღისთვის გადადო. ბაზარში სამწვადე ხორცი, ღვინო და პროდუქტები იყიდეს და შემდეგ, ვილაცის საფლავზე წავიდნენ. მათთან ერთად იმყოფებოდა აწ გარდაცვლილი ზაზა ლაზარიშვილიც. რა გატაცება, რის გატაცება, მძევალს ბაზარში ხომ არ ატარებდნენ?! ბიჭებმა დალიეს. ამის შემდეგ ჩემი ძმა მათთან დიდხანს არ დარჩენილა, თავის საამქროში დაბრუნდა, თხოვნაზე უარი ვეღარ უთხრა და მანქანა ბიჭებს დაუტოვა. მერე იმ ბიჭებს შორის რა მოხდა, დათოს არაფერი გაუგია... მათ მანქანა ღამით მის „ცეხში“ მიუყვანიათ და ყარაულისთვის ჩაუბარებიათ. მეორე დღეს, ჩემი ძმა თბილისში წამოვიდა. ეს იყო და ეს. თურმე იმ საღამოს ჩაკვეტაძეს ლაზარიშვილი მოუკლავს, საქმე ის გახლავთ, რომ ჩაკვეტაძეს დედა და ძმა მოუკლეს. ზაზა ლაზარიშვილი მკვლელის მეგობარი ყოფილა. ჩაკვეტაძეს უნდოდა, ლაზარიშვილისთვის ეთქმევინებინა მისი ადგილსამყოფელი, რათა მას გასწორებოდა. როცა მისმა მცდელობამ შედეგი არ გამოიღო, ჩაკვეტაძემ ლაზარიშვილი დანით მოკლა და ალაზანში გადააგდო. გელა ჩაკვეტაძემ დაკავებისთანავე აღიარა დანაშაული. მან ისიც თქვა, რომ მკვლელობა მარტომ ჩაიდინა და დანარჩენები არაფერ შუაში არიან. მან პროცესზეც თქვა, — დათო, როგორც მძღოლი, ისე წავიყვანეთ, მწვადი ვჭამეთ, მერე, როცა ჩემი საქმე მოვამთავრეთ, მანქანა დავუბრუნეო. მიუხედავად ამისა, ჩემს ძმას მკვლელობის მუხლი მაინც წაუყენეს, რაც დიდი აბსურდია. მას მკვლელობის არანაირი მოტივი არ ჰქონდა. მკვლელობას არც სხვა დანარჩენები შესწრებიან. ჩემი ძმა ოგბაიძის ჩვენების საფუძველზე დააპატიმრეს. ისიც მხოლოდ იმას წერდა, — დათოს მანქანით წავედითო. დათოს ხელს არავინ ადებს, დაზარალებული ლაზარიშვილის ოჯახიც კი. მიუხედავად ამისა, სრულიად უსაფუძვლოდ, პროკურორი მისთვის 17 წლის მისჯას აპირებდა, შემდეგ 10 წელზე ჩამოვიდნენ. სხვათა შორის, ამ საქმეში სამი თუ ხუთი პროკურორი გამოიცვალა. დათო ჩემს ოჯახში დააკავეს. ჩემი ძმა მეოთხე წელია, ციხეში ზის და აზრზე არ ვართ, რისთვის იხდის სასჯელს. მისი ნახვის უფლებასაც არ გვაძლევენ. საცოდავი დედაჩემი... განახევრდა ქალი. ყოველკვირა დღეს ციხის კართან დგას, თვალზე ცრემლი არ უშრება. დედამ წერილი დაწერა პრეზიდენტის სახელზე და თხოვნით მიმართა, რომ პროკურატურას მისი შვილის საქმე ხელმეორედ გადაესინჯა. უნდა, რომ შვილის უდანაშაულობა დამტკიცდეს, შვილის, რომელიც მას მკვლელად არ გაუზრდია. დარწმუნებული ვარ, ის წერილი ადრესტამდე არ მისულა, თორემ რეაგირების გარეშე არ დარჩებოდა. კაცი, რომელიც ყოველთვის მზად იყო, სამშობლოსთვის თავი გაეწირა და მისთვის სისხლი დაღვარა, უკანონო პატიმრობაში არ უნდა იყოს. იმედი მაქვს, სიმართლე დადგინდება. აკმარონ დათოს ის 4 წელი, რომელიც არაფრის გამო გაატარა ციხეში. არ მინდა, დედა მომიკვდეს... იქნებ ვინმემ გულთან ახლოს მიიტანოს ჩვენი სატკივარი, გადახედონ ამ საქმეს და დედაჩემს სიცოცხლე გაუხანგრძლივდეს“.

■

დასაწყისი იხ. გვ. 18

აღარ შეეძლო. მაგალითად, მამაჩემი და ჩემი ორივე ბიძა საქართველოში მსახურობდნენ; გარკვეულ ასაკამდე აქ ვიზრდებოდი. თბილისის ერთ-ერთ რუსულ სკოლაში დავდიოდი. აქედან წასულებს იქ ფეხის მოკიდება გაგვიჭირდა. აღმოჩნდა, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, იქ ჩვენი ადგილი აღარ იყო.

— თუ სწორად ვხვდები, რუსი ხალხის ცხოვრების ცუდ პირობებში ჩვენ გვადანაშაულებთ...

— ასეა. მაშინ, როცა ნახევარზე მეტი „საქართველო“ რუსეთს აფარებს თავს და იქიდან გამოგზავნილი ფულით არჩენს ოჯახს, თქვენი ხელისუფლება მტრად გვაცხადებს. ის ხალხი კი იძულებულია, საქართველოში დაბრუნდეს ან გარუსდეს. ძალიან ბევრს აქ ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნის პერსპექტივა არ ჰქონდა და გარუსდა კიდეც. უამრავი მათგანი აფხაზად ჩაეწერა, მათ შორის — დევნილები, რომლებიც სწორედ აფხაზებმა გამოდევნეს საკუთარი სახლებიდან. ის ხალხი ჩვენ კი არა, თქვენმა ნაქებმა ხელისუფლებამ აიძულა, ქართველობა დაეთმო... სააკაშვილის რეჟიმმა მთელი მსოფლიო ჩვენ წინააღმდეგ დარაზმა და ცდილობს, აგრესორად გამოგვაცხადოს. ამერიკა ამით თავის საქმეს აკეთებს — რუსეთს ებრძვის და მსოფლიოში მისი გავლენის შესუსტებას ცდილობს. ამ დროს კი ქართველი და რუსი ხალხი ზარალდება. განვლილმა წლებმა ხომ დაგვანახვა, რომ ერთმანეთის გარეშე ცხოვრება გაგვიჭირდება... ქართველებსა და რუსებს ყოველთვის მჭიდრო ურთიერთობა გვქონდა და გაფუჭებული ურთიერთობები პირველ რიგში, უბრალო ხალხზე აისახება ცუდად. პოლიტიკოსები ყოველთვის იპოვიან თავიანთ გზას.

— რომ არა აგვისტოში განხორციელებული, წარმოუდგენელი აგრესია, ვიფიქრებდი, რომ ქართველებზე შეყვარებული ხართ...

— დამცინით?.. ხომ გითხარით — ამერიკამ აზროვნება შეგიცვალათ-მეთქი... რუსებს ყოველთვის უყვარდათ საქართველო, თავისი კურორტებიანხალხიანად, ამიტომაც ცდილობენ, ძალით თუ ნებისმიერი სხვა გზით დაიმორჩილონ. ბევრჯერ მომისმენია, — მთავარია, საქართველო და უკრაინა დავიბრუნოთ და ეს საბჭოთა კავშირის აღდგენის ტოლფასი იქნებაო...

— რას ნიშნავს — „დავიბრუნოთ“?

— იმას, რომ ეს ქვეყნები ჩვენს შემადგენლობაში უნდა დაბრუნდნენ. ამაზე რუსეთის ხელისუფლება საბჭოთა წყობილების დანგრევის დღიდან იმტვრევდა თავს. ვერც ტერიტორიების დაკარგვის საფრთხემ მოაბრუნა საქართველო ჩვენკენ. რუს ხალხს ძალიან სჭირდება საქართველოსთან ძველებური, ახლო და კარგი ურთიერთობა. მაშინ დაჩაგრული არავინ ყოფილა, ეს თქვენი ხელისუფლებისა და საზოგადოების ანტირუსულად განწყობილი ნაწილის პოზიციაა, რომელიც რატომღაც, მოდური გახდა და პატრიოტულ იდეოლოგიად იქცა. ჩვენ ლამის მთელ მსოფლიოს ვამარაგებთ ენერგორესურსებითა და სურსათით. თუკი ჩვენთან იქნებით, ეს ყველაფერი ან უფასოდ გექნებათ, ან ჩვენი ხელისუფლება მას „კაპიკებში“, როგორც თქვენში იტყვიან, ჩალის ფასად მოგცემთ.

— ქართულ თვითშეგნებაში არსებობს ასეთი გრძნობა, რომელსაც ეროვნულობა ჰქვია...

— დიახ, რომელიც ომის დროს ძალიან გიმძაფრდებათ... სწორედ ჩვენი დახმარებით შეინარჩუნეთ ეს ეროვნულობა — მართმლმორწმუნე რუსეთმა მოგიყვანათ აქამდე. მაგრამ ქართველს რაც უფრო მეტს ეფერები, უფრო მეტს ითხოვს და ბოლოს, უფროსობაც მოუნდება... საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის მხოლოდ სულით ავადმყოფი ჰყავს რუსეთს და თქვენ ჭკუა რომ გქონდეთ, ჩვენ მიმართ ასეთ ხისტ პოლიტიკას არ უნდა ატარებდეთ. პუტინს ჭკუა რომ ჰქონოდა, არც სარკოზის „გაცურება“ გაუჭირდებოდა და არც სააკაშვილის. ფაქტია, რომ საქართველოს გამო, ნატო რუსეთზე სამხედრო შეტევაზე არ გადმოვიდოდა და ვერც აწი გაბედავს. საქართველოს აღება სულ რამდენიმე საათის საქმე იყო, მაგრამ სარდლობას გამბედაობა არ ეყო. არადა, რომ აეღოთ, მედვედევსა და პუტინს გაუხარდებოდათ კიდეც. სწორედ ასეთმა ყეყეჩურმა შეცდომამ მიგვიყვანა აქამდე. ახლა, როცა მთელი მსოფლიო ჩაერია საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში, ჩვენ უკან დახევა მოგვიწევს. გამარჯვებული ჯარისკაცის განწყობილება სულ რამდენიმე დღე გაგვყვა, შემდეგ მივხვდით: სულ ტყუილად დავკარგეთ ამდენი ჯარისკაცი და, რაც ყველაზე მთავარია — საერთაშორისო იმიჯი. ძალიან გამაღიზიანა იმის ნახვამ, თუ როგორ მოათრევდნენ ჩემი ბიჭები ქართველების სახლებიდან საყოფაცხოვრებო ნივთებს — ცოტა ხანს მაინც არ ვიცხოვრებთ „ბომჟებივითო“. მრცხვენია ამ ყველაფრის გამო, რადგან ჩვენ აქ ამისთვის არ მოვსულვართ.

— აბა, რისთვის მოხვედით? იმედგაცრუებული ჩანხართ...

— ჩვენ აქ გამარჯვებისთვის მოვედით, ქართველი და რუსი ხალხების გამარჯვებისთვის... ახლა კი იცის ჩვენმა სარდლობამ, რომ აქაურობა დღე-დღეზე უნდა დავტოვოთ, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს: ჯარისკაცებს სანგრებს ათხრევინებენ, — აბა, უქმად ხომ არ ისხდებიანო!.. ჩვენი გეგმის ბოლომდე შესრულება რომ დაგვცლოდა, რამდენიმე ხანში მადლობას გვეტყოდით, ისე კარგად აეწყობოდა საქმე... სამეგრელოში აფხაზეთიდან გადმოვედი. გზაში იქაური სამხედროები მეუბნებოდნენ, — დიდი ხანია, სამეგრელოსა და აფხაზეთის გაერთიანებაზე ვფიქრობთ და ახლა ეს შანსი უნდა გამოვიყენოთო. მეგრელები კი აფხაზებს ცალპირი თოფებითა და პისტოლეტებით დახვდნენ. დამღუპველ ქართულ-ამერიკულ დემაგოგიას იქაც კარგად უმუშავია. მათ აფხაზებთან ცხოვრება არ უნდათ და ჩვენ იძულებული გავხდით, აფხაზები სამეგრელოდან იარაღის მუქარით გაგვეყარა. სხვა შემთხვევაში, იქ დაპირისპირება დაიწყებოდა და ჩვენ დაგვაბრალებდნენ. ჩვენ კი მშვიდობა გვინდა.

P.S. ჩემი რესპონდენტის თხოვნით, საუბრის დროს დიქტოფონი არ უნდა გამომეყენებინა და განცდილი ემოციებისა და აჩქარების გამო, ბევრი საინტერესო დეტალის ჩანიშვნა ვერ მოვასწარი. თუმცა რუსი სერჟანტის ნალაპარაკევმა ისედაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ყველაზე მეტად იმან გამაოგნა, რომ ის საკუთარ სიმართლეში ბოლომდე დარწმუნებულია... ■

კალეიდოსკოპი

სადისტი ავსტრალიელი

ავსტრალიის ცხოველთა დამცველმა, სამეფო საზოგადოებამ უცნობ მამაკაცზე ძებნა გამოაცხადა. ცხოველთა დამცველებმა ინტერნეტში განთავსებული ვიდეოჩანაწერი მიიღეს, რომელზეც ნათლად ჩანს, თუ როგორ ოსტატდება მამაკაცი ხელჩართული ბრძოლის ილეთების დაუფლებაში, მისი „სპარინგ პარტნიორი“ კი — კენგურუა... ჩანაწერის ბოლოს, ცხოველი უგონოდ ეცემა. ფირის მიხედვით ვერ დაადგენ, ცხოველი ცოცხალი გადარჩა თუ დაიღუპა. ექსპერტთა აზრით, ბოროტმოქმედმა კენგურუსთან ორთაბრძოლაში გამარჯვება მხოლოდ იმიტომ „იზეიმა“, რომ ცხოველი დაჭრილი იყო. „მხოლოდ ლაჩარს შეუძლია, მასზე პატარა, დაჭრილ და შეშინებულ ცხოველს შეებას. ჩვენ ამ ლაჩრის დაჭერას, გასამართლებასა და დასჯას მოვითხოვთ“, — ამბობს საზოგადოების თავმჯდომარე რიჩარდ ბარი. ჩანაწერი საიტიდან ამოღებულია. ■

„ჰონდის“ კონცეპტუალური მოდელი

რამდენიმე დღის წინ კომპანია „ჰონდამ“ ახალი კონცეპტუალური მოდელის — Insight 2 — პირველი ოფიციალური ფოტოები და ინფორმაცია გაავრცელა. მისი სერიული ვერსია, კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, მსოფლიოში ყველაზე იაფფასიანი ჰიბრიდული (ბენზინისა და ელექტრონული აგრეგატით აღჭურვილი) ავტომობილი იქნება. კონცეპტის მსოფლიო პრემიერა ერთი თვის შემდეგ, პარიზის მოტორშოუზე გაიმართება.

სიახლის ტექნიკური მაჩვენებლების შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. თუმცა გავრცელდა ინფორმაცია, რომ მანქანა ახალ პლატფორმაზე აიწყობა. აკუმულატორების კომპლექტი საბარგულის ძირქვეშ განთავსდება, ხოლო ბენზინის ძრავას მოცულობა, წინასწარი მონაცემით, 1,4 ლ იქნება. Insight-ის სერიული წარმოების დაწყების შემდეგ, „ჰონდის“ მესვეურები წელიწადში დაახლოებით 200 ათასი ასეთი მანქანის გაყიდვას გეგმავენ, აქედან 100 ათასი მანქანა ჩრდილოეთ ამერიკის ბაზარზე იქნება რეალიზებული. გარდა ამისა, კომპანია მომავალი წლის გაზაფხულზე იაპონიასა და ევროპაში ახალი ჰიბრიდის გასაღებას გეგმავს. Insight-ის სავარაუდო ფასი იაპონიაში დაახლოებით, 2 მილიონი იენი (18,5 აშშ დოლარი) იქნება, რაც ჰიბრიდული Honda Civic-ის ფასზე ოდნავ იაფია. ■

„ფერარი“ ახალ სუპერავტოს ცდის

„ფერარის“ ახალი მოდელი, Enzo-ს მემკვიდრე უნდა გახდეს. სიახლისთვის ჯერაც არ შეურჩევიათ სახელი, ამიტომ ამჟამად მას კოდური სახელწოდებით — FX70 — მოიხსენიებენ. არაოფიციალურად გავრცელებულ ფოტოებზე ე.წ. „მულია“ წარმოდგენილი, მოდელის — F430 Scuderia — ძარათი, რომელზეც ახალი სუპერავტოს აგრეგატებს გამოცდიან. ჩვეულებრივი F430-სგან ხსენებული პროტოტიპი ბორბლების გაზრდილი ბაზითა და გამონაბოლქვის დიდი მილით გამოირჩევა.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რომელი ძრავა იქნება გამოყენებული Ferrari Enzo-ს მემკვიდრისთვის, თუმცა ვარაუდობენ, რომ მანქანას 750-800 ცხ.ძ. სიმძლავრის V12 ან რვაცილინდრიანი აგრეგატი დაუმონტაჟდება, რომელიც 50-100 ცხ.ძ-ით უფრო სუსტი იქნება. წინასწარი ინფორმაციით, ეს მანქანა 2010-2012 წლებში გაიყიდება და შეზღუდული ტირაჟით — დაახლოებით 300 ეგზემპლარად გამოვა. სუპერავტოს ფასი სავარაუდოდ, 500 ათას დოლარზე მეტი უნდა იყოს. ■

„მაზდის“ საქალაქო ავტო

კომპანია „მაზდა“ პარიზის ავტროსალონზე გასატანად, თავის ახალ კონცეპტუალურ საქალაქო ავტომობილს — Kiyora — ამზადებს, რომელიც იაპონური მარკის — Mazda1 — გამაში ყველაზე პატარა მოდელად იქცევა. ავტომობილი ახალ პლატფორმაზე აიწყობა და 4-ცილინდრიანი ბენზინის ტურბომოტორით აღიჭურვება. ასევე ვარაუდობენ, რომ კონცეპტავტოში სავარძლების ფორმულა — 2+2 — იქნება გამოყენებული. ავტომობილი აგრეთვე მოძრავი კარებითა და სავარძლებით აღიჭურვება. წარმოდგენილი ფოტოების მიხედვით, Mazda Kiyora-ს ვიზუალური მხარე კონცეპტავტოს — Nagare — მოტივებზეა შექმნილი, რომლის დებიუტიც ლოს-ანჯელესის მოტორშოუზე 2007 წლის მიწურულს შედგა. ამასთან, იაპონური კომპანიის დიზაინის განყოფილების დირექტორი, ვან დენ აკერი აღნიშნავს, რომ Mazda1-ს, მარკის სხვა მოდელებთან შედარებით, ყველაზე ექსტრავაგანტური ინტერიერი და გარეგნობა ექნება. ადრე იმასაც იუწყებოდნენ, რომ სერიული Mazda1 უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდა მყიდველებზეა გათვლილი. ავტომობილს ფლეიერის — iPod — CasarTvelsa და Bluetooth-ის სათანამგზავრო ნავიგაციის ინტერფეისს დაუყენებენ. ასეთი ავტომობილი, რომელმაც კონკურენცია Volkswagen Up!-სა და Toyota iQ-ს უნდა გაუწიოს, სავარაუდოდ, მხოლოდ 2009 წლის მიწურულისთვის გამოჩნდება სარეალიზაციო ქსელში. ■

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБОЗРЕНИЕ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის
გავრცელების
საგენტო
ელვა

ქ. თბილისი
თოსლიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. მედიტაცია; 2. ოდეკოლონი; 3. მაცა; 4. ლიანდაგი; 5. ცერეცო; 6. კოკაინი; 7. რიონი; 8. არო; 9. ბახმარო; 10. ნიორი; 11. ბლოკი; 12. ხვავი; 13. აიეტი; 14. დანია; 15. პაიკი; 16. ალა; 17. ირმა; 18. არქტიკა; 19. მრწდა; 20. ავერსი; 21. კოვბოი; 22. ტენგე; 23. ევა; 24. მოპედი; 25. მაისური; 26. მანდარინი; 27. ნოდია; 28. ტანკა; 29. ნიამორი; 30. პარანგონი; 31. პა; 32. დელი; 33. იალაღი; 34. პარაკლისი; 35. მასრა; 36. ალამი; 37. ალოე; 38. უმი; 39. ბაი; 40. ღორი; 41. ბოლივია.

სურათებზე: მონიკა პოტერი; დევიდ არკეტი.

რამდენად კარგი მოთმინების უნარით გამოირჩევით?

გაქვთ თუ არა სხვისი აზრის მშვიდად მოსმენის უნარი? პატივს სცემთ თუ არა სხვის მიერ გამოთქმულ აზრს და ხართ თუ არა შემწყნარებელი? თქვენ წინაშეა ტესტი, რომელიც დაგეხმარებათ, მიახლოებით მაინც განსაზღვროთ საკუთარი მოთმინების ხარისხი. ოღონდ, ერთი პირობა აუცილებლად დაიცავით: შეკითხვებს უპასუხეთ სწრაფად, მოფიქრების გარეშე.

1. მიგაჩნიათ, რომ თავში საინტერესო იდეა მოგივიდათ, მაგრამ სხვებმა მისი განხორციელებას მხარი არ დაუჭირეს. ცუდ ხასიათზე დადგებით?

ა) დიახ;

ბ) არა.

2. მეგობრების კომპანიაში ყოფნისას, ერთ-ერთმა მეგობარმა გართობის მიზნით, რაღაც თამაშის დაწყება შემოგთავაზათ. რას ამჯობინებთ?

ა) მხოლოდ გამოცდილმა მოთამაშეებმა მიიღონ მონაწილეობა თამაშში;

ბ) ითამაშონ მათაც, ვინც თამაშის წესებს არც კი იცნობს.

3. შეგიძლიათ თუ არა მშვიდად შეხვდეთ თქვენთვის უსიამოვნო ახალ ამბავს?

ა) დიახ;

ბ) არა.

4. როცა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს ხვდებით, ხომ არ ღიზიანდებით?

ა) თუკი ისინი საკუთარი ქმედებით დაშვებულ ზღვარს არ სცდებიან, ეს საერთოდ არ მაღელვებს;

ბ) ყოველთვის მაღიზიანებდნენ ის ადამიანები, რომელთაც საკუთარი თავის გაკონტროლება არ ძალუძთ.

5. შეგიძლიათ თუ არა ადვილად დაამყაროთ კონტაქტი იმ ტიპის ადამიანებთან, რომლებსაც თქვენგან განსხვავებული პროფესია, სოციალური მდგომარეობა და ჩვევები აქვთ?

ა) ჩემთვის ძნელი იქნება ამის გაკეთება;

ბ) ამგვარ რამეებს ყურადღებას არ ვაქცევ.

6. როგორი რეაქცია გაქვთ პირადად თქვენი მისამართით გამოთქმულ ხუმრობაზე?

ა) არც ხუმრობა მომწონს და არც მისი ავტორი;

ბ) იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ხუმრობა ჩემთვის უსიამოვნო იქნება, ვეცდები, მის ავტორს ხუმრობითვე ვუპასუხო.

7. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ ბევრი ადამიანი „თავის ადგილზე არ ზის“ და „არც თავის საქმეს აკეთებს“?

ა) დიახ;

ბ) არა.

8. ახლობელთან წვეულებაზე წასულმა, თან მეგობარიც იახლეთ, რომელიც მისვლისთანავე საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა. როგორი რეაქცია გექნებათ?

ა) გულახდილად რომ ვაღიაროო, არ მესიამოვნება სხვების ყურადღების მიღმა თუ აღმოვჩნდები;

ბ) მისი წარმატება მეც გამახარებს.

9. ახლობელთან სტუმრად მისულს იქ თქვენთვის უცხო, ხანში შესული ადამიანი გხვდებათ, რომელიც თანამედროვე ახალგაზრდებს აკრიტიკებს და წარსულს განადიდებს. როგორი რეაქცია გექნებათ?

ა) რამეს მოვიმიზეზებ და დროზე ადრე წამოვალ;

ბ) კამათში ჩავებმები.

დაავზამეთ ქულები

2 ქულა დაიწერეთ შემდეგ პასუხებში: 1-ბ, 2-ბ, 3-ბ, 4-ა, 5-ბ, 6-ბ, 7-ბ, 8-ბ, 9-ა.

ტესტის შედეგები

0-4 ქულა: უდრეკი და ცოტა არ იყოს, ჯიუტი ადამიანი ბრძანდებით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება. თითქოს ყოველთვის საკუთარი აზრის სხვებისთვის თავზე მოხვევას ცდილობთ. თქვენი ხასიათის გადამკიდე, ძნელია, ნორმალური ურთიერთობა იქონიოთ იმ ადამიანებთან, ვისაც თქვენგან განსხვავებული აზრი აქვს და არ ეთანხმება იმას, რასაც თქვენ ამბობთ ან აკეთებთ.

6-12 ქულა: საკუთარი მოსაზრებების დაცვის განსაკუთრებული უნარით გამორჩევით, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში, არც აზრის შეცვლა გიჭირთ და არც დიალოგის წარმართვა. თუმცა ზოგჯერ მეტისმეტად უკმეხი ლაპარაკიც გჩვევიათ, რითიც უპატივცემულობას ავლენთ მოსაუბრისადმი. მართალია, ასეთ შემთხვევებში, შედარებით სუსტი ხასიათის ადამიანთან კამათში გამარჯვების მოპოვება არ გიჭირთ, მაგრამ დაფიქრდით: ნუთუ ღირს სისასტიკის გამოვლენა იქ, სადაც თანხმობის მიღწევა შედარებით ღირსეული მეთოდებითაც შესაძლებელია?!

14-18 ქულა: თქვენს შემთხვევაში, შეხედულებების სიმტკიცეს შესანიშნავად ერწყმის საოცრად გამჭრიახი და მოქნილი გონება. თქვენ ნებისმიერი იდეის მიღება შეგიძლიათ, გაგებით ეკიდებით ერთი შეხედვით საკმაოდ პარადოქსულ ქმედებებს, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ამ ქმედებებით აღფრთოვანებული არ ხართ. საკმაოდ კრიტიკულად უდგებით საკუთარ აზრს და თუკი თქვენი მოსაზრება მცდარი აღმოჩნდება, გაქვთ იმის უნარი, რომ თანამოსაუბრისადმი პატივისცემა გამოხატოთ და ტაქტიანად აღიაროთ თქვენი შეცდომა.

ჰოროსკოპი

(18 - 24 სექტემბერი)

ფარაკა

კარგი პერიოდია საოჯახო და იურიდიული საქმეების მოსაგვარებლად, მათ შორის ქორწინებისთვისაც. ოღონდ ამისათვის აუცილებელია, თქვენმა რჩეულმა არ შეიტყოს თქვენი საიდუმლოების შესახებ.

ხუცი

შეიძლება სხვადასხვა პარტნიორისგან ერთდროულად რამდენიმე მომგებიანი შემოთავაზება მიიღოთ. უპირატესობა უნდა მიანიჭოთ იმას, რომელიც უფრო მოკლევადიან დაბანდებას მოგთხოვთ. სასიყვარულო კავშირების მოწესრიგება თქვენს სულიერ მდგომარეობასაც გამოასწორებს.

ტყუპი

მეგობრები დიდ გავლენას იქონიებენ როგორც თქვენს საქმეებზე, ისე თქვენს იღბალზეც და დიდ დახმარებას გაგიწევენ. საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთათვის განსაკუთრებით მიმზიდველი იქნებით. ეს დრო გამოიყენეთ თქვენი პრობლემების მოსაგვარებლად.

ყიჩგხიტი

სამსახურებრივმა წარმატებებმა, შესაძლოა, პროფესიული ცოდნის გაღრმავებისა და დახვეწისაკენ გიბიძგოთ. ოჯახური პრობლემების მოგვარება მთლიანად თქვენს პასუხისმგებლობაზე იქნება დამოკიდებული. ნუ ეცდებით საყვარელ ადამიანთან ან მეუღლესთან ურთიერთობის გარკვევას.

ლომი

შესაძლოა, მათ, ვისაც ადრე ეჭვი ეპარებოდა თქვენი წამოწყებების წარმატებაში, აზრი შეიცვალონ. ყურად იღეთ გამოცდილი ადამიანების რჩევები და მათი შენიშვნებიც გაითვალისწინეთ.

უსტეფუდი

არ არის გამორიცხული, წარმატებას მიაღწიოთ იმ სფეროში, რომელზეც ადრე მხოლოდ ოცნება თუ შეგეძლოთ. მსხვილი ფულადი დაბანდება ნაყოფს გამოიღებს, თუმცა ეს ახალი ნერვიულობის საბაბიც გახდება. შეიძლება, საცხოვრებელი ადგილის შეცვლაც მოგიხდეთ.

ხასხოტი

ხელმძღვანელობა უკმაყოფილო იქნება თქვენ მიერ შესრულებული დავალებების ხარისხით, ამიტომ ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დამატებითი სამუშაოს შესრულება მოგიწევთ. მეუღლის გვერდით თავს ძალზე დაცულად იგრძნობთ.

ფოჩიმედი

პირადი პრობლემები თქვენს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს ადგილს დაიკავებს, ამიტომ ყველა სხვა საქმე უკანა პლანზე გადაიწევს. გავლენიანი და თანამდებობის პირების დახმარებით, ავტორიტეტს განიმტკიცებთ.

ფუვიდოსტეი

დაფიქრდებით ცხოვრებისეულ ღირებულებებზე; საკუთარ თავს ჰკითხავთ — თუ რამდენად საიმედო მეუღლე ან მეგობარი ხართ; ამ პერიოდში ნათესავებთან ახლო ურთიერთობა თქვენი სულიერი სიმშვიდის გარანტია იქნება.

თხიტ ჩეტ

კარგი დროა განათლების მისაღებად ან კვალიფიკაციის ასამაღლებლად. შესაძლოა, განსაკუთრებულად დაინტერესდეთ უცხოური კულტურითა და ისტორიით. გაორება თქვენს სასიყვარულო ურთიერთობას ზიანს მიაყენებს.

ფეჩეფუდი

ამ კვირაში შეიძლება გამოაშკარავდეს თქვენი პარტნიორების ფინანსური მაქინაციები, თუმცა ეს არ დაგაზარალებთ. დაღლილობის მოსახსნელად მეტი დრო გაატარეთ ბავშვებთან და საყვარელ ადამიანთან.

თეფზეტი

მეგობრებთან ერთად დაწყებული საქმე დადებითად აისახება თქვენს ცხოვრებაზე, გამართლებული იქნება ცოტაოდენი რისკიც. შესაძლოა, საბოლოოდ გაწყვიტოთ ყველა ის ურთიერთობა, რომელიც საპასუხო გრძნობითა და ემოციით ვერ გაკმაყოფილებთ.

სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

7	1	5	9	6	4	2	8	3
4	6	8	2	7	3	5	1	9
3	2	9	5	8	1	4	7	6
1	9	7	6	5	2	3	4	8
8	4	6	3	1	9	7	5	2
2	5	3	7	4	8	9	6	1
9	8	4	1	3	5	6	2	7
5	7	2	8	9	6	1	3	4
6	3	1	4	2	7	8	9	5

3	8	4	9	7	6	5	1	2
5	6	7	1	3	2	4	9	8
9	1	2	4	5	8	7	6	3
7	3	8	2	4	1	6	5	9
6	4	1	8	9	5	2	3	7
2	5	9	3	6	7	1	8	4
8	7	6	5	2	9	3	4	1
4	9	5	7	1	3	8	2	6
1	2	3	6	8	4	9	7	5

6	1	7	2	8	4	9	5	3
8	9	3	1	5	6	4	2	7
2	4	5	7	3	9	8	1	6
4	8	6	5	9	3	2	7	1
1	5	2	6	7	8	3	9	4
3	7	9	4	1	2	5	6	8
5	6	4	3	2	1	7	8	9
9	2	1	8	4	7	6	3	5
7	3	8	9	6	5	1	4	2

იაპონური სენსაცია

* ამ ფურცლის

1				4		3		
4	8		9				6	
	5		1	2		9		8
		7	8			5		9
	9			7	1		8	
8		4	5			1		
6		2		3	9		1	
	4				5		3	2
		8		1				4

* ს ეს

		2			9			1
		7			6	5		2
		1		8				7
		9	5	3			1	
3				4				9
	8				7	2		
1				6		9		
2		8	4			3		
5			9			1		

* ერთ

2				4			6	
	3			8				2
		9	6					
		5		1		3		8
		7				2		
6		4			8	9		
					1	4		
5				3			8	
	4			6				9

ფოტოკუთხეები

გაერთიანებული ტელეკომი

სიახლე გაერთიანებული ტელეკომისგან

თქვენი სახლის ახალი ტელეფონი!

გახდით გაერთიანებული ტელეკომის აბონენტი და ისაუბრეთ უფასოდ

ჩვენი ქსელის 400000 აბონენტთან მთელი საქართველოს მასშტაბით

ინფორმაციისთვის და ჩებისტრაციისთვის დარეკეთ ნომერზე

100-100

www.utg.ge